ა. ფაღიაშვილი
ღ. ცინცაძე

გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტები

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

67.99(2) 116.3
ფ 769

შრომა შეიცავს მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების დროს შესადგენი სხვადასხვა სახის ძირითადი პროცესუალური აქტების ნიმუშებს. შრომის მიზანია დაეხმაროს საგამოძიებო და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოების მუშაკებს დასახელებული დოკუმენტების შედგენაში, ხოლო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს — მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტების შედგენის შესწავლაში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

საქართველოს სსრ პროკურატურის
პროკურორ-კრიმინალისტი, იუსტიციის
უფროსი მრჩეველი ვ. სიმონიშვილი

ქ. თბილისის პროკურორის პირველი
მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი მ. ჟურდაძე

1203100000—177
П——————24—88
М 60 (08)—88

ISBN5—529—00193—9

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988

მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტების მნიშვნელობა და სახეები

მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის შემდგომი გაუმჯობესება დაკავშირებულია ამ ორგანოების მუშაკების მიერ საპროცესო აქტების სწორ და დასაბუთებულ შედგენასთან.

მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალურ აქტებში აისახება მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ცალკეულ საკითხებზე და ფიქსირდება საგამოძიებო ან სხვა პროცესუალური მოქმედების მსვლელობა და შედეგები. ყველა სახის საპროცესო აქტი (დადგენილება, ოქმი, პროტესტი, წარდგინება და ა. შ.) კანონის საფუძველზე უნდა იყოს გამოტანილი და შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნულია, რომ გამომძიებლის დადგენილება, რომელიც გამოტანილია კანონის შესაბამისად მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სავალდებულოა შეასრულოს ყველა საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, თანამდებობის პირმა და მოქალაქემ (მუხ. 127-ე). ასეთივე წესია დადგენილი პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებებისთვისაც (მუხ. მე-20).

გამოძიების ჩატარება და საპროკურორო ზედამხედველობის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული საპროცესო დოკუმენტების სწორ, სრულყოფილ და ობიექტურ შედგენაზე. პროცესუალური აქტები ხშირად იწვევს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს: ვალდებულებას, მოქალაქეთა უფლე-

ბების ან თავისუფლების შეზღუდვას; აქედან გამომდინარე, ცხადია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მათი შედგენის კულტურას, დასაბუთებულობას, კანონიერებას. პროცესუალური აქტების შედგენა არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ტექნიკური ხასიათის სამუშაოს შესრულება; იგი შემოქმედებითი საქმიანობაა.

პროცესუალურ აქტებში სრულყოფილად და ობიექტურად უნდა აისახოს საქმის გარემოება და ფაქტები. მათი გაცნობით პროცესის ყველა მონაწილეს, ცალკეულ მოქალაქეებსა და თანამდებობის პირებს უნდა შეეძლოთ ფაქტებისა და გარემოებების ისე აღდგენა, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. პროცესუალური აქტების შედგენა უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

კანონი მიუთითებს არა მარტო საპროცესო აქტების წერილობითს ხასიათზე, არამედ ზოგადად განსაზღვრავს კიდეც იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც უნდა აისახოს საპროცესო აქტებში. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, გამოძიების წარმოებისას აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი. იგი შეიძლება იყოს ხელით დაწერილი, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ან სტენოგრაფირებული. 96-ე მუხლი განსაზღვრავს ოქმის შედგენის წესს და იმ ზოგად საკითხებს, რომლებიც უნდა აისახოს საგამოძიებო მოქმედების ოქმში. 97-ე მუხლი არეგლამენტირებს საკითხს, თუ როგორ უნდა მოიქცეს გამომძიებელი, როდესაც პირი უარს აცხადებს ოქმისთვის ხელის მოწერაზე. 112-ე მუხლი, მაგალითად, მიუთითებს იმ ძირითად და ზოგად ნიშნებზე, რომლებსაც უნდა შეიცავდეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

გამოძიებისა და ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ფორმდება მრავალი სახის საპროცესო აქტები. მათი ცალკეული დახასიათება არ არის აუცილებელი, შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთზე, კერძოდ, ისეთებზე, როგორებიცაა: დადგენილება, ოქმი, საბრალდებო დასკვნა, პროტესტი და წარდგინება.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა პროცესუალური დოკუმენტია, რომელიც გამოიტანება ერთპიროვნულად მომკვლევი პირის, გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ცალკეული საკითხების

გადაწყვეტის შედეგად სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

დადგენილება შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო. შესავალში აღინიშნება დადგენილების სათაური, ვის, სად და როდის გამოაქვს დადგენილება, რომელ და ვის საქმეზე, აღწერილობით ნაწილში — თუ რა საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით გამოაქვს გამომძიებელს დადგენილება; უნდა დასაბუთდეს ამ დოკუმენტის გამოტანა და მითითებულ იქნას კანონის რომელი მუხლებით იხელმძღვანელა პირმა დადგენილების გამოტანისას. სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს პუნქტების მიხედვით და აღინიშნოს გამომძიებლის (პროკურორის) გადაწყვეტილება ცალკეულ საკითხებზე, ამასთან, ვის უნდა გაეცნოს დადგენილება ან ვის გადაეგზავნოს დადგენილების პირი.

ცალკეულ შემთხვევებში დადგენილება იღებს კანონიერ ძალას მხოლოდ პროკურორის სანქციონირების ან დამტკიცების, ან მასთან შეთანხმების შედეგად. პროკურორისაგან სანქციის მიღება სავალდებულოა; მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენებისას, პროკურორი ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას. პროკურორისაგან თანხმობის მიღება აუცილებელია, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას საქმის ამხანაგური სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემის დროს.

ო ქ მ ი წარმოადგენს პროცესუალურ დოკუმენტს, რომელიც დგება საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას. მას ადგენს პირი, რომელიც აწარმოებს მოკვლევას და წინასწარ გამოძიებას (მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი). ოქმი ადასტურებს ამ მოქმედების წარმოების ფაქტს, შინაარსს და შედეგებს. იგი შეიძლება შედგეს საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას ან მისი დამთავრებისთანავე.

ოქმს თან ერთვის ფოტოგრაფიული ნეგატივები, ფოტოსურათები, კინოფირები, დიაპოზიტივები, ფონოგრამები, გეგმები, სქემები, კვალის ტვიფარები და ანაბეჭდები, რომლებიც მიღებულია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების შესრულების დროს. ამ დანართებს პროცესუალური ძალა და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ოქმთან ერთად.

ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ყველა პირი.

ოქმის შინაარსი უნდა გაეცნოს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს, ამასთან, განემარტოთ მათ, რომ უფლება აქვთ ოქმში შეიტანონ შენიშვნები.

ძირითად საკითხებს, რომლებიც უნდა აისახოს საგამოძიებო მოქმედების ოქმში, და მათი გაშუქების თანამიმდევრობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელის მოწერის უარის ოქმის ფაქტის დადასტურების წესს (მუხლი 97-ე) და საგამოძიებო მოქმედების ოქმის დამოწმების წესს, როდესაც მასზე ხელმოწერის საშუალება არ არსებობს (მუხლი 98-ე).

ცალკეულ შემთხვევებში ოქმის პირი უნდა ჩაბარდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის შესაბამისად, ოქმის პირი ხელწერილით უნდა ჩაბარდეს იმ პირს, ვისთანაც მოხდა ამოღება, ჩხრეკა, ქონებაზე ყადაღის დადება, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებს, ხოლო თუ ასეთები არ არიან — სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს ან საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას. თუ საგამოძიებო მოქმედებანი ჩატარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ოქმის პირი ხელწერილით ჩაბარდება სათანადო თანამდებობის პირს.

ს ა ბ რ ა ლ დ ე ბ ო დ ა ს კ ვ ნ ა არის მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ბოლო პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც დგება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის სამართალში მისაცემად არსებობს საკმარისი საფუძველი.

საბრალდებო დასკვნა შედგება მას შემდეგ, როდესაც დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენლები, ბრალდებული, ბრალდებულის დამცველი უკვე გაეცნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს გამოძიების დამთავრებასთან დაკავშირებით.

საბრალდებო დასკვნა მეტად მნიშვნელოვანი და შემაჯამებელი პროცესუალური დოკუმენტია. მასში სრულად, ყო-

ველმხრივ და ობიექტურად უნდა აისახოს გამოძიების შედეგები, ფაქტები და გარემოებანი, რომლებიც დადგინდა გამოძიების პროცესში, და ბრალდების ფორმულირება.

საბრალდებო დასკვნა განსაზღვრავს წაყენებულ ბრალდებას და სასამართლოში საქმის განხილვის ფარგლებს. საბრალდებო დასკვნის გაცნობის შედეგად ბრალდებულმა უკვე იცის, თუ რაში ედება მას ბრალი და რომელი მტკიცებულება მიუთითებს მის ბრალეულობაზე, ბრალის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე.

საბრალდებო დასკვნას ხელს აწერს გამომძიებელი. საბრალდებო დასკვნა პროცესუალურ ძალასა და მნიშვნელობას იძენს პროკურორის რეზოლუციით ან ცალკე დადგენილებით მისი დამტკიცების შემდეგ.

საბრალდებო დასკვნის შედგენის ორი ძირითადი წესი არსებობს: ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი და ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი.

საბრალდებო დასკვნის შედგენის ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი წესი გულისხმობს ამ პროცესუალურ დოკუმენტში ფაქტებისა და გარემოებათა იმგვარად გაშუქებას, როგორც და რა თანამიმდევრობითაც დადგინდა ისინი გამოძიების პროცესში.

საბრალდებო დასკვნის შედგენის ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი წ ე ს ი გულისხმობს ამ პროცესუალურ დოკუმენტში ფაქტებისა და გარემოებათა სისტემატურ გაშუქებას იმის მიხედვით, თუ როგორ მზადდებოდა, ვითარდებოდა და ჩადენილ იქნა დანაშაული.

ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით მრავალეპიზოდიანი დანაშაულის ჩადენის დროს, საბრალდებო დასკვნის შედგენისას შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ქრონოლოგიური, ისე სისტემატური ხერხები; მაგალითად, ერთი ეპიზოდი შეიძლება აღწერილ იქნას ქრონოლოგიური წესით, ხოლო მეორე ეპიზოდი — სისტემატური ხერხით.

საბრალდებო დასკვნა შედგება აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად, საბრალდებო დასკვნის აღწერილობით ნაწილში აღინიშნება: საქმის არსი, როგორც ეს გამოძიებამ დაადგინა, ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ადგილი, დრო, ხერხი, მოტივები, შედეგები და სხვა

არსებითი გარემოებანი; ცნობები დაზარალებულის შესახებ; მტკიცებულებები, რომელნიც დანაშაულის არსებობასა და ბრალდებულის ბრალეულობას ადასტურებენ; ბრალდებულის ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი; მოსაზრებანი, რომელთაც ბრალდებული თავის დასაცავად აყენებს და ამ მოსაზრებების შემოწმების შედეგი.

საბრალდებო დასკვნაში მითითებული უნდა იყოს საქმის ფურცლები, რითაც დასკვნაში ნათქვამი დასტურდება.

სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება: ცნობები ბრალდებულის ვინაობის შესახებ (ანკეტური მონაცემები); წაყენებული ბრალდების ფორმულირება; სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი ან მუხლები, რომელთა მიხედვით კვალიფიცირებულია ბრალდებულის ქმედობა.

საბრალდებო დასკვნაში აღინიშნება მისი შედგენის დრო და ადგილი, აგრეთვე სასამართლო, რომლის განსასჯელიცაა საქმე. საბრალდებო დასკვნას ხელს აწერს გამომძიებელი, რომელიც მიუთითებს თავის თანამდებობას და საკლასო ხარისხს ან სამხედრო წოდებას. თუ გამოძიება ჩაატარა საგამოძიებო ჯგუფმა, საბრალდებო დასკვნას ხელს აწერს საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი.

საბრალდებო დასკვნას ერთვის იმ პირთა სია, რომლებიც, გამომძიებლის აზრით, უნდა გამოიძახონ სასამართლოში ბრალდებულის, დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხის ან მათი წარმომადგენლების სახით. სიაში უნდა იყოს აღნიშნული ამ პირთა ადგილსამყოფელი და საქმის ფურცლის ნომრები, სადაც მათი ჩვენება ან დასკვნაა ფიქსირებული.

საბრალდებო დასკვნას ერთვის აგრეთვე ცნობები გამოძიების ვადების შესახებ, შერჩეული აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ პატიმრობის დროის აღნიშვნით, ნივთიერ მტკიცებულებათა შესახებ, სამოქალაქო სარჩელის თაობაზე, სამოქალაქო სარჩელისა და ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ ღონისძიებათა საკითხზე და ცნობა სასამართლო ხარჯებზე.

პ რ ო ტ ე ს ტ ი წარმოადგენს საპროკურორო ზედამხედველობის აქტს და განიხილება როგორც კანონის დარღვე-

ვაზე პროკურორის რეაგირების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. პროტესტს ადგენს პროკურორი ზედამხედველობის განხორციელების ყველა დარგში, თუ დადგინდა, რომ ბრძანება, გადაწყვეტილება, განკარგულება ან ინსტრუქცია ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას. პროკურორმა კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი ხასიათის აქტის გაპროტესტებით არ უნდა დაამთავროს თავისი მოღვაწეობა. იგი მოვალეა მიაღწიოს კანონსაწინააღმდეგო აქტის შეცვლას ან გაუქმებას, აღადგინოს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მოქალაქეთა დარღვეული კანონიერი უფლებები და ინტერესები.

პროტესტში უნდა აღინიშნოს იმ ორგანოსა და თანამდებობის პირის დასახელება, ვისაც იგი ეგზავნება, პროტესტის სათაური (მაგალითად, პროტესტი საერთო ზედამხედველობის წესით). პროტესტში უნდა იყოს მოყვანილი კანონსაწინააღმდეგო აქტის რეკვიზიტები და შინაარსი, აგრეთვე იმ კანონის (ნორმატიული აქტის) შესახებ, რომელსაც ეწინააღმდეგება გასაპროტესტებელი კანონსაწინააღმდეგო აქტი.

პროტესტი უნდა შეიცავდეს პროკურორის წინადადებას გაპროტესტებული აქტის შეცვლის ან გაუქმების, აგრეთვე დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე. პროკურორი ვალდებულია მიუთითოს პროტესტში ამ დოკუმენტის განხილვის ვადის შესახებ, მისი თანამდებობრივი მდგომარეობა და პროტესტის შედგენის თარიღი.

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა არის საპროკურორო ზედამხედველობისა და გამოძიების აქტი და განიხილება, როგორც კანონის დარღვევაზე რეაგირების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. წარდგინება შეუძლია შეადგინოს მომკვლევმა პირმა და გამომძიებელმა იმ პირობებისა და მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, რამაც ხელი შეუწყო ან განაპირობა დანაშაულის ჩადენა ან კანონის დარღვევა. პროტესტისაგან განსხვავებით, პროკურორის მიერ წარდგინება შეიტანება არა ერთ რომელიმე კანონსაწინააღმდეგო აქტზე, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის დარღვევას ხშირი ან სისტემატური ხასიათი აქვს. წარდგინების შეტანას წინ უნდა უსწრებდეს კანონის დაცვის პრაქტიკის ანალიზი და განზოგადება.

პროკურორს შეუძლია წარდგინებით მიმართოს არა მარტო

იმ უწყების ხელმძღვანელს, სადაც კანონები ირღვევა, არამედ ზემდგომ ორგანოს. წარდგინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს: იმ ორგანოს დასახელებას, ვისაც წარდგინება ეგზავნება; წარდგინების სათაურს; კანონის დარღვევის ან კანონსაწინააღმდეგო აქტების გამოცემის კონკრეტულ ანალიზს; იმ მიზეზებსა და მოტივებს, რომლებიც მიუთითებენ გარკვეული თანამდებობის პირების უპასუხისმგებლობაზე კანონების დაცვის დარგში; პროკურორის კონკრეტულ წინადადებებს; წარდგინების განხილვის ვადას; პროკურორის თანამდებობრივ მდგომარეობას და წარდგინების შედგენის თარიღს. წარდგინების შეტანით არ უნდა დაამთავრონ პროკურორმა, გამომძიებელმა, მომკვლევმა პირმა თავიანთი მოღვაწეობა. მათ უნდა მიაღწიონ კანონების აღდგენას და იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას, რამაც განაპირობა ან ხელი შეუწყო კანონის დარღვევას.

მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის ყოველი აქტი, როგორც იურიდიული ხასიათის დოკუმენტი, უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. უწინარეს ყოვლისა, ყოველი პროცესუალური აქტი უნდა იყოს კანონიერი, ე. ი. ემყარებოდეს კანონს, შედგენილი იყოს მოქმედი კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად. პროცესუალურ აქტში ფაქტები და გარემოებანი ობიექტურად უნდა იყოს გაშუქებული, ე. ი. უნდა აისახოს ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. პროცესუალურ აქტებს უნდა ახასიათებდეს ყოველმხრივობა და სისრულე. დაუშვებელია ფაქტებისა და გარემოებათა ცალმხრივი ან არასრული გაშუქება, მარტო იმის ასახვა, რაც ბრალს დებს ბრალდებულს ან ამძიმებს მის ბრალეულობას. ყოველი პროცესუალური დოკუმენტი უნდა იყოს დასაბუთებული და მოტივირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს პროცესუალურ აქტში თავისი გადაწყვეტილება. პროცესუალური აქტი უნდა იყოს შედგენილი ლოგიკურად, მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ორაზროვან გამოთქმებს, სავარაუდო მოსაზრებებს და წინააღმდეგობებს. პროცესუალური აქტების შედგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამ დოკუმენტების შედგენის კულტურას (გრამატიკული ნორმების დაცვა), მის ნათელ-

ყოფას. ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ პროცესუალურ აქტებს ეცნობა არა მარტო მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო და დამცველი, არამედ პროცესის ისეთი მონაწილენი, რომელთაც არ გააჩნიათ იურიდიული განათლება. პროცესუალური აქტი უნდა იყოს ყველასათვის ნათელი და გასაგები.

პროცესუალური აქტების ერთგვაროვანი და სწორი შედგენა ძნელია ისე, თუ საგამოძიებო ორგანოებისა და საპროკურორო ზედამხედველობის მუშაკებს ხელთ არ ექნებათ ამ დოკუმენტების ტიპური ნიმუშები. უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ იყო გამოცემული გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტები. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში კი წინამდებარე შრომა გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის აქტების გამოცემის პირველი ცდაა.

შრომა აგებულია საქართველოს სსრ საგამოძიებო და საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოების პრაქტიკული მასალების საფუძველზე. მთლიანად არის შეცვლილი თარიღები, პროცესის მონაწილეთა და საგამოძიებო-საპროკურორო ორგანოების მუშაკების გვარებიც.

შრომაში გათვალისწინებულია ის ძირითადი ცვლილებები, რაც განიცადა კანონმდებლობამ უკანასკნელ ხანებში.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა I

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესუალური

ა ქ ტ ე ბ ი

თ ა ვ ი I

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

ო ქ მ ი

დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი განცხადებისა

ქ. თბილისი 15 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ვ. ღუდუშაურმა ჩემს სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[1] 109-ე და 110-ე მუხლების შესაბამისად, 9 საათსა და 30 წუთზე მოვისმინე მოქ. ნ. კ. ბაზიაშვილის ზეპირი განცხადება დანაშაულის ჩადენის შესახებ.

ნოდარ კონსტანტინეს ძე ბაზიაშვილი, დაბადებული 1928 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისში, ქართველი, საშუალო განათლების მქონე, უპარტიო, ცოლშვილიანი, სპეციალობით მძღოლი, მუშაობს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში მძღოლად, მცხოვრები ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. № 36,

[1] შემდგომში „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ნახმარი იქნება შემოკლებით: „საქართველოს სსრ სსსკ“.

კორპუსი 1, ბინა 38, პასპორტი IV-ТИ № 373618, გაცემული 1979 წლის 13 ნოემბერს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ.

მოქ. ნ. კ. ბაზიაშვილს განემარტა, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით შეგნებულად ცრუ დასმენისათვის.

განმცხადებელი: ნ. ბაზიაშვილი

ნ. კ. ბაზიაშვილმა განაცხადა შემდეგი: გუშინ ღამით, ე. ი. 1987 წლის 14 ნოემბერს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, 23 საათზე ებრუნდებოდი სახლში. დაახლოებით 23 საათსა და 10 წუთზე ჩემ სახლთან (ნუცუბიძის ქ. № 36, კორპუსი I) შემხვდა ორი მამაკაცი. ერთმა მათგანმა (უფრო ახალგაზრდამ და ქალამ) მთხოვა ასანთი. ასანთის ამოსაღებად ჯიბეში ხელის ჩაყოფის დროს მან, ვინც მთხოვა ასანთი, ხელი გამარტყა სახეში, ხოლო მეორემ იშიშვლა დანა და სიკვდილის მუქარით მოძთხოვა ფული, საათი და პალტო. ასეთ ვითარებაში იძულებული გავხდი ბოროტმოქმედებისათვის მიმეცა მაჯის საათი „სეკუნდა", 40 მანეთად ღირებული, რომელიც შევიძინე ერთი თვის წინ ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე საათების მაღაზიაში, ფული 30 მანეთი (25-მანეთიანი და 5-მანეთიანი), პალტო 200 მანეთად ღირებული, რომელიც შევიძინე გასულ წელს ქ. თბილისში გმირთა მოედანზე ტანსაცმლის მაღაზიაში, ზომა 52, ღია შავი ფერის, მუქი ყავისფერი ოთხკუთხა ზოლებით. მან, ვისაც ხელში დანა ეკავა, ჯიბეში ჩამიყო ხელი, რათა დარწმუნებულიყო, რომ მეტი ფული არ მქონდა. მანვე განმიცხადა, აღნიშნულის შესახებ არ შემეტყობინებინა მილიციის ორგანოსათვის, თორემ გამომასალმებდა წუთისოფელს. ბოროტმოქმედები აჩქარებული ნაბიჯებით წავიდნენ ნუცუბიძის ქუჩის № 34-ე და 36-ე სახლებს შორის გასასვლელში.

მე შემიძლია ამოვიცნო ბოროტმოქმედნი. ერთი მათგანი იყო უფრო ახალგაზრდა. დაახლოებით 28—30 წლის, მაღალი, გამხდარი, ქერათმიანი; ჰგავდა ეროვნებით რუსს, მაგრამ კარგად ლაპარაკობდა ქართულად, ეცვა ყავისფერი ლაბადა.

მეორე იყო დაახლოებით 37—39 წლის, შაგვრემანი, ჰქონდა ულვაში; შედარებით მსუქანი, დაბალი ტანის, ეცვა ლურჯი ლაბადა. კარგად ლაპარაკობდა ქართულად.

ოქმი წამეკითხა; იგი შედგენილია სწორად და სრულად.

განმცხადებელი: ნ. ბაზიაშვილი

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. ღუდუშაური

წერილობითი განცხადება
დანაშაულის ჩადენის შესახებ

ქ. გორი 8 მაისი, 1987 წ.

ქ. გორის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ნ. დ. დავითაშვილმა ჩემს სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 109-ე მუხლის შესაბამისად, მოქ. ც. ვ. ბუჯიაშვილისაგან ძმივიღე წერილობითი განცხადება დანაშაულის ჩადენის შესახებ.

ციური ვლადიმერის ასული ბუჯიაშვილი, დაბადებული 1932 წელს ქ. გორში, ქართველი, უმაღლესი სამედიცინო განათლებით, სკკპ წევრი, ქმარშვილიანი, ქ. გორის საავადმყოფოს ექიმ-თერაპევტი, მცხოვრები ქ. გორში, ლენინის ქ. № 32, ბინა 5, პასპორტი IV-ТИ № 126213, გაცემული 1985 წ. 11 მაისს ქ. გორის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ.

მოქ. ც. ვ. ბუჯიაშვილს განემარტა, რომ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით ცრუ დასმენისათვის.

განმცხადებელი: ც. ბუჯიაშვილი

გაცნობებთ, რომ ქ. გორში, ლენინის ქ. № 32, ბინა № 33-ში ჩემს მეზობლად ცხოვრობს მოქ. ცისკარიშვილი ბონდო პეტრეს ძე. ერთი წლის წინათ მე და ცისკარიშვილის მეუღ-

ლე — ცისკარიშვილი ნათელა დიმიტრის ასული წაელაპარაკ-დით სადარბაზო შესასვლელში სანიტარიული წესების დაცვის თაობაზე. სადარბაზო შესასვლელს სისტემატურად ვგვიდი და ვასუფთავებდი მხოლოდ მე, ხოლო ცისკარიშვილის ოჯახის წევრები თავს არიდებდნენ აღნიშნულ საქმიანობას.

1987 წლის 20 აპრილს ბ. პ. ცისკარიშვილმა უცენზურო სიტყვები მაკადრა, დამემუქრა, რომ მცემდა კიდეც, თუ მე სადარბაზო შესასვლელის დასუფთავების საკითხზე არ შევწყვეტდი დავას.

1987 წლის 7 მაისს ჩემი სახლის წინ შემხვდა ბ. პ. ცისკარიშვილი, რომელმაც დამიწყო ლანძღვა-გინება და ხელი გამარტყა სახეში, რის შემდეგ მეზობლებმა ბ. პ. ცისკარიშვილს ხელი მოჰკიდეს და აიყვანეს თავის ბინაში.

ბ. პ. ცისკარიშვილის ხულიგნურ მოქმედებას დაადასტურებს ყოველივე ზემოაღნიშნულის მხილველი მეზობლები, კერძოდ: ნოდარ გურამის ძე ნოდია, მცხოვრები ქ. გორში, ლენინის ქ. № 32, ბინა № 20-ში; ნიკოლოზ ვასილის ძე ჩუბინიძე, მცხოვრები იმავე მისამართზე, ბინა № 17-ში; ნათელა ნიკოლოზის ასული ნაჭყებია, მცხოვრები იმავე მისამართზე, ბინა № 18-ში.

განმცხადებელი: ც. ბუჯიაშვილი.

მიმართვა

განცხადების ქვემდებარეობისამებრ გადაგზავნის შესახებ

ქ. თბილისი 16 მაისი, 1987 წ.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს,
მილიციის პოდპოლკოვნიკ ამხ. კ. თოიძეს

პირი: მოქ. ვ. დ. ჩიბურდანიძეს
ქ. თბილისი, ოქტომბრის ქ. № 31, ბინა 13

საქართველოს სსრ სსსკ 109-ე, 110-ე მუხლების შესაბამისად, გიგზავნით მოქ. ვ. დ. ჩიბურდანიძის 1987 წლის 14 მაისის თარიღით შედგენილ განცხადებას, საიდანაც ირკვევა, რომ მოქ. ვ. დ. ჩიბურდანიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა

მისმა მეზობელმა ა. დ. გურჩენკომ. განცხადების შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ ა. დ. გურჩენკოს ქმედობა შეიცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ვითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დანაშაული განსაკუთრებულად საზოგადოებრივად საშიშია, საქართველოს სსრ სსსკ 115-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ ჩაატაროთ მოკვლევა.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის
რაიონის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ნ. ახალკაცი

ოქმი

ბრალის აღიარებით პირის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმი 11 იანვარი, 1987 წ.

ქ. ბათუმის პროკურორმა, იუსტიციის მრჩეველმა ნ. ი. ქრისტესაშვილმა, ჩემს სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 111-ე მუხლის შესაბამისად, შეავადგინე ოქმი იმის შესახებ, რომ დღეს, 1987 წლის 11 იანვარს, 18 საათსა და 50 წუთზე გამოცხადდა მოქალაქე ზ. დ. კალანდაროვი ბრალის აღიარებით.

ზაურ დავითის ძე კალანდაროვი, დაბადებული 1946 წელს ქ. ბათუმში, ეროვნებით სომეხი, საშუალო განათლების მქონე, უპარტიო, ცოლშვილიანი, სპეციალობით ზეინკალი, მუშაობს ქ. ბათუმის მექანიკურ ქარხანაში. ცხოვრობს ქ. ბათუმში, ჯინჭარაძის ქ. № 16, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა — ბათუმის მექანიკური ქარხნის საშვი № 398, გაცემული 1985 წლის 15 დეკემბერს.

ზ. დ. კალანდაროვმა განმარტა: დღეს, 11 იანვარს, სამსახურიდან დავბრუნდი 17 საათზე და 10 წუთზე. მეუღლე — ვართუშ კარაპეტის ასული კალანდაროვა დამხვდა ნასვამი. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ მიიღო სპირტიანი სასმელები, განმიცხადა, ეგ შენი მოკლე ჭკუის საქმე არ არისო და შემაფურთხა სახეში. მე ვერ მოვითმინე ასეთი დამცირება, ვტაცე ხელი სამზარეულო დანას და დავარტყი გულმკერდის არეში.

ჭრილობის შედეგად ცოლი ადგილზეევ გარდაიცვალა. დანა, რომლითაც ჩავიდინე დანაშაული, დავაგდე სამზარეულოში, იატაკზე. მე არ შემიძლია დავმალო ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული, მზად ვარ პასუხი ვაგო. ამიტომ გამოვცხადდი თქვენთან.

ოქმი წამეკითხა. იგი შედგენილია სწორად და სრულად.

ბრალდებული ზ. კალანდარიანი

ქ. ბათუმის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი ნ. ქრისტესაშვილი

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების შესახებ

ქ. რუსთავი 8 აგვისტო, 1987 წ.

ქალაქ რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის კაპიტანმა დ. ვ. ღამბაშიძემ განვიხილე მოქ. ნინა ივანეს ასული სიდოროვას 1987 წლის 8 აგვისტოს თარიღით შედგენილი განცხადება,

გამოვარკვიე:

7 აგვისტოს, ღამის 23 საათსა და 30 წუთზე, როდესაც ნ. ი. სიდოროვა დაბრუნდა სახლში (ქ. რუსთავი, ლენინის ქ. № 4, ბინა 8), ბინის კარი დახვდა ღია. ბინიდან გატანილი იყო: 500 მანეთი და ოქროს საქორწინო ბეჭედი, რომლებიც ინახებოდა დაკეტილი კარადის ზემო თაროზე; ქალის შავი პალტო 48 ზომის, 4 საზაფხულო კაბა და რადიომიმღები (ტრანზისტორი) „ვეფ-201“.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოქ. სიდოროვას ბინის კარები გაღებული იყო მორგებული გასაღებით, კარადის კარი — რკინის ძალაყინით, რომელიც იქვე ეგდო. ძალაყინზე შეიმჩნევა ხელის თითების ანა-

ბექდები და ხის პატარა ნაწილაკები. მივიღე მხედველობაში, რომ არის საკმაო მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებზე და, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 126-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე სავალდებულოა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება, ამასთან, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 108-ე, 112-ე, 133-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მესამე ნაწილით;

2. სისხლის სამართლის საქმე მივიღო ჩემს წარმოებაში და შევუდგე წინასწარ გამოძიებას;

3. აღნიშნული დადგენილების პირი დაუყოვნებლივ გადავუგზავნო ქ. რუსთავის პროკურორს;

4. მიღებული ზომების შესახებ ვაცნობო მოქ. ნ. ი. სიდოროვას.

გამომძიებელი,
მილიციის კაპიტანი დ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ

ქ. თბილისი 17 იანვარი, 1987 წ.

ქ. თბილისის პროკურორმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა გ. დ. პეტრიაშვილმა განვიხილე თბილისის სინთეტიკურ ნაკეთობათა ფაბრიკის შემოწმების მასალები.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

აღნიშნულ ფაბრიკაში, როგორც ჩატარებული რევიზიის აქტიდან ირკვევა, 1984—1986 წლებში ადგილი ჰქონდა ფუ-

ლადი სასსრების მითვისებას. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებიდან შემოსული მასალებით ირკვევა, რომ ფაბრიკაში სხვადასხვა რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოჰქონდათ ნედლეული, მზადდებოდა აღურიცხავი პროდუქცია და იგი საღდებოდა საკაჭრო ქსელის მეშვეობით საქართველოს სსრ სხვადასხვა ქალაქში.

მივიღე მხედველობაში, რომ შემოსულ მასალებში არის საკმაო მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96[1] მუხლით, ამ კატეგორიის საქმეზე, საქართველოს სსრ სსსკ 126-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ჩატარდეს წინასწარი გამოძიება, დაკავშირებული სირთულეებთან, მრავალი ეპიზოდის გამოძიებასთან, ამიტომ ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 108-ე და 133-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღიძრას სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-გატაცების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96[1]-ე მუხლით;

2. წინასწარი გამოძიება დაევალოს ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებელს, II კლასის იურისტს — დ. გ. კვირკველიას, ამავე პროკურატურის გამომძიებლებს, III კლასის იურისტებს — კ. ნ. ჩხეტიანს და დ. ე. შარაშიძეს;

3. საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნოს ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი დ. გ. კვირკველია.

ქ. თბილისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი გ. პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი

დადგენილება

საგამოძიებო ჯგუფში ცვლილებათა შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 30 იანვარი, 1987 წ.

ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ს. ნ. კოტრიკაძემ განვიხილე სისხლის სამართლის საქმე № 249, აღძრული 1987 წლის 3 იანვარს ქ. თბილისის სინთეტიკურ ნაკეთობათა ფაბრიკიდან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე,

გამოვარკვიე:

საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელი, მილიციის ლეიტენანტი ნ. ოყრეშიძე ავადმყოფობის გამო 1987 წლის 27 იანვარს მოთავსებულია საავადმყოფოში და მის გამოჯანმრთელებას დასჭირდება ხანგრძლივი დრო. ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სსრ სსსკ 127[1]-ე მუხლით,

დავადგინე:

1. გამომძიებელი, მილიციის ლეიტენანტი ნ. ოყრეშიძე ავადმყოფობის გამო გამოყვანილ იქნას საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობიდან;

2. საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილ იქნას ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსი გამომძიებელი, მილიციის კაპიტანი თ. შ. თვაური.

3. აღნიშნული ცვლილების შესახებ გამოეცხადოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს და სამოქალაქო მოპასუხეს აცილების უფლების განხორციელების მიზნით.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს
საგამოძიებო განყოფილების უფროსი,
მილიციის პოდპოლკოვნიკი ს. კოტრიკაძე

I **ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ**

ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების
უფროსს, მილიციის პოდპოლკოვნიკ

ნ. ს. **ᲨᲣᲠᲦᲐᲘᲐᲡ**

ჩემს წარმოებაში იმყოფება სისხლის სამართლის საქმე № 741, აღძრული არასრულწლოვან ნიკოლოზ იოსების ძე ბერიშვილისა და არასრულწლოვან კოტე პეტრეს ძე ძიგუას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნულმა პირებმა 1987 წლის 11 აპრილს გაძარცვეს მოქ. დავით იაკობის ძე რიჟინაშვილი. ბრალდებული ნიკოლოზ იოსების ძე ბერიშვილი თავს არიდებს გამოძიებას და, როგორც ცნობილია, იმალება თავისი ბიძის, ნუგზარ პეტრეს ძე ბერიშვილის სახლში: თბილისი, ოქტომბრის ქ. № 199, ბინა 39.

წინასწარი გამოძიების სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარებისათვის საჭიროა მოიძებნოს და დაკავებულ იქნას ბრალდებული ნიკოლოზ იოსების ძე ბერიშვილი.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 127-ე მუხლის მესამე ნაწილით, გთხოვთ: მოძებნოთ, დააკავოთ ნიკოლოზ იოსების ძე ბერიშვილი და წარმოადგინოთ იგი ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურაში გამომძიებელ ნ. დ. წულუკიძესთან.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
პროკურატურის უფროსი გამომძიებელი,
პირველი კლასის იურისტი ნ. **ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ**

30 აპრილი, 1987 წ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

ქ. გურჯაანი 1 ოქტომბერი, 1987 წ.

გურჯაანის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ნ. კ. სააკაშვილმა განვიხილე ვ. ი. ლენინის

სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. კ. კახნიაშვილის 1987 წლის 30 სექტემბრის თარიღით შედგენილი წერილობითი განცხადება,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

აღნიშნული კოლმეურნეობის წევრმა ნადია ტარასის ასულმა სუჯიაშვილმა რთვლის ჩატარების დროს 1987 წლის 28 სექტემბერს, სახლში წაიღო 12 კგ ყურძენი. მასალების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნ. ტ. სუჯიაშვილმა პირველად ჩაიდინა აღნიშნული ქმედობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულება „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" ქმედობას არ განიხილავს როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს, თუ წვრილმანი დატაცება შეადგენს პირველ შემთხვევას. ამრიგად, ნ. ტ. სუჯიაშვილის ქმედობაში არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის I პუნქტით და 109-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გურჯაანის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უარი ეთქვას ნ. ტ. სუჯიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო;

2. განემარტოს გურჯაანის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომ მას უფლება აქვს გაასაჩივროს აღნიშნული დადგენილება გურჯაანის რაიონის პროკურორთან;

3. დადგენილების პირი გადაეცეს გურჯაანის რაიონის პროკურორს.

გურჯაანის რაიონის პროკურატურის
გამომძიებელი, III კლასის
იურისტი ნ. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი

„ეთანხმები"
სამტრედიის რაიონის პროკურორი,
1 კლასის იურისტი ვ. კვიცარიძე
11 ივლისი, 1987 წ.

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის მასალების გადაცემის შესახებ

ქ. სამტრედია 11 ივლისი, 1987 წ.

სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ს. ქ. წულაიამ განიხილე მოქ. რ. დ. წიქორიძის 1987 წლის 10 ივლისის თარიღით შედგენილი განცხადება,

გამოვარკვიე:

ნოდარ ანდროს ძე კიკვიძემ, დაბადებულმა 1970 წლის 7 მაისს, ქ. სამტრედიაში, მცხოვრებმა ქ. სამტრედიაში, კიროვის ქ. № 37, დროებით უმუშევარმა, მოქ. რ. დ. წიქორიძის ეზოდან მოიპარა ველოსიპედი. ნ. კიკვიძემ დაადასტურა აღნიშნული ფაქტი და განმარტა, რომ მას ძალიან სურდა ჰქონოდა ველოსიპედი, მაგრამ მისი შეძენა არ შეეძლო.

მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ არასრულწლოვანმა ნ. კიკვიძემ პირველად ჩაიდინა ქურდობა. ნ. კიკვიძე დადებითად ხასიათდება საშუალო სკოლის მიერ გაცემული დახასიათებით, მან თავიდანვე გულწრფელად აღიარა დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ითხოვა პატიება.

ნ. კიკვიძის ქმედობა შეიცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მისი გამოსწორება შეიძლება საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებით.

ვიხელმძღვანელე საქ. სსრ სსსკ მე-9[1] და 109-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. მოქ. ს. დ. წიქორიძეს უარი ეთქვას ნ. ა. კიკვიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე;

2. მასალები არასრულწლოვან ნ. ა. კიკვიძის მიმართ გადაეგზავნოს სამტრედიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარეს, საქმის განხილვისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების მიზნით;

3. განემარტოს მოქ. ს. დ. წიქორიძეს, რომ მას უფლება აქვს გაასაჩივროს აღნიშნული დადგენილება სამტრედიის რაიონის პროკურორთან.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ს. წ უ ლ ა ი ა

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

გურჯაანის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის
კოლმეურნეობის თავმჯდომარეს
ვ. კ. კ ა ხ ნ ი ა შ ვ ი ლ ს

საქართველოს სსრ სსსკ 114-ე მუხლის შესაბამისად, განვიხილე თქვენი 1987 წლის 30 სექტემბრის თარიღით შედგენილი განცხადება ნ. ტ. სუჯიაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თქვენ უარი გეთქვათ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე დანაშაულის არარსებობის გამო.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილებას თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ გურჯაანის რაიონის პროკურატურაში ყოველდღე 9 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13-დან 14 საათამდე) დასვენების დღეების გარდა.

დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ გურჯაანის რაიონის პროკურორთან.

გურჯაანის რაიონის პროკურატურის
გამომძიებელი, III კლასის იურისტი ნ. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი

1 ოქტომბერი, 1987 წ.

თავი II

გამოძიების წარმოების საერთო პირობები

დადგენილება

საქმის წარმოებაში მიღების შესახებ

ქ. თბილისი 12 თებერვალი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ს. კვარაცხელიამ განიხილე ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორის მიერ გადმოგზავნილი სისხლის სამართლის საქმე № 38, აღძრული 1987 წლის 10 თებერვალს მოქ. ს. დ. პეტროვის მიერ ბოროტი ხულიგნობის ჩადენის თაობაზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით. საქართველოს სსრ სსსკ 126-ე მუხლის შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიება უნდა ჩაატაროს შინაგან საქმეთა გამომძიებელმა, ამიტომ ამ საქმის გამოძიება დამეკალა მე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 133-ე მუხლის მოთხოვნით,

დავადგინე:

1. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მივიღო ჩემს წარმოებაში და შევუდგე წინასწარ გამოძიებას;
2. დადგენილების პირი დაუყოვნებლივ გადავუგზავნო ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი
ლეიტენანტი ნ. კვარაცხელია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ საქმის წარმოებაში მიღების შესახებ

ქ. ქუთაისი 13 აგვისტო, 1987 წ.

ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. დ. შვანგირაძემ განვიხილე სისხლის სამართლის საქმე № 195, აღძრული ქ. ქუთაისის პროკურორის მიერ 1987 წლის 12 აგვისტოს, ქ. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატიდან სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96[1]-ე მუხლით. მხედველობაში მივიღე, რომ ამ საქმეზე გამოძიება დაევალა საგამოძიებო ჯგუფს, რომლის ხელმძღვანელობაც დამეკისრა მე. ვიხელმძღვანელე საქ. სსრ სსსკ 133-ე მუხლის II ნაწილით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მივიღო ჩემს წარმოებაში და შევუდგე წინასწარ გამოძიებას ქ. ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელთან, III კლასის იურისტ ე. დ. კვირიკაძესთან და ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელთან, უფროს ლეიტენანტ ნ. დ. კაჭარავასთან ერთად;

2. საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობა ეცნობოს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს და სამოქალაქო მოპასუხეს აცილების უფლების გამოყენების მიზნით.

აღნიშნული დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. ქუთაისის პროკურორს.

ქ. ქუთაისის პროკურატურის
გამომძიებელი, II კლასის
იურისტი ე. შ ვ ა ნ გ ი რ ა ძ ე

დადგენილება

საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ

ქ. თბილისი 30 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ვ. ღუდუშაურმა განვიხილე № 381 სისხლის სამართლის საქმე მოქ. ნ. კ. ბაზიაშვილზე ყაჩაღური თავდასხმის შესახებ,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 14 ნოემბერს, 23 საათსა და 30 წუთზე, ქ. თბილისში ნუცუბიძის ქ. № 36, 1 კორპუსის წინ მოქ. ნ. კ. ბაზიაშვილს დახვდა ორი მამაკაცი: ვ. დ. ებრალიძე და ს. დ. გარდავა. გარდავამ ბაზიაშვილს სთხოვა ასანთი. როდესაც ამ უკანასკნელმა ხელი ჩაიყო ჯიბეში, გარდავამ მას ხელი გაარტყა სახეში, ხოლო ებრალიძემ იშიშვლა დანა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაზარალებულს ფული, საათი და პალტო მოსთხოვა. ფულისა და ამ ნივთების მიღების შემდეგ დამნაშავეები მიიმალნენ. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარებით 1987 წლის 30 ნოემბერს დაკავებულ იქნა ვ. დ. ებრალიძე ქ. თბილისის ავტოსადგურთან დაზარალებულის პალტოს გაყიდვის დროს. 1987 წლის 2 დეკემბერს ვ. დ. ებრალიძე მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და წარედგინა ბრალდება დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის II ნაწილით. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით ს. დ. გარდავა ჯერჯერობით ვერ იქნა დაკავებული და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

წინასწარი გამოძიების პროცესში ვ. დ. ებრალიძის მიმართ შეგროვილია მტკიცებულებები, რომლებიც მას ამხელენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ს. დ. გარდავა იმალება და ძებნის გამოცხადების მიუხედავად ჯერ კიდევ არ არის

დაკავებული, საქმეზე კი მთავრდება წინასწარ გამოძიების ვადა, ამიტომ ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 23-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყოს ყველა მასალა, რაც დაკავშირებულია ს. დ. გარდავას მიერ დანაშაულის ჩადენასთან;

2. საქმის მასალებიდან გამოიყოს შემდეგი საბუთების დედანი: ს. დ. გარდავას დედის — ნ. ვ. გარდავას 1987 წლის 9 დეკემბრის დაკითხვის ოქმი (ორ გვერდზე); მისი ძმის — ნ. დ. გარდავას 1987 წლის 9 დეკემბრის დაკითხვის ოქმი (ერთ გვერდზე); ადგილობრივი ძებნის გამოცხადების 1987 წლის 5 დეკემბრის დადგენილება. სხვა საბუთთა პირების სახით გამოიყოს: ბრალდებულ ვ. დ. ებრალიძის 1987 წლის 3 დეკემბრის დაკითხვის ოქმი; დაზარალებულ ნ. კ. ბაზიაშვილის 1987 წლის 15 ნოემბრის, 28 ნოემბრის, 5 დეკემბრის დაკითხვის ოქმები (ორ-ორ გვერდზე);

3. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი — გ. ღ უ დ უ შ ა უ რ ი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქმის ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ

ქ. სოხუმი — 5 მარტი, 1987 წ.

ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ნ. დ. ვარდავამ განვიხილე № 72 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ჩემ მიერ 1987 წლის 7 თებერვალს არასრულწლოვან ვ. ნ. პეტროვის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა სპეციალურად მომარჯვებული იარაღის გამოყენებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის III ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

აღნიშნული საქმე და სისხლის სამართლის საქმე № 44, აღძრული ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელის, მილიციის ლეიტენანტ დ. ც. ცაგურიას მიერ 1987 წლის 10 იანვარს, მოქალაქის პირადი ქონების ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის I ნაწილით, ჩადენილია ერთი და იმავე პირის — ვ. ნ. პეტროვის მიერ. გავითვალისწინე აღნიშნული გარემოება და ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 23-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. საქმე № 72 ვ. ნ. პეტროვის მიერ ბოროტი ხულიგნობის ჩადენისა და საქმე № 44 იმავე ვ. ნ. პეტროვის მიერ პირადი ქონების ქურდობის ჩადენის შესახებ შეერთდეს ერთ წარმოებად, საქმე № 72/44;
2. საქმე № 72/44 მივიღო ჩემს წარმოებაში;
3. აღნიშნული დადგენილების პირი გადავცე ქ. სოხუმის პროკურორს.

გამომძიებელი, მილიციის
ლეიტენანტი ნ. ე ა რ დ ა ვ ა

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამომძიებლის თვითაცილების შესახებ

ქ. ზუგდიდის პროკურორს, იუსტიციის
მრჩეველს ა. ბ. ზ ა რ ა ნ დ ი ა ს

მოგახსენებთ, რომ ჩემს წარმოებაში იმყოფება № 311 სისხლის სამართლის საქმე დავით პეტრეს ძე კვიცარიას ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ აღნიშნულ საქმე-

ზე დაზარალებულად ცნობილია ჩემი ნათესავი ნ. ვ. ლიპარტია (ცოლის ძმა).

აღნიშნული გარემოების გამო საქართველოს სსრ სსსკ 53-ე, 57-ე მუხლების თანახმად მე უფლება არა მაქვს ჩაეატარო მოცემულ საქმეზე წინასწარი გამოძიება.

ვხელმძღვანელობ საქართველოს სსრ სსსკ 57-ე მუხლის მოთხოვნით, გთხოვთ ამაცილოთ № 311 სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

ქ. ზუგდიდის შინაგან საქმეთა
საგამოძიებო ქვეგანყოფილების
გამომძიებელი, მილიციის
უფროსი ლეიტენანტი ა. ცანავა

13 აპრილი, 1987 წ.

დადგენილება

გამომძიებლის აცილების შესახებ

ქ. ზუგდიდი 14 აპრილი, 1987 წ.

ქ. ზუგდიდის პროკურორმა, იუსტიციის მრჩეველმა ა. ბ. ზარანდიამ განვიხილე ქ. ზუგდიდის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების გამომძიებლის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის ა. დ. ცანავას განცხადება გამოძიების აცილების შესახებ,

გამოვარკვიე:

გამომძიებელ ა. დ. ცანავას დავალებული აქვს № 311 სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დ. პ. კვიცარიას ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის III ნაწილით. წინასწარი გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნა გამომძიებლის ნათესავი ნ. გ. ლიპარტია (ცოლის ძმა), რის გამოც, საქართველოს სსრ სსსკ 53-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად, ა. დ. ცანავას უფლება არა აქვს ჩაატაროს მოცემული საქმის წინასწარი გამოძიება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 57-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. დაკმაყოფილდეს ქ. ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებლის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის ა. დ. ცანავას შუამდგომლობა № 311 სისხლის სამართლის საქმეზე თვითაცილების შესახებ;

2. აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება დაევალოს ქ. ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროს გამომძიებელს, მილიციის კაპიტანს დ. გ. დულარიძეს.

ქ. ზუგდიდის პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი ა. ზ ა რ ა ნ დ ი ა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა პირველი ქვეგანყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს ს. კ. შ ა ვ ი შ ვ ი ლ ს

ჩემს წარმოებაში იმყოფება კონსტანტინე ივანეს ძე ვასილევის სისხლის სამართლის საქმე № 1255, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ბრალდებულმა კ. ვასილევმა აღიარა ქურდობის რამდენიმე ეპიზოდი, მაგრამ მოქ. ნ. კოტრიკაძის ბინის ქურდობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იგი მოქ. ნ. კ. კოტრიკაძის ბინის გაქურდვის დღეს, ე. ი. 1987 წლის 2 ნოემბერს იმყოფებოდა თავის მეგობარ ქალთან, ვერა ივანეს ასულ კუროჩკინასთან და 4 ნოემბრამდე საერთოდ არ გამოსულა ბინიდან.

ბრალდებულ კ. ვასილევის ჩვენების სისწორის დადგენის მიზნით, ვხელმძღვანელობ საქართველოს სსრ სსსკ 127-ე მუხლის მესამე ნაწილით,

გ თ ხ ო ვ თ:

დაკითხოთ მოქ. ვერა ივანეს ასული კურორჩკინა (მცხოვრები ქ. თბილისში, თემქის დასახლება, II კვარტალი, I კორპუსი, ბინა 78) და დაადგინოთ, იმყოფებოდა თუ არა კონსტანტინე ივანეს ძე ვასილევი ა/წ 2 ნოემბრიდან 4 ნოემბრამდე მოქ. ვ. ი. კურორჩკინას ბინაში, რა საკითხებზე საუბრობდნენ ისინი, როგორ იყო ჩაცმული ვ. ი. ვასილევი (ეცვა თუ არა ყავისფერი კოსტიუმი, თეთრი პერანგი, ლურჯი ლაბადა).

აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება შეასრულეთ ა/წ 20 ნოემბრამდე.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის
რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების
გამომძიებელი, მილიციის უფროსი
ლეიტენანტი ნ. ჯ ო ჯ ო ბ ე რ ი ძ ე

17 ნოემბერი, 1987 წ.

შ ე ა ს ნ უ ხ ე ბ ა

საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსის მითითებაზე

ქ. ქუთაისის პროკურორს, იუსტიციის
უფროს მრჩეველს ნ. ბ ა ხ ტ ა ძ ე ს

ქ. ქუთაისი 25 ნოემბერი, 1987 წ.

ჩემს წარმოებაში იმყოფება სისხლის სამართლის საქმე № 210, აღძრული 1987 წლის 15 ნოემბერს, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით.

აღნიშნულ საქმეზე ა/წლის 20 ნოემბერს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული ანზორ გივის ძე ტყაბლაძე და წარედგინა ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო

განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ნ. დ. ნადირაშვილი არ დაეთანხმა დანაშაულის კვალიფიკაციას და მომცა წერილობითი მითითება, ა. ტყაბლაძის ხულიგნური ქმედობა დაშეკვალიფიცირებინა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით, ვინაიდან ა. ტყაბლაძემ ბოროტი ხულიგნობის ჩადენის დროს შემთხვევის ადგილზე აიღო ქვა და დაარტყა იგი დაზარალებულ ნ. პიტავას.

საგამოძიებო ქვეგანყოფილებას მითითებას არ ვეთანხმები: ქვა, რომელიც გამოიყენა. ა. ტყაბლაძემ ბოროტი ხულიგნობის ჩადენის დროს, არ შეიძლება ცნობილ იქნას სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებულ საგნად. დადგენილია, რომ ბრალდებულმა ა. ტყაბლაძემ ქვა აიღო ხულიგნობის ჩადენის ადგილზე.

ამდენად, იგი არ წარმოადგენს სპეციალურად მომარჯვებულ საგანს და არ იძლევა საფუძველს დანაშაულის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით კვალიფიცირებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გააუქმოთ ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების უფროსის ნ. დ. ნადირაშვილის წერილობითი მითითება აღნიშნული დანაშაულის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი კ. ბ უ ცხ რ ი კ ი ძ ე

ცალკეული დავალება

სიღნაღის რაიონის პროკურორს, იუსტიციის
უმცროს მრჩეველს ამხ. ე. შ ა ვ ი შ ვ ი ლ ს

ქ. გაგრა 10 სექტემბერი, 1987 წ.

ჩემს წარმოებაში იმყოფება სისხლის სამართლის საქმე № 39, აღძრული ვასილ პეტრეს ძე არშბას და ვალერიან კიმოთეს ძე სირბილაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებუ-

ლი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მესამე ნაწილით.

აღნიშნულმა პირებმა 1987 წლის 25 აგვისტოს გაიცნეს სიღნაღიდან დასასვენებლად ჩამოსული არასრულწლოვანები — ნათელა ვახტანგის ასული ზურაბაშვილი (17 წლის) და ვერა ისიდორეს ასული ლეკიშვილი (16 წლის). იმავე საღამოს, ვახშმის შემდეგ, ყველა დასახელებული პირი წავიდა ქ. გაგრის პარკში. დაახლოებით 23 საათსა და 40 წუთზე არშბამ და სირბილაძემ წინადადება მისცეს დაზარალებულებს დაეკავებინათ მათთან სქესობრივი კავშირი. ასეთი წინადადების მიცემის შემდეგ ვ. ლეკიშვილი გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. ვ. არშბამ და ვ. სირბილაძემ ძალის გამოყენებით გააუპატიურეს ნ. ზურაბაშვილი.

მიღებული ღონისძიებების შედეგად ვ. არშბა და ვ. სირბილაძე დააკავეს ა/წლის 26 აგვისტოს. დაზარალებულმა ამოიცნო ექვმიტანილები, მაგრამ ვ. არშბამ და ვ. სირბილაძემ უარყვეს ამოცნობის ფაქტი და დანაშაულის ჩადენა.

საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ვიხელმძღვანელ საქართველოს სსრ სსსკ 131-ე მუხლით, გთხოვთ დაავალოთ გამომძიებელს:

1. დაკითხოს ვერა ისიდორეს ასული ლეკიშვილი, მცხოვრები სიღნაღში, ლენინის ქ. № 20, შემდეგ საკითხებზე: სად, როდის და რა პირობებში გაიცნო მან ვასილ პეტრეს ძე არშბა და ვალერიან კიმოთეს ძე სირბილაძე, სად წავიდნენ ვახშმის შემდეგ, რა საკითხებზე ჰქონდათ საუბარი, როგორ იყვნენ არშბა და სირბილაძე ჩაცმული (დაწვრილებით აღწეროს ბრალდებულთა გარეგნობა);

2. ჩაატაროს დაზარალებულის მიერ ვ. არშბას და ვ. სირბილაძის ამოცნობა ფოტოსურათების მეშვეობით;

3. ვ. ლეკიშვილის დაკითხვის და მის მიერ ვ. არშბას და ვ. სირბილაძის ამოცნობის პროცესი ჩაწეროს მაგნიტოფონის ფირზე.

გიგზავნით: ნათელა ვახტანგის ასული ზურაბაშვილის ახსნა-განმარტების პირს (3 გვერდი); მისივე ჩვენების პირს (4 გვერდი); ამოცნობის ოქმის პირს (ორი გვერდი); ამოცნობის ოქმის ბლანკს, სადაც ვ.არშბას და ვ. სირბილაძის ფოტოსურათები დაკრულია სხვა პირთა ფოტოსურათებთან ერთად.

გთხოვთ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ოქმები გადმოგზავნოთ ქ. გაგრის პროკურატურაში არა უგვიანეს ა/წლის 30 სექტემბრისა.

ქ. გაგრის პროკურატურის უფროსი
გამომძიებელი, პირველი კლასის
იურისტი ნ. ზ ა რ ა ნ დ ი ა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დაზარალებულად ცნობის შესახებ

ქ. წყალტუბო 11 მარტი, 1987 წ.

წყალტუბოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ნ. შვანგირაძემ განვიხილე სისხლის სამართლის საქმე № 321 ნ. დ. მესტვირიშვილის ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის II ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 5 მარტს ქ. ქუთაისის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტაქსის მძღოლმა ნოდარ დავითის ძე მესტვირიშვილმა, რომელიც მართავდა მასზე გაპიროვნებულ ავტომანქანა „ვოლგას" (გრა № 34-75), წყალტუბოში კიროვის ქუჩაზე მდებარე № 2 ტანსაცმლის მაღაზიის წინ ავტომანქანა დააჯახა მოქალაქე ვლადიმერ ივანეს ძე ტრაპეზნიკოვს, რის შედეგადაც დაზარალებულმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. მივიღე მხედველობაში, რომ მოქ. ვ. ი. ტრაპეზნიკოვს მიყენებული აქვს ფიზიკური ზიანი, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 47-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოცემულ საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნას მოქ. ვლადიმერ ივანეს ძე ტრაპეზნიკოვი, რის შესახებაც ეცნობოს მას.

დაზარალებულ ვ. ი. ტრაპეზნიკოვს დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ გამოეცხადა 1987 წლის 12 მარტს და, საქართველოს სსრ სსსკ 52-ე მუხლის შესაბამისად, განემარტა, რომ საქართველოს სსრ სსსკ 47-ე მუხლის საფუძველზე მას უფლება აქვს: მისცეს ჩვენება საქმეზე; წარადგინოს მტკიცებულებები; განაცხადოს შუამდგომლობა; გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან; განაცხადოს აცილება და შეიტანოს საჩივარი მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მოქმედებაზე.

დაზარალებული ვ. ტ რ ა პ ე ზ ნ ი კ ო ვ ი

დადგენილება გამოეცხადა და უფლებები განეუმარტა

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ნ. შ ვ ა ნ გ ი რ ა ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დაზარალებულის წარმომადგენლად ცნობის შესახებ

ქ. ფოთი 3 თებერვალი, 1987 წ.

ქ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა კ. კალანდიამ განვიხილე სისხლის სამართლის საქმე № 921 ვ. დ. ცანავას ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 27 იანვარს ურთიერთწალაპარაკების დროს, ნინოშვილის ქ. № 24 სახლის წინ, ქუჩაში, ვიქტორ დიმიტრის ძე ცანავამ გულმკერდის არეში დანის დარტყმით მოკლა ნათელა პეტრეს ასული კვარაცხელია.

მივიღე მხედველობაში, რომ აწ გარდაცვლილ ნ. პ. კვარაცხელიას მშობლები არა ჰყავს, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 47-ე და 50-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ე ა დ გ ი ნ ე:

1. მოცემულ საქმეზე დაზარალებულის წარმომადგენლად ცნობილ იქნას გარდაცვლილ ნ. პ. კვარაცხელიას ბიძა (მამის ძმა) პეტრე ლევანის ძე კვარაცხელია;

2. აღნიშნული დადგენილება გაეცნოს პ. ლ. კვარაცხელიას და განემარტოს მას დაზარალებულის წარმომადგენლის უფლებები.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი კ. კ ა ლ ა ნ დ ი ა

პ. ლ. კვარაცხელიას დადგენილება დაზარალებულის წარმომადგენლად ცნობის შესახებ გამოეცხადა 1987 წლის 4 თებერვალს და საქართველოს სსრ სსსკ 52-ე მუხლის საფუძველზე განემარტა, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 47-ე მუხლის შესაბამისად, მას უფლება აქვს: მისცეს ჩვენება საქმეზე; წარადგინოს მტკიცებულებები; განაცხადოს შუამდგომლობა; გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან; განაცხადოს აცილება მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მიმართ და შეიტანოს საჩივარი მათს მოქმედებაზე.

დაზარალებულის წარმომადგენელი პ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

დადგენილება გამოეუცხადე და უფლებები განვუმარტე.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი კ. კ ა ლ ა ნ დ ი ა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ

ქ. ბათუმი 4 მარტი, 1987 წ.

ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა დ. ზ. ზოიძემ განვიხილე მოქალაქე თედორე ოთარის ძე

სურმანიძის სასარჩელო განცხადება მისი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ №351 სისხლის სამართლის საქმეზე, აღძრული ვიტალი პეტრეს ძე კორშუნოვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის II ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 28 თებერვალს გაქურდულ იქნა მოქ. თედორე ოთარის ძე სურმანიძის ბინა (ბათუმი, საბჭოს ქ. № 21, ბინა 15). აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ვიტალი პეტრეს ძე კორშუნოვი. მოქ. თ. სურმანიძის ბინიდან მოპარულ იქნა ოქროს ერთი საქორწინო ბეჭედი; 3%-იანი ობლიგაციები, თანხით 500 მან.; მაჯის საათი „სეკუნდა"; მამაკაცის ერთი პალტო, რის გამოც დაზარალებულ თ. სურმანიძეს მიეყენა მატერიალური ზარალი 907 მანეთის ოდენობით. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 48-ე და 137-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაზარალებული თ. ო. სურმანიძე ცნობილ იქნას სამოქალაქო მოსარჩელედ;

2. თ. ო. სურმანიძეს გაეცნოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს სამოქალაქო მოსარჩელის უფლებები.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი დ. ზ ო ი ძ ე

თ. ო. სურმანიძეს დადგენილება სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ გამოეცხადა 1987 წლის 5 მარტს და საქართველოს სსრ სსსკ 52-ე მუხლის საფუძველზე განემარტა, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 48-ე მუხლის შესაბამისად, მას უფლება აქვს: წარადგინოს მტკიცებულებები; განაცხადოს შუამდგომლობა; თხოვოს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს მიიღონ ზომები განცხადებული სარჩელის უზრუნველსაყოფად; მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს; გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენ-

ტიდან; განაცხადოს აცილება მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მიმართ და შეიტანოს საჩივარი მათ მოქმედებაზე.

სამოქალაქო მოსარჩელე თ. სურმანიძე

დადგენილება გამოვუცხადე და უფლებები განვუმარტე

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი დ. ზოიძე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ

ქ. სოხუმი 17 ოქტომბერი, 1987 წ.

ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. კ. გადილიამ განვიხილე მოქ. ს. დ. ნოდიას განცხადება სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ № 372 სისხლის სამართლის საქმეზე, აღძრული არასრულწლოვანი კ. დ. ბეჟიტაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 10 ოქტომბერს არასრულწლოვანმა კონსტანტინე დავითის ძე ბეჟიტაშვილმა სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარში მაჯის საათი „პროლიოტი" შემოხსნა მოქ. სერგი აკაკის ძე გობრონიძეს და იმავე დღეს კინოთეატრ „თბილისის" წინ 25 მანეთად მიჰყიდა თავის ნაცნობს — ს. დ. ნოდიას. გამოძიების პროცესში ს. დ. ნოდიას ჩამოერთვა აღნიშნული საათი და დაერთო საქმეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება.

მოქ. ს. დ. ნოდიას მატერიალური ზარალი გამოწვეულია არა დანაშაულის ჩადენის შედეგად, არამედ საათის უკანონოდ შეძენის საფუძველზე, ამიტომ ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 137-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. მოქ. ს. დ. ნოდიას უარი ეთქვას სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე, რაც გამოეცხადოს მას;

2. განემარტოს ს. დ. ნოდიას, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 219-ე მუხლის შესაბამისად, მას უფლება აქვს აღნიშნული დადგენილება გაასაჩივროს ქ. სოხუმის პროკურორთან.

გამომძიებელი, მილიციის
ლეიტენანტი ე. გ ა დ ი ლ ი ა

აღნიშნული დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 18 ოქტომბერს და განმემარტა, რომ უფლება მაქვს გავასაჩივრო დადგენილება ქ. სოხუმის პროკურორთან.

ს. დ. ნ ო დ ი ა

№ 733 სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო და საპატიმრო ვადა ბრალდებულ ე. ნ. ლობჟანიძის მიმართ გაგრძელდეს 1987 წლის 30 სექტემბრამდე. საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის II კლასის სახელმწიფო მრჩეველი
ვ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
25 აგვისტო, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საგამოძიებო და საპატიმრო ვადის გაგრძელების შუამდგომლობის შესახებ

ქ. რუსთავი 20 აგვისტო, 1987 წ.

ქ. რუსთავის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა კ. დ. ჩხენკელმა განვიხილე სისხლის სამართლის საქმე № 733, აღძრული ვალერიან ნესტორის ძე ლობჟანიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მეორე პუნქტით და 238-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

სისხლის სამართლის საქმე № 733 აღიძრა ქ. რუსთავის პროკურატურაში 1987 წლის 30 ივნისს. საქმე წარმოებაში მიეიღე 1987 წლის 5 ივლისს. ბრალდებული ვალერიან ნესტორის ძე ლობჟანიძე იმყოფება წინასწარ პატიმრობაში 1987 წლის 1 ივლისიდან.

ბრალდებულ ვ. ლობჟანიძეს ბრალი ედება მასში, რომ 1987 წლის 29 ივნისს ქ. რუსთავში, მცხეთის ქ. № 23 სახლის წინ, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე, მთვრალმა, ფინური დანით, ხულიგნური ქვენაგრძნობით მოკლა პავლე მათეს ძე ცხოვრებოვი. მასვე ბრალად ედება ფინური დანის უკანონოდ ტარება.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო და საპატიმრო ვადა მთავრდება 1987 წლის 30 აგვისტოს, ხოლო საქმეზე ჩასატარებელია მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებანი, კერძოდ: მოწმეებად უნდა დაიკითხონ: მოქ. ალბერტ დავითის ძე ჩაგელიშვილი, მცხოვრები ქ. რუსთავში, თოდრიას ქ. № 45 (გაირკვეს, 1987 წლის 29 ივნისს დაინახა თუ არა მან, რომ ვ. ლობჟანიძემ უცნობ მოქალაქეს დანით მიაყენა სხეულის დაზიანება, რა იცის დანის შესახებ, რითაც ბრალდებულმა ვ. ლობჟანიძემ მოკლა დაზარალებული პ. ცხოვრებოვი); ქ. რუსთავში, მცხეთის ქ. № 23-ში მცხოვრები მოქალაქეები: მარო ვასილის ასული ბერიძე, ნადია პეტრეს ასული თიგიშვილი, სერგო ვალერიანის ძე ჯენჯიაშვილი, ციალა ნიკოლოზის ასული ჯენჯიაშვილი და დადგინდეს, რა იციან მათ 1987 წლის 29 ივნისს მომხდარი მკვლელობის შესახებ;

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლის, მილიციელ ი. გ. ხადურის მეშვეობით უნდა დადგინდეს ის პირები, ვინც დახმარება აღმოუჩინა მას ვ. ლობჟანიძის დაკავებაში და გაირკვეს, რა იციან მათ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით;

მოწმედ უნდა დაიკითხოს ლობჟანიძის მეუღლე და დადგინდეს, თუ როგორ ურთიერთობაში იმყოფებოდა მასთან ვ. ლობჟანიძე, როგორი სიმთვრალე ახასიათებდა, რა იცის დანის შესახებ, რითაც ჩაიდინა მკვლელობა;

საპასპორტო განყოფილებიდან ან ბრალდებულის ბინიდან

ამოღებული იქნეს ვ. ნ. ლობჟანიძის პასპორტი ან დაბადების მოწმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, დაზარალებულ ცხოვრებოვის ჭირისუფლისა და ბრალდებულ ვ. ნ. ლობჟანიძისათვის საქმის მასალების გასაცნობად და საბრალდებო დასკვნის შესადგენად საჭირო იქნება არა ნაკლები ერთი თვე. ამიტომ ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 89-ე და 134-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ პროკურორის წინაშე № 733 სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო და ბრალდებულ ვ. ნ. ლობჟანიძის საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ 1987 წლის 30 სექტემბრამდე.

ქ. რუსთაველის პროკურატურის
უფროსი გამომძიებელი, II კლასის
იურისტი კ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი

„ვეთანხმები" ქ. რუსთაველის პროკურორი
იუსტიციის მრჩეველი ნ. თ ე ე დ ო რ ა ძ ე
20 აგვისტო, 1987 წ.

„ვეთანხმები" საქართველოს სსრ პროკურატურის
საგამოძიებო სამმართველოს უფროსი, იუსტიციის
უფროსი მრჩეველი ე. კ ვ ი რ ი კ ა ძ ე. 23 აგვისტო, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი 18 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ე. ჩხარტიშვილ-

მა განვიხილე № 237 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული 1987 წლის 8 ნოემბერს ვალერიან სპირიდონის ძე სულავას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის გაცნობის შემდეგ ბრალდებულმა ვ. ს. სულავამ აღძრა შუამდგომლობა განმეორებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რადგან იგი არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას, რითაც დაზარალებულის სხეულის დაზიანება განსაზღვრულია ნაკლებად მძიმედ. ბრალდებულს მიაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა დაზარალებულის სხეულის განზრახ მსუბუქ დაზიანებას.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის კრიტიკული შეფასების შედეგად მიმაჩნია, რომ ექსპერტის დასკვნის სისწორე და დასაბუთებულობა არ იწვევს ეჭვს. ექსპერტიზა ჩატარებულია სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 138-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ ვ. ს. სულავას უარი ეთქვას აღძრულ შუამდგომლობაზე განმეორებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც გამოვუცხადე მას;

2. აღნიშნული დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პროკურორთან

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 18 ნოემბერს
ე. ს უ ლ ა ვ ა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

თარჯიმნისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ

ქ. თბილისი 5 აგვისტო, 1987 წ.

ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. ს. ნადირაშვილმა განიხილე № 201 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ბრალდებულ რობერტ კარაპეტის ძე ვართანოვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

იმის გამო, რომ ბრალდებულმა რ. კ. ვართანოვმა არ იცის ქართული ენა, გამოძიების პროცესში მოწვეულ იქნა თარჯიმანი ვლადიმერ გიორგის ძე კარაპეტიანი. თარჯიმანმა მონაწილეობა მიიღო ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესრულების დროს, რასაც დასჭირდა 50 საათი.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 106-ე მუხლითა და „ინსტრუქციით მოწმეების, დაზარალებულის, თარჯიმნისა და დამსწრეებისათვის ხარჯების ანაზღაურებისა და გასამრჯელოს მიცემის წესისა და ოდენობის შესახებ“,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. თარჯიმან ვლადიმერ გიორგის ძე კარაპეტიანს აუნაზღაურდეს 60 კაპიკი ერთ საათში (სულ 50 საათი);

2. აღნიშნული დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საფინანსო განყოფილებას.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. ნ ა დ ი რ ა შ ვ ი ლ ი

ხელწერილი

გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობის შესახებ

ქ. გურჯაანი 7 მარტი, 1987 წ.

მე, ნაფეტვარიძე კირილე პეტრეს ძე, მცხოვრები ქ. გურჯაანში, კიროვის ქ. № 36, ბინა 7, გამოძახებული ვარ ექსპერტ-ბუღალტრად № 732 სისხლის სამართლის საქმეზე პეტრე სიმონის ძე კვაჭანტირაძის ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლით, ვაძლევ ხელწერილს გურჯაანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელს, მილიციის უფროს ლეიტენანტს — ვ. დ. ბუჯიაშვილს მასზედ, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 139-ე მუხლის შესაბამისად, ვკისრულობ ვალდებულებას გამომძიებლის ნებართვის გარეშე არ გავახმაურო გამოძიების მასალები მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე.

გამომეცხადა, რომ აღნიშნული ხელწერილით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიცემული ვიქნები სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად. 201-ე მუხლის შინაარსი განმემარტა.

ექსპერტ-ბუღალტერი კ. ნაფეტვარიძე

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. ბუჯიაშვილი

მოთხოვნა

დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ

სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს
ამხ. ვ. ბუთურიშვილს

სიღნაღი 15 აგვისტო, 1987 წ.

ჩემს წარმოებაში იმყოფება № 275 სისხლის სამართლის საქმე სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის ბუღალტერ ნინა ნიკოლოზის ასული კვიცარიძის ბრალდების გამო, დანაშაული

გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლით.

აღნიშნული საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სსსკ 62-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ წარმოადგინოთ: ნ. ნ. კვიცარიძის სამსახურებრივი დახასიათება; 1987 წლის I და II კვარტალის საბუღალტრო დოკუმენტაცია ფაბრიკიდან მზა ნაწარმის გაგზავნის შესახებ; ნ. ნ. კვიცარიძის კალენდარი — ექვსდღიური.

დასახელებული დოკუმენტები წარმოადგინეთ ა/წლის 19 აგვისტომდე.

სიღნაღის რაიონის შინაგან
საქმეთა განყოფილების საგამოძიებო
ჯგუფის გამომძიებელი, მილიციის
ლეიტენანტი ზ. სანდრიაშვილი

ოქმი

მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ

ქ. ჭიათურა 20 ნოემბერი, 1987 წ.

ჭიათურის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ს. კ. ბიწაძემ № 127 სისხლის სამართლის საქმეზე, აღძრული პ. ი. დუმბაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით, ჩემს სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 62-ე მუხლის შესაბამისად, 15 საათზე მოქალაქე პეტრე ივანეს ძე კვიცარიძისაგან, მცხოვრები ქ. ჭიათურაში, ლენინის ქ. № 75, ბინა 7, მივიღე დანა, რომელიც მან გადმომცა ნებაყოფლობით. დანაზე არის წითელი ფერის ლაქები. მოქალაქე პ. ი. კვიცარიძემ განმარტა, რომ ეს დანა სახლში მოიტანა და თავის საწოლის ქვეშ შეაგდო მისმა მდგმურმა, ბრალდებულმა პავლე ისიდორეს ძე დუმბაძემ. დანის სიგრძეა 15 სმ., აქედან ტარის სიგრძე — 7 სმ, ტარი არის შავი პლასტმასის, დანის პირი ალესილია, ბოლო — წაწვეტებული.

ნივთიერი მტკიცებულება წარმოადგინა პ. კვიცარიძე

ნივთიერი მტკიცება მივიღე,
გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ს. ბიწაძე

წარდგინება

დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა აღკვეთის შესახებ

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. კ. ეარდოსანიძეს

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის აღკ კომიტეტის მდივანს ამხ. ზ. დარასელიას

ქ. თბილისი 19 მაისი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში აღძრულ იქნა და გამოძიებით დამთავრდა № 792 სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან მიხეილ მანუხის ძე დავითაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ა/წლის 12 აპრილს ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის ეზოში ფეხბურთს თამაშობდნენ X¹ და X² კლასის მოსწავლეები. ფეხბურთის თამაშს სჯიდა ფიზკულტურის მასწავლებელი პეტრე ოთარის ძე პეტრიაშვილი.

X¹ კლასის მოსწავლე მიხეილ მანუხის ძე დავითაშვილი და X² კლასის მოსწავლე დავით მამიას ძე საჯაია, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო გუნდებში თამაშობდნენ, ვერ შეთანხმდნენ საჯარიმო დარტყმის დანიშვნის სისწორის საკითხზე. მსაჯმა პ. ო. პეტრიაშვილმა ამ საკითხზე გამოთქვა არასწორი მოსაზრება. დავის დროს მოსწავლე დ. საჯაიამ უცენზურო სიტყვებით მიმართა მოსწავლე მ. დავითაშვილს, რის გამოც ამ უკანასკნელმა დ. საჯაიას გულმკერდის არეში დაარტყა დანა და მიაყენა სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება.

დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენდა მე-5 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის — პ. ო. პეტრიაშვილის სასხვათაშორისო დამოკიდებულება აღნიშნული ინციდენტისადმი, მის მიერ არასწორი გადაწყვეტილების მიღება და პასიურობა მომხდარი ფაქტისადმი.

მოსწავლეები: ნ. დ. სიგუა, ვ. ზ. კვირიკაშვილი, ზ. ნ. ბაიდოშვილი, ზ. ვ. ნათაძე და ვ. ნ. ჟორდანია იმის ნაცვლად, რომ თავიდან აეცდინათ დანაშაული, აქეზებდნენ მ. დავითაშვილს და დ. საჯაიას.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსწავლე ახალგაზრდობის ურთიერთპატივისცემითა და მეგობრული სულისკვეთებით აღზრდა, აგრეთვე მასწავლებელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-60 მუხლით, გთხოვთ:

1. კოლექტივის საერთო კრებაზე განიხილოთ ფიზკულტურის მასწავლებლის პეტრე ოთარის ძე პეტრიაშვილის საკითხი;

2. გააძლიეროთ მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა;

3. გარდაქმნათ მოსწავლეთა შორის იდეურ-პატრიოტული, ურთიერთპატივისცემითა და მეგობრული სულისკვეთებით აღზრდა. კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად დასახოთ მუშაობის გარდაქმნის ეფექტური ღონისძიებანი;

4. მოსწავლეთა საერთო კრებაზე განიხილოთ მ. მ. დავითაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული და კრიტიკული შეფასება მისცეთ მას.

5. სკოლის კომკავშირულ კრებაზე განიხილოთ X[1] და X[2] კლასის მოსწავლეების ნ. დ. სიგუას, ვ. ზ. კვირიკაშვილის, ზ. ნ. ბაიდოშვილის, ზ. ვ. ნათაძის, ვ. ნ. ჟორდანიას არასწორი მოქმედება დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

6. წარდგინება განიხილეთ ერთი თვის ვადაში და განხილვის შედეგები მაცნობეთ.

გამომძიებელი, მილიციის
ლეიტენანტი ზ. სულავა

შეხვედრა

წარდგინების განხილვის საკითხზე

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. კ. ეარდოსანიძეს

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლის აღკკ კომიტეტის მდივანს ამხ. ზ. დარასელიას

ქ. თბილისი 25 ივნისი, 1987 წ.

1987 წლის 19 მაისს გამოგეგზავნათ წარდგინება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების აღკვეთის მიზნით

№ 792 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც აღძრულია მოსწავლე მიხეილ მანუხის ძე დავითაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით.

წარდგინება უნდა განგეხილათ ერთი თვის ვადაში და წერილობით გეცნობებინათ იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც დასახა და ცხოვრებაში გაატარა სკოლის დირექციამ და კომკავშირულმა ორგანიზაციამ, მაგრამ დღემდე თქვენგან პასუხი არ მიმიღია.

განმეორებით გთხოვთ, სასწრაფოდ განიხილოთ ჩემი 1987 წლის 19 მაისის წარდგინება და წერილობით მაცნობოთ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის
რაიონის შინაგან საქმეთა
განყოფილების გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ზ. სულავა

თავი III

ეჭვმიტანილის დაკავება და დაკითხვა

ოქმი

ეჭვმიტანილის დაკავებისა

დაბა ჩხოროწყუ **1 ივლისი, 1987 წ.**

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ. ქვაჩახიამ საქართველოს სსრ სსსკ 121-ე, 122-ე და 132-ე მუხლების შესაბამისად შეავადგინე ოქმი მასზედ, რომ ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში 20 საათსა და 30 წუთზე წარმოდგენილ და დაკავებულ იქნა:

1. გვარი, სახელი და მამის სახელი — უტაროვი გიგლა ნიკოლოზის ძე.
2. დაბადების წელი — 15 აპრილი 1950 წ.
3. დაბადების ადგილი — სამხრეთ ოსეთი, ჯავა.
4. ეროვნება — ოსი,
5. პარტიულობა — უპარტიო.
6. განათლება — საშუალო.
7. სამუშაო ადგილი და თანამდებობა — ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.
8. საცხოვრებელი ადგილი — სოფელი ლესიჭინე.
9. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.
10. პირადობის დამადასტურებელი საბუთი — პასპორტი ოფ —IV—ТИ № 735472, გაცემული ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1980 წლის 1 აგვისტოს.
11. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი: მეუღლე, ქალიშვილი 10 წლის.
12. დაკავების საფუძველი და მოტივი — 1987 წლის 1

ივლისს დილის 11 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გ. უტაროვმა ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის გამგეობის ეზოში, დანით, მუცლის არეში დაჭრა მოქალაქე თენგიზ შალვას ძე სიჭინავა. აღნიშნული ფაქტის შესახებ შინაგან საქმეთა განყოფილებაში განაცხადეს ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლებმა: კორძაია ვალერი ბორისის ძემ, მცხოვრებმა დაბა ჩხოროწყუში, ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ; ცქვიტარია კალე სილიბისტროს ძემ, მცხოვრებმა სოფელ ლესიჭინეში, აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერმა.

გ. უტაროვმა ჩაიდინა მძიმე დანაშაული და ცდილობდა გაქცევას, ამიტომ მიმაჩნია, რომ მისი დაკავება საჭიროებულია.

დაკავებული ოქმს გაეცნო.

დაკავებული	გ. უ ტ ა რ ო ვ ი
გამომძიებელი, მილიციის ლეიტენანტი	ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

ც ნ ო ბ ა: გ. ნ. უტაროვის დაკავების შესახებ ეცნობა ჩხოროწყუს რაიონის პროკურორს ა/წლის 2 ივლისს 9 საათსა და 20 წუთზე.

2 ივლისი, 1987 წ.

გამომძიებელი, მილიციის ლეიტენანტი	ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

ო ქ მ ი

ეპვმიტანილის პირადი ჩხრეკისა

დაბა ჩხოროწყუ	1 ივლისი, 1987 წ.

ჩხრეკა დაიწყო 21 საათსა და 15 წუთზე,
დამთავრდა 21 საათსა და 25 წუთზე.

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ ქვაჩახიამ დამ-

სწრეთა მონაწილეობით: 1. ვარდოსანიძე პეტრე კირილეს ძე, მცხოვრები დაბა ჩხოროწყუში, კიროვის ქ. № 16; 2. გარდავა კონსტანტინე სიმონის ძე, მცხოვრები დაბა ჩხოროწყუში, ლენინის ქ. № 3, ბინა 10. საქართველოს სსრ სსსკ 172-ე, 176-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ჩემს სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 121-ე მუხლის შესაბამისად, მოვახდინე დაკავებული ეჭვმიტანილის — გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვის (დაბადებული ჯავაში, 1950 წლის 15 აპრილს, მცხოვრები სოფელ ლესიჭინეში) პირადი ჩხრეკა.

ჩხრეკის დაწყების წინ დაკავებულს და დამსწრეებს განემარტათ, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 168-ე მუხლის შესაბამისად, მათ უფლება აქვთ დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას, გააკეთონ განცხადება ამ მოქმედებათა გამო, რაც შეტანილი იქნება ოქმში. დამსწრეებს დამატებით განემარტათ საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შინაარსი, რომ ისინი ვალდებულნი არიან დაამოწმონ ჩხრეკის წარმოების ფაქტი და შედეგები.

დამსწრეები: პ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე
კ. გ ა რ დ ა ვ ა

ეჭვმიტანილ გ. ნ. უტაროვს, საქართველოს სსრ სსსკ 169-ე მუხლის შესაბამისად, განემარტა ნებაყოფლობით გადასცეს გამოძიებას ყველა საგანი და ფასეულობა, რაც მას თან აქვს.

მას შემდეგ, რაც გ. ნ. უტაროვმა განაცხადა, რომ მას ფასეულობა ან სხვა რაიმე საგანი არა აქვს, დაიწყო მისი პირადი ჩხრეკა.

პირადი ჩხრეკის შედეგად აღმოაჩნდა: სიგარეტი „კოლხიდა" ერთი კოლოფი; თეთრი ცხვირსახოცი წითელი ლაქებით; ფული 27 მანეთი (ათმანეთიანი — ჩჩ 5055285, ხუთმანეთიანი — ობ 0392948, ხუთმანეთიანი — ნგ 6473374, სამმანეთიანი — ლპ 5006545, სამმანეთიანი — ლპ 8007566, ერთმანეთიანი — ჩა 3219178).

ცხვირსახოცი დაერთო საქმეს, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, ხოლო დანარჩენი ნივთები დაუბრუნდა გ. ნ. უტაროვს.

განცხადება და შენიშვნები დაკავებულს და დამსწრეებს არ განუცხადებიათ.

ოქმი წაკითხულ იქნა გამომძიებლის მიერ; იგი შედგენილია სრულად და სწორად.

გაჩხრეკილი — გ. უტაროვი

დამსწრეები: პ. ვარდოსანიძე
კ. გარდაფა

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი — ვ. ქვაჩახია

ოქმის პირი მივიღე ა/წლის 1 ივლისს
გ. უტაროვი

მითითება

წინასწარი პატიმრობის საკანში ეჭვმიტანილთა ცალ-ცალკე მოთავსების შესახებ

ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს, მილიციის პოლკოვნიკს ც. ნოშრევანიძეს

1987 წლის 12 აგვისტოს № 176 სისხლის სამართლის საქმეზე, ბოქალაქე სიმონ ვარდენის ძე კუპუხიძის ბინის გაქურდვაში როგორც ეჭვმიტანილები, დაკავებული არიან თენგიზ იაკობის ძე სხირტლაძე და ვალერი პეტრეს ძე ღლონტი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით.

საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით საჭიროა ეჭვმიტანილთა წინასწარ პატიმრობის საკანში ცალ-ცალკე მოთავსება.

ვიხელმძღვანელე „დებულებით დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ" (მუხლი მე-9), გთხოვთ ეჭვმიტანილები თენგიზ იაკობის ძე სხირტლაძე და ვალერი პეტრეს ძე ღლონტი მოათავსოთ წინასწარ პატიმრობის საკანში ცალ-ცალკე.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი — ნ. ფუტურიძე

12 აგვისტო, 1987 წელი.

შეტყობინება პროკურორისათვის ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ

ჩხოროწყუს რაიონის პროკურორს,
ოუსტიციის უმცროს მრჩეველს
ამხ. დ. ძ ა გ ა ნ ი ა ს

დაბა ჩხოროწყუ 2 ივლისი, 1987 წ.

საქართველოს სსრ სსსკ 122-ე მუხლის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 1987 წლის 1 ივლისს 20 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს სსრ სსსკ 121-ე მუხლის საფუძველზე ჩხოროწყუს შინაგან საქმეთა განყოფილებაში, ჩემ მიერ ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ იქნა მოქ. უტაროვი გიგლა ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1950 წლის 15 აპრილს დაბა ჯავაში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ეროვნებით ოსი, უპარტიო, საშუალო განათლებით, სამართალში არ ყოფილი, ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა, მცხოვრები სოფელ ლესიჭინეში. გ. ნ. უტაროვი დაკავებულ იქნა იმის გამო, რომ ა/წლის 1 ივლისს დილის 11 საათზე ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ეზოში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, დანით მუცლის არეში დაჭრა მოქ. თენგიზ შალვას ძე სიჭინავა.

ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა
განყოფილების გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

ო ქ მ ი

ეჭვმიტანილის დაკითხვისა

დაბა ჩხოროწყუ 2 ივლისი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 9 საათსა და
50 წუთზე, დამთავრდა 10 საათსა
და 55 წუთზე.

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ. ქვაჩახიამ, საქარ-

თველოს სსრ სსსკ 123-ე, 147-ე, 149-ე და 150-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით, ჩემს სამუშაო ოთახში № 271 სისხლის სამართლის საქმეზე ექვმიტანილის სახით დავკითხე:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — უტაროვი გიგლა ნიკოლოზის ძე.

2. დაბადების წელი და ადგილი — 15 აპრილი, 1950 წელი, ჯავა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

3. ეროვნება — ოსი.

4. პარტიულობა — უპარტიო.

5. განათლება — საშუალო.

6. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი: მეუღლე, ქალიშვილი 10 წლის.

7. სპეციალობა და სამუშაო ადგილი — ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

8. საცხოვრებელი ადგილი — სოფელი ლესიჭინე.

9. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.

10. ცნობები პასპორტის შესახებ — პასპორტი IV—ТИ № 735472, გაცემული ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1980 წლის 1 აგვისტოს.

საქართველოს სსრ სსსკ 123-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გ. ნ. უტაროვს გამოეცხადა, რომ იგი ექვმიტანილია მოქ. თენგიზ შალვას ძე სიჭინავასათვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ამავე დროს მას განემარტა, რომ საქართველოს სსრ სსსკ 57-ე და 121-ე მუხლების თანახმად უფლება აქვს: მისცეს ახსნა-განმარტება, აღძრას შუამდგომლობა, გაასაჩივროს მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება, განაცხადოს აცილება.

ექვმიტანილის ხელის მოწერა გ. უ ტ ა რ ო ვ ი

ექვმიტანილმა საქმესთან დაკავშირებით აჩვენა:

1987 წლის 30 ივნისს თენგიზ შალვას ძე სიჭინავამ, რომელიც ჩემს მეზობლად ცხოვრობს (სოფელი ლესიჭინე), გა-

დაიხადა თავისი შვილის — ზურაბის დღეობა. დღეობაზე მან მიიწვია ნათესავები, მეგობრები და მეზობლები. მათ შორის ვიყავი მეც. ვახშამს შევუდექით 17 საათზე. მე ვიყავი თამადა, მომიხდა ბევრი ღვინის დალევა. მახსოვს, რომ თენგიზ სიჭინავამ არ შესვა რამდენიმე სადღეგრძელო, რის გამოც, როგორც თამადამ, მივეცი შენიშვნა. ღამის 24 საათზე ყველანი წავედით თენგიზ სიჭინავას ბინიდან.

მეორე დილით, ე. ი. ა/წლის 1 იელისს, სახლში, საუზმის დროს, დავლიე სამასი გრამი არაყი და წავედი სამუშაოდ ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ამ მეურნეობის გამგეობის ეზოში დაახლოებით 10 საათსა და 30 წუთზე შემხვდა თენგიზ სიჭინავა, რომელიც მუშაობს იმავე საბჭოთა მეურნეობაში აგრონომის თანამდებობაზე. მე განაწყენებული ვიყავი, რომ წინა დღით, შვილის დღეობაზე თენგიზ სიჭინავა თვითონ არ სვამდა ღვინოს და ცდილობდა სტუმრებისა და კერძოდ ჩემს დათრობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მოგვივიდა შეკამათება. თენგიზ სიჭინავამ მომმართა უცენზურო სიტყვებით. მე ვერ მოვითმინე შეურაცხყოფა და მას სახეში ხელი გავარტყი. ჩხუბის დროს შევამჩნიე, რომ თ. სიჭინავას ჯიბის დანა ეკავა ხელში, რომლითაც, ალბათ, თვითონვე შემთხვევით დაიჭრა თავი.

მე მივატოვე შემთხვევის ადგილი და წავედი სახლში. იმავე დღეს გადავწყვიტე სამხრეთ ოსეთში გამგზავრება, წავედი კიდეც, მაგრამ ქ. ცხაკაიაში ჩემი ცოლის ძმის — ალიოშა პეტრეს ძე ნარსიას ბინაში დამაკავეს მილიციის მუშაკებმა.

კ ი თ ხ ვ ა: თ. სიჭინავას სახლში ყოფნის დროს, ა/წლის 30 ივნისს, გქონდათ თუ არა თან ჯიბის დანა, თუ გქონდათ სად არის ეხლა ის დანა?

პ ა ს უ ხ ი: თ. სიჭინავას სახლში ყოფნის დროს, ა/წ 30 ივნისს, მქონდა ჯიბის დასაკეცი დანა, რომელიც ვიხმარე ლიმონათის ბოთლის გასახსნელად, მაგრამ აღარ მახსოვს დანა დავტოვე მაგიდაზე, თუ ჩავიდევი ჯიბეში.

კ ი თ ხ ვ ა: ა/წ 1 იელისს, თ. სიჭინავასთან ჩხუბის დროს,

ეპვმიტანილის ხელის მოწერა გ. უ ტ ა რ ო ვ ი

გქონდათ თუ არა თან ჯიბის დანა და თქვენი დანით ხომ არ იყო დაჭრილი სიჭინავა?

პ ა ს უ ხ ი: ა/წ 1 ივლისს, თ. სიჭინავასთან ჩხუბის დროს, ჯიბის დანა თან არ მქონდა. როგორც ჩანს, დანა დამრჩა თ. სიჭინავას ბინაში. ჩხუბის დროს მგონი მას ხელში ეჭირა ჩემი ჯიბის დანა.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენი აზრით, ვის უნდა დაეჭრა თ. სიჭინავა ჩხუბის დროს?

პ ა ს უ ხ ი: როდესაც შევამჩნიე, რომ თ. სიჭინავას ჩხუბის დროს ხელში დანა ეკავა, მე მას ხელი გადავუგრიხე და, ალბათ, მაშინ თვითონ დანით დაიჭრა თავი.

კ ი თ ხ ვ ა: რა დროიდან იცნობთ თ. სიჭინავას, თქვენს შორის ხომ არ ყოფილა უსიამოვნება, თუ იყო როდის და რა საკითხზე?

პ ა ს უ ხ ი: თ. სიჭინავას ვიცნობ გასული წლის თებერვლიდან, როდესაც მე გადმოვედი საცხოვრებლად სოფელ ლესიჭინეში. ჩვენს შორის რაიმე უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.

კ ი თ ხ ვ ა: თუ თქვენ თ. სიჭინავასათვის არ დაგირტყიათ დანა, რატომ აპირებდით ლესიჭინედან სამხრეთ ოსეთში წასვლას?

პ ა ს უ ხ ი: სახლში დაბრუნების დროს მითხრეს, რომ თ. სიჭინავა იმყოფება მძიმე მდგომარეობაში და იგი წაიყვანეს საავადმყოფოშიო. ასეთმა ცნობამ მე შემაშინა, გადავწყვიტე წავსულიყავი სამხრეთ ოსეთში და იქ გამოვცხადებულიყავი შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

კ ი თ ხ ვ ა: როდესაც თქვენ მიხვედით თქვენი ცოლის ძმის — ა. ნარსიას ოჯახში, უამბეთ თუ არა მას მომხდარი შემთხვევის შესახებ?

პ ა ს უ ხ ი: ჩემი ცოლის ძმის — ა. ნარსიას ოჯახში მე მივედი დაახლოებით 16 საათზე. ა. ნარსია სახლში არ იყო. მის მეუღლეს ვუთხარი, რომ ამ დილით, ჩხუბის დროს, მგონი კაცი დავჭერი და ცუდად მაქვს საქმე. ა. ნარსიას მეუღლემ — ლიანა ნარსიამ ტირილი დაიწყო და მითხრა: „რად ჩაიდინე ასეთი უბედურება და რატომ შინაგან საქმეთა განყოფილებაში არ გამოცხადდიო“.

ეპვმიტანილის ხელის მოწერა გ. უ ტ ა რ ო ვ ი

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გსურთ კიდევ რაიმე დაუმატოთ თქვენს ჩვენებას?

პ ა ს უ ხ ი: ჩვენებაზე დასამატებელი არაფერი მაქვს.

ოქმი ჩემ მიერ წაკითხულია; იგი შედგენილია სრულად და სწორად.

ეპემიტანილი — გ. უ ტ ა რ ო ვ ი

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი — ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

წინასწარი პატიმრობა
ეპემიტანილ გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვისა
სანქციონირებულია.
ჩხოროწყუს რაიონის პროკურორი,
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი დ. ძ ა გ ა ნ ი ა

3 ივლისი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ეპემიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ

დაბა ჩხოროწყუ — 3 ივლისი, 1987 წ.

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ. ქვაჩახიამ განიხილე № 27 სისხლის სამართლის საქმის მასალები გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვის მიმართ, რომელიც ეპემიტანილია თენგიზ შალვას ძე სიჭინავასთვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 1 ივლისს, დილის 11 საათზე ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვმა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის გამგეობის ეზოში, ურთიერთწალაპარაკებისა

და ჩხუბის დროს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენა მოქალაქე თენგიზ შალვას ძე სიჭინავას — მუცლის არეში დანით დაჭრა იგი.

ვიღებ მხედველობაში, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისათვის ჯერ კიდევ არ არის შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებები, ხოლო ეჭვმიტანილი უტაროვი ცდილობდა გაქცევას და მიმალვას, ჩადენილია მძიმე დანაშაული, ამიტომ ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 81-ე, 82-ე, 83-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეჭვმიტანილი გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვს, დაბადებულს 1950 წლის 15 აპრილს, დაბა ჯავაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ეროვნებით ოსს, უპარტიოს, საშუალო განათლების მქონეს, სამართალში არყოფილს, ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ცოლშვილიანს, მცხოვრებს სოფელ ლესიჭინეში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, რის შესახებაც, საქართველოს სსრ სსსკ 83-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადოს მას;

2. აღნიშნული დადგენილების პირი შესასრულებლად გადაეგზავნოს ქ. ფოთის საგამოძიებო იზოლატორის უფროსს.

3. დაპატიმრების შესახებ ეცნობოს უტაროვის მეუღლეს და მის სამუშაო ადგილს.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 3 ივლისს 13 საათზე.
ეჭვმიტანილი გ. უ ტ ა რ ო ვ ი

დადგენილების პირი და ეჭვმიტანილი გ. ნ. უტაროვი ჩამბარდა 1987 წლის 3 ივლისს.
ბადრაგის უფროსი,
მილიციის უმცროსი ლეიტენანტი კ. ბ ო რ ი ს ო ვ ი

შეტყობინება

ეპვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ

ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის
დირექტორს ამხ. ვ. კვარაცხელიას

პირი: ა. ვ. უტაროვას, მცხოვრებს
სოფელ ლესიჭინეში

დაბა ჩხოროწყუ 3 ივლისი, 1987 წ.

1987 წლის 1 ივლისს დილის 11 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვმა, აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის ეზოში ურთიერთწალაპარაკებისა და ჩხუბის დროს განზრახ სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა მოქალაქე თ. შ. სიჭინავას.

გ. ნ. უტაროვი დაკავებულ იქნა ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ა/წლის 1 ივლისს 20 საათსა და 30 წუთზე. ა/წლის 3 ივლისს მას, როგორც დანაშაულის ჩადენაში ეპვმიტანილს, შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა, რის შესახებაც საქართველოს სსსკ 90-ე მუხლის შესაბამისად გაცნობებთ თქვენ.

ჩხოროწყუს რაიონის შინაგან
საქმეთა განყოფილების გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი: ვ. ქვაჩახია

ნებართვა

ეპვმიტანილთან პაემანის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის
უფროსს, პოლკოვნიკ კ. ვარდოსანიძეს

ჩემს წარმოებაში იმყოფება № 127 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის შეორე ნაწილით, ეპვმიტანილი და დაკავებულია კონსტანტინე ვალერიანეს ძე კიბურაძე.

ვითვალისწინებ, რომ ეპვმიტანილი უკვე დაკითხულია, მის ძმას ავთანდილ ვალერიანის ძე კიბურაძეს იწვევენ არ-ბიაში და ეპვმიტანილთან მისი პაემანის დანიშნას არ შეუძ-ლია ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ვი-ხელმძღვანელე „დებულებით დანაშაულში ეპვმიტანილი პირე-ბის ხანმოკლე დაკავების წესის შესახებ“ (მუხლი მე-12), ნე-ბას ვრთავ ეპვმიტანილის — კ. ვ. კიბურაძის — ძმას ა. ვ. კი-ბურაძეს, შეხვდეს ეპვმიტანილს ერთი საათის ხანგრძლივო-ბით.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის
რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების
საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ნ. კ ი ლ ა ს ო ნ ი ა

17 ნოემბერი, 1987 წ.

მ ი თ ი თ ე ბ ა

ეპვმიტანილის გათავისუფლების შესახებ[1]

ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის უფროსს,
პოლკოვნიკ კ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს

პირი: ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის
პროკურორს, იუსტიციის მრჩეველს ზ. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ს

1987 წლის 5 ნოემბერს, 18 საათზე ჩემ მიერ დაკავებულ იქნა ეპვმიტანილი სერგო პეტრეს ძე ბოთერაშვილი, რომელ-მაც სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება მიაყენა მოქ. ო. შ. ხარბედიას. 1987 წლის 6 ნოემბერს ეპვმიტანილ ს. პ. ბოთე-რაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.

ექსპერტის დასკვნით დადგინდა, რომ ს. ბოთერაშვილმა დაზარალებულ ს. ხარბედიას მიაყენა სხეულის განზრახ მსუ-ბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ვითვალისწი-

---

[1] საგამოძიებო იზოლატორის უფროსს მითითების გარდა უნდა გადა-ეგზავნოს დადგენილება „ეპვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების — წინასწარი პატიმრობის გაუქმების შესახებ“.

ნებ დანაშაულის ხასიათს, იმას, რომ აღნიშნული ქმედობისათვის კანონი სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ს. ბოთერაშვილის სამუშაო ადგილიდან მიღებულია დადებითი დახასიათება და მისი განთავისუფლება ხელს არ შეუშლის გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას, გაუქმდეს აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ წინასწარი პატიმრობიდან ეჭვმიტანილი სერგო პეტრეს ძე ბოთერაშვილი, დაბადებული 1958 წლის 1 დეკემბერს, ქ. თბილისში, ქართველი, უპარტიო, სამართალში არ-ყოფილი, ცოლშვილიანი, მცხოვრები ქ. თბილისში, ძნელაძის ქ. № 39, ბინა № 5.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ყ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი

13 ნოემბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ეჭვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების — წინასწარი პატიმრობის გაუქმების შესახებ

ქ. თბილისი 13 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ს. დ. ყავლაშვილმა განვიხილე № 280 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ეჭვმიტანილ სერგო პეტრეს ძე ბოთერაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 5 ნოემბერს სერგო პეტრეს ძე ბოთერაშვილმა, როგორც ექსპერტის დასკვნით დადგინდა, განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა მის მეზობელს ოთარ შალვას ძე ხარბედიას. 1987 წლის 6 ნოემბერს ეჭვმიტანილ ს. პ. ბოთე-

რაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. გამოძიების პროცესში დაინიშნა განმეორებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნით, დაზარალებულ ო. შ. ხარბედიას მიყენებული აქვს სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. აღნიშნულის გამო ს. პ. ბოთერაშვილის ქმედობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა 112-ე მუხლის მეორე ნაწილზე.

მხედველობაში ეღებულობ დანაშაულის ხასიათს, აგრეთვე იმას, რომ აღნიშნული ქმედობისათვის კანონი არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას, რომ ეჭვმიტანილის განთავისუფლება ხელს არ შეუშლის გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 94-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეჭვმიტანილი ბოთერაშვილი სერგო პეტრეს ძის მიმართ აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა — გაუქმდეს. ს. პ. ბოთერაშვილი დაბადებულია 1958 წლის 1 დეკემბერს ქ. თბილისში, ქართველი, უპარტიო, სამართალში არყოფილი, მცხოვრები ქ. თბილისში, ძნელაძის ქ. № 39, ბინა 5;

2. დადგენილება გადაეგზავნოს ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის უფროსს ს. პ. ბოთერაშვილის დაუყოვნებლივ განთავისუფლების მიზნით;

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ყ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 13 ნოემბერს
16 საათსა და 15 წუთზე.

პატიმარი ს. ბ ო თ ე რ ა შ ვ ი ლ ი

თავი IV

ბრალდების წაყენება და ბრალდებულის დაკითხვა

დადგენილება

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ

ქ. თბილისი 29 მაისი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ე. ი. ქირიამ განიხილე № 637 სისხლის სამართლის საქმე ლ. დ. თითიბაიას მკვლელობის ფაქტზე,

გამოვარკვიე:

1987 წლის 22 მაისს, ქ. თბილისში, შმიტის ქ. № 5, ბინა 27, 14 საათზე გივი ვარდენის ძე სუთიძემ ლილი დავითის ასულ თითიბაიას გულმკერდის არეში დანით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. გ. სუთიძეს სურდა ეკოცნა ლ. თითიბაიასსათვის, მაგრამ თითიბაიამ გაუწია წინააღმდეგობა და წინადადება მისცა გასულიყო ბინიდან. ურთიერთწალაპარაკების დროს გ. სუთიძემ ჯიბიდან ამოიღო დანა, სასიკვდილოდ დაჭრა ლ. თითიბაია და გაიქცა შემთხვევის ადგილიდან. საქმეზე შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გ. ვ. სუთიძემ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-140, 141-ე მუხლებით,

დავადგინე:

1. გივი ვარდენის ძე სუთიძე, დაბადებული ქ. თბილისში 1970 წლის 15 იანვარს, ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის

მეათე კლასის მოსწავლე. მცხოვრები ქ. თბილისში, ჯანაშიას ქ. № 15, ბინა 47, მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით, რის შესახებაც გამოეცხადოს მას და წარედგინოს ბრალდება;

2. დადგენილების პირი გადაეცეს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურორს.

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. ქირია

დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 29 მაისს.

დადგენილებას გავეცანი პირადად. წაყენებული ბრალდების არსი გასაგებია ჩემთვის.

ბრალდებული გ. სუთიძე

საქართველოს სსრ სსსკ 146-ე მუხლის საფუძველზე გამომძიებლის მიერ განმემარტა ბრალდებულის უფლებები. გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 42-ე მუხლით, კერძოდ: ვიცოდე, თუ რაში მედება ბრალი; მივცე ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების შესახებ; წარვადგინო მტკიცებულებები; განვაცხადო შუამდგომლობა; გამოძიების დამთავრების შემდეგ გავეცნო საქმის ყველა მასალას; ვიყოლიო დამცველი გამოძიების დამთავრების გამოცხადებიდან; განვაცხადო აცილება; შევიტანო საჩივარი გამომძიებლის, მომკვლევი ჰირის, პროკურორის მოქმედებაზე.

ბრალდებული გ. სუთიძე

დადგენილება გამოეცხადე და უფლებები განეუმარტე

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. ქირია

დადგენილება

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ

(დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით)

ქ. ზუგდიდი. 10 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა რ. დ. ახალაიამ განვიხილე № 140 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვანო პეტრეს ძე პაპავას მიმართ სპეკულაციისა და ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვო ტარების ფაქტზე,

გამოვარკვიე:

1987 წლის 19 ნოემბერს ვანო პეტრეს ძე პეპავამ ზუგდიდის რაიონის სოფ. ძველ აბასთუმანში, მოქ. შალვა მიხეილის ძე ჩაკაბერიასაგან სპეკულაციის მიზნით შეიძინა 200 კგ დაფნის ფოთოლი, კილოგრამი ორ მანეთად. ვ. პაპავამ დაფნის ფოთოლი ჩააბარა ქ. ზუგდიდის დამზადების კანტორას კილოგრამი 4 მანეთად და 50 კაპიკად, რის გამოც მიიღო გამორჩენა, ე. ი. ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ვანო პეტრეს ძე პაპავას დაკავების დროს აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი „ტტ № 127115", რომელსაც იგი ატარებდა უნებართვოდ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მოცემულ საქმეზე შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ვ. პ. პაპავამ ჩაიდინა სპეკულაცია და უნებართვოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-140, 141-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ვანო პეტრეს ძე პაპაეა, დაბადებული ქ. ზუგდიდში 1938 წლის 20 აპრილს, დროებით უმუშევარი, უპარტიო, ცოლშვილიანი, სამართალში არყოფილი, მცხოვრები ქ. ზუგდიდში, კიროვის ქ. № 37, მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით სპეკულაციისა და ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით და 238-ე მუხლის პირველი ნაწილით, რის შესახებაც გამოეცხადოს მას და წარედგინოს ბრალდება;

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. ზუგდიდის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ახალაია

დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 11 დეკემბერს. დადგენილებას გავეცანი პირადად; წაყენებული ბრალდებების არსი ჩემთვის გასაგებია.

ბრალდებული ვ. პაპაეა

ამავე დროს საქართველოს სსრ სსსკ 146-ე მუხლის საფუძველზე, გამომძიებლის მიერ განმემარტა ბრალდებულის უფლებები, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 42-ე მუხლით, კერძოდ: ვიცოდე, თუ რაში მედება ბრალი; მივცე ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების შესახებ, წარვადგინო მტკიცებულებები; განვაცხადო შუამდგომლობა, გამოძიების დამთავრების შემდეგ გავეცნო საქმის ყველა მასალას, ვიყოლიო დამცველი გამოძიების დამთავრებიდან; განვაცხადო აცილება; შევიტანო საჩივარი მომკელევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის მოქმედებაზე.

ბრალდებული ვ. პაპაეა

დადგენილება გამოეუცხადე და უფლებები განეუმარტე

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ახალაია

დადგენილება

ბრალდებულის იძულებითი წესით მოყვანის შესახებ

ქ. თბილისი 10 ოქტომბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ა. ვ. ფაღავამ განიხილე ჩემ წარმოებაში მყოფი № 176 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვასილ პეტრეს ძე ჩხიკვიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის I ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ბრალდებული ვასილ პეტრეს ძე ჩხიკვიშვილი ორჯერ იყო გამოძახებული პროკურატურაში დასაკითხავად, კერძოდ: ა/წ 30 სექტემბერს და ა/წლის 5 ოქტომბერს.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ორივე შემთხვევაში ბრალდებულ ვ. პ. ჩხიკვიშვილს უწყება მისი პროკურატურაში გამოძახების შესახებ ჩაბარდა, მაგრამ იგი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება გამომძიებელთან.

მივიღე მხედველობაში აღნიშნული გარემოება და ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 144-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ე ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებული ჩხიკვიშვილი ვასილ პეტრეს ძე, დაბადებული ქ. თბილისში 1948 წელს, № 7 სამშენებლო უბნის უფროსი, მცხოვრები ქ. თბილისში, ავჭალის გზატკეცილი № 8, ბინა 15, იძულებითი წესით მოყვანილ იქნას ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურაში (თბილისი, ოქტომბრის ქ. № 2, III სართული, ოთახი 9) ა/წლის 13 ოქტომბერს დილის 11 საათზე;

2. აღნიშნული დადგენილების შესრულება დაეკალოს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს.

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ა. ფ ა ღ ა ვ ა

ო ქ მ ი

ბრალდებულისათვის საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობის გამოცხადებისა

ქ. თბილისი 13 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ს. დ. ფოჩხუამ, საქართველოს სსრ სსსკ 133-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულ ისიდორე პეტრეს ძე ცანავას და ბრალდებულ ვალერიან კონსტანტინეს ძე ჩხეტიანს, მიცემულთ პასუხისგებაში, სისხლის სამართლის საქმე № 276, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96[1]-ე მუხლით, გამოვუცხადე საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობა: ს. დ. ფოჩხუა — ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, II კლასის იურისტი (ჯგუფის ხელმძღვანელი); ვ. შ. ვაშაკიძე — ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, III კლასის იურისტი; ს. ნ. სახანბერიძე — ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, III კლასის იურისტი.

ბრალდებულ ი. პ. ცანავას და ბრალდებულ ვ. კ. ჩხეტიანს განემარტათ უფლებები, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 42-ე მუხლით, მათ შორის, გამომძიებელთა ჯგუფის თითოეული წევრის აცილების შესახებ.

ი. პ. ცანავა და ვ. კ. ჩხეტიანი გაეცნენ საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობას, მათ არ განუცხადებიათ შუამდგომლობა საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის ან ჯგუფის რომელიმე წევრის აცილების შესახებ.

ბრალდებული ი. ცანავა

ბრალდებული ვ. ჩხეტიანი

უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ს. ფოჩხუა

ბრალდებულ ლევან ნიაზის ძე აბრამიძის
თანამდებობიდან გადაყენება სანქციონირებული
ქ. ბათუმის პროკურორი, იუსტიციის უფროსი
მრჩეველი ნ. ქ რ ი ს ტ ე ს ა შ ვ ი ლ ი

18 ივნისი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

თანამდებობიდან ბრალდებულის გადაყენების შესახებ

ქ. ბათუმი 18 ივნისი, 1987 წ.

ქ. ბათუმის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა თ. ბარამიძემ განიხილე № 278 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ლევან ნიაზის ძე აბრამიძის მიმართ,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ლ. ნ. აბრამიძე მუშაობდა ქ. ბათუმის № 74 მაღაზიის გამგედ, აკრძალული ხერხით იძენდა სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელს და გამორჩენის მიზნით ყიდდა № 74 მაღაზიაში. ამ გზით თავის სამსახურებრივ მდგომარეობას სისტემატურად იყენებდა ბოროტად, რითაც არსებითი ხასიათის ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესებს, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით და 186-ე მუხლის მეორე ნაწილით.

წინასწარი გამოძიების პერიოდში ლ. ნ. აბრამიძის აღნიშნულ თანამდებობაზე დატოვებას შეუძლია შექმნას სიძნელე ჭეშმარიტების დადგენაში, ამიტომ ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 151-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებული აბრამიძე ლევან ნიაზის ძე გადაყენებულ იქნას ქ. ბათუმის № 74 მაღაზიის გამგის თანამდებობიდან;

2. დადგენილება შესასრულებლად გადაეგზავნოს ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სავაჭრო განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ნ. ლუარსაბიშვილს.

ქ. ბათუმის პროკურატურის
გამომძიებელი, II კლასის იურისტი თ. ბ ა რ ა მ ი ძ ე

ოქმი

ბრალდებულის დაკითხვისა

დაბა ჩხოროწყუ	7 ივლისი, 1987 წ.
	დაკითხვა დაიწყო 10 საათზე,
	დამთავრდა 11 საათზე.

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ. ქვაჩახიამ, საქართველოს სსრ სსსკ 147-ე და 149-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ჩემს სამუშაო ოთახში № 271 სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით დაკითხე:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — უტაროვი გიგლა ნიკოლოზის ძე.
2. დაბადების წელი და ადგილი — 1950 წლის 15 აპრილი, დაბა ჯავა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.
3. მოქალაქეობა — სსრ კავშირის მოქალაქე.
4. ეროვნება — ოსი.
5. განათლება — საშუალო.
5. პარტიულობა — უპარტიო.
7. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი: მეუღლე, ქალიშვილი 10 წლის.
8. სამუშაო ადგილი და თანამდებობა — ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.
9. საცხოვრებელი ადგილი — სოფელი ლესიჭინე.
10. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.
11. არის თუ არა დეპუტატი — არა.
12. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან — სამხედრო ვალდებული.
13. სამამულო ომში მონაწილეობა — არ მონაწილეობდა.
14. ცნობები მთავრობის ჯილდოების შესახებ — მთავრობის ჯილდო მიღებული არა აქვს.
15. ცნობები პასპორტის შესახებ — „პასპორტი IV-ТИ № 735472, გაცემული ჩხოროწყუს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1980 წლის 1 აგვისტოს.

ბრალდებულის ხელის მოწერა გ. უტაროვი

16. განმემარტა საქართველოს სსრ სსსკ მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლება: მივცე ჩვენება მშობლიურ ენაზე და ვისარგებლო თარჯიმნის მომსახურებით. ქართულ ენას ვფლობ კარგად, თარჯიმანს არ ვსაჭიროებ, მსურს ჩვენება მივცე ქართულ ენაზე.

1987 წლის 7 ივლისს გავეცანი დადგენილებას, საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულის სახით ჩემი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. განმემარტა საქართველოს სსრ სსსკ 69-ე, 147-ე, 149-ე და 150-ე მუხლებით გათვალისწინებული ჩემი უფლებები: მივცე ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების თაობაზე. დაკითხვის დამთავრების შემდეგ გავეცნო ოქმის შინაარსს: მოვითხოვო დაკითხვის ოქმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა იყოს ოქმში შეტანილი; დავადასტურო ჩვენების სისწორე: საკუთარი ხელით დავწერო ჩვენება.

ბრალდებული გ. უტაროვი

კ ი თ ხ ვ ა: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით წაყენებულ ბრალდებაში — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენებისათვის?

პ ა ს უ ხ ი: წაყენებულ ბრალდებაში თავს ვცნობ დამნაშავედ.

კ ი თ ხ ვ ა: გთხოვთ მომცეთ ჩვენება წაყენებული ბრალდების თაობაზე.

პ ა ს უ ხ ი: წაყენებული ბრალდების ირგვლივ გიპასუხებთ შემდეგს: 1987 წლის 30 ივნისს თენგიზ შალვას ძე სიჭინავამ, რომელიც ჩემს მეზობლად ცხოვრობს, გადაიხადა თავისი შვილის — ზურაბის დღეობა. სხვებთან ერთად დღეობაზე მეც ვიყავი მიწვეული. ვახშამს შევუდექით 17 საათზე. მე ამირჩიეს სუფრის ხელმძღვანელად (თამადად). მახსოვს, რომ მასპინძელმა თ. სიჭინავამ არ შესვა რამდენიმე სადღეგრძელო. ამასთან დაკავშირებით, როგორც თამადამ, თ. სიჭინავას მივეცი შენიშვნა. ღამის 24 საათზე დავიშალეთ. მე წავედი სახლში. მეორე დილით, 1 ივლისს, სახლში, საუზმის დროს, დავ-

ბრალდებულის ხელის მოწერა გ. უტაროვი

ლიე სამასი გრამი არაყი და წაველი სამუშაოდ ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ამ საბჭოთა მეურნეობის გამგეობის ეზოში დაახლოებით 10 საათსა და 30 წუთზე შემხვდა თენგიზ სიჭინავა, რომელიც მუშაობს ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად.

თ. სიჭინავას მე ვუთხარი: თუ ღვინის დალევა არ შეგეძლო, სტუმრებს რატომ იწვევდი ან რატომ გსურდა, მე გრძნობა დამეკარგა ღვინის სმის შედეგად-მეთქი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მოგვიეიდა შეკამათება, რის შედეგადაც თ. სიჭინავამ მომმართა უცენზურო სიტყვებით. მე ვერ მოვითმინე ასეთი დამცირება და სახეში გავარტყი ხელი.

ჩხუბის დროს თ. სიჭინავას ხელში ეჭირა ჯიბის დანა, მე მას ვწვდი მაჯაში და გადავუგრიხე ხელი. ურთიერთქიდბილის დროს შევამჩნიე, რომ თ. სიჭინავა დაეცა და სისხლი სდიოდა. მე მივატოვე შემთხვევის ადგილი, გავიქეცი სახლში, გადავიცვი ტახსაცმელი და გადავწყვიტე სამხრეთ ოსეთში — ცხინვალში წასვლა. ქ. ცხაკაიაში შევიარე ჩემი ცოლის ძმის — ალიოშა პეტრეს ძე ნარსიას სახლში, სადაც დამაკავეს მილიციის თანამშრომლებმა.

კ ი თ ხ ვ ა: რა დროიდან იცნობთ თ. სიჭინავას და როგორ დამოკიდებულებაში ხართ მასთან ან მისი ოჯახის წევრებთან?

პ ა ს უ ხ ი: თ. სიჭინავას ვიცნობ გასული წლის თებერვლიდან, როდესაც მე დავსახლდი სოფ. ლესიჭინეში. ჩვენ შორის რაიმე უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.

კ ი თ ხ ვ ა: 30 ივნისს თ. სიჭინავას ბინაში ყოფნის დროს გქონდათ თუ არა ჯიბის დანა და სად არის ახლა ის დანა?

პ ა ს უ ხ ი: თ. სიჭინავას ბინაში ყოფნის დროს მე მქონდა ჯიბის დანა, რომელიც ვიხმარე ლიმონათის ბოთლის გასახსნელად, მაგრამ აღარ მახსოვს დანა დამრჩა მაგიდაზე თუ ჩავიდე ჯიბეში.

კ ი თ ხ ვ ა: 1 ივლისს თ. სიჭინავასთან ჩხუბის დროს გქონდათ თუ არა თქვენ ჯიბის დანა?

პ ა ს უ ხ ი: არ მახსოვს, მგონი არ მქონდა.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენი ჯიბის დანით ხომ არა აქვს თ. სიჭინავას მიყენებული ჭრილობა?

პ ა ს უ ხ ი: დანა, რომლითაც დაიჭრა სიჭინავა, ძალიან წაგავდა ჩემი ჯიბის დანას.

ბრალდებულის ხელის მოწერა გ. უტაროვი

კ ი თ ხ ვ ა: დანა, რომლითაც დაიჭრა სიჭინავა, არ აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე. სად წაიღეთ იგი?

პ ა ს უ ხ ი: სიჭინავას წაქცევის შემდეგ მე მას დანა გამოვტაცე ხელიდან და გადავაგდე ბუჩქებში, რადგან მეშინოდა მას ჩემთვის დანა არ დაერტყა.

კ ი თ ხ ვ ა: დიდი ხანია გაქვთ თქვენ დანა თუ არა, სად და როდის შეიძინეთ იგი?

პ ა ს უ ხ ი: ჯიბის დანა შევიძინე წინა დღით, ე. ი. 1987 წლის 29 ივნისს, ლესიჭინეს სამეურნეო მაღაზიაში გამყიდველ კოლია ლაბარტყავასაგან, გადავიხადე 2 მანეთი და 80 კაპიკი.

კ ი თ ხ ვ ა: თუ თქვენ არ გრძნობდით თავს დამნაშავედ, რატომ აპირებდით გაქცევას?

პ ა ს უ ხ ი: თავს, რა თქმა უნდა, ვგრძნობდი დამნაშავედ, მაგრამ არ მინდოდა გამოვცხადებულიყავი ჩხოროწყუს შინაგან საქმეთა განყოფილებაში, რადგან მეშინოდა, რომ თ. სიჭინავას ნათესავები შურს იძიებდნენ. გადავწყვიტე გამოვცხადებულიყავი ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა ორგანოებში.

ოქმი წავიკითხე პირადად, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

ბრალდებული გ. უ ტ ა რ ო ვ ი

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

ო ქ მ ი

ბრალდებულის დამატებითი დაკითხვისა

დაბა ჩხოროწყუ 18 ივლისი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 14 საათზე,
დამთავრდა 14 საათსა და 40 წუთზე

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ. ქვაჩახიამ საქართველოს სსრ სსსკ 147-ე და 149-ე მუხლების მოთხოვნათა

დაცვით, ჩემს სამუშაო ოთახში, № 271 სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც ბრალდებული, დამატებით დავკითხე გიგლა ნიკოლოზის ძე უტაროვი. ანკეტური მონაცემები ბრალდებულის შესახებ იხილეთ სისხლის სამართლის საქმე № 271, ტ. I, ს. ფ. 35.

კ ი თ ხ ვ ა: ჯიბის დანა ა/წ 8 ივლისს აღმოჩენილ იქნა ბუჩქებში, შემთხვევის ადგილიდან ოცი მეტრის დაშორებით. არის თუ არა ეს დანა თქვენი?

პ ა ს უ ხ ი: თქვენ მიერ წარმოდგენილი დანა არის ჩემი, რომელიც მე შევიძინე ა/წ 29 ივნისს ლესიჭინეს სამეურნეო მაღაზიაში.

კ ი თ ხ ვ ა: ჩატარებული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ დანაზე არის თქვენი და არა თ. სიჭინავას თითების ანაბეჭდები, რით ახსნით ამ გარემოებას?

პ ა ს უ ხ ი: ჩემი თითის ანაბეჭდები დანაზე, ალბათ, დარჩა იმ დროს, როდესაც მე იგი გამოვტაცე თ. სიჭინავას და გადავაგდე ბუჩქებში. თუ რატომ არ აღმოჩნდა დანაზე თ. სიჭინავას თითის ანაბეჭდები არ ვიცი. ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

კ ი თ ხ ვ ა: ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლებმა ვ. ბ. კორძაიამ და კ. ს. ცქვიტინიამ, როგორც მოწმეებმა, დაკითხვის დროს განაცხადეს, რომ დაინახეს, თუ როგორ ამოიღეთ თქვენი ჯიბიდან დანა, გაშალეთ იგი და მუცლის არეში დაარტყით დაზარალებულ თ. სიჭინავას. როგორ ახსნით ამ გარემოებას?

პ ა ს უ ხ ი: ა/წ 1 ივლისს მე ვიყავი ნასვამ მდგომარეობაში და კარგად არ მახსოვს, მქონდა თუ არა ჯიბეში დანა და ვიხმარე თუ არა იგი ჩხუბის დროს.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენმა მეუღლემ ნათელა სილიბისტროს ასულმა უტაროვამ დაკითხვის დროს განმარტა, რომ ჯიბის დანა ეგდო თქვენს საძინებელ ოთახში, იატაკზე და 1 ივლისს დილით სახლიდან წასვლის დროს მეუღლემ მოგაწოდათ იგი. თქვენ კი დანა ჩაიდეთ შარვლის მარჯვენა ჯიბეში. ადასტურებთ თუ არა თქვენი მეუღლის ჩვენებას?

ბრალდებულის ხელის მოწერა გ. უ ტ ა რ ო ვ ი

პ ა ს უ ხ ი: კიდევ გიმეორებთ, რომ 1 ივლისს დილით მე შევსვი სამასი გრამი არაყი, ვიყავი ნასვამი და არ მახსოვს მქონდა თუ არა დანა ჯიბეში.

გთხოვთ დამაპირისპიროთ ჩემ მეუღლესთან და ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებთან ე. ბ. კორძაიასთან და ს. კ. ცქვიტინიასთან.

დამატებითი დაკითხვის ოქმი წაეკითხე პირადად, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

ბრალდებული გ. უ ტ ა რ ო ვ ი

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ე. ქ ე ა ჩ ა ხ ი ა

ო ქ მ ი

არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვისა

ქ. თბილისი 30 მაისი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 11 საათზე,
დამთავრდა 12 საათზე.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ე. ი. ქირიამ, საქართველოს სსრ სსკ 147-ე, 148-ე, 149-ე და 150-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ჩემს სამუშაო ოთახში, № 637 სისხლის სამართლის საქმეზე, ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის პედაგოგის ვალერიან პეტრეს ძე ჟღენტის და ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის ბესიკ ნოეს ძე ალავიძის მონაწილეობით, ბრალდებულის სახით დაკითხე არასრულწლოვანი:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — სუთიძე გიგი ვარდენის ძე.

2. დაბადების წელი, თვე და რიცხვი — 1970 წლის 15 იანვარი.

3. დაბადების ადგილი — ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ. № 15, ბინა 47.

4. ეროვნება — ქართველი.

5. განათლება — ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

6. ირიცხება თუ არა პიონერულ ან კომკავშირულ ორგანიზაციაში — აღკკ წევრი 1984 წლიდან.

7. საცხოვრებელი ადგილი — ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ. № 15, ბინა 47.

8. ვისთან ცხოვრობს — მშობლებთან.

9. მამის საქმიანობა — ვარდენ პეტრეს ძე სუთიძე არის პედაგოგიური ინსტიტუტის ბუღალტერი.

10. დედის საქმიანობა—თინათინ სილიბისტროს ასული სუთიძე არის დიასახლისი.

11. მეურვე — არ ჰყავს.

12. იყო თუ არა საბავშვო სახლში — არ ყოფილა.

13. დანაშაულის ჩადენამდე რამდენი ხანი ცხოვრობდა სახლის გარეშე და სად ცხოვრობდა — მშობლებთან, დასთან — ელენესთან (14 წლის) და ძმასთან — გოჩასთან (10 წლის) ერთად.

14. ხომ არ იყო აღრიცხვაზე მილიციის ბავშვთა ოთახში — აღრიცხვაზე არ ყოფილა.

15. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.

16. პირადობის დამადასტურებელი ცნობა — ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მოსწავლის ბილეთი, გაცემული 1982 წლის 1 სექტემბერს.

17. დაბადების მოწმობა — წარმოდგენილია დაბადების მოწმობა სერია სპ № 636317, გაცემული 1970 წლის 18 იანვარს, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მმაჩის ბიუროს მიერ.

დაკითხვის დაწყებამდე პედაგოგ-სპეციალისტს — ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს ვალერიან პეტრეს ძე ყღენტს განემარტა სპეციალისტის უფლება-მოვალეობა, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 134[1]-ე და 148-ე მუხლებით. სპეციალისტს განემარტა, რომ, 134[1]-ე მუხ-

ლის შესაბამისად, იგი პასუხს აგებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში.

პედაგოგ-სპეციალისტი ე. ქ ო ნ ტ ი

1987 წლის 30 მაისს გავეცანი დადგენილებას, საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულის სახით ჩემი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. განმემარტა საქართველოს სსრ სსსკ 69-ე, 147-ე, 148-ე, 149-ე, 150-ე მუხლებით გათვალისწინებული ჩემი უფლებები: მიეცე ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების თაობაზე; დაკითხვის დამთავრების შემდეგ გავეცნო ოქმის შინაარსს, მოვითხოვო დაკითხვის ოქმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი ოქმში; დავადასტურო ჩვენების ჩაწერის სისწორე; საკუთარი ხელით დავწერო ჩვენება.

ბრალდებულ გ. სუთიძეს განემარტა უფლება, აცილება მისცეს სპეციალისტს საქართველოს სსრ სსსკ 58-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ბრალდებულს აცილება არ განუცხადებია.

ბრალდებული გ. ს უ თ ი ძ ე

კ ი თ ხ ვ ა: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით წაყენებულ ბრალდებაში განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის?

პ ა ს უ ხ ი: წაყენებულ ბრალდებაში თავს ვცნობ დამნაშავედ.

კ ი თ ხ ვ ა: გთხოვთ მომცეთ ჩვენება წაყენებული ბრალდების თაობაზე.

პ ა ს უ ხ ი: წაყენებული ბრალდების ირგვლივ გიპასუხებთ შემდეგს: 1987 წლის 22 მაისს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 14 საათზე, მე და თანაკლასელი, X კლასის მოსწავლე ლილი დავითის ასული თითიბაია, წავე-

ბრალდებულის ხელის მოწერა: გ. ს უ თ ი ძ ე

დით ლილის სახლში გაკვეთილების ერთად მომზადების მიზნით (შმიტის ქ. №5, ბინა 27). ჩვენ საუბარი გვქონდა ახალი ფილმების, მუსიკის შესახებ. როდესაც დავრწმუნდი, რომ ბინაში ჩვენ მარტონი ვიყავით, მე განვიზრახე მეკოცნა ლილისთვის და მოვხვიე ხელი, მაგრამ იგი ხელიდან დამიძვრა. ლილიმ აიღო ქოლგა და მისი დარტყმის მუქარით უნდოდა გავეძევებინე ბინიდან. ქოლგა ლილის ხელიდან გამოვსტაცე, რის საპასუხოდაც მან შემომაფურთხა. ამან ძალიან ამაღელვა. ამოვიღე ჯიბიდან დანა და გულმკერდის არეში დავარტყი ლილის. ამის შემდეგ მე შემთხვევის ადგილიდან გავიქეცი, დანა კი იქვე სადარბაზო შესასველელში დავაგდე. მომხდარი შემთხვევის შესახებ მე არაკისთვის არ მითქვამს.

კ ი თ ხ ვ ა: როგორი ურთიერთობა გქონდათ თანაკლასელ ლილი თითიბაიასთან?

პ ა ს უ ხ ი: ჩვენ გვქონდა კარგი ურთიერთობა და ამხანაგური დამოკიდებულება.

კ ი თ ხ ვ ა: დიდი ხანია ატარებთ დანას?

პ ა ს უ ხ ი: დანას ვატარებ ა/წლის 30 მარტიდან.

კ ი თ ხ ვ ა: რატომ, რა მიზნით?

პ ა ს უ ხ ი: ჩვენი სკოლის გვერდით მცხოვრებ მერაბ შენგელიასთან, დაახლოებით ერთი თვის წინ, მომივიდა ჩხუბი, რის შემდეგაც მერაბი მემუქრებოდა. დანას ვატარებდი მხოლოდ თავდაცვის მიზნით.

კ ი თ ხ ვ ა: რა სახის დანას ატარებდით?

პ ა ს უ ხ ი: ვატარებდი სამზარეულო დანიშნულების დანას, რომელიც შეფუთული მქონდა ცხვირსახოცში.

კ ი თ ხ ვ ა: იცოდნენ თუ არა მშობლებმა ან სკოლის მასწავლებლებმა, რომ ატარებდით დანას?

პ ა ს უ ხ ი: მშობლებმა და სკოლის მასწავლებლებმა არ იცოდნენ, რომ მე დანას ვატარებდი. ამის შესახებ იცოდა მხოლოდ სკოლაში ჩემს გვერდით მჯდომმა ელგუჯა წუწუნავამ.

კ ი თ ხ ვ ა: (ბრალდებულის დამცველი) განზრახული გქონდათ თუ არა თქვენ ლილის მოკვლა?

ბრალდებულის ხელის მოწერა: გ ს ე თ ი ძ ე

პ ა ს უ ხ ი: ლილის მოკვლა მე განზრახული არ მქონდა. მინდოდა მხოლოდ მისი დამორჩილება.

კ ი თ ხ ვ ა: (პედაგოგი) რატომ არ უამბეთ ჩადენილი დანაშაულის შესახებ მშობლებს ან X კლასის დამრიგებელ მასწავლებელს?

პ ა ს უ ხ ი: მეშინოდა, რომ ისინი მაიძულებდნენ მილიციის ორგანოში გამოცხადებას.

კ ი თ ხ ვ ა: (გამომძიებელი) შეგიძლიათ თუ არა ამოიცნოთ დანა, რომლითაც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეთ ლილის?

პ ა ს უ ხ ი: დანის ამოცნობა შემიძლია. მას აქვს თეთრი პლასტმასის ტარი, რომელზეც აწერია ჩემი სახელისა და გვარის პირველი ასოები: „გ. ს.“.

კ ი თ ხ ვ ა: როდის გაიგეთ, რომ ლილი თითიბაია გარდაიცვალა მიყენებული ჭრილობის შედეგად?

პ ა ს უ ხ ი: ლილის სიკვდილის შესახებ გავიგე 62-ე საშუალო სკოლაში, მეორე დღეს, ე. ი. 23 მაისს.

ოქმი წამიკითხა. გამომძიებელმა; იგი შედგენილია ჩემი სიტყვების საფუძველზე სწორად და სრულად.

ბრალდებული გ. ს უ თ ი ძ ე

ოქმი წავიკითხე პირადად. მისი შინაარსი შეესაბამება გ. სუთიძის ჩვენებას.

პედაგოგი-სპეციალისტი ვ. ე ღ ე ნ ტ ი
ოქმი წაეიკითხე პირადად. შენიშვნები და დამატებები არ მაქვს.
ბრალდებულის დამცველი ბ. ა ლ ა ვ ი ძ ე
გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. ჭ ი რ ი ა

ო ქ მ ი

ბრალდებულის დაკითხვისა

(თარჯიმნის მონაწილეობით)

ქ. თბილისი 15 ივლისი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 10 საათსა და 20 წუთზე,
დამთავრდა 11 საათსა და 45 წუთზე.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ს. კ. ვარდოსანიძემ, საქართველოს სსრ სსსკ 147-ე და 149-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, თარჯიმნის, ბენიამენ ნოშრევანის ძე გოდერძიშვილის (თბილისის მე-2 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი, რომელიც კარგად ფლობს რუსულ და ქართულ ენებს, მცხოვრები ქ. თბილისში, მონტინის ქ. № 15, ბინა 5) მონაწილეობით ჩემს სამუშაო ოთახში, № 273 სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით დავკითხე:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — კუზნეცოვი ვიტალი ივანეს ძე.
2. დაბადების წელი და ადგილი — 1948 წლის 17 მარტი. მოსკოვის ოლქი, მიტიშის რაიონი, ქ. კოსტინო.
3. მოქალაქეობა — სსრ კავშირის მოქალაქე.
4. ეროვნება — რუსი.
5. განათლება — 7 კლასი.
6. პარტიულობა — უპარტიო.
7. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი: მეუღლე, ვაჟი 15 წლის.
8. სამუშაო ადგილი და თანამდებობა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალი.
9. საცხოვრებელი ადგილი — რუსთავი, ოქტომბრის ქ. № 17, ბინა 6.
10. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.

11. არის თუ არა დეპუტატი — არა.

12. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან — სამხედრო ვალდებული.

13. სამამულო ომში მონაწილეობა — არ მონაწილეობდა.

14. ცნობები მთავრობის ჯილდოების შესახებ — მთავრობის ჯილდო არა აქვს.

15. ცნობები პასპორტის შესახებ — პასპორტი XIX-ТИ № 117956, გაცემული ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ, 1980 წლის 13 სექტემბერს.

განმემარტა საქართველოს სსრ სსსკ 69-ე, 147-ე, 149-ე და 159-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები: მიეცე ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების თაობაზე; დაკითხვის დამთავრების შემდეგ გაეცნო ოქმის შინაარსს, მოვითხოვო დაკითხვის ოქმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა იყოს ოქმში შეტანილი; დავადასტურო ჩვენების ჩაწერის სისწორე; საკუთარი ხელით დაეწერო ჩვენება.

განმემარტა აგრეთვე საქართველოს სსრ სსსკ მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლება, მიეცე ჩვენება მშობლიურ ენაზე და ვისარგებლო თარჯიმნის მომსახურებით, აცილება განვუცხადო თარჯიმან ვ. ნ. გოდერძიშვილს საქართველოს სსრ სსსკ 58-ე მუხლში გათვალისწინებული საფუძვლით.

აცილება განცხადებული არ ყოფილა.

ბრალდებული ვ. კუზნეცოვი

თარჯიმანს ვ. ნ. გოდერძიშვილს განემარტა საქართველოს სსრ სსსკ 135-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა და გაფრთხილებულ იქნა: შეგნებულად არასწორად თარგმნისათვის მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად.

თარჯიმანი ვ. გოდერძიშვილი

1987 წლის 15 ივლისს გაეცანი დადგენილებას, საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულის სახით ჩემი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

კ ი თ ხ ვ ა: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით წაყენებულ ბრალდებაში, ბოროტი ხულიგნობის ჩადენისათვის?

პ ა ს უ ხ ი: წაყენებულ ბრალდებაში თავს ვცნობ დამნაშავედ.

კ ი თ ხ ვ ა: გთხოვთ მომცეთ ჩვენება წაყენებული ბრალდების ირგვლივ.

პ ა ს უ ხ ი: წაყენებული ბრალდების ირგვლივ მოგახსენებთ შემდეგს:

1987 წლის 10 ივლისს, დაახლოებით 19 საათზე, ქ. თბილისში, შაუმიანის მოედანზე წალაპარაკება მომივიდა მოქალაქე ვალენტინა ნიკოლოზის ასულ პეტროვასთან, რომელსაც ბე ვიცნობდი. მე მას მივმართე უცენზურო სიტყვებით და დაკეცილი ჯაყვა ჩავარტყი მუცელში. ყოველივე ეს შეამჩნიეს იქვე მდგომმა სახალხო რაზმელებმა, რომლებმაც მთხოვეს მილიციის ორგანოში წაყოლა. მე მათ გავუწიე წინააღმდეგობა, მაგრამ სხვა მოქალაქეთა დახმარებით სახალხო რაზმელებმა შეძლეს ჩემი მილიციის ორგანოში მიყვანა.

კ ი თ ხ ვ ა: რა საკითხზე მოგიყვიდათ დავა მოქ. ვ. ნ. პეტროვასთან?

პ ა ს უ ხ ი: ვალენტინა პეტროვა მინიშნაედა პაემანს, მაგრამ მატყუებდა. მე ვერ აეიტანე ასეთი დამცირება.

კ ი თ ხ ვ ა: როგორი ურთიერთობა გქონდათ ვ. პეტროვასთან?

პ ა ს უ ხ ი: ვ. პეტროვასთან მქონდა ამხანაგური დამოკიდებულება. მე იგი მომწონდა, მაგრამ ვამჩნევდი, რომ ვ. პეტროვა თავს არიდებდა ჩემთან შეხვედრას.

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ იყავით ნასვამი ხულიგნობის ჩადენის დროს?

პ ა ს უ ხ ი: ხულიგნობის ჩადენის დროს მე ვიყავი ნასვამი. სადილად დაველიე ჩემ ამხანაგ ნ. სიღოროვთან ერთად 3 ბოთლი ღვინო.

ბრალდებულის ხელის მოწერა ვ. კ უ ზ ნ ე ც ო ვ ი

დაკითხვის ოქმი წამიკითხა გამომძიებელმა და მითარგმნა თარჯიმანმა. ოქმი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად, სწორად და სრულად.

ბრალდებული: ვ. კუზნეცოვი

ვ. კუზნეცოვის ჩვენება შედგენილია სწორად და სრულად.

თარჯიმანი: ვ. გოდერძიშვილი

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ეარდოსანიძე

ოქმი

ბრალდებულის დაკითხვისა

(მაგნიტოფონის გამოყენებით)

ქ. თბილისი 19 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. გ. სიდამონიძემ, საქართველოს სსრ. სსსკ 96[1]-ე, 147-ე, 149-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სპეციალისტის ვალერიან ისიდორეს ძე კოტრიკაძის (ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალისტიკური გამოკვლევების განყოფილების ლაბორანტი, მცხოვრები ლესელიძის ქ. № 37, ბინა 5) მონაწილეობით, ჩემს სამუშაო ოთახში, მაგნიტოფონის გამოყენებით, № 315 სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხე ბრალდებულის სახით ალბერტ სერგოს ძე ვანიშვილი, რომელსაც გამოეცხადა, რომ მისი ჩვენება იწერება მაგნიტოფონის ფირზე: მაგნიტოფონი „იაუზა — 20", ფირის სახე — 6, ფირის ბრუნვის სიჩქარე 9 სმ წამში. მაგნიტოფონი მოთავსებულია სპეციალურ მაგიდაზე ოთახის მარჯვენა კუთხეში, ჩაწერას აწარმოებს სპეციალისტი ვ. ი. კოტრიკაძე.

1. გვარი, სახელი, მამის სახელი— ალბერტ სერგოს ძე ვანიშვილი.

2. დაბადების წელი და ადგილი — ქ. თბილისი, 1949 წლის 11 სექტემბერი.

3. მოქალაქეობა — სსრ კავშირის მოქალაქე.

4. ეროვნება — ქართველი.

5. განათლება — საშუალო.

6. პარტიულობა — უპარტიო.

7. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი: მეუღლე, ვაჟი 11 წლის.

8. სამუშაო ადგილი და თანამდებობა — ქ. თბილისის 1-ელი საავადმყოფოს მძღოლი.

9. საცხოვრებელი ადგილი — ქ. თბილისი, მიჩურინის ჩიხი, ბინა 7.

10. ნასამართლობა — გასამართლებული იყო 1972 წლის 5 სექტემბერს ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ხულიგნობისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, მისჯილი ჰქონდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

11. არის თუ არა დეპუტატი — არა.

12. დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან — სამხედრო ვალდებული.

13. სამამულო ომში მონაწილეობა — არ მონაწილეობდა.

14. ცნობები მთავრობის ჯილდოს შესახებ — მთავრობის ჯილდო მიღებული არა აქვს.

15. ცნობები პასპორტის შესახებ — პასპორტი IV—ТИ № 176315, გაცემული ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1980 წლის 5 მაისს.

16. განემარტა საქართველოს სსრ სსსკ მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლება: მისცეს მშობლიურ ენაზე ჩვენება და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

ქართულ ენას ვფლობ კარგად. თარჯიმანს არ ვსაჭიროებ, მსურს ჩვენება მივცე ქართულ ენაზე.

1987 წლის 19 ნოემბერს გავეცანი დაღგენილებას, საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულის

ბრალდებულის ხელის მოწერა. ა. ეანიშვილი

სახით ჩემი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

განმემარტა საქართველოს სსრ სსსკ 69-ე, 147-ე 149-ე და 150-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები: მივცე ახსნა-განმარტება წაყენებული ბრალდების თაობაზე; დაკითხვის დამთავრების შემდეგ გავეცნო ოქმის შინაარსს; მოვითხოვო დაკითხვის ოქმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა იყოს ოქმში შეტანილი, დავადასტურო ჩვენების სისწორე; საკუთარი ხელით დავწერო ჩვენება.

განმემარტა აგრეთვე უფლება სპეციალისტის ვალერიან ისიდორეს ძე კოტრიკაძის აცილების შესახებ, საქართველოს სსრ სსსკ 58-ე მუხლში გათვალისწინებული საფუძვლით.

აცილება განცხადებული არ ყოფილა.

ბრალდებული ა. ვანიშვილი

სპეციალისტ ვ. ი. კოტრიკაძეს განემარტა საქართველოს სსრ სსსკ 134[1]-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი. იგი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში.

სპეციალისტი ვ. კოტრიკაძე

კითხვა: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ გაძარცვის ჩადენაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით?

პასუხი: წაყენებულ ბრალდებაში თავს ვცნობ დამნაშავედ.

კითხვა: გთხოვთ მომცეთ ჩვენება წაყენებული ბრალდების ირგვლივ.

პასუხი: წაყენებული ბრალდების ირგვლივ მოგახსენებთ შემდეგს: 1987 წლის 10 ნოემბერს ვიყავი ჩემს ამხანაგ — გივი ვასილის ძე პეტრიაშვილთან (თბილისი, ლესელიძის ქ. № 37, ბინა 15). ვივახშმეთ, დავლიეთ ერთი ბოთლი კონიაკი. სახლში

ბრალდებულის ხელის მოწერა. ვანიშვილი

წავედი გვიან საღამოს. ქეჩაში გამოსვლისას დავინტერესდი რომელი საათი იყო და იქვე, ლესელიძის ქუჩაზე, № 37 ბინის მახლობლად მდგომ ახალგაზრდა ვაჟს ვკითხე (როგორც ახლა გავიგე, ვარდენ ვასილის ძე კეჩხუაშვილს), რომელი საათი იყო. ვ. კეჩხუაშვილმა დახედა საათს და მითხრა, ღამის 1-ელი საათიაო. შევამჩნიე, რომ მას ჰქონდა უცხოური ფირმის კარგი საათი. მინდოდა მეყიდა იგი, ვაძლევდი ას მანეთს, მაგრამ კატეგორიული უარი მითხრა. ამ თემაზე მოგვვიდა წალაპარაკება. ვისარგებლე იმით, რომ იგი ფიზიკურად სუსტი იყო, გადავუგრიხე ხელი, შემოვხსენი საათი და გავიქეცი. ვ. კეჩხუაშვილმა ატეხა ყვირილი. შევამჩნიე, რომ დამედევნა მილიციონერი, რომელმაც დამაკავა.

კ ი თ ხ ვ ა: იცნობდით თუ არა წინათ ვ. ვ. კეჩხუაშვილს?

პ ა ს უ ხ ი: კეჩხუაშვილს არ ვიცნობდი.

კ ი თ ხ ვ ა: რა ფირმის უცხოური საათი გამოსტაცეთ ვ. კეჩხუაშვილს?

პ ა ს უ ხ ი: იაპონური საათი „სეიკოს" ფირმის.

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გსურთ რაიმე დაამატოთ თქვენს ჩვენებას?

პ ა ს უ ხ ი: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მე ვიყავი ნასვამი, სიფხიზლეში ასეთ დანაშაულს არასდროს არ ჩავიდენდი.

დაკითხვის დამთავრების შემდეგ მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ჩვენება თავიდან ბოლომდე მოსმენილ იქნა ბრალდებულ ა. ვანიშვილის მიერ, რომელმაც განაცხადა, რომ მაგნიტოფონის ფირზე ჩვენება ფიქსირებულია სრულად და ზუსტად.

ბრალდებული ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

დაკითხვის ოქმი წავიკითხე პირადად, იგი შედგენილია სწორად და სრულად. მოვისმინე მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი ჩვენება. იგი ფიქსირებულია სწორად და სრულად.

ბრალდებული ა. ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
სპეციალისტი ვ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე

დადგენილება

ახალი ბრალდების წაყენების შესახებ

ქ. თბილისი 15 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. ს. კეცხოველმა განვიხილე № 227 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვლადიმერ ჰიპოკრატეს ძე კუხალეიშვილის მიმართ ხულიგნობის ჩადენის ფაქტზე.

გამოვარკვიე:

1987 წლის 10 სექტემბერს, რუსთაველის გამზირზე, კინოთეატრ „რუსთაველის" წინ ვლადიმერ ჰიპოკრატეს ძე კუხალეიშვილმა ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა, რისთვისაც იგი შეცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და წარედგინა ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ხულიგნობის ჩადენის დროს ვ. ი. კუხალეიშვილმა გამოიყენა სამზარეულო დანა, რომელიც შემდეგ გადააგდო. საქმეზე შეგროვილია საკმარისი მტკიცებულებები, რაც მიუთითებს ვ. კუხალეიშვილის მიერ ბოროტი ხულიგნობის ჩადენის დროს სამზარეულო დანის გამოყენებაზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 140-ე და 152-ე მუხლებით,

დავადგინე:

1. ვლადიმერ ჰიპოკრატეს ძე კუხალეიშვილს, დაბადებულს ქ. ზუგდიდში, 1963 წლის 14 იანვარს, ცოლშვილიანს, ეროვნებით ქართველს, უპარტიოს, სამართალში არყოფილს, ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტს, მცხოვრებს ქ. თბილისში, მიასნიკოვის ქ. № 47, ბინა 18, წარედგი-

ნოს ახალი ბრალდება ბოროტი ხულიგნობის დროს სამზარეულო დანიშნულების დანის გამოყენებისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით, რის შესახებაც გამოეცხადოს მას.

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის ყალინინის სახელობის რაიონის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ე. კეცხოველი

დადგენილება ახალი ბრალდების წაყენების შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 16 სექტემბერს. დადგენილებას გავეცანი პირადად. წაყენებული ბრალდების არსი ჩემთვის გასაგებია.

ბრალდებული კუხალეიშვილი

დადგენილება გამოვუცხადე და უფლებები განვუმარტე

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ე. კეცხოველი

დადგენილება

წაყენებული ბრალდების შეცვლის შესახებ

ქ. ქუთაისი 7 თებერვალი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა დ. კ. ვარდოსანიძემ განიხილე № 117 სისხლის სამართლის საქმე ვალერიან სიმონის ძე კოტრიკაძის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენის შესახებ,

გამოვარკვიე:

1987 წლის 2 იანვარს ქ. ქუთაისში, წერეთლის ქუჩაზე № 47 სახლის წინ პირად მფლობელობაში მყოფი მანქანის (№ 47—65 „ჟიგული") მძღოლმა ე. ს. კოტრიკაძემ უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები, გადააჭარბა სიჩქარეს, რის გამოც ვერ შეაჩერა მანქანა და დააჯახა იგი მოქ. ნადია ივანეს ასულ

პეტრენკოს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ნ. ი. პეტრენკოს საგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული აქვს სხეულის მძიმე დაზიანება, რის გამოც ე. ს. კოტრიკაძე მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში და წაეყენა ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მესამე ნაწილით.

გამოძიების პროცესში ჩატარებულ იქნა განმეორებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაზარალებულ ნ. ი. პეტრენკოს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული აქვს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. აღნიშნულის გამო წაყენებული ბრალდება უნდა შეიცვალოს და მძღოლის — ე. ს. კოტრიკაძის ქმედობა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 152-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ვალერიან სიმონის ძე კოტრიკაძის მიმართ ადრე წაყენებული ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მესამე ნაწილით, შეიცვალოს და ჩადენილი დანაშაული დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით.

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. ქუთაისის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი დ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

დადგენილება წაყენებული ბრალდების შეცვლის შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 8 თებერვალს. დადგენილებას გავეცანი პირადად. წაყენებული ბრალდების არსი ჩემთვის გასაგებია.

ბრალდებული ვ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

დადგენილება გამოვუცხადე და უფლებები განვუმარტე.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი დ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

წაყენებული ბრალდების ნაწილში საქმის შეწყვეტის შესახებ

ქ. რუსთავი 17 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. ს. კვირიკაძემ განვიხილე № 179 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ნიკოლოზ ივანეს ძე სიდოროვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით და 238-ე მუხლის მეორე ნაწილით.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 1 ნოემბერს არასრულწლოვანმა ნიკოლოზ ივანეს ძე სიდოროვმა, დაბადებულმა 1970 წლის 3 აგვისტოს ქ. რუსთავში, ავტობუსში (მარშრუტი № 10) დღის 3 საათზე მოქალაქე ვერა ნიკოლოზის ასულ ბეშკენაძეს ჯიბიდან ამოაცალა საფულე. ნ. სიდოროვი ადგილზე იქნა დაკავებული. პირადი ჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა დანა. ნ. ი. სიდოროვი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და წარედგინა ბრალდება ქურდობისა და ცივი იარაღის უნებართვო ტარებისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით და 238-ე მუხლის მეორე ნაწილით.

გამოძიების პროცესში დანიშნულ იქნა ცივი იარაღის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა. ექსპერტ-კრიმინალისტის დასკვნის საფუძველზე გამოსაკვლევი დანა არ მიეკუთვნა ცივი იარაღის კატეგორიას, არამედ იგი განისაზღვრა, როგორც სამზარეულო დანიშნულებისა, რომლის ტარებისათვის არ არის საჭირო სათანადო ნებართვა.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსკ 152-ე და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ბრალდებულ ნიკოლოზ ივანეს ძე სიდოროვის მიმართ, დანაშაული გათვალის-

წინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მეორე ნაწილით, შეწყდეს წარმოებით, დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო;

2. წაყენებული ბრალდების ნაწილში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გამოეცხადოს ბრალდებულ ნიკოლოზ ივანეს ძე სიდოროვს და განემარტოს უფლება დადგენილების გასაჩივრების შესახებ;

3. დადგენილების პირი გადაეცეს ქ. რუსთავის პროკურორს.

გამომძიებელი.
მილიციის ლეიტენანტი ე. ყ ვ ი რ ი კ ა ძ ე

დადგენილება წაყენებული ბრალდების ნაწილში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 18 ნოემბერს. დადგენილებას გაეცანი პირადად. დადგენილების შინაარსი ჩემთვის გასაგებია.

ბრალდებული ნ. სიდოროვი

მ ო თ ხ ო ვ ნ ა
განაჩენის პირისა

ქ. თბილისის კიროვის სახელობის
რაიონის სახალხო სასამართლოს
თავმჯდომარეს ამხ. ე. გ რ ი გ ა ლ ა შ ვ ი ლ ს

თბილისი, გორგასალის ქ. № 5

ჩემს წარმოებაში იმყოფება № 315 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ალბერტ სერგოს ძე ვანიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით. ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი გასამართლებული იყო კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ (მოსამართლე ვ. კაკაურიძე) 1979 წლის 5 სექტემბერს ხულიგნობისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილი) და მისჯილი ჰქონდა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

გთხოვთ გადმომიგზავნოთ ა. ვანიშვილის გასამართლების განაჩენის პირი ჩემს წარმოებაში მყოფ № 315 სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის
რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების
გამომძიებელი, მილიციის უფროსი
ლეიტენანტი ნ. სიდამონიძე

19 ნოემბერი, 1987 წ.

მოთხოვნა
დახასიათების გაცემის შესახებ

ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის
დირექტორს ამხ. ნ. ვარდოსანიძეს
თბილისი, ანაგის ქ. № 20

ჩემს წარმოებაში იმყოფება № 637 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული თქვენი სკოლის X კლასის მოსწავლის გივი ვარდენის ძე სუთიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა).

გამოძიების სრულყოფილი და ყოველმხრივი ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ სსსკ 62-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ გივი ვარდენის ძე სუთიძის დაწერილებითი დახასიათება. დახასიათებაში უნდა აღინიშნოს გ. სუთიძის დამოკიდებულება სწავლისადმი, ამხანაგებისადმი, პედაგოგებისადმი; მისი უახლოესი ამხანაგებისა და ნაცნობების შესახებ; საზოგადოებრივი დატვირთვა, იცოდნენ თუ არა სკოლის მასწავლებლებმა ან გ. სუთიძის ამხანაგებმა, რომ იგი სკოლაში ატარებდა სამზარეულო დანას; ხომ არ იყო სუთიძე წინათ შემჩნეული დისციპლინის დარღვევაში; ხომ არ ახდენდა მასზე უარყოფით გავლენას რომელიმე მოსწავლე.

დახასიათება წარმომიდგინეთ ა/წ 30 მაისისათვის.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის
პროკურატურის გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. ქერია

26 მაისი, 1987 წელი.

მოთხოვნა

ავადმყოფობის ისტორიისა

ქ. თბილისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს
მთავარ ექიმს ამხ. კ. სირბილაძეს

ჩემს წარმოებაში იმყოფება № 127 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული პეტრე ივანეს ძე თევდორაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით (ბოროტი ხულიგნობა).

პ. ი. თევდორაძემ განმარტა, რომ იგი მკურნალობდა და აღრიცხვაზე იმყოფებოდა თქვენდამი რწმუნებულ საავადმყოფოში 1980-1982 წლებში.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს სსრ სსსკ 62-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ გადმომიგზავნოთ პ. ი. თევდორაძის ავადმყოფობის ისტორიის დამოწმებული პირი ა/წლის 20 აგვისტოსათვის.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის
რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების
გამომძიებელი, მილიციის უფროსი
ლეიტენანტი ვ. ბუცხრიკიძე

16 აგვისტო, 1987 წ.

თავი V

აღკვეთის ღონისძიებანი

ვალდებულება

ბრალდებულის გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისი 21 იუნისი, 1987 წ.

მე, კარმანოვი გენადი ლევანის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ჭონქაძის ქ. № 25, ბინა № 7, საქართველოს სსრ სსსკ მე-80 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად ვაძლევ ამ ვალდებულებას კიროვის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, III კლასის იურისტს ვ. დ. მაკაკარიანს მასზედ, რომ გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დამთავრებამდე ჩემს საქმეზე ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილით, დროულად გამოვცხადდე საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში. ჩემს მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ვაცნობო გამომძიებელს ან სასამართლოს.

ვალდებულების დარღვევის შედეგები განმემარტა.

ბრალდებული გ. კარმანოვი

საქართველოს სსრ სსსკ მე-80 მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე ვალდებულება ჩამოვართვი,

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ვ. მაკაკარიანი

დადგენილება

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევის შესახებ

ქ. რუსთავი 13 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო

ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ს. კ. საკანდელიძემ № 178 სისხლის სამართლის საქმეზე წავუყენე ბრალდება თამაზ ბიჭიკოს ძე შენგელიას მასზედ, რომ 1987 წლის 3 დეკემბერს ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, 14 საათზე მასზე გაპიროვნებული ავტომანქანა ჟიგული — 1500 C № 31—37 გა დააჯახა ნადია პეტრეს ასულ ხორგუაშვილს და მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ ბრალდებულ თ. შენგელიას ქ. რუსთავში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, თავს ცნობს დამნაშავედ, მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს არ შეუშლის გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რომ იგი გამოცხადდება საგამოძიებო ორგანოში და სასამართლოში გამოძახებისთანავე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე, 84-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ თამაზ ბიჭიკოს ძე შენგელიას, დაბადებულს 1946 წელს ქ. თბილისში, რუსთაველი ლითონ-კონსტრუქციების ქარხნის მძღოლს, ცოლშვილიანს, სამართალში არყოფილს, მცხოვრებს ქ. რუსთავში, კალინინის ქ. № 27, ბინა 1-ელი, აღკვეთის ღონისძიების სახით ჩამოერთვას გაუსვლელობის ხელწერილი, რის შესახებაც, საქართველოს სსრ სსსკ 83-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადოს მას ამ დადგენილებაზე ხელის მოწერით.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ს ა კ ა ნ დ ე ლ ი ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 13 დეკემბერს,

ბრალდებული თ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გაუსვლელობის ხელწერილი

ქ. რუსთავი 13 დეკემბერი, 1987 წ.

მე, შენგელია თამაზ ბიჟიკოს ძე, მცხოვრები ქ. რუსთავში, კალინინის ქ. № 27, ბინა პირველი, ვაძლევ ხელწერილს ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელს, მილიციის უფროს ლეიტენანტ ს. კ. საკანდელიძეს მასზედ, რომ ჩემ საქმეზე გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დამთავრებამდე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვალდებული ვარ არ წავიდე ჩემი საცხოვრებელი ადგილიდან გამომძიებლის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე და გამოვცხადდე საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოძახებისთანავე.

გამომეცხადა, რომ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ჩემ მიმართ, საქართველოს სსრ სსსკ 84-ე მუხლის შესაბამისად, გამოიყენება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

ბრალდებული თ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

ხელწერილი ჩამოვართვი,
გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ს ა კ ა ნ დ ე ლ ი ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის გამოყენების შესახებ

ქ. წითელწყარო 15 ივლისი, 1987 წ.

წითელწყაროს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. კ. კილასონიამ № 381 სისხლის სამართლის საქმეზე წავუყენე ბრალდება გაიოზ ვახტანგის ძე ბექაურს მასზედ, რომ 1987 წლის 4 ივლისს ქ. წითელწყაროში აღმასკომის შენობაში მან ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ ბრალდებული გ. ბექაური არის არასრულწლოვანი, X კლასის მოსწავლე, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, თავს ცნობს დამნაშავედ, მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს არ შეუშლის გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, თავდები ნიკოლოზ პეტრეს ძე ჭოხონელიძე და თავდები ვარლამ სიმონის ძე ვარდოსანიძე იძლევიან გარანტიას, რომ უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-, 83-ე, 85-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

ბრალდებულ გაიოზ ვახტანგის ძე ბექაურს, დაბადებულს 1970 წლის 3 მარტს, ქ. წითელწყაროში, წითელწყაროს I საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეს, მცხოვრებს ქ. წითელწყაროში, ლენინის ქ. № 3, ბინა 5, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს პირადი თავდებობა. თავდებად დაინიშნონ: ნიკოლოზ პეტრეს ძე ჭოხონელიძე და ვარლამ სიმონის ძე ვარდოსანიძე, რის შესახებაც საქართველოს სსრ სსსკ 83-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადოს ბრალდებულს და თავდებთ.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი: ვ. კ ი ლ ა ს ო ნ ი ა

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 15 იელისს.

ბრალდებული გ. ბ ე ქ ა უ რ ი
თავდები ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე
თავდები ვ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

პირადი თავდებობის შესახებ

ქ. წითელწყარო 15 იელისი, 1987 წ.

მე, ნიკოლოზ პეტრეს ძე ჭოხონელიძე, ქ. წითელწყაროს 1 საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი, სამსახურის ტელეფონი 27-65, მცხოვრები ქ. წითელწყაროში, კიროვის

ქ. № 27, ტელეფონი 65-28. პასპორტი VI--ТИ № 673515, გაცემული წითელწყაროს შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1983 წლის 15 მაისს, ვაძლევ პირადი თავდებობის ხელწერილს წითელწყაროს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელს, მილიციის ლეიტენანტს — ვ. კ. კილასონიას მასზედ, რომ ვღებულობ ჩემს თავზე წერილობით ვალდებულებას უზრუნველვყო ბრალდებულ გაიოზ ვახტანგის ძე ბექაურის სათანადო ქცევა და მისი გამოცხადება გამომძიებლის და სასამართლოს გამოძახებისთანავე. განმემარტა, რომ გ. ბექაურმა ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით. ბრალდებული გ. ვ. ბექაური იცხოვრებს ქ. წითელწყაროში, ლენინის ქ. № 3, ბინა 5. თუ იგი საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლის, ვალდებული ვარ ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობო გამომძიებელს და სასამართლოს.

მე გაფრთხილებული ვარ, რომ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ სსსკ 86-ე მუხლის შესაბამისად, დამეკისრება ჯარიმა ან მანეთამდე.

პირადი თავდები ნ. ჭოხონელიძე

ხელწერილი ჩამოვართვი,
გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. კილასონია

დადგენილება

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობის გამოყენების შესახებ

ქ. ზუგდიდი 10 ივნისი, 1987 წ.

ქ. ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების მომკვლევმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ზ. გ. ღვინჯილიამ № 789 სისხლის სამართლის საქმეზე წავუყენე ბრალდება ვალერიან

ამბაკოს ძე ფაცაციას იმის თაობაზე, რომ 1987 წლის 1 ივნისს მოქალაქე პეტრე ივანეს ძე პაპავასაგან სპეკულაციის მიზნით შეიძინა 150 კგ დაფნის ფოთოლი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბივიდე მხედველობაში, რომ ვ. ფაცაციას მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის მძიმე, ბრალდებული თავს ცნობს დამნაშავედ, მისი სამუშაო ადგილიდან — ქ. ზუგდიდის № 1 ავტობაზიდან შემოვიდა პროფკავშირის ორგანიზაციის კრების შუამდგომლობა, რომლის საფუძველზეც პროფბიურო კისრულობს უზრუნველყოს ვ. ფაცაციას სათანადო ქცევა და მისი გამოცხადება გამომძიებელთან და სასამართლოში, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე, 87-ე მუხლებით.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ ვალერიან ამბაკოს ძე ფაცაციას, დაბადებულს 1958 წელს ქ. ზუგდიდში, ქ. ზუგდიდის № 1 ავტობაზის მძღოლს, ცოლშვილიანს, სამართალში არყოფილს, მცხოვრებს ქ. ზუგდიდში, კიროვის ქ. № 37, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობა, რის შესახებაც, საქართველოს სსრ სსსკ 83-ე მუხლის საფუძველზე, გამოეცხადოს მას დადგენილებაზე ხელის მოწერით.

მომკვლევი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზ. ღ ვ ი ნ ჯ ი ლ ი ა

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 10 იუნისს

ბრალდებული ფ ა ც ა ც ი ა

ხ ე ლ ნ ე რ ი ლ ი

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ვალდებულების შესახებ

ჩვენ, ქ. ზუგდიდის № 1 ავტობაზის პროფბიუროს თავმჯდომარე ე. დ. ალანია და პროფბიუროს მდივანი ზ. კ. კვარაცხელია გავეცანით სისხლის სამართლის საქმის მასალებს

ვ. ა. ფაცაციას მიმართ, რომელსაც ბრალი ედება დაფნის ფოთლის სპეკულაციაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით. ბრალდებული ვ. ა. ფაცაცია არის № 1 ავტობაზის მძღოლი. იგი სისტემატურად ასრულებს გეგმებს. არის პროფესიული კავშირის ორგანიზაციის წევრი. პროფესიული კავშირის ორგანიზაციის საერთო კრებამ დაადგინა, რომ კისრულობს საზოგადოებრივ თავდებობას (ოქმი № 5. 1987 წლის 7 ივნისი) უზრუნველყოს ვ. ა. ფაცაციას სამანადო ქცევა და მისი გამოცხადება გამომძიებელთან და სასამართლო ორგანოებში გამოძახებისთანავე.

ბრალდებული ვ. ა. ფაცაცია იცხოვრებს ხუგდიდში კიროვის ქ. № 37. მისი საცხოვრებელი ადგილის გამოცელის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაცნობებთ.

ქ. ზუგდიდის № 1 ავტობაზის
პროფბიუროს თავმჯდომარე ალანია

პროფბიუროს მდივანი ზ. ყვარაცხელია

ხელწერილი ჩამოვართვი, მომცელი
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზ. ღვინჯილია

11 ივნისი, 1987 წ.

დაპატიმრება
სერგო ნიკოლოზის ძე კოჩოროვისა
სანქციონირებულია
ქ. რუსთავის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ნ. თევდორაძე

19 ივნისი, 1987 წ.

დადგენილება

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ

ქ. რუსთავი 19 ივნისი, 1987 წ.

ქ. რუსთავის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. დ. პაპაშვილმა განვიხილე № 138 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული სერგო ნიკოლოზის ძე

კოჩოროვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207[1]-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 15 ივნისს, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე სერგო ნიკოლოზის ძე კოჩოროვი იყო ნასვამი. ქ. რუსთავში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელთან ილანძღებოდა, ხმაურობდა და ხმარობდა უცენზურო სიტყვებს. ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. კ. ადეიშვილმა წესრიგისაკენ მოუწოდა ს. კოჩოროვს, მაგრამ არ დაემორჩილა მოთხოვნას, გაუწია მას წინააღმდეგობა, მიაყენა ვ. ადეიშვილს სხეულის განსრახ მსუბუქი დაზიანება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207[1]-ე მუხლის მეორე ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ ბრალდებულ ს. კოჩოროვის თავისუფლებაში ყოფნა ხელს შეუშლის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ჭეშმარიტების დადგენაში, რომ მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე, 88-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ სერგო ნიკოლოზის ძე კოჩოროვს, დაბადებულს 1955 წელს ქ. ტულაში, ქ. რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშას, ცოლშვილიანს, სამართალში არყოფილს, დროებით მცხოვრებს ქ. რუსთავში, რუსთაველის ქ. № 7, ა. დ. ვორონცოვის ბინაში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, რის შესახებაც, საქართველოს სსრ სსსკ 83-ე მუხლის საფუძველზე, გამოეცხადოს მას დადგენილებაზე ხელის მოწერით;

2. აღნიშნული დადგენილება შესასრულებლად გადაეგზავნოს ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს.

გამოძიებელი,
II კლასის იურისტი ე. პ ა პ ა შ ვ ი ლ ი

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 19 ივნისს

ბრალდებული ს. კ ო ჩ ო რ ო ვ ი

შეტყობინება

დაპატიმრების შესახებ

ქ. რუსთავი 19 ივნისი, 1987

ქ. რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების
კომბინატის დირექტორს ამხ. ს. კვაჭაძეს
პირი: ა. დ. კოჩოროვას, მცხოვრები ქ. რუსთაველში,
რუსთაველის ქ. № 7, ა. ლ. ვოროსლოვის ბინაში

1987 წლის 15 ივნისს, 22 საათსა და 30 წუთზე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, ქ. რუსთავის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშა — სერგო ნიკოლოზის ძე კოჩოროვი ქ. რუსთავში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელთან ილანძღებოდა და ხმაურობდა, უცენზურო სიტყვებს ხმარობდა. არ დაემორჩილა უბნის ინსპექტორს, გაუწია მას წინააღმდეგობა და მიაყენა სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე[1] მუხლის მეორე ნაწილით.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულ სერგო ნიკოლოზის ძე კოჩოროვს ა/წლის 19 ივნისს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, რის შესახებაც, საქართველოს სსრ სსსკ 90-ე მუხლის შესაბამისად, გაცნობებთ თქვენ.

ქ. რუსთავის პროკურატურის
უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. პაპაშელი

დამტკიცებულია
ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის
პროკურორი ა. ახ ე ლ ე დ ი ა ნ ი

14 დეკემბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბრალდებულის დაძებნისა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ

ქ. თბილისი 14 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამოძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ს. კ. თევდორაშვილმა განიხილე № 127 სისხლის სამართლის საქმის მასალები გაშამ ვეისის ძე შარიფოვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში ათონელის ქუჩის № 18 სახლთან, დაახლოებით 23 საათსა და 40 წუთზე, გაშამ ვეისის ძე შარიფოვმა არასრულწლოვან გენადი ვასილის ძე პარასტატოვთან ერთად, წინასწარ შეთანხმებით, გაძარცვა მოქალაქე ვიქტორ პეტრეს ძე ზამბახიძე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მეორე ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ გ. შარიფოვმა ჩაიდინა მძიმე დანაშაული, იგი თავს არიდებს გამოძიების ორგანოებში გამოცხადებას, მისი ადგილსამყოფელი დადგენილი არ არის, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე, 88-ე და 197-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გამოცხადდეს ბრალდებულ გაშამ ვეისის ძე შარიფოვის ძებნა. გ. შარიფოვი ღაბადებულია 1955 წელს, ქ. მარნეულში, კიროვის ქ. № 7. ეროვნებით აზერბაიჯანელი, უპარტიო, დროებით უმუშევარი, უცოლშვილო, მცხოვრები ქ. თბილისში, შაუმიანის ქ. № 17, ბინა 13;

2. ძებნა დაევალოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას;

3. მოძებნის შემთხვევაში გ. ვ. შარიფოვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა და ეტაპირებულ იქნას ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ს. თ ე ვ დ ო რ ა შ ვ ი ლ ი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მშობლებისათვის სამეთვალყურეოდ გადაცემის შესახებ

ქ. ქუთაისი 19 ოქტომბერი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. დ. ყურაშვილმა № 175 სისხლის სამართლის საქმეზე წაეუყენე ბრალდება არასრულწლოვან გოჩა ვიტალის ძე ცაგარელს იმის თაობაზე, რომ იგი 1987 წლის 15 ოქტომბერს ჯიბით ატარებდა ფინურ დანას, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მეორე ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ ბრალდებული გ. ცაგარელი არის არასრულწლოვანი, ქ. ქუთაისის II საშუალო სკოლის X[1] კლასის მოსწავლე, წინათ იგი არ ყოფილა შემჩნეული დანაშაულის ჩადენაში, რომ იგი ცხოვრობს მშობლებთან. საქმარისად მიმაჩნია მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნას მშობლებისათვის სამეთვალყურეოდ გადაცემა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამომძიებელთან და სასამართლოში, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე და 93-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

არასრულწლოვან ბრალდებულ გოჩა ვიტალის ძე ცაგარელს, დაბადებულს 1972 წლის 12 სექტემბერს ქ. თბილისში, ქ. ქუთაისის II საშუალო სკოლის X[1] კლასის მოსწავლეს, მცხოვრებს ქ. ქუთაისში, ჩიჩელაშვილის ქუჩის 1-ელ შესახვევში, № 17, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს მშობლებისათვის სამეთვალყურეოდ გადაცემა: მამა ვიტალი პეტ-

რეს ძე ცაგარელი, დედა ნადეჟდა სერგოს ასული ცაგარელი, მცხოვრებნი იმავე მისამართით, რის შესახებაც გამოეცხადოს ბრალდებულს და მის მშობლებს.

გ.მომძიებელი.
მილიციის ლეიტენანტი ვ. ყურაშვილი

დადგენილება გამოგვეცხადა 1987 წლის 20 ოქტომბერს.

ბრალდებული გ. ცაგარელი
მშობლები: მამა ვ. ცაგარელი
დედა ნ. ცაგარელი

ვალდებულება

არასრულწლოვანის მეთვალყურეობის შესახებ

ჩვენ, ბრალდებულ გ. ცაგარელის მშობლები: მამა — ვიტალი პეტრეს ძე ცაგარელი, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის ამწყობი საამქროს ინჟინერი, დედა — ნადეჟდა სერგოს ასული ცაგარელი, ქ. ქუთაისის 1-ელი საავადმყოფოს ექთანი, მცხოვრებნი ქ. ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქ. 1-ელი შესახვევი, №-17, ვკისრულობთ ვალდებულებას ქ. ქუთაისის მილიციის სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის ვ. დ. ყურაშვილის წინაშე, რომ უზრუნველვყოფთ ჩვენი შვილის — გ. ცაგარელის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას საგამომიებო და სასამართლო ორგანოებში.

ჩვენ განგვემარტა, რომ გ. ცაგარელი 1987 წლის 15 ოქტომბერს უნებართვოდ ატარებდა ფინურ დანას, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ჩვენ გაფრთხილებული ვართ, რომ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის შესაბამისად. დაგვეკისრება ფულადი ჯარიმა ას მანეთამდე.

ბრალდებულის მშობლები:
მამა ვ. ცაგარელი
დედა ნ. ცაგარელი
ვალდებულება ჩამოვართვი,
გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. ყურაშვილი
20 ოქტომბერი, 1987 წელი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით სკოლა ინტერნატის დირექტორის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემის შესახებ

ქ. თბილისი 15 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამოძიებელმა, უფროსმა ლეიტენანტმა დ. კ. სტურუამ № 171 სისხლის სამართლის საქმეზე წავუყენე ბრალდება ივანე ვასილის ძე პეტროვს, იმის შესახებ, რომ მან 1987 წლის 5 სექტემბერს 23 საათზე გაძარცვა მოქალაქე ნათელა თედორეს ასული კვიცარიძე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ ბრალდებული ი. პეტროვი არის არასრულწლოვანი, სამართალში არყოფილი, რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლე, საკმარისად მიმაჩნია მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამომძიებელთან და სასამართლოში გამოძახებისთანავე. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე, 93-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

არასრულწლოვან ბრალდებულ ივანე ვასილის ძე პეტროვს, დაბადებულს ქ. თბილისში 1971 წლის 7 სექტემბერს, რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეს, მცხოვრებს ქ. თბილისში, ხუდადოვის ქ. № 8, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორის — ვლადიმერ პეტრეს ძე საკანდელაძის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, რის შესახებაც გამოეცხადოს

ბრალდებულს და რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

გამომძიებელი,
უფროსი ლეიტენანტი დ. სტურუა

დადგენილება გამოგეცხადა 1987 წლის 15 სექტემბერს.

ბრალდებული ი. პეტროვი

რესპუბლიკური სპეციალიზებული
საშუალო სკოლა-ინტერნატის
დირექტორი ვ. საკანდელაძე

ვალდებულება

არასრულწლოვანზე ზედამხედველობის დაწესების შესახებ

მე, ქ. თბილისის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვლადიმერ პეტრეს ძე საკანდელაძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ოქტომბრის ქ. № 45, ბინა 17, ტელ. 95-17-65, ვღებულობ ვალდებულებას ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებლის, უფროს ლეიტენანტ დ. კ. სტურუას წინაშე, რომ ზედამხედველობას გავუწევ რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლეს, ბრალდებულ ი. პეტროვს, უზრუნველვყოფ მის სათანადო ქცევას და გამოცხადებას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოძახებისთანავე.

განმემარტა, რომ ი. ვ. პეტროვმა 1987 წლის 5 სექტემბერს გაძარცვა მოქალაქე ნათელა თედორეს ასული კვიცარიძე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო
სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვ. საკანდელაძე

ვალდებულება ჩამოვართვი,
გამომძიებელი, უფროსი ლეიტენანტი დ. სტურუა

15 სექტემბერი, 1987 წ.

დადგენილება

პატიმრის ბავშვებზე მზრუნველობის დაწესების შესახებ

ქ. ფოთი 17 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. ფოთის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა დ. კ. ღვინჯილიამ განიხილა № 125 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ბრალდებულ ვალერი კონსტანტინეს ძე ცქიფურიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით.

გამოვარკვიე:

1987 წლის 6 დეკემბერს 19 საათზე ვ. ცქიფურიშვილმა თავის საცხოვრებელ სახლში გულმკერდის არეში დანის დარტყმით მოკლა თავისი მეუღლე ნათელა ოთარის ასული ცქიფურიშვილი. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია წინასწარი პატიმრობა. ბრალდებულს პყავს ორი არასრულწლოვანი შვილი: ზაზა ვალერის ძე ცქიფურიშვილი — 14 წლის და ნანა ვალერის ასული ცქიფურიშვილი — 11 წლის. იმის გამო, რომ ბავშვები დარჩნენ მშობლების გარეშე, მათზე უნდა დაწესდეს მზრუნველობა. ბავშვებზე მეურვეობის გაწევა შეუძლია გარდაცვალებულის დას — ვენერა ოთარის ასულ კვიჟინაძეს, ქ. ფოთის 1-ელი საშუალო სკოლის მასწავლებელს, მცხოვრებს ქ. ფოთში, აკაკის ქუჩა № 5, ბინა 2, რომელმაც განაცხადა თანხმობა მეურვეობა გაუწიოს ბავშვებს. ეახელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 91-ე მუხლით,

დავადგინე:

1. მასალები არასრულწლოვან ზაზა ვალერის ძე ცქიფურიშვილის (14 წლის) და ნანა ვალერის ასული ცქიფურიშვილის (11 წლის) მიმართ გადაეცეს ქ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს მეურვეობის საკითხის გადასაწყვეტად;

2. მეურვეობის საკითხის გადაწყვეტამდე ბავშვებზე მზრუნველობა დაეკისროს ვერა ოთარის ასულ კვიჟინაძეს, ქ. ფოთის 1-ელი საშუალო სკოლის მასწავლებელს, მცხოვრებს ქ. ფოთში, აკაკის ქ. № 5, ბინა 2.

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი — დ. ღვინჯილია

დადგენილება გამოგვეცხადა 1987 წლის 18 დეკემბერს.

მზრუნველი — ვ. კვიკვინაძე
ბრალდებული — ვ. ცქიფურიშვილი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

პატიმრის ბინისა და ქონების დაცვის ღონისძიებათა შესახებ

ქ. თბილისი — 29 იანვარი, 1987 წ.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ო. ვ. მესხმა განიხილე № 275 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ბრალდებულ ვლადიმერ კიმოთეს ძე ბოთერაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 5 იანვარს, 15 საათზე, IV საშუალო სკოლის დირექტორმა, ვლადიმერ კიმოთეს ძე ბოთერაშვილმა თავის ოთახში მოქალაქე პეტრე კირილეს ძე კოტრიკაძისაგან ქრთამის სახით მიიღო ასი მანეთი. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია წინასწარი პატიმრობა. იმის გამო, რომ ბრალდებული ცხოვრობდა მარტო, მისი ბინა და ქონება, მდებარე ქ. თბილისში ოქტომბრის ქ. № 3, ბინა 5, დარჩა უმეთვალყურეოდ, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 92-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ ვლადიმერ კიმოთეს ძე ბოთერაშვილის ჭონება, აღწერის შესაბამისად. ჩაბარდეს შესანახად ოქტომბრის რაიონის № 18 საბინაო-საექსპლოატაციო დაწესებულების მმართველს ვ. კ. კვირიკაძეს;

2. ბრალდებულის ბინა, მდებარე ოქტომბრის ქ. № 3, ბინა 5, დაილუქოს და სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე მასზე ხედამხედველობა დაეკისროს ოქტომბრის რაიონის № 18 საბინაო-საექსპლოატაციო დაწესებულების მმართველს ვ. კ. კვირიკაძეს.

გამომძიებელი.
III კლასის იურისტი ო. მ ე ს ხ ი

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 29 იანვარს.

№ 18 საბინაო-საექსპლოატაციო დაწესებულების
მმართველი ვ. კ ვ ი რ ი კ ა ძ ე

დამტკიცებულია
თამაზ ბიჭიკოს ძე შენგელიასი
სანქციონირებულია
ქ. რუსთავის პროკურორი. იუსტიციის მრჩეველი
ს. თ ე ე დ ო რ ა ძ ე

29 დეკემბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ

ქ. რუსთავი 29 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ს. კ. საკანდელიძემ განვიხილე № 178 სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ თამაზ ბიჭიკოს ძე შენგელიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 3 დეკემბერს, 14 საათზე, ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირზე თ. ბ. შენგელიამ მასზე გაპიროვნებული ავტომანქანა ჟიგული — 1500, სახელმწიფო C № 31-37 გა დაეჯახა ნადია პეტრეს ასულ ხორგუაშვილს და მიაყენა სხეულის საკლებად მძიმე დაზიანება. ბრალდებულ თ. შენგელიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გაუსვლელობის ხელწერილი. მიუხედავად აღნიშნულისა, ბრალდებული თ. შენგელია თავს არიდებს გამომძიებელთან გამოცხადებას, ხელს უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ეძებს ცრუ მოწმეებს.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, ბრალდებულ თ. ბ. შენგელიას უნდა შეეცვალოს წინათ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება — გაუსვლელობის ხელწერილი და შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80, 82-ე, 83-ე, 88-ე და 94-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ თამაზ ბიჭიკოს ძე შენგელიას, დაბადებულს 1946 წელს ქ. თბილისში, ცოლშვილიანს, სამართალში არყოფილს, მცხოვრებს ქ. რუსთავში, კალინინის ქ. № 27, ბინა 1-ელი, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, რის შესახებაც, საქართველოს სსრ სსსკ 83-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადოს მას დადგენილებაზე ხელის მოწერით.

2. დადგენილება შესასრულებლად გადაეგზავნოს ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ს ა კ ა ნ დ ე ლ ი ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 30 დეკემბერს.
ბრალდებული თ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

„ე ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი“
ბრალდებულ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ზოტოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების — წინასწარ პატიმრობის — გაუქმებას.
ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი
ვ. კ ა კ ა უ რ ი ძ ე
22 თებერვალი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ალკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ

ქ. თბილისი 22 თებერვალი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. კ. გაბისონიამ განვიხილე № 491 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ბრალდებულ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ზოტოვის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ზოტოვი მიცემულ იქნა პასუხისგებაში სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის. ბრალდებული ა. ზოტოვი ხშირად იცვლიდა სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებს და თავს არიდებდა გამოძიების ორგანოში გამოცხადებას. პროკურორის მითითების საფუძველზე ა. ზოტოვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა.

ამჟამად ბრალდებულმა უკვე მთლიანად დაფარა გადასახდელი თანხა, ჩადენილ დანაშაულში თავი ცნო დამნაშავედ, მისი პატიმრობიდან განთავისუფლება ხელს არ შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ არის საჭირო მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნა. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-80 და 94-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ზოტოვის მიმართ (დაბადებული ქ. კრასნოდარში 1950 წლის 16 სექტემბერს, სამართალში არყოფილი, ქ. თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა, მცხოვრები ქ. თბილისში, ავქალის გზატკეცილი № 7, ბინა 5) აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა — გაუქმდეს და განთავისუფლდეს, რის შესახებაც გამოეცხადოს მას დადგენილებაზე ხელის მოწერით.

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის უფროსს სისრულეში მოსაყვანად და ბრალდებულ ა. ა. ზოტოვის დაუყოვნებლივ გასათავისუფლებლად.

3. ბრალდებულ ა. ა. ზოტოვს ჩამოერთვას ვალდებულება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოძახებისთანავე გამოცხადების შესახებ.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ვ. გ ა ბ ი ს ო ნ ი ა

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 23 თებერვალს.

ბრალდებული ა. ზ ო ტ ო ვ ი.

თავი VI

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა

ოქმი

მოწმის დაკითხვისა

ქ. ბათუმი 10 იელისი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 10 საათსა და 40 წუთზე, დამთავრდა 11 საათსა და 40 წუთზე.

ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ზ. ვ. კოდუამ ჩემ სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 154-ე, 156-ე. 157-ე, 158-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, № 154 სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაეკითხე:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — რამიშვილი სულიკო თეოფანეს ძე.

2. დაბადების წელი — 1942 წლის 15 ნოემბერი.

3. დაბადების ადგილი — ჩოხატაური.

4. მოქალაქეობა და ეროვნება — სსრ კავშირის მოქალაქე, ქართველი.

5. პარტიულობა — უპარტიო.

6 საქმიანობა და სამუშაო ადგილი — ქ. ბათუმის სასადილოების ტრესტის გაერთიანების გამგე.

7. განათლება — საშუალო.

8. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი.

9. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.

10. საცხოვრებელი ადგილი — ქ. ბათუმი, ტურგენევის ქ. № 37.

11. პირადობის დამადასტურებელი საბუთი — პასპორტი

IV-ТИ № 678949, გაცემული ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1983 წლის 17 ნოემბერს.

12. რა დამოკიდებულებაშია ბრალდებულთან ან დაზარალებულთან? ბრალდებულს არ იცნობს, დაზარალებული არის მოწმის ხელქვეითი.

საქართველოს სსრ სსსკ 156-ე მუხლის შესაბამისად, მოწმეს განემარტა უფლებები და მოვალეობანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 64-ე, 158-ე მუხლებით. მოწმე ს. თ. რამიშვილი გაფრთხილებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისა და ამავე კოდექსის 197-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

მოწმის ხელის მოწერა ს. რამიშვილი

წინადადებაზე, თქვას ყველაფერი, რაც კი ცნობილია მისთვის იმ გარემოებათა შესახებ, რასაც კავშირი აქვს საქმესთან, მოწმემ აჩვენა: ვმუშაობ ქ. ბათუმის სასადილოების ტრესტის გაერთიანების გამგედ. გაერთიანებაში შედის № 32 სახინკლე, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში ი. ჭავჭავაძის ქ. № 57. 1987 წლის 29 ივნისს დაახლოებით 21 საათზე გავიარე აღნიშნულ სახინკლეში. შესვლის დროს შევნიშნე სახინკლედან გამოვიდა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა ვაჟი; როგორც გავიგე, ჰქვია მერაბი. მერაბის გამოყვა მებუფეტე ანზორ ვლადიმერის ძე ლორია და უთხრა, დანახარჯი გადაიხადეო. რაზეც მერაბიმ უარი განაცხადა. ჩემთან ერთად სახინკლეს წინ იდგა მეორე მებუფეტე (შემცვლელი) რეზო ანზორის ძე ჩავლეიშვილი. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ იხდიდა ფულს, მერაბიმ მიპასუხა: „მე დამპატიჟა ჩემმა ამხანაგმა და ფული რატომ უნდა გადავიხადოო“. იქვე მდგომმა ა. ლორიამ განაცხადა, რომ „სწორედ ამ ახალგაზრდამ დაპატიჟა სახინკლეს წინ მდებარე ფეხსაცმლების შემკეთებელ სახელოსნოში მომუშავე ალბერტ პეტრეს ძე ჩხარტიშვილიო“. ამ საუბრის დროს ა. ჩხარტიშვილი შემთხვევის ადგილზე არ იყო, იგი თავის სახე-

მოწმის ხელის მოწერა ს. რამიშვილი

ლოსნოს წინ იჯდა. მერაბი ძალზე ნასვამი იყო და ვერჩიე წასულიყო სახლში, მეორე დღეს მოეტანა დანახარჯი, რადგან. როგორც თვითონ თქვა, ფული თან არ ჰქონდა.

ამ საუბრის შემდეგ მე შევედი სახინკლეს სამზარეულოში, სადაც ათ წუთამდე დავყავი, როდესაც სამზარეულოდან ქუჩაში გამოვედი, დავინახე, რომ მებუფეტეები ა. ლორია და რ. ჩაველეიშვილი მერაბს ეჩიდებოდნენ. მერაბის ხელში დანა ეჭირა, ხოლო ა. ლორია ცდილობდა მისთვის დანის წართმევას.

ლორიამ მას ხელი გადაუგრიხა და დანა წაართვა. მე მოვიხიდე ა. ლორიას და მერაბის დაზავება. შევამჩნიე. რომ მერაბის სახეზე სისხლნაჟღენთები ჰქონდა. მე მას მივმართე თხოვნით, სახლში წასულიყო. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მოვიდა ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ვაჟი — ამირანი, რომელიც აღმოჩნდა მერაბის მეზობელი. მან იგი სახლში წაიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ ამირანი დაბრუნდა სახინკლეში. მე მას ვთხოვე დარჩენილიყო სახინკლეში, რადგან მერაბი შეიძლებოდა ისევ დაბრუნებულიყო. ამირანმა მიპასუხა, მერაბი თავის დედას ჩავაბარე და მას უკან აღარ გამოუშვებენო. ამ საუბრის შემდეგ ამირანი წავიდა. მისი წასვლის შემდეგ მე მივედი უბნის ინსპექტორთან, რომელსაც ჭავჭავაძისა და ენგელსის ქუჩების კუთხეში აქვს სამუშაო ოთახი. მოვახსენე მომხდარი ფაქტის შესახებ და ვთხოვე წესრიგის დაცვის მიზნით მოსულიყო სახინკლეში. შემდეგ მე უკანვე, სახინკლეში დავბრუნდი.

დაახლოებით 10—15 წუთის შემდეგ დავინახე, რომ სახინკლეში ისევ დაბრუნდა მერაბი. მე მას ვთხოვე სახლში წასვლა. ამ დროს დავინახე, რომ შემთხვევის ადგილზე მოდიოდა უბნის ინსპექტორი. ინსპექტორმა მერაბი წაიყვანა. ამ უკანასკნელს უბნის ინსპექტორისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მათი წასვლიდან 20—25 წუთის შემდეგ უბნის ინსპექტორის საუშაო ოთახიდან ისმოდა ყვირილი. მერაბი გაიქცა. ყვირილის გაგონებისთანავე მე და ჩაველეიშვილი გავიქეცით უბნის ინსპექტორის სამუშაო ოთახისაკენ, სადაც ხალხი იყო თავშეყრილი. უბნის ინსპექტორი ქუჩაში იყო გამოსული და მერაბის ეძებდა; იქვე მდგომმა მოქალაქემ უბნის ინსპექტორს უთხრა, რომ მერაბი იქვე, ახლოს იდგა ქუჩაში. ამის შემდეგ

მოწმის ხელის მოწერა ს. რამიშვილი

მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს მერაბი და წაიყვანეს მილიციის განყოფილებაში.

კ ი თ ხ ვ ა: როდესაც მებუფეტეები ა. ლორია და რ. ჩავლეიშვილი მერაბს დანას ართმევდნენ, იგი ფეხზე იდგა, თუ წაქცეული იყო?

პ ა ს უ ხ ი: ამ დროს მერაბი წაქცეული იყო.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენ მიერ წარმოდგენილი დანა არის ის, რომელიც მებუფეტე ა. ლორიამ მერაბს წაართვა, თუ არა?

პ ა ს უ ხ ი: ჩემ მიერ წარმოდგენილი დანა არის ის, რომელიც მებუფეტე ა. ლორიამ მერაბს წაართვა.

კ ი თ ხ ვ ა: ჩხუბის დროს სახინკლეს წინ ხალხმა მოიყარა თავი; ხომ არ იცნობთ რომელიმე მათგანს?

პ ა ს უ ხ ი: იქ მყოფი თავმოყრილი მოქალაქეებიდან მე არავის არ ვიცნობ.

კ ი თ ხ ვ ა: შემთხვევის ადგილზე მისულ უბნის ინსპექტორს ეცვა თუ არა ფორმა?

პ ა ს უ ხ ი: მილიციის ინსპექტორს შემთხვევის ადგილზე მისვლის დროს ეცვა ფორმა.

ოქმი წავიკითხე პირადად. იგი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად სრულად და სწორად.

მოწმე ს. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

გამომძიებელი, მილიციის
ლეიტენანტი ზ. კ ო დ უ ა

ო ქ მ ი

არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვისა

ქ. რუსთავი 30 იელისი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 11 საათზე,
დამთავრდა 12 საათზე.

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. ზ. ვარდიაშვილმა, საქართველოს სსრ სსსკ 154-ე, 156-ე,

157-ე და 158-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მოწმის საცხოვრებელ ბინაში (ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი, № 33/67) № 129 სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაეკითხე არასრულწლოვანი ხორგუაშვილი ლია გიორგის ასული. დაკითხვას ესწრებოდა დედა — ფედოსია გიორგის ასული ხორგუაშვილი (დიასახლისი, მცხოვრები ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 33/67).

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — ხორგუაშვილი ლია გიორგის ასული.

2. დაბადების წელი, თვე და რიცხვი — 1972 წლის 21 იანვარი.

3. დაბადების ადგილი — ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი, № 33/67.

4. წლოვანების დამადასტურებელი საბუთი — დაბადების მოწმობა, გაცემული ქ. რუსთავის მმაჩის ბიუროს მიერ 1972 წლის 23 იანვარს.

5. საცხოვრებელი ადგილი — ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი № 33/67.

6. ვისთან ცხოვრობს — მშობლებთან და დებთან ერთად.

7. რა საქმიანობას ეწევიან მშობლები — მამა — ხორგუაშვილი გიორგი პეტრეს ძე, ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ეკონომისტი, დედა — ხორგუაშვილი ფედოსია გიორგის ასული — დიასახლისი.

8. სად სწავლობს ან სწავლობდა — ქ. რუსთავის № 13 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

9. სად მუშაობს — არ მუშაობს.

10. არის ან იყო თუ არა პიონერულ ორგანიზაციაში ან კომკავშირში — პიონერი.

11. რა დამოკიდებულებაშია ბრალდებულთან ან დაზარალებულთან — ბრალდებულს არ იცნობს, დაზარალებული არის მისი და.

მოწმის ხელის მოწერა ლ. ხ ო რ გ უ ა შ ვ ი ლ ი

საქართველოს სსრ სსსკ 157-ე მუხლის შესაბამისად, მოწმის მშობელს — ფ. გ. ხორგუაშვილს განემარტა თავისი უფლებები და მოვალეობანი.

მშობელი ფ. ხ ო რ გ უ ა შ ვ ი ლ ი

მოწმეს — ლ. გ. ხორგუაშვილს განემარტა, რომ იგი ვალდებულია მისცეს სწორი ჩვენება.

მოწმე ლ. ხ ო რ გ უ ა შ ვ ი ლ ი

წინადადებაზე. თქვას ყველაფერი, რაც კი ცნობილია მისთვის იმ გარემოებათა შესახებ, რასაც კავშირი აქვს საქმესთან, მოწმემ აჩვენა:

1987 წლის 21 ივლისს მე ჩემ დებთან ნუნუსთან და ნანასთან ერთად ვთამაშობდი ჩვენი სახლის ეზოში ჭიაკოკონობას. უკვე საღამო იყო და ბნელდებოდა, როდესაც დედამ დამიძახა: „ლია, წამოიყვანე ნუნუკა და ნანა და ყველანი ერთად ამოდით სახლში", მე მოვკიდე ხელი ჩემს პატარა დას ნუნუკას და წავედით სახლში. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ნანა ვერ დავინახე ეზოში. ვიფიქრე, რომ ნანა ჩემზე ადრე ავიდა სახლში. როდესაც მე და ნუნუკა სახლში ავედით, იქ ნანა არ დაგვხვედა. დედამ დამავალა ნანას დაძახება და მისი სახლში მოყვანა. ჩავედი ეზოში. ამ დროს გავიგონე ვიღაც უცნობი კაცის ხმა, რომელიც ყვიროდა: „ვისია ბავშვი". მე წავედი იმ უცნობი კაცისაკენ და დავინახე, რომ მას ხელში ეჭირა ნანა, რომელსაც სისხლი სდიოდა. ამ უცნობი კაცისაგან გავიგე, რომ ნანას დაეჯახა მანქანა. მე დავიწყე ხმამაღალი ტირილი და დედის დაძახება. დედის ჩამოსვლამდე ჩემი და — ნანა მანქანით წაიყვანეს საავადმყოფოში.

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ დაგინახავთ რომელი მანქანა დაეჯახა თქვენს დას?

პ ა ს უ ხ ი: რომელი მანქანა დაეჯახა ჩემს დას არ დამინახავს. ამის შესახებ მე მითხრა იმ უცნობმა კაცმა, რომელსაც ნანა ეჭირა ხელში.

ოქმი წამიკითხა გამომძიებელმა, იგი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად სწორად და სრულად.

მოწმე ლ. ხ ო რ გ უ ა შ ვ ი ლ ი

ოქმი წავიკითხე პირადად, არავითარი შენიშვნები არ მაქვს. ოქმი შედგენილია სწორად და სრულად.

მშობელი ფ. ხ ო რ გ უ ა შ ვ ი ლ ი

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ე. ვ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი

ო ქ მ ი

მოწმის დამატებითი დაკითხვისა

ქ. ზესტაფონი 8 ივლისი. 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 14 საათზე,
დამთავრდა 14 საათსა და 50 წუთზე.

ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ზ. ნ. ვარდოსანიძემ, საქართველოს სსრ სსსკ 154-ე, 156-ე, 158-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ჩემს სამუშაო ოთახში, № 176 სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დამატებით დავკითხე გივი ვანოს ძე ნაკაშიძე. ანკეტური მონაცემები მოწმის შესახებ იხილეთ სისხლის სამართლის საქმე № 176, ტომი I, ს. ფ. 69.

საქართველოს სსრ სსსკ 155-ე მუხლის შესაბამისად, მოწმეს განემარტა უფლება-მოვალეობანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 64-ე, 158-ე მუხლებით. მოწმე გ. ვ. ნაკაშიძე გაფრთხილებულია, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად იგი პასუხს აგებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისა და ამავე კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

მოწმე გ. ნ ა კ ა შ ი ძ ე

წინადადებაზე, თქვას ყველაფერი, რაც კი ცნობილია მისთვის იმ გარემოებათა შესახებ, რასაც კავშირი აქვს საქმესთან, მოწმემ აჩვენა:

ჩემ მიერ 1987 წლის 25 ივნისს მიცემულ ჩვენებას მთლიანად ვადასტურებ. დამატებით განვმარტავ, რომ 1987 წლის 20 ივნისს დაახლოებით 11 საათზე მე და ჩემი ამხანაგი ვალერიან იაკობის ძე კაპანაძე წავედით კინოსურათის სანახავად. კინოს ნახვის შემდეგ წავედით ავტოსადგურისაკენ, სადაც შეგვხვდა ჩემი მეზობელი და თანაკლასელი ლერი პეტრეს ძე

ყანჩაველი. იგი მარტო იყო, ეცვა ყავისფერი შარვალი და თეთრი პერანგი. ჩვენ ყველას გვშიოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ საკოლმეურნეო ბაზარში გვეყიდა კიტრი და პომიდორი, შევსულიყავით სასადილოში და გვესადილა, ჩვენ სამივე შევედით ბაზარში. ლერიმ იყიდა 3კგ კიტრი და 2 კგ პომიდორი. ბაზრიდან გამოსვლის დროს შეგვხვდა ვ. კაპანაძის ნათესავი, დაახლოებით 35 წლის კაცი, რომლის გვარიც შემდგომში გავიგე, ყოფილა ვახტანგ ფერაძე. ვ. ფერაძემ დაგვპატიჟა სამივენი თავის სახლში, სადაც წავედით ფერაძის მიერ დაქირავებული ავტომანქანით — „ჟიგულით".

კ ი თ ხ ვ ა: იცნობდა თუ არა ვ. კაპანაძე ლერი ყანჩაველს?

პ ა ს უ ხ ი: კაპანაძე არ იცნობდა ლ. ყანჩაველს.

კ ი თ ხ ვ ა: იცნობთ თუ არა თქვენ მანქანის მძღოლს?

პ ა ს უ ხ ი: მანქანის მძღოლს მე არ ვიცნობდი, იგი პირველად ვნახე.

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გახსოვთ მანქანის ფერი ან მისი სახელმწიფო ნომერი?

პ ა ს უ ხ ი: მანქანა იყო რუხი ფერის. მანქანის სახელმწიფო ნომერი არ მახსოვს.

ოქმი წავიკითხე პირადად. იგი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად სწორად და სრულად.

მოწმე — გ. ნ ა ვ ა შ ი ძ ე

გამომძიებელი,
მილიციის კაპიტანი — ზ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

მოწმის იძულებითი წესით მოყვანის შესახებ

ქ. ბორჯომი — 17 დეკემბერი, 1987 წ.

ბორჯომის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ვ. დ. ბლიაძემ განვიხილე ჩემ წარმოებაში მყოფი № 272 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ჯონდო კირილეს ძე თაგოშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

აღნიშნულ საქმეზე მოწმის სახით ორჯერ იყო გამოძახებული ნარინდოშვილი გურამ ფილიპეს ძე: ა/წ 1 დეკემბერს და ა/წ 10 დეკემბერს.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ორივე შემთხვევაში მოწმე გ. ფ. ნარინდოშვილს უწყება მისი პროკურატურაში გამოცხადების შესახებ ჩაბარდა, მაგრამ იგი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება პროკურატურაში.

ზევიდან მსედველობაში აღნიშნული გარემოება და ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 64-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. მოწმე გურამ ფილიპეს ძე ნარინდოშვილი, დაბადებული 1955 წელს ქ. ბორჯომში, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მუშა, მცხოვრები ქ. ბორჯომში, ორჯონიკიძის ქ. № 7, მოყვანილ იქნას იძულებითი წესით ბორჯომის რაიონის პროკურატურაში ა/წლის 28 დეკემბერს, დილის 10 საათზე, II სართული, ოთახი 3.

2. აღნიშნული დადგენილების შესრულება დაევალოს ბორჯომის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს.

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ვ. ბ ლ ი ა ძ ე

ო ქ მ ი

მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ

ქ. ბორჯომი 28 დეკემბერი, 1987 წ.

ბორჯომის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ვ. ლ. ბლიაძემ № 272 სისხლის სამართლის საქმეზე, აღძრული ჯონდო კირილეს ძე თაგოშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლით. დამსწრეთა მონაწილეობით: 1) ვასილ პეტრეს ძე ჩხიკვიშვილი, ბორჯომის წყლის

ჩამომსხმელი ქარხნის ეკონომისტი, მცხოვრები ლენინის ქ. № 7, ბინა 2, 2) ნოდარ ზაურის ძე ოყროშიძე, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის საამქროს უფროსი, მცხოვრები კიროვის ქ. № 7, ჩემ სამუშაო ოთახში შევადგინე აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ იძულებით წარმოდგენილმა მოწმემ გურამ ფილიპეს ძე ნარინდოშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაფრთხილებულ იქნა საქართველოს სსრ სსსკ 64-ე მუხლის საფუძველზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა ან შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, 198-ე მუხლები), მაინც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, რადგან ბრალდებული ჯ. კ. თაგოშვილი არის მისი ამხანაგი და არ სურს ამხილოს იგი ჩადენილ დანაშაულში.

ოქმი წამეკითხა, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

მოწმე გ. ნარინდოშვილი

დამსწრეები: 1. ვ. ჩხიკვიშვილი
2. ნ. ოყროშიძე

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ბ. ლიაძე

ოქმი

დაზარალებულის დაკითხვისა

(სპეციალისტის მონაწილეობით)

ქ. ზესტაფონი 7 დეკემბერი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 12 საათსა და 20 წუთზე,
დამთავრდა 13 საათსა და 10 წუთზე.

ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ს. კ. არაბიძემ, ზესტაფონის რაიონის

საავადმყოფოში. საქართველოს სსრ სსსკ 154-ე. 156-ე, 158-ე, 159-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, სპეციალისტის — ვლადიმერ კარლოს ძე სირბილაძის (ზესტაფონის რაიონის საავადმყოფოს ექიმი — ქირურგი, მცხოვრები ქ. ზესტაფონში, ლენინის ქ. № 17) მონაწილეობით, № 345 სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სახით დავკითხე:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — ნებიერიძე გიორგი ვლადიმერის ძე.

2. დაბადების წელი, თვე და რიცხვი — 1941 წლის 6 თებერვალი.

3. დაბადების ადგილი — ქ. ზესტაფონი.

4. მოქალაქეობა და ეროვნება — სსრ კავშირის მოქალაქე, ქართველი.

5. პარტიულობა — სკკპ წევრი.

6. საქმიანობა და სამუშაო ადგილი — „ზესტაფონმშენის" მუშა.

7. განათლება — 8 კლასი.

8. ოჯახური მდგომარეობა — ცოლშვილიანი (მეუღლე, ქალიშვილი 18 წლის).

9. ნასამართლობა — სამართალში არყოფილი.

10. საცხოვრებელი ადგილი — ქ. ზესტაფონი, ლენინის ქ. № 17, ბინა 5.

11. პირადობის დამადასტურებელი საბუთი — პასპორტი IV-ТИ № 678113, გაცემული ზესტაფონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1980 წლის 15 დეკემბერს.

12. რა დამოკიდებულებაშია ბრალდებულთან — ბრალდებულს არ იცნობს.

საქართველოს სსრ სსსკ 156-ე, 159-ე მუხლების შესაბამისად, განმარტებულია დაზარალებულის უფლებები და მოვალეობანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 47-ე, 158-ე მუხლებით. დაზარალებული გ. ვ. ნებიერიძე გაფრთხილებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

დაზარალებულის ხელის მოწერა გ. ნებიერიძე

სპეციალისტს ვლადიმერ კარლოს ძე სირბილაძეს — ზესტაფონის რაიონის საავადმყოფოს ექიმს — ქირურგს განემარტა სპეციალისტის უფლება-მოვალეობა, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 134[1]-ე მუხლით. ამავე მუხლის შესაბამისად, სპეციალისტი გაფრთხილებულ იქნა, რომ იგი პასუხს აგებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში.

ექიმი — სპეციალისტი ვ. სირბილაძე

დაზარალებულ გ. ნებიერიძეს განემარტა უფლება, აცილება მისცეს სპეციალისტს საქართველოს სსრ სსსკ 58-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. დაზარალებულს აცილება არ განუცხადებია.

დაზარალებული გ. ნებიერიძე

კითხვა სპეციალისტს: გ. ვ. ნებიერიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა თუ არა იმის საშუალებას, რომ იგი დღეს დაკითხულ იქნას დაზარალებულის სახით?

პასუხი: გ. ვ. ნებიერიძის ჯანმრთელობა იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი დღეს დაკითხულ იქნას დაზარალებულის სახით.

წინადადებაზე, თქვას ყველაფერი, რაც კი ცნობილია მისთვის იმ გარემოებათა შესახებ, რასაც კავშირი აქვს საქმესთან, დაზარალებულმა აჩვენა:

1987 წლის 25 ნოემბერს დაახლოებით 16 საათზე საქმეზე მიეედი ჩემ ყოფილ უფროსთან, სიმონ ანდროს ძე მახათაძესთან, რომელიც ცხოვრობს ქ. ზესტაფონში (ა. წერეთლის ქ. № 9). გამოვედი ს. მახათაძის ბინიდან, გავაჩერე ტაქსი და ვთხოვე სახლში წაყვანა. ლენინის ქუჩის მოსახვევში ჩვენს მანქანას შეეჯახა მანქანა „გაზ-61“, რომელიც დიდი სისწრაფით მოდიოდა. შეჯახების შედეგად ტაქსი გადაბრუნდა. მე გრძნობა დავკარგე. გონს მოვედი საავადმყოფოში, მეორე დღეს, ე. ი. 26 ნოემბერს.

დაზარალებულის ხელის მოწერა გ. ნებიერიძე

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გახსოვთ მანქანის სახელმწიფო ნომერი და სერია?

პ ა ს უ ხ ი: მანქანის სერია არ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ, რომ მანქანა „გაზ-61"-ის ნომრის ორი უკანასკნელი ციფრი იყო „33".

კ ი თ ხ ვ ა: რა ფერის იყო მანქანა?

პ ა ს უ ხ ი: მანქანა იყო მუქი რუხი.

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ გახსოვთ, როგორ იყო ჩაცმული „გაზ-61" მძღოლი?

პ ა ს უ ხ ი: მას ეცვა ლურჯი ლაბადა.

კ ი თ ხ ვ ა: შეძლებთ თუ არა ამოიცნოთ მანქანის — „გაზ-61-ის მძღოლი, თუ შეძლებთ, რა ნიშნებით შეგიძლიათ ამოიცნოთ?

პ ა ს უ ხ ი: შევძლებ თუ არა მძღოლის ამოცნობას, წინასწარ ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ მახსოვს, მას თავზე თმები თითქმის არ ჰქონდა, ჰქონდა ულვაშები.

კ ი თ ხ ვ ა: ავტოავარიის დროს ხომ არ იყავით თქვენ ნასვამი?

პ ა ს უ ხ ი: ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მე არ ვიყავი ნასვამი.

ოქმი წაეკითხა პირადად; იგი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად სრულად და სწორად.

დაზარალებული გ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე

ოქმს გაეცანი პირადად. იგი შედგენილია სწორად და სრულად.

ექიმი — სპეციალისტი ე. ს ი რ ბ ი ლ ა ძ ე

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ა რ ა ბ ი ძ ე

თავი VII

დაპირისპირება და ამოსაცნობად წარდგენა

დაპირისპირების ოქმი

(დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის)

ქ. რუსთავი 4 იელისი, 1987 წ.

დაპირისპირება დაიწყო 13 საათზე,
დამთავრდა 14 საათზე.

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა თ. ვარდოსანიძემ ჩემ სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 96-ე, მე-160, 161-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, № 167 სისხლის სამართლის საქმეზე ჩავატარე ადრე უკვე დაკითხულ, დაზარალებულ ბიჭიკაშვილი გიორგი ანდროს ძისა და ბრალდებულ კაპანაძე ნოდარ ვლადიმერის ძის დაპირისპირება მათს ჩვენებებში არსებითი ხასიათის წინააღმდეგობათა გამო (ანკეტური მონაცემები დაზარალებულისა და ბრალდებულის შესახებ იხილეთ: ტომი I, გვ. 61, 71—73).

დაპირისპირების დაწყების წინ დაზარალებული გ. ა. ბიჭიკაშვილი გაფრთხილებულ იქნა საქართველოს სსრ სსსკ 161-ე მუხლის საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად.

შეკითხვაზე, იცნობენ თუ არა ერთმანეთს დაზარალებული გ. ა. ბიჭიკაშვილი და ბრალდებული ნ. ვ. კაპანაძე და როგორ დამოკიდებულებაში არიან ურთიერთშორის, მათ უპასუხეს:

დაზარალებულის ხელის მოწერა გ. ბიჭიკაშვილი

დაზარალებული გ. ა. ბიჭიკაშვილი: ბრალდებულ ნ. ვ. კაპანაძეს წინათ მე არ ვიცნობდი. იგი გავიცანი 1987 წლის 28 ივნისს, როდესაც მომაყენა შეურაცხყოფა და ჩაიდინა ხულიგნური მოქმედება.

დაზარალებულის ხელის მოწერა გ. ბიჭიკაშვილი

ბრალდებული ნ. ვ. კაპანაძე: დაზარალებულ გ. ა. ბიჭიკაშვილს წინათ მე არ ვიცნობდი. იგი გავიცანი 1987 წლის 28 ივნისს ქ. რუსთავში კინოთეატრ „რუსთავში" ყოფნის დროს.

ბრალდებულის ხელის მოწერა ნ. კაპანაძე

შეკითხვა დაზარალებულ გ. ბიჭიკაშვილს: უჩვენეთ, სად და რა ვითარებაში გაიცანით ნ. ვ. კაპანაძე და რაში გამოიხატა მის მიერ ხულიგნობის ჩადენა, თქვენი შეურაცხყოფა?

დაზარალებულ გ. ბიჭიკაშვილის პასუხი: 1987 წლის 28 ივნისს მეგობრებთან ერთად, კერძოდ, სვეტლანა ივანეს ასულ ხვისტენკოსთან, ნადია პეტრეს ასულ მამისაშვილთან და ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ვარდოსანიძესთან ერთად ვიყავი ქ. რუსთავის კინოთეატრ „რუსთავში", სადაც აჩვენებდნენ კინოფილმ „ხალხურ რომანსს". სეანსი დაიწყო 20 საათზე. ჩვენ ყველანი ვიჯექით მე-18 რიგზე.

სეანსის დაწყებისთანავე ჩვენს უკან მსხდომმა ახალგაზრდებმა, რომლებიც იყვნენ ნასვამები, დაიწყეს სიგარეტების მოწევა და უცენზურო სიტყვების ხმარება. მე არ მომეწონა ახალგაზრდების ასეთი საქციელი და წესრიგისაკენ მოვუწოდე მათ. ჩემს მოთხოვნას ახალგაზრდებმა იმით უპასუხეს, რომ დაიწყეს სკამებზე ფეხების დარტყმა და სიგარეტების ნამწვავების ჩვენსკენ სროლა. ერთ-ერთ მათგანს მე ვთხოვე გამოსულიყო კინოთეატრის ფოიეში, რათა კიდევ ერთხელ მეთქვა, რომ კინოთეატრში საჭირო იყო ზრდილობიანად მოქცევა. ჩემი ასეთი წინადადება მათ გამოწვევად მიიღეს და სამივე — ნოდარ კაპანაძე, ვალიკო მამულაშვილი და ზაზა მურადაშვილი — გამოვიდნენ ფოიეში.

ფოიეში შეგვხვდა მილიციის ზემდეგი ანატოლი მიხეილის ძე შიშკინი. ჩვენი საუბარი მან საეჭვოდ მიიჩნია და ყველანი

შეგვიყვანა კინოთეატრთან არსებულ მილიციის სამორიგეო ოთახში. როდესაც მე მას მოვახსენე საქმის ვითარება, ა. შიშკინმა წესრიგისაკენ მოუწოდა ახალგაზრდებს და უთხრა, წასულიყვნენ და განეგრძოთ კინოსურათის ყურება.

ჩვენ ყველანი გამოვედით სამორიგეო ოთახიდან, სანამ დარბაზში შევიდოდით, საპირფარეშოს კარებთან ახალგაზრდებმა კვლავ დაიწყეს უცენზურო სიტყვების ხმარება და მილიციის მუშაკების ლანძღვა. ზ. მურადაშვილი შევიდა დარბაზში, ნ. კაპანაძე და ვ. მამულაშვილი განაგრძობდნენ ლანძღვა-გინებას. ამ დროს გვერდზე მდგომმა ნ. კაპანაძემ მუშტი გამარტყა ნიკაპის არეში, შემდეგ ორივენი შევიდნენ დარბაზში. მე დავბრუნდი მილიციის სამორიგეო ოთახში და ყოველივე აღნიშნულის შესახებ ვუამბე მილიციის ზემდეგს — ა. შიშკინს. მან ტელეფონით გამოიძახა ოპერატიული მანქანა. სანამ ავტომანქანა მოვიდოდა, სურათის ჩვენება დამთავრდა. ნ. კაპანაძე, ვ. მამულაშვილი, ზ. მურადაშვილი გამოვიდნენ კინოდან. ისევ დამიწყეს შეურაცხყოფა. ამ დროს მოვიდა მანქანა და სამივენი წაიყვანეს მილიციის განყოფილებაში.

დაზარალებულის ხელის მოწერა გ. ბიჭიკაშვილი

შ ე კ ი თ ხ ვ ა ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ. კ ა პ ა ნ ა ძ ე ს: უჩვენეთ, სად და რა ვითარებაში გაიცანით დაზარალებული გ. ბიჭიკაშვილი, რაში გამოიხატა თქვენ მიერ ჩადენილი ხულიგნობა?

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ. კ ა პ ა ნ ა ძ ი ს პ ა ს უ ხ ი: გ. ბიჭიკაშვილის ჩვენებას ვადასტურებ მხოლოდ იმ ნაწილში, რომ 1987 წლის 28 ივნისს ვიმყოფებოდი ვ. მამულაშვილთან და ზ. მურადაშვილთან ერთად ქ. რუსთავის კინოთეატრ „რუსთავში“, ვიჯექით მე-19 რიგზე, უჩვენებდნენ კინოფილმ „ხალხურ რომანსს“, სეანსი დაიწყო 20 საათზე. სეანსის დაწყების დროს ჩვენ სამივემ დავიწყეთ სიგარეტების მოწევა, მაგრამ მე არავისთვის არ მიმიყენებია შეურაცხყოფა და არ მიმიმართავს უცენზურო სიტყვებით. ფოიეში ყოფნის დროს მე ხელი კი არ გავარტყი გ. ბიჭიკაშვილს, არამედ მკლავში მოვკიდე ხელი და ვთხოვე თავი დაენებებინა ჩემთვის.

ბრალდებულის ხელის მოწერა ნ. კ ა პ ა ნ ა ძ ე

დაპირისპირების მონაწილეებს განემარტათ უფლება, შეკითხვები მისცენ ერთმანეთს. ბრალდებულმა ნ. კაპანაძემ გამოთქვა სურვილი შეკითხვა მისცეს დაზარალებულ გ. ბიჭიკაშვილს.

ბრალდებულის შეკითხვა გ. ბიჭიკაშვილს: თქვენ ეჩვენეთ, რომ 1987 წლის 28 ივნისს კინოში ყოფნის დროს მე და ჩემი ორი მეგობარი ვიყავით ნასვამები. საიდან და როგორ განსაზღვრეთ ჩვენი ასეთი მდგომარეობა?

ბრალდებულის ხელის მოწერა ნ. კაპანაძე

დაზარალებულ გ. ბიჭიკაშვილის პასუხი: დანამდვილებით არ შემიძლია ვამტკიცო, რომ თქვენ სამივენი იყავით ნასვამი, მაგრამ თქვენმა მოქმედებამ მე მიმიყვანა ასეთ დასკვნამდე.

დაზარალებულის ხელის მოწერა გ. ბიჭიკაშვილი

კითხვა დაზარალებულ გ. ბიჭიკაშვილს და ბრალდებულ ნ. კაპანაძეს: კიდევ ხომ არ გსურთ შეეკითხოთ ერთმანეთს?

ბრალდებულ ნ. კაპანაძის პასუხი: მე შეკითხვა არა მაქვს.

ბრალდებულის ხელის მოწერა ნ. კაპანაძე

დაზარალებულ გ. ბიჭიკაშვილის პასუხი: მე შეკითხვა არა მაქვს ბრალდებულ ნ. კაპანაძესთან.

დაპირისპირების ოქმს გაეცანი პირადად, ოქმი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად, სრულად და სწორად.

დაზარალებული გ. ბიჭიკაშვილი

დაპირისპირების ოქმს გაეცანი პირადად, ოქმი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად, სრულად და სწორად.

ბრალდებული ნ. კაპანაძე

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი თ. ვარდოსანიძე

დაპირისპირების ოქმი[1]

(მოწმესა და ეკვმიტანილს შორის)

წითელწყარო 18 იელისი, 1987 წ.

დაპირისპირება დაიწყო 10 საათსა და 30 წუთზე, დამთავრდა 11 საათსა და 40 წუთზე.

წითელწყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ზ. კ. ხერხეულიძემ ჩემ სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 96-ე, მე-160, 161-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, № 175 სისხლის სამართლის საქმეზე ჩავატარე ადრე უკვე დაკითხული მოწმე ცისკარაული კვირია ივანეს ძისა და ეკვმიტანილი ცისკარიშვილი ტარიელ დიმიტრის ძის დაპირისპირება, მათს ჩვენებებში არსებითი ხასიათის წინააღმდეგობათა გამო (ანკეტური მონაცემები ეკვმიტანილისა და მოწმის შესახებ იხილე: ტომი I, გვ. 17—18; ტომი I, გვ. 33—35).

დაპირისპირების დაწყების წინ მოწმე კ. ი. ცისკარაული, საქართველოს სსრ სსსკ 161-ე მუხლის საფუძველზე, გაფრთხილებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენებისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად.

მოწმის ხელის მოწერა კ. ცისკარაული

---

[1] დაპირისპირების ოქმის შედგენის ორი ხერხი არსებობს:

1) კითხვები და პასუხები ოქმში შეიტანება თანამიმდევრობით;

2) კითხვები და პასუხები ოქმში შეიტანება პარალელურად. ამ შემთხვევაში ოქმი უნდა გაიყოს ვერტიკალური ხაზით ორ თანაბარ ნაწილად.

გვარი, სახელი, მამის სახელი	გვარი, სახელი, მამის სახელი
ეკვმიტანილი ცისკარიშვილი ტარიელ დიმიტრის ძე	მოწმე ცისკარაული კვირია ივანეს ძე
კითხვა: იცნობთ თუ არა თქვენ მოწმე კ. ცისკარაულს და როგორ დამოკიდებულებაში ხართ მასთან!	კითხვა: იცნობთ თუ არა თქვენ ეკვმიტანილ ტ. ცისკარიშვილს და როგორ დამოკიდებულებაში ხართ მასთან?
პასუხი: კ. ცისკარაულს მე ვიცნობ. იგი არის წითელწყაროს რაიონის ხორბლის საწყობის ყარაული. ჩვენს შორის არის ნორმალური დამოკიდებულება.	პასუხი: ტ. ცისკარიშვილს მე ვიცნობ. იგი არის სოფელ ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მძღოლი. ჩვენს შორის არის ნორმალური ურთიერთობა.
კითხვა: ა/წ 15 იელისს, როდესაც თქვენ დატვირთული მანქანით მოადექით საწყობის ყარაულს, — კ. ცისკარაულს, რა უთხარით მას?	კითხვა: ა/წ 15 იელისს, როდესაც თქვენთან დატვირთული მანქანით მოვიდა ტ. ცისკარიშვილი, რა გითხრათ მან?
პასუხი: კ. ცისკარაულს ვუთხარი, რომ მანქანაზე მაქვს ერთ ტონაზე მეტი ხორბალი და საწყობში ჩამოცალი ხორბალს-მეთქი.	პასუხი: ტ. ცისკარიშვილმა მითხრა, რომ ჩემი მანქანა დახანებულია და მომეცი ნება გავაჩერო იგი საწყობშიო.
კითხვა: გაცალეთ თუ არა თქვენი მანქანა საწყობში?	კითხვა: ადასტურებთ თუ არა თქვენ ტ. ცისკარიშვილის ჩვენებას?
პასუხი: კ. ცისკარაულმა საწყობი გაალო და მანქანა ჩამოცალე. ამავე დროს მას ეუთხარი, რომ ხორბლის ნაწილს მიეცემდი კ. ცისკარაულს.	პასუხი: ტ. ცისკარიშვილის ჩვენებას არ ვადასტურებ. ცისკარიშვილის მანქანა ხორბლით რომ იყო დატვირთული, ვიცოდი; მას ჩემთვის არ უთქვამს, რომ მანქანაზე ჰქონდა ზედმეტი ხორბალი და ნაწილს მე მომცემდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მე საწყობში არ შევაყვანინებდი მანქანას.
კითხვა: ხომ არ გსურთ რაიმე შეეკითხოთ კ. ცისკარაულს?	კითხვა: ხომ არ გსურთ შეკითხვა მისცეთ ტ. ცისკარიშვილს?
პასუხი: შეკითხვა კ. ცისკარაულთან არა მაქვს.	პასუხი: შეკითხვა ტ. ცისკარიშვილთან არა მაქვს.
დაპირისპირების ოქმს გავეცანი პირადად. ოქმი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად, სრულად და სწორად.	დაკითხვის ოქმს გავეცანი პირადად. ოქმი შედგენილია ჩემი ჩვენების შესაბამისად. სრულად და სწორად.
ეკვმიტანილი ტ. ცისკარიშვილი	მოწმე კ. ცისკარაული

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ზ. ხერხეულიძე

ოქმი

პიროვნების ამოსაცნობად წარდგენისა

ქ. წალენჯიხა 20 ნოემბერი, 1987 წ.

ამოცნობა დაიწყო 11 საათზე,
დამთავრდა 12 საათსა და 10 წუთზე.

წალენჯიხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ჯგუფის გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ს. სორდიამ ჩემ სამუშაო ოთახში № 177 სისხლის საქმის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით, დამსწრეთა მონაწილეობით:

1. ფიფია სერგო ძუკუს ძე, მცხოვრები წალენჯიხაში, ლენინის ქ. № 7;

2. სალია კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, მცხოვრები წალენჯიხაში, კიროვის ქ. № 16.

საქართველოს სსრ სსსკ 162-ე, 163-ე, 164-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, დაზარალებულ კალანდია სანდრო სტეფანეს ძეს ამოსაცნობად წარვუდგინე:

1. ბარახლაძე გურამი ირაკლის ძე, დაბადებული 1950 წელს, საშუალო სიმაღლის (169 სმ), შავთმიანი, ულვაშებიანი: აცვია შავი კოსტიუმი, რუხი პერანგი, ყავისფერი ფეხსაცმელები; მცხოვრები წალენჯიხაში, კალინინის ქ. № 37;

2. ღვინჯილია ტარიელ იასონის ძე, დაბადებული 1951 წელს, საშუალო სიმაღლის (172 სმ), შავთმიანი, ულვაშებიანი, აცვია შავი კოსტიუმი, რუხი პერანგი, მუქი ყავისფერი ფეხსაცმელები; მცხოვრები წალენჯიხაში, ცხაკაიას ქ. № 30;

3. ცანავა ამირან ვლადიმერის ძე, დაბადებული 1949 წელს, საშუალო სიმაღლის (170 სმ), შავთმიანი, ულვაშებიანი: აცვია შავი კოსტიუმი, რუხი პერანგი, ყავისფერი ფეხსაცმელები; მცხოვრები წალენჯიხაში, კალინინის ქ. № 8;

4. ლებსაია გურამი ივანეს ძე, დაბადებული 1952 წელს, შავგვრემანი, ულვაშებიანი, საშუალო სიმაღლის (171 სმ); აცვია შავი კოსტიუმი, რუხი პერანგი, ყავისფერი ფეხსაცმელები, მცხოვრები წალენჯიხაში, კიროვის ქ. № 13.

ყველა ამოსაცნობი პირი წარდგენილი იყო დღის სინათლეზე კარგად განათებულ ოთახში, უქუდოდ, ოთახში შემოსასვლელი კარის მოპირდაპირე კედლის გასწვრივ, ფეხზე მდგომი. ამოცნობის წინ გ. ი. ბარახლაძეს მიეცა წინადადება დაეკავებინა ნებისმიერი ადგილი ამოსაცნობ პირთა შორის. იგი დადგა ამოსაცნობ პირთა შორის მარცხნიდან მეორე ტ. ი. ღვინჯილიასა და გ. ი. ლებსაიას შორის. ამოცნობის დროს ამოსაცნობად წარდგენილ პირთა ვინაობა გამოცხადებული არ ყოფილა.

დამსწრეებს ს. ძ. ფიფიას და კ. ნ. სალიას განემარტათ უფლება-მოვალეობანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლით. ამოცნობის ადგილზე მოწვეული იყო დაზარალებული ს. ს. კალანდია, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად, გაფრთხილებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

დაზარალებულის ხელის მოწერა ს. კალანდია

დაზარალებულ ს. კალანდიას წინადადება მიეცა ამოიცნოს ის პირი, რომლის შესახებაც მან მისცა ჩვენება.

დაზარალებული დააკვირდა ამოსაცნობ პირებს და განაცხადა: „წარმოდგენილ პირთა შორის მე ამოვიცანი ის მოქალაქე, რომელმაც 1987 წლის 28 ოქტომბერს წალენჯიხის რაიონის აღმასკომის წინ, დღის 12 საათზე დანა დამარტყა და გაიქცა".

კითხვა დაზარალებულ ს. კალანდიას: გთხოვთ განმარტოთ, რა ნიშნების ან თავისებურებათა მიხედვით ამოიცანით მოქალაქე?

პასუხი: მოქალაქე, რომელიც დგას მარცხნიდან მეორე, მე ამოვიცანი შემდეგი ნიშნებისა და თავისებურებათა საფუძველზე: დანაშაულის ჩადენის დროს მას ეცვა შავი კოსტიუმი, რუხი პერანგი, ჰალსტუხი არ ჰქონდა გაკეთებული, ეცვა ყავისფერი ფეხსაცმელები; არის შავთმიანი, საშუალო სიმაღლის, ულვაშების ბოლოები ჩამოშვებული აქვს ქვემოთ ტუჩების გასწვრივ, ჰქონდა ფართო წარბები, რომლებიც თითქმის შეერთებული იყო.

დაზარალებულის მიერ ამოცნობილი იყო მოქალაქე ბარახლაძე გურამი ირაკლის ძე, დაბადებული 1950 წელს, მცხოვრები წალენჯიხაში, კალინინის ქ. № 37.

ყველა ამოსაცნობი პირი ფოტოგრაფირებულ იქნა ფეხზე მდგომი, მთელი სიმაღლით (ფოტოსურათი ერთვის ოქმს).

ოქმს გაეცნო ამოცნობაში მონაწილე ყველა პირი. მათ განემარტათ უფლება, საქართველოს სსრ სსსკ 96-ე მუხლის შესაბამისად, განაცხადონ ოქმში შესატანი შენიშვნები. შენიშვნები არ განუცხადებიათ. ოქმი შედგენილია სრულად და სწორად.

დამსწრეები: ს. ფიფია
კ. სალია

ამომცნობი, დაზარალებული კ. კალანდია

ამოსაცნობად წარდგენილი
პირები: გ. ბარახლაძე, პ. ცანავა,
ტ. ღვინჯილია, გ. ლებსაია

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. სორდია

ოქმი

ფოტოსურათის ამოსაცნობად წარდგენისა

ქ. თბილისი 15 მარტი, 1987 წ.

ამოცნობა დაიწყო 13 საათზე,
დამთავრდა 13 საათსა და 50 წუთზე.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა გ. ს. ხაჟალიამ ჩემ სამუშაო ოთახში, № 276 სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, დამსწრეთა მონაწილეობით:

1. ხეთაგური ზურაბ გიორგის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. № 8, ბინა 15;

2. ვარაზი გია სტეფანეს ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ნუ-ცუბიძის ქ. № 28. ბინა 27. საქართველოს სსრ სსსკ 162-ე, 163-ე და 164-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მოწმე თოლორდია ელენე გერასიმეს ასულს ამოსაცნობად წარვუდგინე სამი ფოტოსურათი შავ-თეთრი გამოსახულებით, რომლებზეც აღბეჭდილია საშუალო ხნის მამაკაცები წელამდე. ფოტოსურათები დაწებებულია ცალკე ქაღალდზე ერთიმეორის გვერდით, დამოწმებულია პროკურატურის ბეჭდით და დანომრილია: ფოტოსურათი № 1, ფოტოსურათი № 2, ფოტოსურათი № 3. № 1 ფოტოსურათში გამოსახულია ეგოროვი პეტრე სიმონის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ქ. № 17, ბინა 5; № 2 ფოტოსურათში გამოსახულია ივანოვი გენადი ნიკოლოზის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. № 7, ბინა 17; № 3 ფოტოსურათში გამოსახულია სიდოროვი ევგენი ივანეს ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, არაყიშვილის ქ. № 5, ბინა 18.

დამსწრეებს ზ. ხეთაგურს და ვ. ვარაზს განემარტათ უფლება-მოვალეობანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლით. მოწმე ე. გ. თოლორდია, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად, გაფრთხილებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენებაზე უარის თქმის, თავის არიდების ან შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

მოწმის ხელის მოწერა ე. თ ო ლ ო რ დ ი ა

მოწმე ე. გ. თოლორდიას წინადადება მიეცა ამოიცნოს ფოტოსურათზე გამოსახული ის პირი, რომლის შესახებაც მან მისცა ჩვენება.

მოწმე დააკვირდა ამოსაცნობ ფოტოსურათებს და განაცხადა: წარმოდგენილ ფოტოსურათებზე, კერძოდ, № 2 ფოტოსურათზე გამოსახულია ის მოქალაქე, რომელმაც 1987 წლის 3 მაისს დღის 4 საათზე, ტრამვაიში, მარშრუტი № 3, ჯიბიდან ფული ამოაცალა ჩემ მეგობარ ქალს — ნაზი სილიბისტროს ასულ კურტანიძეს. იგი მე ამოვიცანი შემდეგი ნიშნების მიხედვით: კისერი დაფარული აქვს თმებით, ყურები წამოწეული აქვს წინ, აქვს ვიწრო ტუჩები, ცხვირის ბოლო — ზემოთ აწეული, წარბები — ვიწრო.

№ 2 ფოტოსურათზე გამოსახულია ივანოვი გენადი ნიკოლოზის ძე. ფურცელი, რომელზეც დაწებებულია ამოსაცნობ პირთა ფოტოსურათები, ერთვის ოქმს.

ოქმს გაეცნო ამოცნობაში მონაწილე ყველა პირი და მათ განემარტათ უფლება, საქართველოს სსრ სსსკ 96-ე მუხლის შესაბამისად, განაცხადონ ოქმში შესატანი შენიშვნები. შენიშვნები განცხადებული არ ყოფილა.

ოქმი შედგენილია სრულად და სწორად

დამსწრეები: ზ. ხეთაგური

გ. ვარაზი

ამომცნობი, მოწმე ე. თოლორდია

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი გ. ხაჟალია

ოქმი

გვამის ამოსაცნობად წარდგენისა

ქ. ქუთაისი 22 თებერვალი, 1987 წ.

ამოცნობა დაიწყო 10 საათზე,
დამთავრდა 10 საათსა და 30 წუთზე.

ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ს. დ. შვანგირაძემ ქ. ქუთაისის № 1 საავადმყოფოს პროზექტურაში, კარგი განათების პირობებში, № 176 სისხლის სამართლის საქმეზე დამსწრეთა მონაწილეობით:

1. კვიჟინაძე ნიკოლოზ პეტრეს ძე, მცხოვრები ქ. ქუთაისში, ცხაკაიას ქ. № 17, ბინა 3.

2. კოვზირიძე ჯემალ ივანეს ძე, მცხოვრები ქ. ქუთაისში, წულუკიძის ქ. № 8, ბინა 5.

საქართველოს სსრ სსსკ 162-ე, 163-ე და 164-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მოწმე კოტრიკაძე ელენე ნოდარის ასულს ამოსაცნობად წარვუდგინე მამაკაცის გვამი, დაახლოებით 40—45 წლის, გახდილი, საწოლზე დადებული; თვალები დახუჭული აქვს.

დამსწრეებს ნ. პ. კვიჟინაძეს და ჯ. ი. კოვზირიძეს განემარტათ უფლება-მოვალეობანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლით.

მოწმე ე. ნ. კოტრიკაძე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად, გაფრთხილებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენებაზე უარის თქმის, თავის არიდებისა და შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

მოწმის ხელის მოწერა ე. კოტრიკაძე

მოწმე ე. ნ. კოტრიკაძეს წინადადება მიეცა ამოიცნოს წარმოდგენილი გვამი, რომლის შესახებაც მან ჩვენება მისცა.

მოწმე დააკვირდა ამოსაცნობ გვამს და განაცხადა, რომ იგი არის მისი ბიძაშვილი (მამის ძმის შვილი) კოტრიკაძე ვლადიმერ პეტრეს ძე, რომელიც ამოვიცანი შემდეგი ნიშნების მიხედვით: ხუჭუჭი თმები, გულმკერდზე აქვს სვირინგი გულის გამოსახულებით, რომელსაც კვეთავს ორი ისარი და აწერია ასოები: „ვ+ე".

ოქმს გაეცნო ამოცნობაში მონაწილე ყველა პირი და მათ განემარტათ უფლება, საქართველოს სსრ სსსკ 96-ე მუხლის შესაბამისად, განაცხადონ ოქმში შესატანი შენიშვნები. შენიშვნები განცხადებული არ ყოფილა. ოქმი შედგენილია სრულად და სწორად.

დამსწრეები:	ნ. კვიჟინაძე ჯ. კოვზირიძე
ამომცნობი, მოწმე	ე. კოტრიკაძე
უფროსი გამომძიებელი, II კლასის იურისტი	ს. შვანგირაძე

თავი VIII

ამოღება. ჩხრეკა. ქონებაზე ყადაღის დადება

დადგენილება

ამოღების შესახებ[1]

ქ. ზესტაფონი 20 სექტემბერი, 1987 წ.

ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ე. კ. ობოლაძემ განიხილე № 135 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ზესტაფონის რაიკოოპერატივის № 74 მაღაზიაში ხანძრის გაჩენის ფაქტზე,

გ ა ნ მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 12 სექტემბერს ზესტაფონის რაიკოოპერატივის № 74 მაღაზიაში გაჩნდა ხანძარი, რის შედეგად დაიწვა და განადგურდა მაღაზია და იქ მოთავსებული მატერიალური ფასეულობანი.

იმ მიზნით, რომ დადგინდეს, ხომ არ იყო გაჩენილი ხანძარი სახელმწიფო ქონების მითვისების ან გაფლანგვის დაფარვის მიზნით, საჭიროა სოფელ მეორე სვირის რაიკოოპერატივის № 14 მაღაზიიდან ამოღებულ იქნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები: 1987 წლის აღწერის სიები, მამაკაცის კოსტიუმებისა და პალტოების 1987 წლის მიღება-გაცემის ზედნადებები.

---

[1] საქართველოს სსრ სსსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იმ დოკუმენტების ამოღება, რომლებიც შეიცავენ ისეთ ცნობებს, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, ტარდება მხოლოდ პროკურორის სანქციით და სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 165-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

ზესტაფონის რაიონის რაიკოოპერატიკის სოფელ მეორე სვირის № 14 მაღაზიიდან ამოღებულ იქნას 1987 წლის აღწერის სიები და მამაკაცის კოსტიუმებისა და პალტოების 1987 წლის მიღება-გაცემის ზედნადებები.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. ობოლაძე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 20 სექტემბერს. სოფელ მეორე სვირის № 14 მაღაზიის გამგე ამირან ვარდენის ძე ჭეიშვილი.

ა. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი

ამოღების ოქმი

სოფელი მეორე სვირი

20 სექტემბერი, 1987 წ.

ამოღება დაიწყო 17 საათზე,
დამთავრდა 17 საათსა და 50 წუთზე.

ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. კ. ობოლაძემ № 135 სისხლის საბართლის საქმეზე დამსწრეთა მონაწილეობით:

1. კვანტალიანი ამირან კირილეს ძე, მცხოვრები სოფელ მეორე სვირში,

2. სირბილაძე ვახტანგ პეტრეს ძე, მცხოვრები სოფ. მეორე სვირში,

3. სოფელ მეორე სვირის № 14 მაღაზიის გამგის — ამირან ვარდენის ძე ჭეიშვილის თანდასწრებით, საქართველოს სსრ სსსკ 168-ე, 169-ე 171-ე, 176-ე, 177-ე მუხლების მოთხოვნა-

თა დაცვით მოვახდინე აღწერის სიებისა და ზედნადებთა ამოღება.

საქართველოს სსრ სსსკ 168-ე მუხლის საფუძველზე, ამოღების წარმოებაში მონაწილე პირებს განემარტათ უფლება: დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება ამ მოქმედებათა გამო, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში. დამსწრეებს, გარდა ამისა, განემარტათ, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, მათი მოვალეობა; დაადასტურონ ამოღების ფაქტი, ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შინაარსი და შედეგები.

ამოღების დაწყების წინ ზესტაფონის რაიკოოპვაჭრობის სოფელ მეორე სვირის № 14 მაღაზიის გამგეს — ა. ვ. ჭეიშვილს წარედგინა ა/წლის 20 სექტემბრის დადგენილება ამოღების შესახებ და წინადადება მიეცა გასცეს აღწერის სიები და ზედნადებები. მაღაზიის გამგემ ა. ვ. ჭეიშვილმა ნებაყოფლობით გასცა საქმეზე დასართავი ყველა საჭირო დოკუმენტი:

1. 1987 წლის 6 აპრილის აღწერის სია,
2. 1987 წლის 5 ივნისის აღწერის სია,
3. 1987 წლის 20 აგვისტოს აღწერის სია,
4. მამაკაცის ათი კოსტიუმის მიღება-გაცემის № 36 ზედნადები 1987 წლის 6 მაისის თარიღით,
5. მამაკაცის თორმეტი პალტოს მიღება-გაცემის № 42 ზედნადები 1987 წლის 28 აგვისტოს თარიღით.

ამოღებაში მონაწილე პირებს შენიშვნები არ განუცხადებიათ. ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები: ვ. სირბილაძე
კვანტალიანი

№ 14 მაღაზიის გამგე ვ. ჭეიშვილი
გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ო. ობოლაძე

ამოღების ოქმის პირი მივიღე 1987 წლის 20 სექტემბერს.

სოფელ მეორე სვირის № 14 მაღაზიის
გამგე გ. ჭეიშვილი

ჩხრეკა სანქციონირებულია.
ქალაქ რუსთავის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ნ. თ ე ვ დ ო რ ა ძ ე
8 დეკემბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ჩხრეკის შესახებ

ქ. რუსთავი 8 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ვ. ზ. ვარადაშვილმა განიხილე № 751 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვ. დ. ოსვანიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 3 დეკემბერს ქ. რუსთავის საკოლმეურნეო ბაზარში დაკავებულ იქნა ვ. დ. ოსვანიშვილი მამაკაცის იმპორტული ფეხსაცმლის გაყიდვის დროს. წინასწარი გამოძიების მასალები იძლევა საკმაო საფუძველს მივიჩნიო, რომ ბრალდებულ ვ. დ. ოსვანიშვილის ბინაში, მცხოვრები ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი № 37, ბინა 48, ინახება იმპორტული საქონელი, რომელიც შეძენილია სპეკულაციის მიზნით, კერძოდ: მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელები, მამაკაცის პერანგები, ქალის ტყაპუჭი და სხვ.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 166-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ჩატარდეს ჩხრეკა ბრალდებულ ვალენტინა დავითის ასულ ოსვანიშვილის ბინაში, მდებარე ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 37, ბინა 48, დადგენილებაში აღნიშნული

სასპეკულაციოდ შეძენილი ნივთების დასაძებნად და ამოსაღებად.

საგამოძიებო ქვეგანყოფილების
უფროსი,
მილიციის კაპიტანი ვ. ვარადაშვილი

დადგენილება ჩხრეკის შესახებ გამოცხადა
1987 წლის 8 დეკემბერს.
ო. ოსვანიშვილი

ოქმი
ჩხრეკისა

ქ. რუსთავი 8 დეკემბერი, 1987 წ.

ჩხრეკა დაიწყო 19 საათზე,
დამთავრდა 20 საათზე.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ვ. ზ. ვარადაშვილმა ჩემი ა/წ 8 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე № 751 სისხლის სამართლის საქმეზე ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი, № 37, ბინა 48, ვ. დ. ოსვანიშვილის ბინაში დამსწრეთა მონაწილეობით:

1. ელენტი ტარიელ ნიკოლოზის ძე, მცხოვრები ქ. რუსთავში, საბჭოს ქ. № 7, ბინა 14,

2. გულისტარაშვილი ავთანდილ იოსების ძე, მცხოვრები ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 35, ბინა 5,

ბრალდებულ ვ. დ. ოსვანიშვილის დის — ნათელა დავითის ასული ოსვანიშვილისა და უბნის ინსპექტორის — კ. ო. ხადურის თანდასწრებით, საქართველოს სსრ სსსკ 168-ე, 169-ე, 170-ე, 171-ე, 176-ე, 177-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ჩავატარე ჩხრეკა.

საქართველოს სსრ სსსკ 168-ე მუხლის საფუძველზე, ჩხრეკის წარმოებაში მონაწილე პირებს განემარტათ უფლება, დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება იმ მოქმედებათა გამო, რაც შეტანილი უნდა იქნეს

ოქმში. დამსწრეებს, გარდა აღნიშნულისა, განეცხადათ, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, მათი მოვალეობა, დაადასტურონ ჩხრეკის ფაქტი, ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შინაარსი და შედეგები.

ჩხრეკის დაწყების წინ ნათელა დავითის ასულ ოსვანიშვილს წარედგინა ა/წლის 8 დეკემბრის დადგენილება ჩხრეკის წარმოების შესახებ და წინადადება მიეცა დადგენილებაში აღნიშნული დასაძებნი ნივთების ადგილსამყოფლის ნებაყოფლობით ჩვენებისა და გაცემის შესახებ. ნ. დ. ოსვანიშვილმა განაცხადა, რომ დადგენილებაში ჩაძოთვლილი იმპორტული საქონელი ინახება გარდერობში.

ჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა:[1]

№	აღმოჩენილი საგნების (ნივთების) დასახელება და აღწერა	აღმოჩენის ადგილი
1	მამაკაცის ფეხსაცმელი 42 ზომის, იუგოსლავიის ნაწარმი, შეკი ყავისფერი — ოთხი წყვილი.	გარდერობი
2	ქალის ჩექმები 38 ზომის, იუგოსლავიის ნაწარმი, შავი — შვიდი წყვილი.	გარდერობი
3	მამაკაცის პერანგები 43 ზომის, თეთრი, იისფერი ზოლებით, პაკისტანის ნაწარმი — ათი ცალი.	საწოლის ქვეშ — ხელჩანთაში ჩალაგებული
4	ქალის ტყაპუჭი 48 ზომის, ბულგარეთის ნაწარმი, ყავისფერი — სამი;	გარდერობი
5	მამაკაცის მაჯის საათი, იაპონიის ნაწარმი, ფირმა „სეიკო" — ერთი ცალი.	გარდერობი

ჩხრეკის დროს სხვა საგნები, რასაც მნიშვნელობა და კავშირი აქვს საქმესთან, ვერ იქნა აღმოჩენილი.

ჩხრეკის დროს აღმოჩენილი საქონელი: მამაკაცის ფეხსაცმელი 42 ზომის — ოთხი წყვილი, ქალის ჩექმები 38 ზომის — შვიდი წყვილი, მამაკაცის პერანგი 43 ზომის — ათი ცალი, ქალის ტყაპუჭი 48 ზომის — სამი, მამაკაცის საათი „სეიკო" — ერთი, ამოღებულ იქნა, ჩალაგდა ტომარაში და

[1] ჩხრეკის დროს აღმოჩენილი საგნები და ნივთები შეიძლება ჩამოითვალოს ცალკე სიაში, რომელიც ერთვის ჩხრეკის ოქმს (საქართველოს სსრ სსსკ 171-ე მუხლი).

დაილუქა საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსის — ვ. ვარადაშვილის მიერ; ლუქის № 8.

დამსწრეები: ტ. ქღენტი
ა. გულისტარაშვილი

გაჩხრეკილი ბინის
მფლობელი ნ. ოსვანიშვილი

უბნის ინსპექტორი,
მილიციის უმცროსი ლეიტენანტი კ. ხადური

გამომძიებელი, ქ. რუსთაველის
საგამოძიებო ქვეგანყოფილების
უფროსი,
მილიციის კაპიტანი ვ. ვარადაშვილი

ჩხრეკის ოქმის პირი მივიღე 1987 წლის 8 დეკემბერს.
ნ. ოსვანიშვილი

შეტყობინება ჩხრეკის ჩატარების შესახებ

ქ. ქუთაისის ლენინის სახელობის რაიონის
პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს
ამხ. ნ. ბახტაძეს

1987 წლის 18 აგვისტოს 22 საათზე, საქართველოს სსრ სსსკ 166-ე მუხლის შესაბამისად, გავჩხრიკე მოქ. ვ. დ. ტყაბლაძის ბინა, მდებარე ქ. ქუთაისში, ნინოშვილის ქ. № 7, ბინა 9.

სანქცია ჩხრეკის შესახებ თქვენგან ვერ იქნა მიღებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოპერატიულობის გამო. ცნობილი გახდა, რომ მოქ. ვ. დ. ტყაბლაძე, რომელიც თავის ბინაში ინახავდა მოპარულ საქონელს (ლაბადა, პალტო, მაჯის საათი, საქორწინო ბეჭედი), მანქანით მიემგზავრებოდა ქუთაისიდან ა/წლის 18 აგვისტოს 24 საათზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება ჩხრეკის სასწრაფოდ ჩატარების შესახებ, თქვენგან სანქციის მიუღებლად.

ქ. ქუთაისის ლენინის სახელობის რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი დ. კვიცარიძე

19 აგვისტო, 1987 წ.

ვიორგი კარაპეტის ძე სარქისიანცის
პირადი ჩხრეკა
სანქციონირებულია.
ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის
პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი ზ. კვიცინია
10 აგვისტო, 1987 წ.

დადგენილება

პირადი ჩხრეკის შესახებ[1]

ქ. თბილისი 10 აგვისტო, 1987 წ.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა მ. ლ. ნოშრევანიძემ განვიხილე ჩემ წარმოებაში მყოფი № 167 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ყაჩაღობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გამოვარკვიე:

1987 წლის 5 აგვისტოს ქ. თბილისში შაუმიანის მოედანზე ღამის 02 საათზე პირთა ჯგუფის მიერ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გაძარცულ იქნა მოქალაქე ვალერიან ვახტანგის ძე მეფისაშვილი, რომელსაც გახადეს კოსტიუმი, წაართვეს საათი და ორასი მანეთი ფული.

საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულმა

[1] საქართველოს სსრ სსსკ 172-ე მუხლის შესაბამისად, პირადი ჩხრეკა დადგენილების გამოტანისა და პროკურორის სანქციის გარეშე შეიძლება ჩატარდეს: ა) დაკავების ან დაპატიმრების დროს, ბ) თუ არსებობს საკმაო საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ პირი, რომელიც ამყოფება შენობაში ან სხვა ადგილას, სადაც ამოღება ან ჩხრეკა წარმოებს, მალავს ისეთ საგნებს ან დოკუმენტებს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის.

ალბერტ სიმონის ძე კარაპეტიანმა განმარტა, რომ „ტტ“ სისტემის პისტოლეტი, რომელიც მან გამოიყენა ყაჩაღური თავდასხმის დროს, გადასცა თავის მეგობარს გიორგი კარაპეტის ძე სარქისიანცს, მცხოვრებს ქ. თბილისში, შაუმიანის ქ. № 37, ბინა 15. გ. სარქისიანცი მუშაობს 26 კომისრების სახელობის რაიონის № 4 გასტრონომში, გამყიდველად.

ვიღებ მხედველობაში, რომ ცეცხლსასროლი იარაღის აღმოჩენას და ჩამორთმევას საქმისათვის აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 172-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ჩატარდეს მოქალაქე გიორგი კარაპეტის ძე სარქისიანცის პირადი ჩხრეკა „ტტ“ სისტემის პისტოლეტის ჩამორთმევის მიზნით მის სამუშაო ადგილზე, ქ. თბილისის 26 კომისრების სახელობის რაიონის № 4 გასტრონომში.

2. დადგენილება ჩხრეკის ჩასატარებლად გადაეგზავნოს ქ. თბილისის 26 კომისრის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს.

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი მ. ნ ო შ რ ე ვ ა ნ ი ძ ე

დადგენილება პირადი ჩხრეკის შესახებ
გამომეცხადა 1987 წლის 10 აგვისტოს
გ. ს ა რ ქ ი ს ი ა ნ ცი

ო ქ მ ი

პირადი ჩხრეკისა

ქ. თბილისი 10 აგვისტო, 1987 წ.

ჩხრეკა დაიწყო 14 საათზე,
დამთავრდა 14 საათსა და 10 წუთზე.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების სამძებრო განყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ა. დ. ახალაცმა № 167 სისხლის სამართ-

ლის საქმეზე, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის № 4 გასტრონომში, საქართველოს სსრ სსსკ 165-ე, 171-ე, 172-ე, 176-ე, 177-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ჩავატარე მოქალაქე გიორგი კარაპეტის ძე სარქისიანცის პირადი ჩხრეკა დამსწრეთა თანამონაწილეობით:

1. გულისაშვილი პეტრე თედორეს ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, შაუმიანის ქ. № 37, ბინა 38, № 4 გასტრონომის გამყიდველი;

2. გეორქიანი ნიკიტა ვართანის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, შაუმიანის ქ. № 35, ბინა 7, № 4 გასტრონომის ექსპედიტორი.

პირად ჩხრეკას ესწრებოდა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სამძებროს ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ვ. დ. სხირტლაძე.

საქართველოს სსრ სსსკ 168-ე მუხლის საფუძველზე, პირადი ჩხრეკის წარმოებაში მონაწილე პირებს განემარტათ უფლება. დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება იმ მოქმედებათა გამო, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში. დამსწრეებს, გარდა აღნიშნულისა, განემარტათ, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, მათი მოვალეობა — დაადასტურონ პირადი ჩხრეკის ფაქტი, ამ მოქმედების ჩატარების შინაარსი და შედეგები.

პირადი ჩხრეკის დაწყების წინ გ. კ. სარქისიანცს წარედგინა ა/წ 10 აგვისტოს დადგენილება მისი პირადი ჩხრეკის შესახებ და წინადადება მიეცა ნებაყოფლობით გადასცეს „ტტ“ სისტემის პისტოლეტი.

გ. ს. სარქისიანცმა ჯიბიდან ამოიღო პისტოლეტი „ტტ“, 1945 წლის ნიმუში № 16765, და მასთან ერთად გადმომეცა 5 ვაზნა. პისტოლეტი და ვაზნები შეფუთულ იქნა თეთრ ქაღალდში და დაილუქა შინაგან საქმეთა განყოფილების № 8 ლუქით.

პირად ჩხრეკაში მონაწილე პირებს შენიშვნები არ განუცხადებიათ. ჩხრეკაში მონაწილე პირებს ოქმი წაუკითხა სამძებრო განყოფილების უფროსმა ა. დ. ახალკაცმა. ოქმი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები:

პ. გ ულ ი ს ა შ ვ ი ლ ი
ნ. გ ე ო რ ქ ი ა ნ ი

პირად ჩხრეკაში
მონაწილე,
სამძებრო განყოფილების
ინსპექტორი ვ. სხირტლაძე

გაჩხრეკილი: გ. სარქისიანცი

პირადი ჩხრეკა აწარმოვა
სამძებრო განყოფილების უფროსმა,
მილიციის კაპიტანმა ა. ახალკაცმა

პირადი ჩხრეკის ოქმის პირი მივიღე 1987 წლის 10 აგვისტოს.
გ. სარქისიანცი.

ვიოლეტა ნოდარის ასულ ჩახუტაშვილის
სახელზე შემოსულ საფოსტო-სატელეგრაფო
კორესპონდენციაზე ყადაღის დადება და
მისი ამოღება სანქციონირებულია.
ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი ვ. კაკაურიძე
19 ნოემბერი, 1987 წ.

დადგენილება

საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე ყადაღის დადებისა და მისი ამოღების შესახებ

ქ. თბილისი 19 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა — ს. ნ. სიხარულიძემ განვიხილე № 176 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლით (სახელმწიფო ქონების დატაცება, ჩადენილი ქურდობით),

გამოვარკვიე:

ვიოლეტა ნოდარის ასული ჩახუტაშვილი მუშაობდა თბილისის ძაფსართავ ქარხანაში მუშად, იპარავდა შალისა და

„მოხერის“ ძაფებს, ამანათით უგზავნიდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებს. ამ ოპერაციებს ვ. ნ. ჩახუტაშვილი აწარმოებდა ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილებაში.

ვიღებ მხედველობაში იმას, რომ ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილებაში შეიძლება აღმოჩნდეს წერილები, ფულადი გზავნილები ან ამანათები, რასაც კავშირი ექნება საქმესთან, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 175-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ყადაღა დაედოს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილებაში საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციას, რომლებსაც გზავნის ან იღებს ვიოლეტა ნოდარის ასული ჩახუტაშვილი, დაბადებული 1960 წელს, მცხოვრები ხუდადოვის ქ. № 8.

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილების უფროსს, რათა დააკავოს ვ. ნ. ჩახუტაშვილის სახელზე შემოსული საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენცია (გარდა ჟურნალ-გაზეთებისა) და დაუყოვნებლივ მაცნობოს აღნიშნულის შესახებ.

უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე

დადგენილების პირი მიეიღე 1987 წლის 19 ნოემბერს.
I საფოსტო განყოფილების უფროსი ვ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი

მიმართვა საფოსტო განყოფილების უფროსს

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო
განყოფილების უფროსს ამხ. ვ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ს

გიგზავნით ჩემი 1987 წლის 19 ნოემბრის დადგენილების პირს ვიოლეტა ნოდარის ასული ჩახუტაშვილის სახელზე მიღებულ საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე ყადაღის დადებისა და მისი ამოღების შესახებ, მცხოვრები ქ. თბი-

ლისში, ხუდადოვის ქ. № 8. წინადადებას გაძლევთ დააკავოთ მის სახელზე შემოსული მთელი საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენცია (გარდა ჟურნალ-გაზეთებისა) და დაუყოვნებლივ მაუწყოთ ამის შესახებ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
პროკურატურის უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ს. სიხარულიძე

19 ნოემბერი, 1987 წ.

ოქმი

საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციის დათვალიერების და ამოღებისა

ქ. თბილისი 30 ნოემბერი, 1987 წ.

დათვალიერება და ამოღება დაიწყო
12 საათზე, დამთავრდა 12 საათსა და
50 წუთზე.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ს. ნ. სიხარულიძემ № 176 სისხლის სამართლის საქმეზე დამსწრეთა:

1. ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილების ფოსტალიონის — ნატალია პეტრეს ასული კანდელაკის, მცხოვრები ავჭალის გზატკეცილი, № 17, ბინა 8;

2. ამავე საფოსტო განყოფილების თანამშრომლის — თინა ვარდენის ასული კიბურაძის, მცხოვრები ოქტომბრის ქ. № 57, ბინა 15,

3. საფოსტო განყოფილების უფროსის — ვალერიან ვიქტორის ძე სარიშვილის

მონაწილეობით, საქართველოს სსრ სსსკ 175-ე მუხლის საფუძველზე, ჩავატარე ვიოლეტა ნოდარის ასული ჩახუტაშვილის სახელზე შემოსული საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციის დათვალიერება და ამოღება.

საქართველოს სსრ სსსკ 168-ე მუხლის საფუძველზე, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციის დათვალიერებისა და ამოღების წარმოებაში მონაწილე პირებს განემარტათ, და-

ესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება ამ მოქმედებათა გამო, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში.

დამსწრეებს, გარდა ამისა, განემარტათ, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე ძუხლის შესაბამისად, მათი მოვალეობაა დაადასტურონ დათვალიერებისა და ამოღების ფაქტი, ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი და შედეგები.

საფოსტო განყოფილების უფროსმა გადმომცა:

1. ამანათი თეთრ ქსოვილში შეფუთული, რომელსაც იისფერი მელნით ეწერა: „ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქ. № 13, ბინა 2, ვ. ს. დეისაძეს. თბილისი — 1, ხუდადოვის ქ. № 8. ვ. ნ. ჩახუტაშვილი“. ამანათის გახსნის შედეგად მასში აღმოჩნდა მწვანე „მოხერის“ ძაფი 500 გრამი;

2. საფოსტო ფულადი გზავნილის ბლანკი 150 მანეთის გადაგზავნის შესახებ. გამგზავნი ქ. ფოთი, აკაკის ქ. № 13, კალანდია ეთერი ვიქტორის ასული. მიმღები: ქ. თბილისი — 1, ხუდადოვის ქ. № 8, ჩახუტაშვილი ეიოლეტა ნოდარის ასული;

3. დაზღვეული წერილი კონვერტზე შემდეგი წარწერით: „ქ. თბილისი — 1, (380001), ხუდადოვის ქ. №8, ვ. ნ. ჩახუტაშვილს. ქ. ფოთი, ლენინის ქ. № 17, მარღანია ა. ი.“. ქ. ფოთის II საფოსტო განყოფილების შტამპის ანაბეჭდი, საიდანაც ჩანს, რომ კორესპონდენცია მიღებული იყო 1987 წლის 24 ნოემბერს, და ქ. თბილისის I საფოსტო განყოფილების შტამპის ანაბეჭდი, საიდანაც ჩანს, რომ კორესპონდენცია მიღებული იყო თბილისში 1987 წლის 28 ნოემბერს. კონვერტის გახსნის შედეგად მასში აღმოჩნდა წერილი, რომელიც იწყება სიტყვებით „ჩემო ვიოლა! შენს მიერ გამოგზავნილი ძაფი მივიღე“... და მთავრდება სიტყვებით „ველი შალის ცისფერ ძაფს 300 გ. ანია. 1987 წლის 23. XI“.

ამანათი, საფოსტო ფულადი გზავნილი და წერილი ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად.

საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციის დათვალიერებასა და ამოღებაში მონაწილე პირებს შენიშვნები არ განუცხადებიათ. ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა. იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები: ნ. კანდელაკი
თ. კიბურაძე

I საფოსტო განყოფილების
უფროსი ვ. სარიშვილი

უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ს. სიხარულიძე

ოქმის პირი მივიღე 1987 წლის 30 ნოემბერს.
I საფოსტო განყოფილების
უფროსი ვ. სარიშვილი

დადგენილება

საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე უყადღის დადების გაუქმების შესახებ

ქ. თბილისი 25 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა. II კლასის იურისტმა — ს. ნ. სიხარულიძემ განვიხილე № 176 სისხლის სამართლის საქმე ვიოლეტა ნოდარის ასული ჩახუტაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გამოვარკვიე:

ჩემი 1987 წლის 19 ნოემბრის დადგენილებით უყადღა დაედო საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციას, რომელსაც ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილების მეშვეობით იღებდა ვიოლეტა ნოდარის ასული ჩახუტაშვილი, დაბადებული 1960 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ხუდადოვის ქ. № 8.

ამჟამად გამოძიება დამთავრდა. საქმე განსახილველად გაეგზავნა სასამართლოს და არ არის საჭირო ვ. ნ. ჩახუტაშვილის საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე უყადღის შენარჩუნება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 174-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ჩახუტაშვილი ვიოლეტა ნოდარის ასულს, დაბადებულს 1960 წელს, მცხოვრებს ქ. თბილისში, ხუდადოვის ქ. № 8, საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის I საფოსტო განყოფილებაში მოეხსნას ყადაღა;

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის ლენინის სახელობის I საფოსტო განყოფილების უფროსს სისრულეში მოსაყვანად.

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ს. სიხარულიძე

მ ი მ ა რ თ ვ ა

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მმართველს

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი
შემნახველი სალაროების მმართველს
ამხ. დ. კვიცარიძეს

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, II კლასის იურისტს — ე. კ. ქარუ-ძიძეს წარმოებაში აქვს № 152 სისხლის სამართლის საქმე, აღ-ძრული ვ. ს. ადეიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინე-ბული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილით. ბრალდებული ვ. ს. ადეიშვილი ცხოვრობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი № 15, ბინა 17.

ვ. ს. ადეიშვილის ქონების შესაძლებელი კონფისკაციის მიზნით, საქართველოს სსრ სსსკ 174-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მაცნობოთ, აქვს თუ არა ანგარიში გახსნილი საქარ-თველოს სსრ რომელიმე შემნახველ სალაროში ბრალდებულ ვასილ სერგოს ძე ადეიშვილს ან მის მეუღლეს ნინა დიმიტ-რის ასულ ადეიშვილს, ანგარიშის ნომერი და თანხის რაოდე-ნობა.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის
პროკურორი, იუსტიციის უფროსი
მრჩეველი ე. ახვლედიანი

15 ნოემბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ანაბარზე ყადაღის დადების შესახებ

ქ. თბილისი 1 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ე. კ. ქარუმიძემ განიხილე № 152 სისხლის სამართლის საქმე ვ. ს. ადეიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ადეიშვილი ვასილი სერგოს ძე მუშაობდა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. მან 1987 წლის 5 ნოემბერს ქრთამის სახით მოქალაქე ვ. ნ. კვირიკაძისაგან მიიღო 3000 მანეთი. ქონების შესაძლებელი კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 174-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ყადაღა დაედოს ვასილ სერგოს ძე ადეიშვილის ანაბარს, რომელიც ირიცხება ქ. თბილისის №3530/082 შემნახველ სალაროში, ანგარიში № 2635, თანხის ოდენობა 7960 მანეთი;

2. აღნიშნულ ფულად ანაბარზე შეწყდეს ყოველგვარი ოპერაციების წარმოება;

3. № 2635 ანგარიშის პირი გადმომეგზავნოს სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად;

4. დადგენილების პირი შესასრულებლად გადაეგზავნოს ქ. თბილისის № 3530/082 შემნახველი სალაროს გამგეს.

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. ქ ა რ უ მ ი ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 2 დეკემბერს
№ 3530/082 შემნახველი სალაროს გამგე ნ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე

დადგენილება

ქონებაზე უადალის დადების შესახებ

ქ. ზესტაფონი 28 სექტემბერი, 1987 წ.

ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. კ. ობოლაძემ განვიხილე № 135 სისხლის სამართლის საქმე ედიბერიძე ზურაბ გურამის ძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-100 მუხლის მეორე ნაწილით,

გამოვარკვიე:

1987 წლის 12 სექტემბერს ზესტაფონის რაიკოოპერატივის № 74 მაღაზიაში გაჩნდა ხანძარი, ხანძრის შედეგად დაიწვა და განადგურდა მაღაზია და მატერიალური ფასეულობანი. გამოძიებით დადგინდა, რომ მაღაზიის გამგემ ზ. გ. ედიბერიძემ სახელმწიფო ქონების მითვისების დაფარვის მიზნით ცეცხლი წაუკიდა მაღაზიას. მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 174-ე მუხლის მოთხოვნით,

დავადგინე:

1. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად უადალა დაედოს ედიბერიძე ზურაბ გურამის ძის ქონებას, რომელიც იმყოფება ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვ. ობოლაძე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 28 სექტემბერს.
ბრალდებული ზ. ედიბერიძე

ო ქ ვ ი

ქონებაზე ყადაღის დადებისა

სოფელი მეორე სვირი 29 სექტემბერი, 1987 წ.

ქონების აღწერა და მასზე ყადაღის დადება
დაიწყო 11 საათზე, დამთავრდა 12 საათზე.

ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპატატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. კ. ობოლაძემ № 135 სისხლის სამართლის საქმეზე დამსწრეთა:

1. ჯუღელი პეტრე ირაკლის ძე, მცხოვრები სოფელ მეორე სვირში,

2. გიორგაძე ნოდარ დავითის ძე, მცხოვრები სოფელ მეორე სვირში,

3. უბნის ინსპექტორის, მილიციის ლეიტენანტის — ვ. დ. სიდამონიძისა და

4. ბრალდებულის მეუღლის — ნინა ვლადიმერის ასული უდიბერიძის თანდასწრებით, საქართველოს სსრ სსსკ 168-ე, 174-ე, 176-ე 177-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მოვახდინე ქონებაზე ყადაღის დადება.

საქართველოს სსრ სსსკ 168-ე მუხლის შესაბამისად, ქონებაზე ყადაღის დადებაში მონაწილე პირებს განემარტათ უფლება, დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება იმ მოქმედებათა გამო, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში. დამსწრეებს, გარდა ამისა, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, განემარტათ მათი მოვალეობა, დაადასტურონ ქონების აღწერის ფაქტი, ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი და შედეგები.

ქონების აღწერისა და ყადაღის დადების დაწყებამდე ბრალდებულის მეუღლეს — ნინა ვლადიმერის ასულ ედიბერიძეს წარედგინა ა/წლის 29 სექტემბრის დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

აღწერილია შემდეგი ქონება:

№ რიგითი	ნივთების დასახელება	რაოდენობა, წონა	ფასი
1	ტელევიზორი „რუბინ-106“	1983 წლის მოდელი № 171675	430 მან.
2	იმპორტული პიანინო „როინიშ“	1983 წლის მოდელი № 363716 (ყავისფერი)	1105 მან.
3	იმპორტული სტერეომაგნიტოფონი „გრიუნტიკ“	1980 წლის მოდელი № 1865, სტაციონარის ტიპის	850 მან.
4	ხალიჩა 2X3	ქ. ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკის დამზადებული მუქი ყავისფერი, ნახმარი	100 მან.
5	მაცივარი „ზილ“	1980 წლის მოდელი № 25167	300 მან.
6	საკერავი მანქანა	1982 წლის მოდელი, პოდოლსკის ქარხნის გამოშვება, № 71568	92 მან.
		სულ	2877 მან.

საქართველოს სსრ სსკ 174-ე მუხლის შესაბამისად, პირადი საჭიროების საგნები აღწერილი არ იყო.

აღწერილი და ყადაღადადებული ქონება შესანახად ჩაბარდა ბრალდებულის მეუღლეს — ნინა ვლადიმერის ასულ ედიბერიძეს.

ქონების აღწერაში მონაწილე პირებს შენიშვნები არ გამოუცხადებიათ. ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები: პ. ჯუღელი
ნ. გიორგაძე

მილიციის უბნის ინსპექტორი,
მილიციის ლეიტენანტი ე. სიდამონიძე

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ე. ობოლაძე

ოქმის პირი და აღწერილი ქონება მივიღე 1987 წლის 29 სექტემბერს.

ბრალდებულის მეუღლე ნ. ედიბერიძე

ხელწერილი

უადაღადადებული ქონების შენახვისა

მე, ედიბერიძე ნინა ვლადიმერის ასული, მცხოვრები სოფელ მეორე სვირში, საქართველოს სსრ სსკ 174-ე მუხლის შესაბამისად, ვაძლევ აღნიშნულ ხელწერილს ზესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელს, მილიციის უფროს ლეიტენანტს — ვ. კ. ობოლაძეს მასზედ, რომ ჩემ მიერ მიღებულია შესანახად უადაღადადებული ქონება, აღწერილი და ჩამოთვლილი ა/წ 29 სექტემბრის ქონებაზე უადაღის დადების ოქმში.

განმემარტა, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის წესით პასუხს ვაგებ აღწერილი და უადაღადადებული ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან დამალვის შემთხვევაში. ვკისრულობ ვალდებულებას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ საკითხის გადაწყვეტამდე აღწერილ და უადაღადადებულ ქონებას მოვუარო და შევინახო.

ხელწერილი მიეცი — ნ. ედიბერიძე

ხელწერილი ჩამოვართვი,
გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი — ვ. ობოლაძე

29 სექტემბერი, 1987 წ.

თავი IX

შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემოწმება. საგამოძიებო ექსპერიმენტი

ოქმი

გვამის დათვალიერებისა

(კინოგადაღების გამოყენებით)

ქ. ბათუმი 20 იელისი, 1987 წ.

დათვალიერება დაიწყო 10 საათზე და 30 წუთზე, დამთავრდა 12 საათსა და 20 წუთზე.

ქ. ბათუმის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ნ. დოლიძემ ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის — ს. ნ. ენუქიძის შეტყობინების საფუძველზე ქ. ბათუმის პროკურორის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის — ნ. ი. ქრისტესაშვილის, ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ ს. დ. ანდრიაძის, ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორის, მილიციის კაპიტნის — ს. ნ. ლორიას, ექიმ-სპეციალისტის — ნ. ი. ლეთოდიანის, მცხოვრები ქ. ბათუმში ლენინის ქ. № 18, ბინა 5, სპეციალისტ ნ. დ. ქარდავას, მცხოვრები ქ. ბათუმში, ორჯონიკიძის ქ. № 7, ბინა 3.

და დამსწრეთა:

1. მაისურაძე აკაკი პეტრეს ძე, მცხოვრები ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. № 6, ბინა 3,

2. წერეთელი ევგენი მარკოზის ძე, მცხოვრები ქ. ბათუმში, მარქსის ქ. № 23, ბინა 9, თანდასწრებით გამოვცხადდი შემთხვევის ადგილზე და საქართველოს სსრ სსსკ 96-ე, 178-ე,

მე-180, 182-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, დავათვალიერე გვამი. დათვალიერებაში მონაწილე პირებს განემარტათ უფლება, დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში. დამსწრეებს, გარდა ამისა, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, განემარტათ მოვალეობა, დაადასტურონ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შინაარსი და შედეგები.

დამსწრეები: ა. მაისურაძე
ე. წერეთელი

სპეციალისტებს ნ. ი. ლეთოდიანს და ნ. დ. ქარდავას, საქართველოს სსრ სსსკ 134[1]-ე მუხლის შესაბამისად, განემარტათ უფლება-მოვალეობანი და გაფრთხილებული იქნენ პასუხისმგებლობის შესახებ თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში.

სპეციალისტები: ნ. ლეთოდიანი
ნ. ქარდავა

გვამის დათვალიერება ჩაატარა ექიმ-სპეციალისტმა ნ. ლეთოდიანმა მზიან ამინდში, ჰაერის ტემპერატურა +22°, დათვალიერების შედეგად დადგინდა შემდეგი:

გვამის აღმოჩენის ადგილი მდებარეობს ქ. ბათუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მინდორზე, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება ქ. ბათუმის მექანიკური ქარხნის ქვის ღობე (ორჯონიკიძის ქ. № 15), სამხრეთით — შავი ზღვა, დასავლეთით — მდინარე ჭოროხი, ხოლო აღმოსავლეთით — ბათუმ — ხელვაჩაურის გზატკეცილი. მექანიკური ქარხნის ღობის შუა ადგილას, გარეთ, მინდორზე, 7,6 მეტრის დაშორებით დგას სატრანსფორმატორო ჯიხური. ქალის გვამი, შეხედულებით 25—30 წლისა, ძევს ბალახზე გულდაღმა, მექანიკური ქარხნის ღობის შუა ადგილიდან 3 მეტრის, ხოლო სატრანსფორმატორო ჯიხურიდან 4 მ და 60 სმ დაშორებით. გვამის თავი მიმართულია ჩრდილოეთის, ხოლო ფეხები — სამხრეთისაკენ. გვამის სიგრძეა 169 სმ. თავი გადახრილია მარცხნივ; ხელები ტანის გასწვრივაა გაშლილი, ფეხები გამართულ მდგომარეო-

ბამია, ოდნავ განზე გაშლილი. მანძილი ფეხების ტერფებს შორის 20 სმ-ია.

გვამის თავის ქვეშ, ბალახზე, არის ნაწილობრივ შედედებული მუქი წითელი ფერის სითხის გუბე, ზომით 28×21×5 სმ.

გვამს აცვია ნახმარი საზაფხულო ყავისფერი ლაბადა უქამროდ, ორჯიბიანი, რუხი აბრეშუმის სარჩულით. ლაბადაზე დაკერებულია პლასტმასის ყავისფერი ხუთი ღილი. ლაბადა შეკრულია ზედა ღილზე. მარჯვენა მხარეს დაკერებული ჯიბის ზედა ნაწილი ჩახეულია. ჯიბის შუა ადგილას ნახევის სიგრძეა 9 სმ. ლაბადის უკანა მხარე შეკეცილია გვამის ქვეშ. ლაბადას შიდა მარცხენა მხარეზე აქვს ჯიბე. ამ ჯიბეში აღმოჩნდა ათმანეთიანი ХИ 9352944. გარეთა მარჯვენა ჯიბეში იყო ოთხად გაკეცილი ქალის ცხვირსახოცი ზომით 18×18 სმ, თეთრი, მწვანე ზოლებით, ლაბადის საყელოზე მიმაგრებულია თეთრი ქსოვილი, რომელზეც არის ლაბადის ზომის აღნიშვნა „50.IV".

გვამს ლაბადის ქვეშ აცვია ცისფერი კაბა, რომელიც შეკრულია ყველა (ოთხ) ღილზე. კაბისა და ლაბადის საყელოზე, კისრის მიდამოში, არის მრავალი მუქი წითელი შედედებული და შემხმარი ლაქები. ზომით 10×10 სმ. კაბას ჯიბეები არა აქვს. გვამს კაბის ქვეშ აცვია თეთრი აბრეშუმისმაგვარი ქსოვილის პერანგი და ტრიკოტაჟის ლურჯი ქვედა საცვალი, ფეხებზე კი ღია ყავისფერი კაპრონისმაგვარი წინდები, დამაგრებული თეთრი რეზინებით. გვამს ფეხსაცმელები არ აცვია.

გვამური გაშეშება გამოხატულია მკაფიოდ, კუნთების ყველა ჯგუფში. მუქი-იისფერი გვამური ლაქები არსებობს ზურგზე, წელზე და ფეხების უკანა მხარეს. ხელის დაჭირებისას ლაქები ქრება, ხოლო შემდეგ კვლავ ვლინდება. გვამის თმა წაბლისფერია, ხშირი, ოდნავ ხვეული, სიგრძე 35—40 სმ. თავის კეფის არეში აღინიშნება თავის ქალის მთლიანობის დარღვევა, ძვლოვანი ქსოვილი რამდენიმე ადგილას ხელის დაჭერით იზნიქება და იგრძნობა ნამსხვრევი ნაწილები. თავის დაზიანების ადგილას კანის ქსოვილის მთლიანობა დარღვეულია, რომლის ზომაა 3×5 სმ. თმები შეწებებულია მუქი წითელი, სისხლისმაგვარი სითხით. წარბები შავია, რკალისებრი. გვამს თვალები ღია აქვს; თვალები ცისფერია. სახის მარცხენა მხა-

რეს ცხვირის ნესტოსა და ყურებში აღინიშნება მუქი წითელი სისხლისმაგვარი შემხმარი სითხე, — გადმოდენილი მიწაზე ვერტიკალურად. ცხვირის ზურგი სწორია, ცხვირის ფუძის დაბოლოება — ოდნავ ზევით აწეული, ტუჩები — მოლურჯო, ვიწრო, ტუჩების დაბოლოება — ოდნავ ქვევით ჩამოწეული, ყურები — საშუალო ზომის, წინ დახრილი. ნიკაპი შუაში ჩაღრმავებულია, კისერი — ვიწრო, გრძელი. ხელების შიდა ზედაპირი დაფარულია მუქი წითელი სისხლისმაგვარი შემხმარი სითხით.

გვამის მახლობლად აღმოჩნდა შემდეგი: გვამიდან 7 მეტრის, ხოლო სატრანსფორმატორო ჯიხურიდან 15 მ-ის დაშორებით, სოფელ მეჯინისწყლის მიმართულებით, მიწაზე, ნაწილობრივ ნახნავ ზედაპირზე, აღმოჩნდა ფეხის მოცულობითი კვალი, რომლის სიგრძეა 29,2 სმ, სიგანე ლანჩის ყველაზე უფრო ფართო ნაწილში — 9,3 სმ, ქუსლის ყველაზე ფართო ნაწილში — 6 სმ. კვალში მკაფიოდაა გამოხატული როგორც ლანჩის, ისე ქუსლის ზედაპირის კვალი. იგი დატოვებულია მარჯვენა ფეხსაცმლის ძირით.

შემთხვევის ადგილზე დამზადდა აღმოჩენილი ფეხის კვალის თაბაშირის ტვიფრი, რომელსაც მიება მუყაოს ნაჭერი, შემდეგი წარწერით: „ქ. ბათუმში მექანიკური ქარხნის მახლობლად უცნობი ქალის გვამის აღმოჩენის ადგილზე არსებული ფეხის კვალის ტვიფრი. 1987 წლის 20 იელისი. გამომძიებელი ვ. დოლიძე".

შემთხვევის ადგილზე სპეციალისტმა ნ. ქარდავამ აწარმოვა შემდეგი სახის ფოტოგადაღებები: საორიენტაციო (გვამის აღმოჩენის ადგილმდებარეობა), მიმოხილვითი (გვამის აღმოჩენის ადგილი), საკვანძო (გვამი ახლომდებარე საგნებთან ერთად), დეტალური (გვამის თავის ქალის დაზიანება). დეტალური გადაღება წარმოებდა მასშტაბური წესით; გვამის საკვანძო გადაღება წარმოებდა ოთხი მხრიდან (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი) გვამიდან 5 მეტრის დაშორებით. გვამი ფოტოგრაფირებულ იქნა ზემოდან 2 მეტრის დაშორებით. გადაღებულ იქნა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ფეხის კვალის საკვანძო და დეტალური (მასშტაბური) ფოტოსურათი.

გადაღება წარმოებდა ფოტოაპარატ „ზენიტ — 3C"-ით.

ობიექტივი „ინდუსტარი — 26 М“, შუქფილტრის გარეშე; ფირის შუქმგრძნობიარობა 65 ერთეული „გოსტის“ მიხედვით, დიაფრაგმა — 12, ექსპოზიცია — 1/25.

სპეციალისტმა ნ. ქარდავამ აწარმოვა კინოგადაღება კინოაპარატ „კვარც — 5“-ის გამოყენებით, ფირის შუქმგრნობიარობა — 32 ერთეული „გოსტის“ მიხედვით, ფირის მოძრაობის სიჩქარე — 16. ფირზე აღბეჭდილ იქნა შემთხვევის ადგილი ახლომდებარე მიდამოებთან ერთად, უშუალოდ შემთხვევის ადგილი, გვამი ახლომდებარე საგნებთან ერთად, უშუალოდ გვამი, ფეხის კვალი.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა და საქმეს დაერთო: ფეხის კვალის ტვიფრი, ათმანეთიანი ХИ — 9352944, ქალის თეთრი ცხვირსახოცი მწვანე ზოლებით, მუქი წითელი ლაქებით. გვამი გაიგზავნა ქ. ბათუმის № 1 საავადმყოფოს პროზექტურაში სიკვდილის მიზეზის დადგენის მიზნით.

შემთხვევის ადგილზე შედგენილ იქნა სქემა. ფოტო და კინოფირი. შემთხვევის ადგილის სქემა ერთვის ოქმს.

დათვალიერებაში მონაწილე პირებს და დამსწრეებს განცხადებები და შენიშვნები დათვალიერების მსვლელობის, შედეგებისა და ოქმის შედგენის სისწორის შესახებ არ განუცხადებიათ.

ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა: იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები:	ა. მ ა ი ს უ რ ა ძ ე
	ე. ნ ე რ ე თ ე ლ ი
ქ. ბათუმის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი	ნ. ქ რ ი ს ტ ე ს ა შ ვ ი ლ ი
ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, პოლპოლკოვნიკი	ს. ა ნ დ რ ი ა ძ ე
სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი	ს. ღ ო რ ი ა
ექიმ-სპეციალისტი	ნ. ღ ე თ ო დ ი ა ნ ი
სპეციალისტ-ოპერატორი	ნ. ქ ა რ დ ა ვ ა
გამომძიებელი, II კლასის იურისტი	ე. დ ო ლ ი ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღების შესახებ

ქ. წითელწყარო 23 ივნისი, 1987 წ.

წითელწყაროს რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ს. მ. ხერხაძემ განიხილე № 165 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული მოსე ისაკის ძე ბეკოშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 20 მაისს თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტის კოლმეურნეობის მწყემსი ლ. პ. მესაბლიშვილი და ამავე კოლმეურნეობის მძღოლი ვ. ვ. მეშველიშვილი სატვირთო ავტომანქანით — № 15—65 გრს — ჩამოვიდნენ წითელწყაროს რაიონში „მწარე წყალზე". მათ მანქანით ჩამოიტანეს საქონლის კომბინირებული საკვები. „მწარე წყალზე" ბრიგადირად მუშაობდა აწ გარდაცვლილი მოსე ისაკის ძე ბეკოშვილი, დაბადებული 1937 წელს, მცხოვრები თიანეთის რაიონში, სოფ. ჟებოტში.

მანქანიდან კომბინირებული საკვების ჩამოტვირთვის შემდეგ მ. ი. ბეკოშვილმა იქვე გაშალა სუფრა და ლ. პ. მესაბლიშვილთან და ვ. ვ. მეშველიშვილთან ერთად შეუდგნენ ღვინის სმას. ღვინის სმის შემდეგ მ. ი. ბეკოშვილი გახდა ცუდად, რის შემდეგ იგი მანქანით მიიყვანეს თავის ბინაში. მეორე დილით, ე. ი. 21 მაისს, მ. ი. ბეკოშვილი გარდაიცვალა.

გარდაცვლილის და — ვერა ისაკის ასული ბეკოშვილი თავის განცხადებებსა და ჩვენებებში მიუთითებს, რომ მისი ძმა მ. ი. ბეკოშვილი გარდაიცვალა არა ბუნებრივი სიკვდილით, არამედ ავტოავარიის ანდა ძლიერი ცემის შედეგად. ასეთ დასკვნას ვ. ი. ბეკოშვილი ამყარებს იმაზე, რომ ქალებმა, რომლებმაც დაკრძალვის წინ ტანისამოსი ჩააცვეს გარდაცვლილ მ. ი. ბეკოშვილს, აღნიშნეს, რომ მიცვალებულს თავისა და კეფის არეში ჰქონდა დაზიანებები. საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამ გამოიწვია მ. ი. ბეკოშვილის სიკვდილი, საჭიროა მოხდეს დაკრძალვის ადგილიდან გვამის (მ. ი. ბეკოშვილის) ამოღება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-180 მუხლის მეორე ნაწილით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

ამოღებულ იქნეს თიანეთის რაიონის სოფელ ყებოტის სასაფლაოზე დაკრძალული მოსე ისაკის ძე ბეკოშვილის გვამი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის მიზნით სიკვდილის მიზეზის დასადგენად.

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ს. ხ ე რ ხ ა ძ ე

ო ქ მ ი

დაკრძალული გვამის ამოღებისა

სოფელი ყებოტა 25 ივნისი, 1987 წ.

დაკრძალული გვამის ამოღება დაიწყო 14 საათზე, დამთავრდა 16 საათზე.

წითელწყაროს რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ს. მ. ხერხაძემ № 165 სისხლის სამართლის საქმეზე დამსწრეთა თანდასწრებით:

1. თეგერაშვილი არჩილ ვანოს ძე, მცხოვრები თიანეთის რაიონის სოფელ ყებოტაში, ლენინის ქ. № 15,

2. მესაბლიშვილი გოგია პავლეს ძე, მცხოვრები თიანეთის რაიონის სოფელ ყებოტაში, ლენინის ქ. № 19 და თიანეთის რაიონის პროკურორის, I კლასის იურისტის მ. ვ. ჟორჟიკაშვილის, წითელწყაროს რაიონის საავადმყოფოს ექიმ-სპეციალისტის — ს. კ. ქოლიევის (მცხოვრები წითელწყაროში, კალინინის ქ. № 17, ბინა 3), გარდაცვლილის დის — ვერა ისაკის ასულ ბეკოშვილის, ძმის — ნოდარ ისაკის ძე ბეკოშვილის, სოფელ ყებოტის სასაფლაოს გამგის ს. დ. რუხაძის თანდასწრებით ამოვიღე თიანეთის რაიონის სოფელ ყებოტის სასაფლაოზე დაკრძალული მოსე ისაკის ძე ბეკოშვილის გვამი საქართველოს სსრ სსსკ 96-ე, 176-ე, მე-180, 182-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

დამარხული გვამის ამოღებამდე ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს განემარტათ უფლება: დაესწრონ გა-

მომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში. დამსწრეებს, გარდა ამისა, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, განემარტათ მათი მოვალეობა; დაადასტურონ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შინაარსი და შედეგები.

დამსწრეები: ა. თ ე გ ე რ ა შ ვ ი ლ ი
გ. მ ე ს ა ბ ლ ი შ ვ ი ლ ი

ექიმ-სპეციალისტს ს. კ. ქოვლიევს, საქართველოს სსრ სსსკ 134[1]-ე მუხლის შესაბამისად, განემარტა უფლება-მოვალეობანი და გაფრთხილებულ იქნა პასუხისმგებლობის შესახებ თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის.

ექიმ-სპეციალისტი ს. ქ ო ვ ლ ი ე ვ ი

დათვალიერება ჩატარდა მზიან. ნათელ ამინდში, ჰაერის ტემპერატურა +24°. აწ გარდაცვლილის დამ — ვ. ი. ბეკოშვილმა, ძმამ — ნ. ი. ბეკოშვილმა მიუთითეს მ. ი. ბეკოშვილის დაკრძალვის ადგილი. სასაფლაო მდებარეობს სოფელ ყებოტის ბოლოს, ჩრდილოეთით, მდინარე იორის მარცხენა ნაპირზე. სასაფლაო ქვიტკირის კედლით არის შემოღობილი. სასაფლაოს აღმოსავლეთით აქვს რკინის ჭიშკარი, საიდანაც გზა მიემართება პირდაპირ. ჭიშკრიდან 100 მეტრის დაშორებით არის მარცხენა შესახვევი. ამ შესახვევიდან 22 მეტრის დაშორებით მარცხენა მხარეს არის გარდაცვლილი მ. ი. ბეკოშვილის საფლავი 2,5×4 მ. საფლავს აქვს რკინის ჭიშკარი (საფლავის № 137). საფლავის შუა ადგილას ქვის პოსტამენტზე მოთავსებულია მ. ი. ბეკოშვილის ფოტოსურათი, მინით დაფარული, ხის ჩარჩოში. ქვის პოსტამენტს აწერია „მოსე ისაკის ძე ბეკოშვილი 1937—1987. შვილებისაგან“.

მ. ი. ბეკოშვილის საფლავის ზემოთ არის ა. ი. წიკლაურის, ქვემოთ — ბ. მ. ბუჩუკურის, მარცხნივ — ა. გ. არაბულის და მარჯვნივ — გ. ს. უთურგაულის საფლავები.

გათხრილ იქნა დაკრძალვის ადგილი და 1,5 მ სიღრმიდან თოკის შემოვლებით ამოღებულ იქნა სასახლე მიწის ზედა-

პირზე. სასახლე არის შეღებილი მოყვითალო საღებავით. თავის მოხსნის შედეგად მასში აღმოჩნდა მამაკაცის გვამი, რომელიც ამოიცნო გარდაცვლილის დამ — ვ. ი. ბეკოშვილმა და ძმამ — ნ. ი. ბეკოშვილმა. გვამს აცვია შავი კოსტიუმი, ფეხზე აცვია ყავისფერი წინდები და რეზინისძირიანი შავი ფეხსაცმელი.

გვამის ამოღების შემდეგ გამომძიებლის მიერ გადაღებულ იქნა ფოტოსურათები: დაკრძალვის ადგილის საერთო ხედი, სასახლე და გვამი. გვამი ფოტოგრაფირებულ იქნა ოთხი მხრიდან, გვამიდან 3 მეტრის დაშორებით. გადაღება წარმოებდა ფოტოაპარატ „ზენიტი — 3C"-ით, ობიექტივი — „ინდუსტარი — 26 M", შუქფილტრის გარეშე, ფირის შუქმგრძნობიარობა 65 ერთეული „გოსტის" მიხედვით, დიაფრაგმა — 8, ექსპოზიცია — 1/25. ფოტოფირები ერთვის ოქმს. გვამი გაიგზავნა თიანეთის რაიონის საავადმყოფოს პროზექტურაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.

დაკრძალული გვამის ამოღებაში მონაწილე პირებს და დამსწრეებს შენიშვნები არ განუცხადებიათ. ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები: ა. თ ე გ ე რ ა შ ვ ი ლ ი
გ. მ ე ს ა ბ ლ ი შ ვ ი ლ ი

ექიმ-სპეციალისტი ს. ქ ო ვ ლ ი ე ე ი

გარდაცვლილის და ვ. ბ ე კ ო შ ვ ი ლ ი
გარდაცვლილის ძმა ნ. ბ ე კ ო შ ვ ი ლ ი

სასაფლაოს გამგე ს. რ უ ხ ა ძ ე

თიანეთის რაიონის პროკურორი, I კლასის იურისტი მ. ე ო რ ე ი კ ა შ ვ ი ლ ი

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ს. ხ ე რ ხ ა ძ ე

დადგენილება

ნივთიერი მტკიცებულების საქმეზე დართვის შესახებ

ქ. რუსთავი 15 ივლისი, 1987 წ.

ქ. რუსთავის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ს. პერტენავამ განიხილე № 756 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ირაკლი ბონდოს ძე ზვიადაურის ძიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 12 ივლისს 22 საათზე დაზარალებულ თ. ნ. ბიწოევას ბინაში (ქ. რუსთავი, მაროს არხის მესამე დასახლება, ბინა 52) მივიდა ი. ბ. ზვიადაური, სადაც ივახშმა და შემდეგ დანის გამოყენებით და მუქარით მოინდომა თ. ნ. ბიწოევას გაუპატიურება, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოასწრო გარეთ, ქუჩაში გასვლა და მილიციონერის მოყვანა. ზვიადაური დაკავებულ იქნა.

ა/წლის 15 ივნისს პროკურატურაში გამოცხადდა დაზარალებული თ. ნ. ბიწოევა და წარმოადგინა ჯაყვა, რომლის გამოყენების მუქარით ბრალდებული ცდილობდა მის გაუპატიურებას. ჯაყვა არის ყავისფერი, პლასტმასისტარიანი, 8 სმ სიგრძის. აქვს ორი დანა 6 და 5 სმ სიგრძის. პლასტმასის ტარზე გამოსახულია ასოები „ი. ზ.".

ვიღებ მხედველობაში, რომ აღნიშნული ჯაყვა წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას და მნიშვნელობა აქვს საქმის სრულყოფილი გამოძიებისათვის, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 61-ე, 74-ე, 75-ე მუხლებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

წარმოდგენილი ჯაყვა ცნობილ იქნას ნივთიერ მტკიცებულებად და დაერთოს № 756 სისხლის სამართლის საქმეს, როგორც ნივთმტკიცება და ინახებოდეს საქმესთან ერთად.

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. პ ე რ ტ ე ნ ა ვ ა

დადგენილება

შემოწმების შესახებ

ქ. თბილისი 10 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ს. ნ. ხაბურძანიამ განიხილა № 567 სისხლის სამართლის საქმე,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 1 სექტემბერს, 14 საათზე, ავჭალის გზატკეცილზე მდებარე № 97 სახლის წინ, ხულიგნური ქმედობის ღროს უცნობმა პირმა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა მოქალაქე ნოდარ ვასილის ძე გვიშიანს. ამ საქმეზე ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ იქნა ვასილ პეტრეს ძე ივანიშვილი. მოწმე სანდრო ირაკლის ძე კვიჟინაძემ განაცხადა, რომ ხულიგნობის ჩამდენ პირს აეწია პერანგი და შენიშნა, მარცხენა ბეჭზე მას ჰქონდა ტატუირებული ქალის თავი, რომლის ქვემოთ გამოსახული იყო ხანჯლით გაპობილი გული.

იმის გამო, რომ ეჭვმიტანილის სხეულზე შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებული ნიშანი — ტატუირება ქალის თავის გამოსახულებით და ხანჯლით გაპობილი გული, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 181-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

მოვახდინო ეჭვმიტანილ ვასილ პეტრეს ძე ივანიშვილის შემოწმება, რის შესახებაც გამოეცხადოს მას.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ს. ხ ა ბ უ რ ძ ა ნ ი ა

დადგენილება შემოწმების ჩატარების შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 10 სექტემბერს.

ეჭვმიტანილი ვ. ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

შემოწმების ოქმი

ქ. თბილისი 10 სექტემბერი, 1987 წ.

შემოწმება დაიწყო 16 საათზე,
დამთავრდა 16 საათსა და 30 წუთზე.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ს. ნ. ხაბურძანიამ ამავე განყოფილების შენობაში დამსწრეთა მონაწილეობით:

1. ფრანგიშვილი გიზო ვარდენის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში ოქტომბრის ქ. № 127, ბინა 15,

2. სულაბერიძე ავთანდილ ვალერიანის ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ავჭალის გზატკეცილი № 15, ბინა 27,

საქართველოს სსრ სსსკ 96-ე, 181-ე, 182-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მოვახდინე ეჭვმიტანილ ვასილ პეტრეს ძე ივანიშვილის შემოწმება.

შემოწმების წინ ეჭვმიტანილ ვ. პ. ივანიშვილს გამოეცხადა ა/წლის 10 სექტემბრის დადგენილება შემოწმების შესახებ და განემარტა საქართველოს სსრ სსსკ 181-ე მუხლის შინაარსი.

საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, დამსწრეებს განემარტათ უფლება, დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში, და მოვალეობა, დაადასტურონ შემოწმების ჩატარების შინაარსი და შედეგები.

დამსწრეები: გ. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი
ა. ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ეჭვმიტანილ ვ. პ. ივანიშვილს მარცხენა ბეჭზე აქვს ტატუირება ქალის თავის გამოსახულებით, რომლის ქვემოთ გამოსახულია ხანჯლით გაპობილი გული.

დამსწრეებს და ეჭვმიტანილს განცხადებები და შენიშვნე-

ბი არ განუცხადებიათ. ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა; იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები: გ. ფრანგიშვილი
ა. სულაბერიძე

შემოწმებული პირი,
ეპვმიტანილი ივანიშვილი

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ს. ხაბურძანია

ოქმი

საგამოძიებო ექსპერიმენტისა

სოფელ ფარცანაყანევი 27 სექტემბერი, 1987 წ.

ექსპერიმენტი დაიწყო 13 საათზე,
დამთავრდა 14 საათზე.

წყალტუბოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ს. ნ. ფხაკაძემ № 176 სისხლის სამართლის საქმეზე დამსწრეთა:

1. შვანგირაძე ვიტალი სერგოს ძე, მცხოვრები სოფელ ფარცანაყანევში,

2. იოსელიანი კონსტანტინე გივის ძე, მცხოვრები სოფელ ფარცანაყანევში და ფარცანაყანევის სოფლის მაღაზიის გამგე-გამყიდველის ვ. ს. კაკაბაძის, სპეციალისტ-ფოტოგრაფის, მილიციის უმცროსი ლეიტენანტის — ნ. ვ. ცანავას, მცხოვრები ქ. წყალტუბოში, ორჯონიკიძის ქ. № 7,

მონაწილეობით, საქართველოს სსრ სსსკ 96-ე, 183-ე მუხლების დაცვით, ჩავატარე საგამოძიებო ექსპერიმენტი იმ მიზნით, შეეძლო თუ არა ბოროტმოქმედს სოფელ ფარცანაყანევის სასურსათო მაღაზიის უკანა კედლის გამონგრეული ადგილიდან გაეტანა შვიდი ყუთი კარაქი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პი-

რებს განემარტათ უფლება, დაესწრონ გამომძიებლის ყველა მოქმედებას და გააკეთონ განცხადება, რაც შეტანილი უნდა იქნეს ოქმში. დამსწრეებს, გარდა ამისა, განემარტათ მოვალეობა, საქართველოს სსრ სსსკ 136-ე მუხლის შესაბამისად, დაადასტურონ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების შინაარსი და შედეგები.

დამსწრეები: ვ. შვანგირაძე
კ. ოსელიანი

სპეციალისტ ნ. ვ. ცანავას, საქართველოს სსრ სსსკ 134[1]-ე მუხლის შესაბამისად, განემარტა უფლება-მოვალეობანი და გაფრთხილებულ იქნა პასუხისმგებლობის შესახებ თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის.

სპეციალისტი ნ. ცანავა

საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა მზიან, ნათელ ამინდში; ჰაერის ტემპერატურა იყო +24°. სოფელ ფარცანაყანევის სასურსათო მაღაზია მდებარეობს ლენინის ქ. № 8-ში. შენობა ერთსართულიანია, შედგება ორი ოთახისაგან: სავაჭრო ოთახი 5×5 კვ. მ. და საწყობი — 4×5 კვ. მ. მაღაზიაში შესასვლელი კარები მდებარეობს აღმოსავლეთით. დასავლეთით, მიწიდან 1 მ სიმაღლეზე გამონგრეულია ქვიტკირის კედელი, ოთხკუთხედის ფორმით, ზომა 43×44 სმ, გამონგრევის ცენტრიდან კედლის დაბოლოებამდე მარცხნივ არის 3 მ, მარჯვნივ — 2 მ.

საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩატარდა შემდეგ პირობებში: ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პირები და დამსწრეები იყვნენ საწყობში, რომელიც კარგად იყო განათებული ელექტრონათურით. მაღაზიის გამგე-გამყიდველს — ვ. ს. კაკაბაძეს მიეცა წინადადება, ყარაქის მუყაოს ყუთი — ზომით 44×44×44 სმ, — რომელშიც მოთავსებული იყო 15 კგ კარაქი, გაეტანა საწყობიდან ქვიტკირის გამონგრეულ კედელში. მაღაზიის გამგე-გამყიდველმა დაადასტურა, რომ სწორედ ასეთი ზომის შვიდი ყუთი კარაქი გაიტანეს საწყობიდან.

მაღაზიის გამგე-გამყიდველი ვ. ს. კაკაბაძე მივიდა გამონ-

გრეულ კედელთან, სხვადასხვა ხერხით და მდგომარეობაში სცადა კარაქის ყუთის გატანა გამონგრეულ კედელში, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლო მისი გატანა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში სპეციალისტმა ნ. ვ. ცანავამ აწარმოვა შემდეგი სახის ფოტოგადაღებები: საორიენტაციო — სოფლის სასურსათო მაღაზია ქუჩასთან და ახლომდებარე სახლებთან ერთად (ოთხივე მხრიდან;) მიმოხილვითი — სავაჭრო ოთახი და საწყობი; საკვანძო — გამონგრეული კედელი საწყობის და ეზოს მხრიდან, მაღაზიის გამგე-გამყიდველის მიერ კარაქის ყუთის გატანის მცდელობის მომენტი.

ფოტოგადაღება წარმოებდა აპარატით „ზენიტი — 3C", ობიექტივი „ინდუსტარი — 26M", ფირის მუქმგრძნობიაროობა 90 „გოსტის" მიხედვით, დიაფრაგმა გარედან გადაღების დროს 12, ექსპოზიცია 1/100 სკ, შენობაში გადაღების დროს დიაფრაგმა 4, ექსპოზიცია — 1/25. ექსპერიმენტის ჩატარების დროს შედგენილ იქნა სოფლის მაღაზიის სქემა. ოქმს ერთვის ფოტო-ფირი, სოფლის მაღაზიის სქემატური გამოსახულება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილე პირებს და დამსწრეებს განცხადებები და შენიშვნები ამ საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისა და შედეგების შესახებ არ ჰქონიათ. ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა; იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დამსწრეები: ე. შ ე ა ნ გ ი რ ა ძ ე
კ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

მაღაზიის გამგე-გამყიდველი ე. კ ა კ ა ბ ა ძ ე

სპეციალისტი,
მილიციის უმცროსი ლეიტენანტი ნ. ც ა ნ ა ვ ა

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ს. ფ ხ ა კ ა ძ ე

თავი X

ექსპერტიზის დანიშვნა და ნიმუშების მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის

დადგენილება

ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. სამტრედია 17 ნოემბერი, 1987 წ.

სამტრედიის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ.ს. კვანტალიანმა განვიხილე № 165 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ნ. დ. ვარდოსანიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილით,

გამოვარკვიე:

1987 წლის 2 ნოემბერს ნათელა ლევანის ასული პეტრიაშვილის საქმრომ — ვ. დ. შენგელიამ მიიღო უსახელო (ანონიმური) წერილი, რომლის ავტორიც აცნობებდა ვ. დ. შენგელიას, რომ მისი საცოლე ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, სავალუტო ფასეულობებით და ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციას, აგრეთვე დაკავშირებული იყო საეჭვო ყოფაქცევის პირებთან. ყოველივე ეს ცნობილი გახდა ნ. ლ. პეტრიაშვილისათვის, რომელმაც უსახელო წერილი და კონვერტი წარმოადგინა პროკურატურაში. პ. ლ. პეტრიაშვილმა ა/წლის 13 ნოემბერს დაკითხვის დროს განმარტა, რომ უსახელო ცილისმწამებლური წერილის დაწერა შეეძლო მის მიმართ მტრულად განწყობილ ნ. დ. ვარდოსანიძეს, დაბადებულს 1960 წლის 25 დეკემბერს, მცხოვრებს ქ. სამტრედიაში, კიროვის ქ. № 37, ბინა 5.

იმისათვის, რომ დადგინდეს შესრულებულია თუ არა უსახელო ცილისმწამებლური ხასიათის წერილი ნ. დ. ვარდოსანიძის მიერ, საჭიროა ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 184-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ექსპერტს:

3. ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. შესრულებულია თუ არა კონვერტზე არსებული ტექსტი: — „ქ. სამტრედია ლენინის ქ. № 15, ბინა 3, ვალიკო დიმიტრის ძე შენგელიას" — ნინა დიმიტრის ასული ვარდოსანიძის მიერ?

ბ. შესრულებულია თუ არა უსახელო წერილი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ძვირფასო ვალიკო..." და მთავრდება სიტყვებით: „თქვენი კეთილისმსურველი" — ნინა დიმიტრის ასული ვარდოსანიძის მიერ?

4. ექსპერტის განკარგულებაში გადაიგზავნოს გამოსაკვლევი საბუთები:

ა. სტანდარტული კონვერტი, რომელიც შევსებულია იისფერი მელნით. კონვერტზე მარჯვენა ზემო კუთხეში არის სამტრედიის № 2 საფოსტო განყოფილების შტამპელის ანაბეჭდი „1.XI.87 წ.";

ბ. უსახელო წერილი, შესრულებული იისფერი მელნით, სტანდარტული რვეულის ცალხაზიან ერთ ფურცელზე;

5. ნიმუშების სახით შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად ექსპერტს გადაეგზავნოს:

ა. ნ. დ. ვარდოსანიძის ხელწერის თავისუფალი ნიმუშები: ავტობიოგრაფია, შესრულებული იისფერი მელნით 1987 წლის 3 თებერვლის თარიღით. ქაღალდის ზომა 21×28 სმ (ერთ გვერდზე); კადრების აღრიცხვის ფურცელი, შევსებული 1987

წლის 3 თებერვალს (ოთხ გვერდზე); განცხადება ქ. სამტრედიის საკონსერვო ქარხნის დირექტორის სახელზე, კუთვნილ შვებულებაში გაშვების შესახებ, შესრულებული იისფერი მელნით 1987 წლის 25 ოქტომბრის თარიღით;

ბ. ნ. დ. ვარდოსანიძის ხელწერის ექსპერიმენტული ნიმუშები: მიღებული 1987 წლის 10 ნოემბერს, სამ ფურცელზე, ზომით 21×29.

6. ბრალდებულ ნ. დ. ვარდოსანიძეს, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, გაეცნოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

სამტრედიის რაიონის პროკურატურის
გამომძიებელი, II კლასის იურისტი ვ. კვანტალიანი

დადგენილებას ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ჩემს უფლებებს გავეცანი 1987 წლის 17 ნოემბერს. რაიმე განცხადება ან შუამდგომლობა არა მაქვს.

ბრალდებული ნ. ვარდოსანიძე

დადგენილება

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 22 აგვისტო, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ს. სირბილაძემ განიხილე № 176 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვ. ნ. კვარაცხელიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 8 აგვისტოს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შემტვრეული იყო ავჭალის გზატკეცილის № 75 ბინის I სართულზე მდებარე № 82 გასტრონომის კარები. გატანილ-იქნა 20 ბოთლი კონიაკი „თბილისი". შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მაღაზიის სავაჭრო განყოფილების ოთახის იატაკზე ეგდო ერთი ბოთლი კონიაკი „თბილისი". ბოთლზე აღმოჩენილ იქნა თითის ანაბეჭდები.

იმისათვის, რომ დადგინდეს აღნიშნულ კონიაკის ბოთლზე თითის ანაბეჭდები დატოვებულია თუ არა ბრალდებულ ე. ნ. კვარაცხელიას მიერ, საჭიროა ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 184-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველოს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ განყოფილებას:

ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. კონიაკის ბოთლზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდები გაშოდგება თუ არა იდენტიფიკაციისათვის?

ბ. კონიაკის ბოთლზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდები ხომ არ არის დატოვებული ე. ნ. კვარაცხელიას მიერ?

4 ექსპერტის განკარგულებაში გადაიგზავნოს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ერთი ბოთლი კონიაკი „თბილისი", შეფუთული, ფიცრის უთით;

5. ნიმუშის სახით ექსპერტს გადაეგზავნოს ვიტალი ნიკოლოზის ძე კვარაცხელიას თითის ანაბეჭდები, აღებული 1987 წლის 21 აგვისტოს ჩემ სამუშაო ოთახში, გამოსახული სტანდარტულ დაქტილობარათზე;

6. დამატებითი მასალების სახით ექსპერტს გადაეგზავნოს: ა/წ 9 აგვისტოს თარიღით შედგენილი შემთხვევის ადგილის

დათვალიერების ოქმი; ა/წლის 9 აგვისტოს თარიღით შედგენილი ოქმი კონიაკის ბოთლის დათვალიერების შესახებ და გამომძიებლის დადგენილება აღნიშნული კონიაკის ბოთლის საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად დართვის შესახებ;

7. ვ. ნ. კვარაცხელიას, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, გაეცნოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს ამ მუხლით განსაზღვრული უფლებები:

ლენინის სახელობის რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილების
გამომძიებელი, მილიციის უფროსი
ლეიტენანტი ნ. სირბილაძე

დადგენილებას დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ჩემს უფლებებს გავეცანი 1987 წლის 22 აგვისტოს. მსურს აღვძრა შუამდგომლობა.

ბრალდებული ვ. კვარაცხელია

ოქმი

ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით ბრალდებულის მიერ შუამდგომლობის აღძვრისა

ქ. თბილისი 22 აგვისტო, 1987 წ.

1987 წლის 22 აგვისტოს ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების შენობაში, გამომძიებელ ნ. ს. სირბილაძის სამუშაო ოთახში, 13 საათზე გავეცანი ა/წლის 22 აგვისტოს დადგენილებას დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

ჩემთვის ცნობილია, რომ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა განყოფილებაში მუშაობს უფროსი ექსპერტის თანამდებობაზე კვალიფიციური ექსპერტი ვ. ნ. ნადარეიშვილი. გთხოვთ ექსპერტიზის ჩატარება დაავალოთ უფროს ექსპერტს ვ. ნ. ნადარეიშვილს.

ბრალდებული ვ. კვარაცხელია

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. სირბილაძე,

დადგენილება

ბრალდებულის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი 24 აგვისტო, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ს. სირბილაძემ № 176 სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით განვიხილე ბრალდებულ ვ. ნ. კვარაცხელიას შუამდგომლობა,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 22 აგვისტოს ბრალდებულ ვ. ნ. კვარაცხელიას ჩემ სამუშაო ოთახში გავაცანი დადგენილება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და განვუმარტე უფლებები ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით. საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, ვ. ნ. კვარაცხელიამ განაცხადა შუამდგომლობა, რათა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროს ექსპერტს ვ. ნ. ნადარეიშვილს. შემოწმებით დადგინდა, რომ ვ. ნ. ნადარეიშვილი 1987 წლის 1 თებერვლიდან უკვე აღარ მუშაობს აღნიშნულ დაწესებულებაში, იგი გადავიდა სამუშაოდ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 138-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

ბრალდებულ ვ. ნ. კვარაცხელიას უარი ეთქვას აღძრულ შუამდგომლობაზე იმის გამო, რომ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალისტიკურ გამოკვლევათა განყოფილებაში 1987 წლის 1 თებერვლიდან აღარ მუშაობს ექსპერტი ს. ნ. ნადარეიშვილი. იგი სამუშაოდ გადავიდა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ს ი რ ბ ი ლ ა ძ ე

დადგენილება

განმეორებითი ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 15 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ა. ვ. ბუცხრიკიძემ განიხილე № 81 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული მკვლელობის ფაქტზე,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 1 ნოემბერს, დაახლოებით 24 საათზე, დავითაშვილის ქ. № 28 სახლის წინ, ქუჩაში, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულ იქნა მოქ. ვ. ს. პეტროვი. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა პისტოლეტის მასრა. იმის დასადგენად, გასროლილია თუ არა მასრა მაკაროვის სისტემის № 161719 იარაღიდან, აღნიშნულ საქმეზე დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა, რომელიც ჩაატარა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ექსპერტმა ს. ნ. თავართქილაძემ. ექსპერტმა 1987 წლის 28 ნოემბრის № 137/ბ დასკვნაში აღნიშნა: „საკითხის გადაწყვეტა, გასროლილია თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მასრა მაკაროვის სისტემის № 161719 იარაღიდან, შეუძლებელია იმის გამო, რომ მასრაზე არ აღმოჩნდა იდენტიფიკაციისათვის საკმარისი კვალი“.

ექსპერტის ასეთი დასკვნა მიმაჩნია მეცნიერულად დაუსაბუთებლად შემდეგ გარემოებათა გამო: ექსპერტის დასკვნის გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ ექსპერტმა გამოკვლევის პროცესში არ გამოიყენა კვალთა მიკროსკოპული შესწავლა, არ აწარმოვა მიკროკვალთა ფოტოგადაღება, მაშინ როდესაც ასეთი გამოკვლევის შედეგად მას შეეძლო გამოემჟღავნებინა დამცემის მიკრორელიეფი, საკეტის მიბჯენის კვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარებულია არაკვალიფიციურად და ექსპერტის დასკვნის სისწორე იწვევს ეჭვს.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 187-ე, 189-ე, 195-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს განმეორებითი ბალისტიკური ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას და გამოკვლევისათვის შეიქმნას ექსპერტთა კომისია;

3. ექსპერტის წინაშე დაისვას კითხვა: გასროლილია თუ არა შემთხვევის ადგილზე ამოღებული მასრა მაკაროვის სისტემის № 161719 იარაღიდან?

4. ექსპერტის განკარგულებაში გადაიგზავნოს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრა, შეფუთული, მუყაოს კოლოფით. მასრის ზომები: სიმაღლე — 10 მმ, დიამეტრი — 6 მმ, ბოთლისმაგვარი ფორმის, წონა — 18 გ, მაკაროვის სისტემის № 161719 იარაღი და ამ იარაღის 5 ვაზნა ექსპერიმენტული სროლის წარმოების მიზნით. ტყვია და ვაზნები შეფუთულია, აწყვია მუყაოს კოლოფში, დალუქულია პროკურატურის ლუქით № 12.

5. დამატებითი მასალების სახით ექსპერტს გადაეგზავნოს: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, შედგენილი 1987 წლის 2 ნოემბერს, დადგენილება ნივთმტკიცების სახით საქმეზე მასრის დართვის შესახებ ა/წ 2 ნოემბრის თარიღით. ბრალდებულ ს. ნ. კვიცარიძის ბინის ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი იარაღის დათვალიერების ოქმი, ა/წ 9 ნოემბრის თარიღით. ექსპერტის დასკვნა № 137/ბ, შედგენილი 1987 წლის 28 ნოემბერს;

6. ბრალდებულ ს. ნ. კვიცარიძეს, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს ამ მუხლით განსაზღვრული უფლებები.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის
რაიონის პროკურატურის გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ა. ბ უ ც ხ რ ი კ ი ძ ე

დადგენილებას განმეორებითი ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ჩემს უფლებებს გავეცანი 1987 წლის 15 დეკემბერს. რაიმე განცხადება ან შუამდგომლობა არა მაქვს.

ბრალდებული ს. კვიცარიძე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 27 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ნ. ზ. კიკაბიძემ განიხილე № 256 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვ. ა. ნოშრევანიძის მკვლელობის ფაქტზე,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 22 დეკემბერს თაეის ბინაში (შაუმიანის ქ. № 39, ბინა 23) აღმოჩენილ იქნა ვიოლეტა ანდრიას ასული ნოშრევანიძის გვამი. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაშია მიცემული ვ. ა. სანებლიძე. იმის გამო, რომ დადგინდეს ვ. ა. ნოშრევანიძის სიკვდილის მიზეზი, საჭიროა სასამართლო მედიკის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 71-ე, 184-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე გვამის გამოსაკვლევად დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს;

3. გვამის ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მისა-

ლებად გვამის გამოკვლევის დრო, საქართველოს სსრ სსსკ 185-ე მუხლის შესაბამისად, მეცნობოს;

4. ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. როდის დადგა ვ. ა. ნოშრევანიძის სიკვდილი და რა არის სიკვდილის მიზეზი?

ბ. ნოშრევანიძის გვამზე შეინიშნება თუ არა სხეულის დაზიანების ნიშნები; თუ შეინიშნება, როგორია მათი სიმძიმის ხარისხი და რა საგნით შეიძლებოდა მიყენებულიყო დაზიანებანი?

გ. სიცოცხლეშია ნოშრევანიძის სხეულზე დაზიანება მიყენებული, თუ სიკვდილის შემდეგ?

5. ვ. ა. ნოშრევანიძის გვამი ინახება ქ. თბილისის I საავადმყოფოს პროზექტურაში;

6. ექსპერტიზის განკარგულებაში გადაიგზავნოს შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების ოქმი, შედგენილი ა/წლის 23 დეკემბერს;

7. ბრალდებულ ვ. ა. სანებლიძეს, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, გაეცნოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს ამ მუხლით განსაზღვრული უფლებები.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის
რაიონის პროკურატურის გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ნ. კაკაბაძე

დადგენილებას გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით ჩემს უფლებებს გაეცანი 1987 წლის 27 დეკემბერს. რაიმე განცხადების ან შუამდგომლობის აღძვრა არ მსურს.

ბრალდებული ვ. სანებლიძე

დადგენილება

სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 19 აგვისტო, 1987 წ.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ს. ნ. კაკაურიძემ

განვიხილე № 138 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული მოქალაქე ვ. ს. კუზნეცოვას მკვლელობის ფაქტზე,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 14 აგვისტოს მთაწმინდის პანთეონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა მოქალაქე ვერა სერგოს ასული კუზნეცოვას გვამი. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ნ. ნ. კოშკაძე. კოშკაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის დროს ა/წლის 14 აგვისტოს მისი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ცხვირსახოცი, რომელზეც უხვად არის შემხმარი წითელი ლაქები. ბრალდებულმა განმარტა, რომ 14 აგვისტოს მან მეზობლის თხოვნით დაკლა ღორი და სისხლიანი ხელი შეიწმინდა ცხვირსახოცზე. იმისათვის, რომ გაირკვეს ცხოველის სისხლია ბრალდებულ ნ. კოშკაძის ცხვირსახოცზე თუ ადამიანისა, საჭიროა ექსპერტ-ბიოლოგის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 164-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაეკალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ბიოლოგიური განყოფილების ექსპერტს;

3. ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. გამოსაკვლევ ცხვირსახოცზე სისხლი ღორისაა თუ ადამიანის?

ბ. დაზარალებულის კაბაზე არის თუ არა ადამიანის სისხლი?

გ. თუ გამოსაკვლევ ცხვირსახოცზე და დაზარალებულის კაბაზე არის ადამიანის სისხლი, ხომ არ მიეკუთვნება ისინი ერთსა და იმავე ჯგუფს და, კერძოდ, რომელ ჯგუფს?

დ. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნ. ნ. კოშკაძის სისხლი.

4. ექსპერტის განკარგულებაში გადაიგზავნოს: დაზარალებულ ვ. ს. კუზნეცოვას კაბა, ზომა — 48, თეთრი, შეფუთული მკერივ მოყვითალო ქაღალდში და დალუქული პროკურატურის № 3 ბეჭდით, ბრალდებულ ნ. ნ. კოშკაძის ჯიბიდან ამოღებული ცხვირსახოცი, ზომით 25×25 სმ, თეთრი, ცისფერი ოთხკუთხა ზოლებით. შეფუთული მკერივ მოყვითალო ქაღალდში და დალუქული პროკურატურის № 3 ბეჭდით; ნ. ნ. კოშკაძის სისხლის ნიმუში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, შედგენილი ა/წ 14 აგვისტოს, ნ. ნ. კოშკაძის პირადი ჩხრეკის ოქმი, შედგენილი ა/წლის 14 აგვისტოს;

5. ბრალდებულ ნ. ნ. კოშკაძეს, საქართველოს სსრ სსსკ. 187-ე მუხლის შესაბამისად, გამოეცხადოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს ამ მუხლით განსაზღვრული უფლებები.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის
პროკურატურის გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ს. კაკაურიძე

დადგენილებას სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით ჩემს უფლებებს გავეცანი 1987 წლის 19 აგვისტოს. რაიმე განცხადების ან შუამდგომლობის აღძვრა არ მსურს.

ბრალდებული ნ. კოშკაძე

დადგენილება

სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის დანიშვნის შესახებ[1]

ქ. რუსთავი 13 ივნისი, 1987 წ.

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ს. ნ. ტორონჯაძემ განვიხილე

[1] საქართველოს სსრ სსსკ 190-ე მუხლის შესაბამისად, ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩატარებისას პატიმრობაში არმყოფი ბრალდებულის მოთავსება შეიძლება გამომძიებლის დადგენილებით, რაც სანქციონირებული უნდა იყოს პროკურორის მიერ.

№ 755 სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ი. გ. ტოტელაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 30 მაისს ივანე გიორგის ძე ტოტელაშვილმა, დღის 13 საათზე, თავის საცხოვრებელ ბინაში, ქ. რუსთავი, სააკაძის ქ. № 8, ბინა 17, ჩხუბი აუტეხა და დანით სხეულის მძიმე ხასიათის დაზიანება მიაყენა მასთან სტუმრად მისულ ნაცნობს — ალექსი აბრამის ძე ნუკრაძეს.

წინასწარი გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ბრალდებული ი. გ. ტოტელაშვილი სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა ავადმყოფობის საფუძველზე. ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა ფსიქიკური დაავადების გამო. ბრალდებულის მეუღლემ — ა. ი. ტოტელაშვილმა თავის ჩვენებაში 1987 წლის 6 ივნისს განაცხადა, რომ მისი მეუღლე არის ნერვული და ფსიქიკურად დაავადებული.

იმისათვის, რომ გაირკვეს ბრალდებულ ი. გ. ტოტელაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს, საჭიროა ექსპერტ-ფსიქიატრის სპეციალური ცოდნის გამოყენება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 71-ე, 184-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით.

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ კლინიკურ საავადმყოფოს;

3. ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. გ. ტოტელაშვილმა დანაშაული ჩაიდინა შერაცხად თუ შეურაცხად მდგომარეობაში?

ბ. როგორია ი. გ. ტოტელაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა დღეისათვის, დაავადებულია თუ არა იგი რაიმე ფსიქიკური დაავადებით? თუ დაავადებულია, როგორ ხასიათს ატარებს დაავადება და რა სახის მკურნალობა ესაჭიროება მას?

4. ექსპერტის განკარგულებაში გადაიგზავნოს სისხლის სამართლის საქმე № 755 ერთ ტომად(109 გვერდი). ბრალდებული ივანე გიორგის ძე ტოტელაშვილი მოთავსებულია ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში;

5. იმის გამო, რომ ბრალდებულ ტოტელაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს გავაცნოთ მას დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულის დამცველს ვ. ნ. კუპრავას გაეცნოს დადგენილება და ამ მუხლით განსაზღვრული ბრალდებულის უფლებები ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით.

გამომძიებელი, მილიციის
ლეიტენანტი ს. ტორონჯაძე

დადგენილებას სტაციონარულ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით ჩემს უფლებებს გავეცანი 1987 წლის 13 ივნისს. რაიმე განცხადების ან შუამდგომლობის აღძერა არ მსურს.

დამცველი ვ. კუპრავა

დადგენილება

ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. მცხეთა 15 ოქტომბერი, 1987 წ.

მცხეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა — ვ. ს. ვარდოსანიძემ განვიხილე № 934 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 10 ოქტომბერს; 19 საათსა და 40 წუთზე, მცხეთის უსინათლოთა საზოგადოების შენობის პირდაპირ, თბილისის მიმართულებით მოძრაობდა ავტომანქანა გაზ-24, სახელმწიფო № 26—48 გატ, რომელსაც მართავდა მძღოლი გურამ იოსების ძე ზეიკიძე. ამ დროს ქუჩის მარცხენა ნაპირიდან მარჯვნივ გზის გადაკვეთა დაიწყო 71 წლის მოქალაქე ვლადიმერ მიხეილის ძე მინდაძემ, რომელსაც წინა ნაწილით დაეჯახა ავტომანქანა № 26—48 გატ. დაზარალებული გარდაიცვალა.

რომ გაირკვეს, რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომანქანა № 26—48 გატ, შეეძლო თუ არა ამ ავტომანქანის მძღოლს, ტექნიკური თვალსაზრისით, აეცდინა საგზაო შემთხვევა, საჭიროა ავტოტექნიკური ცოდნის გამოყენება. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე, 184-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა ვ დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს ავტოტექნიკური ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკურ განყოფილებას.

3. ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. რამდენი კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა ავტომობილი დამუხრუჭების წინ, თუ ავტომობილმა დატოვა 22,6 მეტრის სიგრძის სამუხრუჭო კვალი?

ბ. გამოძიებით დადგენილ ვითარებაში, ტექნიკური თვალსაზრისით, შეეძლო თუ არა მძღოლს შეჯახების თავიდან აცილება?

4. ექსპერტის განკარგულებაში გადაიგზავნოს სისხლის სამართლის საქმე № 934 ერთ ტომად, 69 გვერდი. ავტომანქანა გაზ. 24, სახელმწიფო № 26—48 გატ, დგას მცხეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ეზოში;

5. საწყისი მონაცემების სახით ექსპერტს ეცნობოს:

ა. გზის დახასიათება: გაუნათებელი, ბინდი, მშრალი, ასფალტი; გზის სავალი ნაწილის სიგრძე — 9,75 მ, გვერდულები: მარცხნივ — 2,7 მ, მარჯვნივ — 2 მ (მონაცემები აღებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან და შემთხვევის ადგილის სქემიდან. ს. ფ. 5—7, 9-10);

ბ. გორის მხრიდან თბილისის მიმართულებით შემთხვევის ადგილიდან 400 მეტრზე დგას შემდეგი საგზაო ნიშნები: „გასწრება აკრძალულია" და „სიჩქარის შეზღუდვა 60 კმ საათში" (მონაცემი აღებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ს. ფ. 6).

გ. ავტომობილმა შემთხვევის ადგილზე დატოვა საწყისიდან უკანა ბორბლებამდე 22,6 მეტრი სიგრძის სამუხრუჭე კვალი (მონაცემი აღებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ს. ფ. 7 და შემთხვევის ადგილის სქემიდან ს. ფ. 10);

დ. დაზარალებულმა გზის მარცხენა ნაპირიდან დაჯახების ადგილამდე გაიარა 8,3 მეტრი და იგი მოძრაობდა 5 კმ საათში (მონაცემები აღებულია საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმიდან ს. ფ. 40—41);

ე. ავტომობილში მძღოლის გარდა იმყოფებოდა 4 მგზავრი (მონაცემი აღებულია მძღოლისა და მოწმეების დაკითხვის ოქმიდან. ს. ფ. II, 15, 18, 19, 23).

5. ბრალდებულ გ. ი. ზეიკიძეს, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, გაეცნოს აღნიშნული დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და განემარტოს ამ მუხლით განსაზღვრული უფლებები.

მცხეთის რაიონის შინაგან საქმეთა
განყოფილების გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ე. ეარდოსანიძე

დადგენილებას ავტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ჩემს უფლებებს გავეცანი 1987 წლის 16 ოქტომბერს. რაიმე განცხადების ან შუამდგომლობის აღძვრა არ მსურს.

ბრალდებული გ. ზეიკიძე

დადგენილება

სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ქ. ბათუმი 19 სექტემბერი, 1987 წ.

აჭარის ასსრ პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, I კლასის იურისტმა ს. დ. შაინიძემ განიხილე № 236 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ა. ხ. ჯანაშიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96[1]-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 22 ივნისს აჭარის ასსრ პროკურატურაში, აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროდან შემოსული მასალების წაფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბათუმის ცენტრალური უნივერმაღის მზა ტანსაცმლის სექციის ყოფილი გამგის ავთანდილ ხარიტონის ძე ჯანაშიას მიმართ, რომელსაც სექციის ინვენტარიზაციის ჩატარების დროს აღმოაჩნდა დანაკლისი — 13442 მანეთის ოდენობით.

1983—1987 წლებში აღნიშნულ სექციაში არაერთხელ იყო ჩატარებული რევიზია და ინვენტარიზაცია, მაგრამ დანაკლისი არ ყოფილა გამომჟღავნებული. ძირითადი მეთოდი, რომლითაც ბრალდებული ახერხებდა წლების მანძილზე მზა ტანსაცმელების სექციაში არსებული დანაკლისის მიჩქმალვას, გამოიხატებოდა შემდეგში: ბრალდებულმა ა. ხ. ჯანაშიამ იცოდა, რომ ინვენტარიზაცია მას უტარდებოდა ყოველი წლის ბოლოს — 31 დეკემბრისათვის — და მის მორიგ შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით. ამ დროისათვის ბრალდებული ცდილობდა საწყობში მიეღო დაახლოებით იმავე თანხის საქონელი, რისი დანაკლისიც ჰქონდა. ამ შემოსულ საქონელს ბრალდებული შემოსავალში არ იღებდა ინვენტარიზაციის ჩატარებამდე, ინვენტარიზატორებს კი ეს საქონელი აღწერის სიაში შეჰქონდათ. ბრალდებული აღნიშნულ საქონელს შემოსავალში ატარებდა მხოლოდ ინვენტარიზაციის დამთავრების შემდეგ.

იმისათვის, რომ მოცემულ საქმეზე მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს ექსპერტ-ბუღალტრის სპეციალური ცოდნის გამოყენებას, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 70-ე და 184-ე, 189-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე დაინიშნოს სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა;

2. ექსპერტიზის ჩატარება დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური სასამართლო-ექსპერტიზის სამეცნიერო-კელევით ლაბორატორიას;

3. ექსპერტის წინაშე დაისვას შემდეგი კითხვები:

ა. ბათუმის ცენტრალური უნივერმაღის მზა ტანსაცმლის სექციაში დოკუმენტური რევიზიის მიერ სწორად არის თუ არა განსაზღვრული მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და საბოლოოდ რა თანხას შეადგენს იგი?

ბ. რომელი წლიდან მომდინარეობს მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი მზა ტანსაცმლის სექციაში? განისაზღვროს ცალკეული წლების მიხედვით დანაკლისის მატების მდგომარეობა.

გ. ინვენტარიზაციის აქტებში არსებობს თუ არა მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ ამ აქტებში საქონლის ნაშთების ხელოვნურ გაზრდას და ამ გზით დანაკლისის დაფარვის ფაქტს?

დ. ბათუმის ცენტრალურ უნივერმაღში საბუღალტრო აღრიცხვიანობის არსებული სისტემა უზრუნველყოფდა თუ არა საქონლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვიანობაზე დროულ კონტროლს და ვის უნდა განეხორციელებინა ეს კონტროლი?

ე. მზა ტანსაცმლის სექციაში ა. ს. ჯანაშიას მუშაობის პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციები და დოკუმენტური რევიზიები სწორი მეთოდით არის თუ არა ჩატარებული, რა დარღვევები ახასიათებთ მათ, კონკრეტულად რაში გამოიხატება ისინი?

4. ექსპერტიზის განკარგულებაში გადაიგზავნოს სისხლის

სამართლის საქმის ერთი ტომი, 205 გვერდი, სადაც მოთავსებულია მხოლოდ ექსპერტიზისათვის საჭირო მასალები: დოკუმენტური რევიზიის აქტები — ს. ფ. 1—57; ინვენტარიზაციის აქტები — ს. ფ. 108—159; ბრალდებულ ა. ხ. ჯანაშიას ჩვენებები — ს. ფ. 110—120, მოწმეთა ჩვენებები — ს. ფ. 184—205;

5. ბრალდებულ ა. ხ. ჯანაშიას, საქართველოს სსრ სსსკ 187-ე მუხლის შესაბამისად, გაეცნოს აღნიშნული დადგენილება და განემარტოს ამ მუხლით განსაზღვრული უფლებები.

აჭარის ასსრ პროკურატურის უფროსი
გამომძიებელი, კლასის იურისტი ს. შ ა ნ ი ძ ე

დადგენილებას სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ჩემს უფლებებს გაეცანი 1987 წლის 20 სექტემბერს. რაიმე განცხადების ან შუამდგომლობის აღძვრა არ მსურს.

ბრალდებული ჯ ა ნ ა შ ი ა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ექსპერტისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ

ქ. თბილისი 1 აგვისტო, 1987 წ.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ზ. ნ. კვარაცხელიამ განვიხილე № 268 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ნოდარ ვიქტორის ძე ჩიბურდანიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

აღნიშნულ საქმეზე ა/წ 15 ივლისს ჩატარდა ავტოტექნიკური ექსპერტიზა (დასკვნა № 19) საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის ავტომობილების კათედრის დოცენტის ვიტალი სიმონის ძე ეარდოსანიძის მიერ.

ექსპერტიზის ჩატარებას დასჭირდა 30 საათი. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 106-ე მუხლის მოთხოვნით და ინსტრუქციით „ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების ოდენობისა და წესის შესახებ", დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 იანვრის № 401 დადგენილებით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ვიტალი სიმონის ძე ვარდოსანიძეს ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუნაზღაურდეს თანხა 30 საათის ოდენობით. ანგარიშით 1 საათი ერთი მანეთი:

2. აღნიშნული დადგენილების პირი შესასრულებლად გადაეგზავნოს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საფინანსო განყოფილებას.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზ. კვარაცხელია

ო ქ მ ი

ექსპერტის დაკითხვისა

ქ. თბილისი 21 ნოემბერი, 1987 წ.

დაკითხვა დაიწყო 11 საათზე,
დამთავრდა 11 საათსა და 50 წუთზე.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა — ე. ს. მამისაშვილმა, ჩემ სამუშაო ოთახში, საქართველოს სსრ სსსკ 158-ე. 193-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, № 176 სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტის სახით დავკითხე:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — ცქიფურიშვილი ვალერიანე გიორგის ძე;

2. დაბადების წელი და ადგილი — ქ. თბილისი, 1931 წელი;

3. მოქალაქეობა და ეროვნება — სსრ კავშირის მოქალაქე, ქართველი;

4. პარტიულობა — სკკპ წევრი;

5. საქმიანობა და სამუშაო ადგილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ბიუროს უფროსი ექსპერტი;

6. განათლება — უმაღლესი, სამედიცინო;

7. სპეციალობა — ექიმ-ექსპერტი;

8. მუშაობის სტაჟი სპეციალობის მიხედვით — 15 წელი;

9. სამეცნიერო ხარისხი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

10. საცხოვრებელი ადგილი — თბილისი, ყიფშიძის ქ. № 20, ბინა 7;

11. პირადობის დამადასტურებელი საბუთი — პირადობის მოწმობა № 185, გაცემული 1986 წლის 5 აგვისტოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კადრების განყოფილების მიერ.

12. რა დამოკიდებულებაშია ბრალდებულთან ან დაზარალებულთან — არ ვიცნობ.

საქართველოს სსრ სსსკ 193-ე მუხლის შესაბამისად, განგიმარტავთ, რომ მოვალე ხართ უპასუხოთ თქვენს წინაშე დასმულ კითხვებზე; პასუხები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგებს და თქვენს სპეციალურ ცოდნას.

ექსპერტი ვ. გ. ცქიფურიშვილი გაფრთხილებულია, რომ იგი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად, პასუხს აგებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან შეგნებულად ცრუ ჩვენებისათვის.

ექსპერტი ვ. ცქიფურიშვილი

გთხოვთ მიპასუხოთ კითხვაზე: თქვენი 1987 წლის 17 ნოემბრის № 175 დასკვნის აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ მამედოვს ტყვია მოხვედრილი აქვს მარცხენა ფეხში, ხოლო დასკვნაში კი ნათქვამია, მამედოვს ტყვია მოხვედრილი აქვს მარჯვენა ფეხში?

პასუხი: ჩემს 1987 წლის 17 ნოემბრის № 175 დასკვნის

აღწერილობით ნაწილში, მართალია, აღნიშნულია, რომ მამედოვს ტყვია მოხვედრილი აქვს მარცხენა ფეხში, მაგრამ ეს არის შეცდომა. სინამდვილეში მას ტყვია მოხვედრილი აქვს მარჯვენა ფეხში, რაც სწორად არის აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით ნაწილში.

ოქმს გაეცანი პირადად; იგი შედგენილია სრულად და სწორად.

ექსპერტი ვ. ცქიფურიშვილი

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. მამისაშვილი

ოქმი

ბრალდებულისათვის ექსპერტის დასკვნის წარდგენისა[1]

ქ. თბილისი 17 დეკემბერი, 1987 წ.

ექსპერტის დასკვნის წარდგენა დაიწყო
16 საათზე, დამთავრდა 17 საათზე.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ა. ვ. სანებლიძემ ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში, საქართველოს სსრ სსსკ 194-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულ ლავრენტი ბესარიონის ძე შოშიტაშვილს გაეცანი ექსპერტ-მედიკის მიერ 1987 წლის 14 დეკემბრის თარიღით შედგენილი № 216 დასკვნა, 5 გვერდზე.

დასკვნის წარდგენამდე ბრალდებულ ლ. ბ. შოშიტაშვილს, საქართველოს სსრ სსსკ 194-ე მუხლის საფუძველზე, განემარტა უფლებები: მისცეს გამოძიებას განმარტება, წამოაყენოს დასკვნის საწინააღმდეგო მოსაზრება, ითხოვოს ექსპერტისათვის დამატებითი შეკითხვების მიცემა, დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტის დანიშვნა.

---

[1] საქართველოს სსრ სსსკ 194-ე მუხლის შესაბამისად, ანალოგიური ოქმი უნდა შედგეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსპერტიზა დანიშნული და ჩატარებული იყო პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.

ბრალდებული ლ. ბ. შოშიტაშვილი გაეცნო ექსპერტის დასკვნას და განაცხადა, რომ ექსპერტის დასკვნა მისთვის გაეგებია, არავითარი განცხადება ან შუამდგომლობა არა აქვს.

ბრალდებული ლ. შოშიტაშვილი
გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ა. სანებლიძე

დადგენილება

ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების შედარებითი გამოკვლევისათვის მიღების შესახებ

ქ. ზუგდიდი 23 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. ზუგდიდის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ს. ნ. წულაიამ განიხილე № 176 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ვ. ზ. ვარდოსანიძის და სხვათა მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გამოვარკვიე:

აღნიშნულ საქმეზე 1987 წლის 10 ნოემბერს დაინიშნა ხელმოწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური სასამართლო-ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში. ამ ლაბორატორიის ექსპერტმა ს. ნ. ვანიშვილმა ა/წლის 15 ნოემბერს აღძრა შუამდგომლობა ვ. ზ. ვარდოსანიძის ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების მიღების შესახებ, რაც აუცილებელია შედარებითი გამოკვლევის ხარისხიანად ჩასატარებლად და საკითხის გადასაწყვეტად.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 186-ე მუხლის მოთხოვნით,

დავადგინე:

1. ბრალდებულ ვიტალი ზურაბის ძე ვარდოსანიძეს ჩა-

ძოერთვას ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშები შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად;

2. დადგენილება გამოეცხადოს ბრალდებულ ვ. ზ. ვარდოსანიძეს.

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ს. წ ულ ა ი ა

დადგენილება ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების მიღების შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 24 ნოემბერს.

ბრალდებული ვ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

ო ქ მ ი

ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების მიღებისა

ქ. ზუგდიდი 24 ნოემბერი, 1987 წ.

ნიმუშების მიღება დაიწყო 12 საათზე,
დამთავრდა 12 საათსა და 50 წუთზე.

ქ. ზუგდიდის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ს. ნ. წულაიამ ა/წ 23 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე და საქართველოს სსრ სსსკ 186-ე მუხლის შესაბამისად, ჩემ სამუშაო ოთახში, ბრალდებულ ვიტალი ზურაბის ძე ვარდოსანიძისაგან მიეიღე ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშები შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად.

ბრალდებულმა ვ. ზ. ვარდოსანიძემ თეთრ ფურცელზე, ზომით 12×20 სმ, ორ გვერდზე, შეასრულა თავისი ხელმოწერები (სულ ოცი) იისფერი მელნით, დამჯდარ მდგომარეობაში.

აღნიშნული ექსპერიმენტული ნიმუშები დამოწმებულ იქნა ბრალდებულ ვ. ზ. ვარდოსანიძის და გამომძიებლის მიერ.

ვ. ზ. ვარდოსანიძე გაეცნო აღნიშნულ ოქმს და განმარტა, რომ მისი ხელმოწერის ნიმუშების ჩამორთმევის პროცესი ოქმში ასახულია სწორად. რაიმე შეამდგომლობის აღძვრა არ სურს.

ოქმი წავიკითხე პირადად; იგი შედგენილია სრულად.

ბრალდებული ვ. ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ს. წ ულ ა ი ა

თავი XI

გამოძიების შეჩერება და განახლება

დადგენილება

წინასწარი გამოძიების შეჩერების შესახებ

(ბრალდებულის მიმალვისა და მისი ადგილსამყოფლის დაუდგენლობის გამო)

ქ. ქუთაისი 18 იანვარი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ნ. პეტიაშვილმა განვიხილე ჩემ წარმოებაში მყოფი № 161 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ქ. ს. ფილონენკოს განზრახ მკელელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით,

გამოვარკვიე:

1987 წლის 18 აპრილს, 23 საათსა და 30 წუთზე, ქ. ქუთაისში, ნინოშვილის ქ. № 78 სახლის წინ, ქუჩაში ნახეს კლავდია სიმონის ასული ფილონენკოს გვამი.

გვამის დათვალიერებითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებით დადგინდა, რომ დაზარალებულს ბასრი იარაღით მიყენებული ჰქონდა სხეულის მრავალი დაზიანება, რომელთა შორის სასიკვდილო იყო გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ფილონენკოს მკელელობაში ეჭვმიტანილი იყო ქ. ქუთაისში, მ'შენებელთა ქ. № 48 ბინაში მცხოვრები ვ. პ. შევცოვი, რომლის საცხოვრებელ ბინაში აღმოჩენილ იქნა სისხლით დასვრილი დანა. დანა გამოსაკვლევად გადაიგზავნა სასამართლო-

საძებდიცინო ექსპერტიზის ბიუროში. ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ დანაზე აღმოჩენილი სისხლი და ფილონენკოს სისხლი მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. გამოძიების პროცესში ჩატარდა ყველა შესაძლო საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი, მაგრამ ვერ იქნა დადგენილი ვლადიმერ პეტრეს ძე შევცოვის ადგილსამყოფელი. გაირკვა, რომ იგი გამოძიებას ემალება და წავიდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. 1987 წლის 20 აპრილს ვ. პ. შევცოვი მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალდებულის სახით.

მივიღე მხედველობაში, რომ საქმეზე საგამოძიებო ვალა დამთავრდა. ყველა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებანი გამოძიების პროცესში ჩატარდა, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 196-ე მუხლის პირველი პუნქტით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. № 161 სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით, წინასწარი გამოძიება შეჩერდეს ვ. პ. შევცოვის მოძებნამდე და მის დაკავებამდე;

2. დადგენილების პირი გადაეცეს ქ. ქუთაისის პროკურორს.

უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. პ ე ტ ი ა შ ვ ი ლ ი

ვლადიმერ პეტრეს ძე შევცოვის
დაპატიმრება და ეტაპირება
სანქციონირებულია.
ქ. ქუთაისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი
ნ. ბ ა ხ ტ ა ძ ე

19. ივნისი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ძებნის გამოცხადების, ბრალდებულის დაპატიმრების და მისი ეტაპირების შესახებ

ქ ქუთაისი 19 ივნისი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ნ. პეტიაშვილმა განვიხილე ჩემ წარ-

მოებაში მყოფი № 161 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული კ. ს. ფილონენკოს მკვლელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 18 აპრილს 23 საათსა და 30 წუთზე ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქ. № 78 სახლის წინ, ქუჩაში ნახულ იქნა კლავდია სიმონის ასული ფილონენკოს გვამი.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ფილონენკოს მკვლელობაში ეჭვმიტანილი იყო. ქ. ქუთაისში, მშენებელთა ქ. № 48 ბინაში მცხოვრები ვლადიმერ პეტრეს ძე შევცოვი. 1987 წლის 20 აპრილს გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით ვ. პ. შევცოვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. იმის გამო, რომ ვ. პ. შევცოვი ემალება წინასწარ გამოძიებას და მისი ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 197-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გამოცხადდეს ვლადიმერ პეტრეს ძე შევცოვის ძებნა, დაბადებული ქ. გომელში 1939 წელს, ეროვნებით რუსი, უპარტიო, სამართალში არყოფილი, უცოლშვილო, მცხოვრები ქ. ქუთაისში, მშენებელთა ქ. № 48;

2. დაკავების შემთხვევაში ვ. პ. შევცოვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა და ეტაპირებულ იქნას ქ. ქუთაისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში.

3. ძებნა დაევალოს ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სასამართლოს სამძებრო განყოფილების უფროსს.

უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. პ ე ტ ი ა შ ვ ი ლ ი

დადგენილება

წინასწარი გამოძიების წარმოებით განახლების შესახებ

ქ. ქუთაისი 15 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ნ. პეტიაშვილმა განიხილე № 161 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული კ. ს. ფილონენკოს მკვლელობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

აღნიშნული საქმე აღიძრა 1987 წლის 19 აპრილს. ამ საქმეზე ბრალდებულის სახით ჩემი 1987 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე პასუხისგებაში მიეცა ვიტალი პეტრეს ძე შევცოვი. იმის გამო, რომ შევცოვი იმალებოდა და მისი ადგილსამყოფელი არ იყო-ცნობილი, გამოძიება შეჩერდა და გამოცხადდა ბრალდებულის ძებნა. იგი მოძებნილია, დაპატიმრებულია ა/წლის 13 ნოემბერს და ეტაპირებულია ქ. ქუთაისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში.

ვიღებ მხედველობაში იმას, რომ გამოძიების შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს და საქმეზე უნდა გაგრძელდეს წინასწარი გამოძიება, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 199-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. № 161 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება განვაახლო და შევუდგე გამოძიებას;

2. დადგენილების პირი გადავუგზავნო ქ. ქუთაისის პროკურორს.

უფროსი გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. პ ე ტ ი ა შ ვ ი ლ ი

დადგენილება

გამოძიებით შეჩერებული საქმის შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი 22 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ნ. ვ. ხაბურძანიამ განიხილე № 176 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ქონების ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1984 წლის 3 აგვისტოს ღამის 02 საათზე გაქურდეს მოქალაქე ტ. ზ. ქურდიანის ბინა, მდებარე ოქტომბრის ქ. № 79, ბინა 7. გაქურდვის შედეგად წაღებულ იქნა საოჯახო ნივთები და ტანსაცმელი, საერთო ღირებულებით — 707 მანეთი.

1984 წლის 4 აგვისტოს აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე. ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შედეგად ვერ იქნა დადგენილი პირი, რომელიც უნდა ყოფილიყო მიცემული პასუხისგებაში ბრალდებულის სახით. გამოძიების ვადის დამთავრების შემდეგ აღნიშნული საქმე წარმოებით შეჩერდა. საქმის შეჩერების შემდეგ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად დღემდე ვერ იქნა დადგენილი ბრალდებული.

მივიღე მხედველობაში აღნიშნული გარემოება და რომ მოცემულ საქმეზე უკვე დამთავრდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, დადგენილი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 49-ე მუხლის მეორე პუნქტით, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მესამე პუნქტით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

2. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი ნ. ხ ა ბ უ რ ძ ა ნ ი ა

თავი XII

წინასწარი გამოძიების დამთავრება

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო

ქ. რუსთავი 27 მარტი, 1987 წ.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა კ. ს. ადეიშვილმა განიხილე № 176 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ს. დ. ბადრიძისათვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გამოეარკვი:

1987 წლის 10 მარტს ქ. რუსთავის საავადმყოფოში მოთავსებულ იქნა სერგო დავითის ძე ბადრიძე. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ს. დ. ბადრიძე იყო ნასვამი, აქვს თავის ქალის ნაწილობრივი ჩამტვრევა და სისხლის ჩაქცევა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის 1987 წლის 12 მარტის № 125 დასკვნით დასტურდება, რომ ს. დ. ბადრიძეს მიყენებული აქვს სხეულის მძიმე დაზიანება (იხ. ს. ფ. 9—11).

გამოძიების პროცესში დადასტურდა, რომ ს. დ. ბადრიძე ა/წლის 10 მარტს იყო ნასვამ მდგომარეობაში, მივიდა მისი ყოფილი მეუღლის ნ. ვ. ბადრიძის ბინაში (ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი № 16, ბინა 27), სადაც მეუღლე არ დახვდა, სახლში იყო მხოლოდ მისი 12 წლის ქალიშვილი. ბადრიძე გავიდა აივანზე და გადაეყუდა აივნის მოაჯირს, რის შე-

დეგადაც იგი გადავარდა მეორე სართულიდან და მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნული გარემოება დადასტურდა ს. დ. ბადრიძის ქალიშვილის — ნ. ს. ბადრიძის ჩვენებით (იხ. 1987 წლის 13 მარტის დაკითხვის ოქმი, ს. ფ. 16—17) და თვით ს. დ. ბადრიძის ჩვენებით (იხ. 1987 წლის 23 მარტის დაკითხვის ოქმი, ს. ფ. 27—30).

მივიღე მხედველობაში, რომ ბადრიძის ქმედობაში არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-200 მუხლის პირველი პუნქტისა და 209-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ე ა დ გ ი ნ ე:

1. № 176 სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს წარმოებით დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო;

2. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ეცნობოს სერგო დავითის ძე ბადრიძეს და განემარტოს მას, რომ უფლება აქვს გაასაჩივროს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ;

3. დადგენილების პირი გადაეგზავნოს ქ. რუსთაველის პროკურორს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ე. ა დ ე ი შ ვ ი ლ ი

„ეთანხმები"
ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი
ე. კ ა კ ა უ რ ი ძ ე
15 ოქტომბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და მასალების სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მიზნით

ქ. თბილისი 15 ოქტომბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან. საქმე-

თა განყოფილების მომკვლევმა მილიციის ლეიტენანტმა ვ. ქირიამ განვიხილე № 278 სისხლის სამართლის საქმე ნოდარ იაკობის ძე ტატიშვილის ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 25 სექტემბერს № 10 სასურსათო მაღაზიის გამყიდველმა ნოდარ იაკობის ძე ტატიშვილმა ოქტომბრის ქ. № 127 სახლის წინ, ქუჩაში, 18 საათზე ჩაიდინა ხულიგნობა, რაც გამოიხატა მისი მეზობლის — ავთანდილ პეტრეს ძე კურტანიძის ლანძღვა-გინებაში, რომელთანაც არ იყო ნორმალურ მეზობლურ ურთიერთობაში. აღნიშნული ქმედობის შედეგად უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და გამოიკვეთა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა.

დაკითხვის დროს ნ. ი. ტატიშვილმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და განმარტა, რომ ხულიგნური ქმედობის ჩადენის დროს იგი იყო ნასვამი და ანგარიში ვერ გაუწია თავის მოქმედებას. გამოძიების პროცესში მან ბოდიში მოუხადა დაზარალებულს და აღუთქვა, რომ შემდგომში არასდროს არ მიაყენებდა შეურაცხყოფას არც მას, არც მისი ოჯახის წევრებს. № 10 სასურსათო მაღაზიის მიერ გაცემულ დახასიათებაში ნათქვამია, რომ ნ. ი. ტატიშვილი არის კარგი მუშაკი, იგი არასდროს არ ყოფილა შემჩნეული უხეშობაში ან რაიმე ცუდ საქციელში.

მივიღე მხედველობაში, რომ ნ. ი. ტატიშვილმა მთლიანად აღიარა ჩადენილი დანაშაული, იგი დადებითად ხასიათდება, ბოდიში მოუხადა დაზარალებულს და რომ აღნიშნული დანაშაულისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 51[1]-ე მუხლით და საქართველოს სსრ სსსკ მე-6[2] მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. სისხლის სამართლის საქმე № 278 ნოდარ იაკობის ძე ტატიშვილის ბრალდების გამო, დაბადებული 1952 წელს ქ.

თბილისში, ცოლშვილიანი, უპარტიო. სამართალში არყოფილი, მცხოვრები სააკაძის ქ. № 37, ბინა 3. შეწყდეს და მასალები გადაეგზავნოს ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მიზნით.

2. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ეცნობოს დაზარალებულ ავთანდილ პეტრეს ძე კურტანიძეს და განემარტოს, რომ საქართველოს სსრ სსკ მე-6[2] მუხლის შესაბამისად, მას უფლება აქვს ხუთი დღის ვადაში გაასაჩივროს აღნიშნული დადგენილება ზემდგომ პროკურორთან.

მომკვლევი,
მილიციის ლეიტენანტი ე. ქირია

„ვეთანხმები"
ქ. თბილისის ლენინის სახელობის
რაიონის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ე. კაკაურიძე

10 დეკემბერი, 1987 წ.

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მასალების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განსახილველად გადაცემასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი 10 დეკემბერი, 1967 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა თ. ნ. ნოზაძემ განიხილე № 186 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული არასრულწლოვან თემურ პეტრეს ძე ბაბუნაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 27 ნოემბერს, 16 საათზე ქ. თბილისის ოქტომბრის ქ. № 71 სახლში მდებარე № 7 მაღაზიაში არასრულწლოვანმა თემურ პეტრეს ძე ბაბუნაშვილმა, დაბადებულმა 1970 წელს, ქ. თბილისში, მეორე საშუალო სკოლის X[1] კლასის მოსწავლემ, მცხოვრებმა ხუდადოვის ქ. № 6, ბინა 7, საცალო ვაჭრობის განყოფილებიდან მოიპარა ორი ბოთლი კონიაკი „გრემი". იგი ადგილზე იქნა დაკავებული. თ. პ. ბაბუნაშვილმა გულწრფელად აღიარა დანაშაული და მოინანია იგი (იხ. ს. ფ. 7—8). მეორე საშუალო სკოლის მიერ წარმოდგენილ დახასიათებაში ნათქვამია, რომ X[1] კლასის მოსწავლე თ. პ. ბაბუნაშვილი არის ჩამორჩენილი მოსწავლე, სუსტი ნებისყოფის, ადვილად ექცევა სხვების ზეგავლენის ქვეშ, იზრდება დედასთან (მამამ მიატოვა ოჯახი), ხატავს კარგად (იხ. ს. ფ. 17).

ბრალდებულის დედის, მისი მეზობლების — თ. ვ. შარაშენიძისა და ნ. ვ. კემულარიას დაკითხვის შედეგად დადგენილია, რომ თ. ბაბუნაშვილი სახლში და მეზობლებში იქცევა კარგად, იგი შემჩნეული არ ყოფილა ქურდობაში ან რაიმე ცუდ საქმიანობაში (იხ. ს. ფ. 18—19, 20, 21—22).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არასრულწლოვან თ. პ. ბაბუნაშვილის გამოსწორება შეიძლება სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების გარეშე, მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გატარების საფუძველზე.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-8 და 209-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. № 186 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული თემურ პეტრეს ძე ბაბუნაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, შეწყდეს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არასრულწლოვანთა საქმეების კო-

მისიისათვის განსახილველად მასალების გადაცემასთან დაკავშირებით. თ. პ. ბაბუნაშვილი დაბადებულია 1970 წლის 12 თებერვალს ქ. თბილისში, მეორე საშუალო სკოლის X[1] კლასის მოსწავლე, მცხოვრები ხუდადოვის ქ. № 6, ბინა 7.

2. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და მასალების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისთვის განსახილველად გადაცემის შესახებ ეცნობოს ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც გადაეგზავნოს აღნიშნული დადგენილების პირი.

3. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მასალების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის განსახილველად გადაცემასთან დაკავშირებით ეცნობოს თემურ პეტრეს ძე ბაბუნაშვილს, მის დედას — თინათინ ვასილის ასულ ბაბუნაშვილს და განემარტოთ მათ, რომ, საქართველოს სსრ სსსკ მე-8 მუხლის შესაბამისად, უფლება აქვთ ხუთი დღეღამის განმავლობაში გაასაჩივრონ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორთან.

გამომძიებელი,
მილიციის ლეიტენანტი: თ. ნოზაძე

დადგენილება

შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის განახლების შესახებ

ქ. ფოთი 6 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. ფოთის პროკურორმა თ. პ. თუთბერიამ განიხილე მოქალაქე პასიკო სერგოს ასული ჯალაღანიას ა/წ 4 დეკემბრის განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვს მისი ქმრის მიმართ შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის განახლებას,

გამოვარკვიე:

1987 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით, სპირიდონ ოთარის ძე ჯალაღანია მიცემულ იქნა პასუხისგებაში ბრალ-

დებულის სახით სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების პროცესში, ა/წ 30 ნოემბერს ბრალდებული გარდაიცვალა, რის გამოც საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, პროკურატურის გამომძიებელ ნ. ვ. კვიცარიძის ა/წ 1 დეკემბრის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. გარდაცვლილის მეუღლეს პ. ს. ჯალაღანიას მიაჩნია, რომ მის მეუღლეს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის განახლებას გარდაცვლილი მეუღლის რეაბილიტაციის მიზნით.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით და 210-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გაუქმდეს გამომძიებელ ნ. ვ. კვიცარიძის 1987 წლის 1 დეკემბრის დადგენილება ს. ო. ჯალაღანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ და საქმე წარმოებით განახლდეს;

2. გამოძიების ჩატარება დაევალოს გამომძიებელ ნ. ვ. კვიცარიძეს;

3. საქმის განახლების შესახებ ეცნობოს პ. ს. ჯალაღანიას.

ქ. ფოთის პროკურორი
I კლასის იურისტი თ. თ უ თ ბ ე რ ი ა

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

დაზარალებულის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებით დამთავრების შესახებ

ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 17, ბინა 8.
მოქალაქე პეტრე ივანეს ძე კობალაძეს

საქართველოს სსრ სსსკ 201-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ № 171 სისხლის სამართლის საქმეზე სილიბისტრო ტერენტის ძე ცანავას ბრალდების გამო, დანაშაული

;გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ,კოდექსის 108-ე მუხლით, წინასწარი გამოძიება წარმოებით დამთავრდა ა/წლის 9 დეკემბერს.

გაცნობებთ, რომ თქვენ ან თქვენს წარმომადგენელს უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს არა უგვიანეს 16 დეკემბრისა, პროკურატურის შენობაში (არაყიშვილის ქ. № 3), 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 13-დან 14 საათამდე), ოთახი 8.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის
რაიონის პროკურატურის გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ე. ბერიძე

10 დეკემბერი, 1987 წ.

ოქმი

დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა

ქ. თბილისი 15 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ე. ზ. ბერიძემ, საქართველოს სსრ სსსკ 201-ე მუხლის შესაბამისად დაზარალებულ პ. ი. კობალაძის შუამდგომლობის საფუძველზე, ჩემს სამუშაო ოთახში გავაცანი № 171 სისხლის სამართლის საქმის მასალები ს. ტ. ცანავას ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით.

დაზარალებულს გასაცნობად წარედგინა № 171 სისხლის სამართლის საქმე შეკერილი და დანომრილი, ერთი ტომი, 117 გვერდი.

საქმის მასალების გაცნობა დაიწყო ა/წლის 15 დეკემბერს 14 საათზე, დამთავრდა — 15 დეკემბერს 19 საათზე.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ დასმულ კითხვაზე, ხომ არა აქვს დაზარალებულს რაიმე დამატებითი შუამდგომლობა გამოძიების შესავსებად. დაზარალებულმა პ. ი. კობალაძემ განაცხადა, რომ იგი ეთანხმება დანაშაულის კვალი-

ფიკაციას და არ აქვს არავითარი შუამდგომლობა გამოძიების შევსების მიზნით.

ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა, იგი შედგენილია სწორად და სრულად.

დაზარალებული: პ. კ ო ბ ა ლ ა ძ ე

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ვ. ბ ე რ ი ძ ე

ო ქ მ ი

სამოქალაქო მოსარჩელესთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა

ქ. თბილისი 3 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. დ. გაბუნიამ, საქართველოს სსრ სსსკ 201-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო მოსარჩელეს — ნ. ვ. ჯაშს ზეპირი შუამდგომლობის საფუძველზე ჩემ სამუშაო ოთახში გავაცანი № 226 სისხლის სამართლის საქმის მასალები ნ. პ. პერტენავას ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით.

სამოქალაქო მოსარჩელეს გასაცნობად წარედგინა № 226 სისხლის სამართლის საქმე, შეკერილი და დანომრილი, ერთი ტომი, 97 გვერდი.

საქმის მასალების გაცნობა დაიწყო ა/წლის 3 სექტემბერს 11 საათზე, დამთავრდა 3 სექტემბერს 13 საათზე.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ დასმულ კითხვაზე, ხომ არა აქვს სამოქალაქო მოსარჩელეს რაიმე დამატებითი შუამდგომლობა გამოძიების შესავსებად, სამოქალაქო მოსარჩელემ — ნ. ვ. ჯაშმა განაცხადა, რომ მას არა აქვს არავითარი შუამდგომლობა.

ოქმი წაიკითხა სამოქალაქო მოსარჩელემ, იგი შედგენილია სრულად და სწორად.

სამოქალაქო მოსარჩელე ნ. ჯაში

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. გაბუნია

ოქმი

ბრალდებულისათვის გამოძიების დამთავრების გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისი 15 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ზ. ბერიძემ № 172 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება ეცანი დამთავრებულად, ხოლო შეკრებილი მტკიცებულებები საბრალდებო დასკვნის შესადგენად — საკმარისად. საქართველოს სსრ სსსკ 202-ე, 204-ე მუხლების შესაბამისად, გამოვუცხადე ამის შესახებ ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში ბრალდებულ ოთარ გიორგის ძე ნოდიას და განვუმარტე, რომ მას ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით.

ბრალდებულ ო. გ. ნოდიას განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მთელ მასალას როგორც პირადად, ასევე დამცველის მეშვეობით, აგრეთვე განაცხადოს შუამდგომლობა წინასწარი გამოძიების შევსების შესახებ.

ბრალდებულმა ო. გ. ნოდიამ განაცხადა შუამდგომლობა, რომ სურს იყოლიოს დამცველი და მასთან ერთად გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. დამცველად მას სურს დაენიშნოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვ. ე. ობოლაძე.

ოქმი წაიკითხა ბრალდებულმა ო. გ. ნოდიამ; იგი შედგენილია სრულად და სწორად.

ბრალდებული ო. ნოდია

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. ბერიძე

მ ი მ ა რ თ ვ ა

იურიდიული კონსულტაციის გამგეს საქმეზე დამცველის გამოყოფის შესახებ

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის
იურიდიული კონსულტაციის გამგეს
ამხ. ნ. ს. ჭ ა ხ რ ა კ ი ა ს

საქართველოს სსრ სსსკ 202-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულ ო. გ. ნოდიას, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით, ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში გამოეცხადა, რომ მის საქმეზე წინასწარი გამოძიება დამთავრებულია და განემარტა, რომ უფლება აქვს იყოლიოს დამცველი. ბრალდებულმა ო. გ. ნოდიამ აღძრა შუამდგომლობა, რომ მას სურს დამცველად დაენიშნოს თქვენდამი რწმუნებული კონსულტაციის ადვოკატი ვ. ვ. ობოლაძე.

გთხოვთ, აღნიშნულ საქმეზე ადვოკატად გამოყოთ ვ. ვ. ობოლაძე და უზრუნველყოთ მისი გამოცხადება ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში 1987 წლის 19 დეკემბერს 11 საათზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მაცნობეთ დამცველ ვ. ობოლაძის გამოუცხადებლობის მიზეზი.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის
პროკურატურის გამომძიებელი, II კლასის
იურისტი ვ. ბ ე რ ი ძ ე

15 დეკემბერი, 1987 წ.

ო ქ მ ი

ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა

ქ. თბილისი 19 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ზ. ბერიძემ, ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში, საქართველოს

სსრ სსსკ 202-ე, 203-ე, 204-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, № 172 სისხლის სამართლის საქმის მასალები გასაცნობად წარ. ეუდგინე ბრალდებულ ოთარ გიორგის ძე ნოდიას, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით და მის დამცველს ვალერიან ვალერიანის ძე ობოლაძეს, რომელმაც წარმოადგინა ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ორდერი № 235, გაცემული ა/წლის 18 დეკემბერს.

საქმის მასალები ბრალდებულს და მის დამცველს წარედგინათ შეკერილი და დანომრილი, ერთი ტომი, 117 გვერდი.

ბრალდებული და მისი დამცველი გაეცნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს ერთად. საქმის მასალების გაცნობა დაიწყო ა/წლის 19 დეკემბერს 11 საათსა და 45 წუთზე, დამთავრდა — ა/წლის 19 დეკემბრის 18 საათზე.

საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ბრალდებულისა და დამცველისადმი მიცემულ შეკითხვაზე, შუამდგომლობენ თუ არა ისინი წინასწარი გამოძიების შევსების შესახებ, ბრალდებულმა ო. გ. ნოდიამ განაცხადა, რომ მას არა აქვს შუამდგომლობა.

ბრალდებულის დამცველმა ვ. ვ. ობოლაძემ განაცხადა, რომ შუამდგომლობს, საქმეზე გამოძახებულ იქნას და მოწმის სახით დაიკითხოს ნოდარ ოთარის ძე დავითაშვილი, მცხოვრები ქ. თბილისში, ჯანაშიას ქ. № 17, ბინა 8, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს, რომ დაზარალებულმა, ან გარდაცვლილმა ე. ი. ტყაბლაძემ უცენზურო სიტყვებით მიმართა ბრალდებულს და ამის გამო ბრალდებულმა მოკლა იგი.

ოქმი წაიკითხა გამომძიებელმა, იგი შედგენილია სრულად და სწორად.

ბრალდებული ო. ნ ო დ ი ა

დამცველი ვ. ო ბ ო ლ ა ძ ე

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ე. ბ ე რ ი ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დამცველის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი 20 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურატურის გამოძიებელმა, II კლასის იურისტმა ვ. ზ. ბერიძემ განიხილა № 172 სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის — ვ. ე. ობოლაძის შუამდგომლობა ო. გ. ნოდიას ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 19 დეკემბერს ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად ბრალდებულ ო. გ. ნოდიას დამცველმა ვ. ვ. ობოლაძემ განაცხადა შუამდგომლობა, საქმეზე დამატებითი მოწმის სახით დაიკითხოს ნოდარ ოთარის ძე დავითაშვილი, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს, რომ დაზარალებულმა, ე. ი. ტყაბლაძემ უცენზურო სიტყვებით მიმართა ბრალდებულ ო. გ. ნოდიას და ამიტომ ბრალდებულმა მოკლა დაზარალებული.

იმის გამო, რომ აღნიშნული ფაქტი დადგენილია წინასწარ გამოძიების დროს ნ. კ. ჩივაძის ჩვენებით (იხ. ს. ფ. 27—28), მოწმე თ. ვ. ბიწაძის ჩვენებით (იხ. ს. ფ. 39—40), საჭირო არ არის ამ ფაქტის დასადგენად კიდევ ახალი მოწმის დაკითხვა.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 205-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. დამცველ ვ. ვ. ობოლაძის შუამდგომლობა № 172 სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი მოწმის დაკითხვის შესახებ არ იქნას დაკმაყოფილებული.

2. დადგენილება გამოეცხადოს დამცველ ვ. ვ. ობოლაძეს და განემარტოს მას, რომ უფლება აქვს გაასაჩივროს აღნიშნული დადგენილება ქ. თბილისის ოქტომბრიაძის სახელობის რაიონის პროკურორთან.

გამომძიებელი,
II კლასის იურისტი ვ. ბერიძე

დადგენილება გამოეცხადა 1987 წლის 20 დეკემბერს.

დამცველი ვ. ობოლაძე

გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ
ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის
რაიონის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი
ვ. პეტრიაშვილი
25 მაისი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბრალდებულისა და დამცველისათვის საქმის მასალების გასაცნობად ვადის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისი 25 მაისი, 1987 წ.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, III კლასის იურისტმა ვ. ზ. ვარდოსანიძემ № 160 სისხლის სამართლის საქმეზე ნ. ვ. ზოდელავას ბრალდების გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 5 მაისს ბრალდებულ ნ. ვ. ზოდელავას და მის დამცველს ა. ი. კოტრიკაძეს, საქართველოს სსრ სსსკ 202-ე, 204-ე მუხლების საფუძველზე, ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში წარეუდგინე № 160 სისხლის სამართლის

საქმის მასალები გასაცნობად, დანომრილი და აკინძული ერთ ტომად, 70 გვერდი.

ბრალდებულსა და მის დამცველს ყოველდღე ჰქონდათ საშუალება საქმის მასალების ერთობლივი გაცნობისა, მაგრამ ისინი აჭიანურებდნენ საქმის მასალების გაცნობას, რასაც ასაბუთებდნენ ბრალდებულის ავადმყოფობით, უხასიათობით, თავის ტკივილით და დამცველის მოუცლელობით. აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დამცველი ა. ი. კოტრიკაძე სხვა სისხლის ან სამოქალაქო საქმის განხილვაში ამ პერიოდში არ მონაწილეობდა. საგამოძიებო იზოლატორის ექიმმა განმარტა, რომ ბრალდებულ ნ. ვ. ზოდელავას ექიმისათვის არ მიუმართია და ამჟამად მისი ჯანმრთელობა არის ნორმალური.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ ბრალდებული ნ. ვ. ზოდელავა და მისი დამცველი ა. ი. კოტრიკაძე განზრახ აჭიანურებენ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობას იმის გამო, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 5 ივნისს მთავრდება ბრალდებულის ექვსთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 202-ე მუხლის მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ ნ. ვ. ზოდელავას და მის დამცველ ა. ი. კოტრიკაძეს № 160 სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობად განესაზღვროს ოთხი დღის ვადა ა/წ 26 მაისიდან 30 მაისამდე.

2. აღნიშნული დადგენილება გამოეცხადოს ბრალდებულ ნ. ვ. ზოდელავას და მის დამცველს — ა. ი. კოტრიკაძეს.

გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ე. ჯ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 25 მაისს.

მრალდებული ნ. ზ ო დ ე ლ ა ვ ა

დამცველი ა. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

„ვეთანხმები"
ქ. რუსთაველის პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი ნ. თ ე ვ დ ო რ ა ძ ე

28 მაისი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სასამართლოში საქმის წარმართვის შესახებ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად

ქ. რუსთავი 27 მაისი, 1987 წ.

ქ. რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ნ. ვ. სანებლიძემ განვიხილე № 494 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული როინ კონსტანტინეს ძე ყვანიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 1 აპრილს, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, როინ კონსტანტინეს ძე ყვანია სამსახურის შემდეგ მივიდა თავის ყოფილ ცოლთან ლილი ვასილის ასულ სოჩოვასთან (ქ. რუსთავი, ლეონიძის ქ. № 14, ბინა 7). ბინაში ყოფილი მეუღლის გარდა იყვნენ სტუმრები: მარინა მიხეილის ასული ალტერი და ვიქტორ პეტრეს ძე შვანგირაძე, რომლებიც სადილობდნენ და სვამდნენ არაყს. რ. კ. ყვანია შეუერთდა მათ და დაიწყო არყის სმა.

ქვანიას მისვლიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ქვანია და მისი ყოფილი მეუღლე — ლ. სოჩოვა შელაპარაკ-დნენ, რაც ჩხუბში გადაიზარდა. რ. ქვანიამ მაგიდაზე დადებულ პურის საჭრელ დანას წაავლო ხელი და ორჯერ დარტყმით სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა ლ. სოჩოვას.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად (დასკვნა № 158, ა/წლის 6 აპრილის თარიღით) დაზარალებულს მიყენებული აქვს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა მხედველობის დაკარგვა (იხ. ს. ფ. 10—12).

დაზარალებულმა ლ. ვ. სოჩოვამ განაცხადა, რომ ქვანიამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე აუტეხა მას ჩხუბი და მიაყენა ჭრილობა სახისა და ბეჭის არეში. დაზარალებულმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 1983 წლის 15 მარტს სასამართლო წესით განქორწინდა თავის მეუღლესთან იმის გამო, რომ იგი ფსიქიკურად დაავადებულია და მასთან ცხოვრება შეუძლებელი იყო (იხ. ს. ფ. 13—17).

მოწმემ — მარინა მიხეილის ასულმა ალტერმა აჩვენა, რომ სადილობის დროს ქვანიამ თავის ყოფილ მეუღლეს ლ. ვ. სოჩოვას დაუწყო საუბარი ცოლქმრული ურთიერთობის განახლებაზე, რაზეც სოჩოვამ უპასუხა: „შენ ახლა ნასვამი ხარ და ამ საკითხზე ვილაპარაკოთ ხვალ". ამის შემდეგ ქვანიამ დაიწყო ლანძღვა, წაავლო ხელი მაგიდაზე დადებულ პურის საჭრელ დანას და მიაყენა ორი ჭრილობა დაზარალებულს. მოწმემ განაცხადა, რომ თვითონ და მისი მეგობრის ვიქტორ პეტრეს ძე შვანგირაძის დახმარებით შეძლეს ქვანიასათვის წაერთმიათ დანა და ორივემ ერთად თოკით შეკრეს იგი (იხ. ს. ფ. 5—7).

მოწმემ ვიქტორ პეტრეს ძე შვანგირაძემ მისცა ანალოგიური ჩვენება (იხ. ს. ფ. 8—9).

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ რ. კ. ქვანია იმყოფებოდა აღრიცხვაზე ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მაგრამ თავს არიდებდა მკურნალობას (იხ. ს. ფ. 13—16).

1987 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე დაინიშნა სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა (იხ. ს. ფ. 17—18), რის შედეგად (დასკვნა № 278, ა/წლის 20 მაისი) დადგინდა, რომ რ. კ. ქვანიამ დანაშაული ჩაიდინა

შეურაცხად მდგომარეობაში, რომ იგი დაავადებულია შიზოფრენიით და საჭიროებს იძულებითი ხასიათის სამედიცინო მკურნალობას (იხ. ს. ფ. 80—89).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 326-ე, 329-ე მუხლების მოთხოვნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

№ 494 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული როინ კონსტანტინეს ძე ქვანიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადაიგზავნოს ქ. რუსთავის პროკურორის მეშვეობით ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად. როინ კონსტანტინეს ძე ქვანია დაბადებულია ქ. თბილისში 1952 წელს, ქართველი, უპარტიო, საშუალო განათლებით, სამართალში არყოფილი, ქ. რუსთავის რკინა-ბეტონის ქარხნის მუშა, მცხოვრები ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 17, ბინა 28.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე

23 მაისი, 1987 წ.

ხ ი ბ

სახალხო სასამართლოში გამოსაწვევ პირთა

ქვანია როინ კონსტანტინეს ძე მოთავსებულია ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის საავადმყოფოში (ს. ფ. 50—53);

შეურაცხადი პირის კანონიერი წარმომადგენელი (დედა) — ქვანია ნადია გიორგის ასული, მცხოვრები ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 27, ბინა 5 (ს. ფ. 37—39).

დაზარალებული: სოჩოვა ლილი ვასილის ასული, მცხოვ-

რები ქ. რუსთავში ლეონიძის ქ. № 14, ბინა 7 (ს. ფ. 13—17, 31—36).

ე ქ ს პ ე რ ტ ი: ენუქიძე ვლადიმერ პეტრეს ძე, ქ. თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმი, მცხოვრები ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. № 99, ბინა 10, სამსახურის ტელეფონი 93-37-97, ბინის ტელეფონი 22-17-92 (ს. ფ. 80—89).

მ ო წ მ ე ე ბ ი: 1. ალტერი მარინა მიხეილის ასული, მცხოვრები ქ. რუსთავში, ჭავჭავაძის ქ. № 17, ბინა 5 (ს. ფ. 5—7, 60—63).

2. შვანგირაძე ვიქტორ პეტრეს ძე, მცხოვრები ქ. რუსთავში, კიროვის ქ. № 5, ბინა 7 (ს. ფ. 1—16, 64—67).

ს ნ ო ბ ა

№ 404 სისხლის სამართლის საქმეზე

1. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 1987 წლის 2 აპრილს;

2. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაინიშნა 1987 წლის 20 აპრილს;

3. შეურაცხადი პირი — რ. კ. ქვანია 1987 წლის 20 მაისიდან მოთავსებულია ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის საავადმყოფოში;

4. ნივთიერი მტკიცებულება — დანა, შეფუთული თეთრ მკვრივ ქაღალდში, დალუქულია შინაგან საქმეთა განყოფილების № 7 ბეჭდით და ერთვის საქმეს (ს. ფ. 4);

5. რ. კ. ქვანიას პასპორტი IV—ТИ № 781763, გაცემული ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ 1982 წლის 15 ოქტომბერს, ჩადებულია კონვერტში და ერთვის საქმეს (ს. ფ. 19).

6. საქმეზე სამოქალაქო სარჩელი არ ყოფილა განცხადებული;

7. საქმეზე წინასწარი გამოძიება დამთავრდა 22 მაისს.

გამომძიებელი,
მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე

სანქციონირებულია
ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის
რაიონის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ნ. ახალაია

25 სექტემბერი, 1987 წ.

„ვამტკიცებ"
ქ. თბილისის ოქტომბრის სახელ-
ობის რაიონის შინაგან საქმეთა
განყოფილების უფროსი, მილი-
ციის პოდპოლკოვნიკი
ვ. თევზაძე

24 სექტემბერი, 1987 წ.

ოქმი

მარტივი ხულიგნობის საქმეზე მასალების სასამართლოში წარმართვის შესახებ

(მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა)

ქ. თბილისი 24 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორმა მილიციის ლეიტენანტმა ს. ნ. ბერიშვილმა № 137 სისხლის სამართლის საქმეზე ა/წლის 20 სექტემბერს დავაკავე სამართალდამრღვევი ვიტალი სერგოს ძე ავალიანი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით.

1987 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისში, საბჭოს მოედანზე, 13 საათსა და 30 წუთზე, ვიტალი სერგოს ძე ავალიანმა უცენზურო სიტყვებით მიმართა მოქალაქე ვალერი ამბერკის ძე ცქიფურიშვილს, რომელიც იდგა № 17 გასტრონომის სალაროს რიგში. ვ. ავალიანმა მოისურვა ურიგოდ სალაროში ფულის გადახდა, რის თაობაზე მოქალაქე ვ. ცქიფურიშვილმა მიუთითა რიგში დამდგარიყო. ვ. ავალიანმა იმის ნაცვლად, რომ შეესრულებინა სამართლიანი მოთხოვნა, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც გამოიხატა ჯერ ვ. ცქიფურიშვილისადმი უცენზურო სიტყვებით მიმართვაში, ხოლო შემდგომ კიდეც გაიწია მის საცემად. ამ დროს იგი დააკავეს მოქალაქეებმა და მილიციონერ ნ. კ. ადუმაძის მიერ მიყვანილ

იქნა ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში (იხ. ს. ფ. 2—3).

სამართალდამრღვევმა ვ. ავალიანმა განმარტა, რომ მას აგვიანდებოდა კინოში და ამიტომ სურდა სალაროში ურიგოდ ფულის გადახდა, მან დაადასტურა უცენზურო სიტყვებით მიმართვა ვ. ცქიფურიშვილისადმი, მაგრამ უარყო, რომ მას განზრახვა ჰქონდა დაზარალებული ეცემა (იხ. ს. ფ. 4—6).

ვ. ი. ცქიფურიშვილმა განმარტა, რომ ვ. ავალიანმა არავის არ თხოვა სალაროში ფულის ურიგოდ გადახდის ნებართვა; მან უხეშად გადააწოდა მოლარეს ფული და მოსთხოვა მიეღო იგი. ცქიფურიშვილმა ვ. ავალიანს მიუთითა რიგში დამდგარიყო. მან კი უპასუხა: „შენ ვინ გეკითხება, მე ურიგოდ გადავიხდი ფულს თუ რიგში დავდგებიო“. ცქიფურიშვილი აღნიშნავს, რომ ხელმეორედ მოეუწოდე რიგში დამდგარიყო, რის შემდეგ ვ. ავალიანმა უცენზურო სიტყვებით მომმართა და გამოიწია საცემრად, მაგრამ რიგში მდგომმა მოქალაქეებმა იგი დააკავესო. ამ დროს მოვიდა მილიციონერი, რომელმაც ავალიანი წაიყვანა მილიციის განყოფილებაში (იხ. ს. ფ. 7—9).

მოქალაქეებმა ნ. ვ. ცირამუამ (ს. ფ. 10—12), ს. კ. კალანდარიშვილმა (ს. ფ. 13—15), ს. ნ. ბედიაშვილმა (ს. ფ. 16—18) თავიანთ ახსნა-განმარტებაში მთლიანად დაადასტურეს ცქიფურიშვილის ჩვენება.

გამოთხოვილ დახასიათებაში აღნიშნულია, რომ ვ. ს. ავალიანი სწავლობს № 3 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მე-2 კურსზე, მოსწრება დამაკმაყოფილებელი, უპარტიო, უდისციპლინო (ს. ფ. 19).

გამოთხოვილი ცნობიდან დასტურდება, რომ ვ. ს. ავალიანი წინათ არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში (იხ. ს. ფ. 22).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიტალი სერგოს ძე ავალიანს, დაბადებულს ქ. თბილისში 1966 წელს, ქართველს, უპარტიოს, სსრ კავშირის მოქალაქეს, თბილისის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მე-2 კურსის მოსწავლეს, მცხოვრებს ქ. თბილისში, მონტინის ქ. № 3, ბინა 7, ბრალად ედება მარტივი ხულიგნობის ჩადენა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქართველოს სსრ სსსკ 401-ე მუხლის შესაბამისად, მა-

სალები უნდა გადაეგზავნოს შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს და პროკურორის სანქციით ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს სამართალდამრღვევის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და განხილვისათვის.

მომკვლევი პირი,
მილიციის ლეიტენანტი ს. ბერიშვილი

ოქმს და საქმის მასალებს გაეცანი 1987 წლის 24 სექტემბერს ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში. მასალების გაცნობა დაიწყე 10 საათზე, დავამთავრე 12 საათზე.

სამართალდამრღვევი ვ. ავალიანი

შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის დავალებით საქმის მასალები და ოქმი გავაცანი

მილიციის ლეიტენანტი ს. ბერიშვილი

ს ი ა

სახალხო სასამართლოში დასაბარებელ პირთა

სამართალდამრღვევი: ავალიანი ვიტალი სერგოს ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, მონტინის ქ. № 3, ბინა 7 (იხ. ს. ფ. 4).

საქართველოს ფაქტის მნახველი მოქალაქეები:

1. ცქიფურიშვილი ვალერი ივანეს ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, საბჭოს ქ. № 7, ბინა 9. ბინის ტელ. 95-38-68 (იხ. ს. ფ. 7—9).

2. ცირამუა ნათელა ვასილის ასული, მცხოვრები ქ. თბილისში, ოქტომბრის ქ. № 3, ბინა 7 (იხ. ს. ფ. 10—12);

3. კალანდარიშვილი სევერიანე კონსტანტინეს ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ბაქრაძის ქ. № 7. ტელ. 95-95-75 (იხ. ს. ფ. 13—15);

4. ბედიაშვილი სონია ნოდარის ასული, მცხოვრები ქ. თბილისში, საბჭოს ქ. № 14, ბინა 8 (იხ. ს. ფ. 16—18).

„ვამტკიცებ"
ქ. ბათუმის პროკურორი
იუსტიციის უფროსი მრჩეველი
ნ. ი. ქრისტესიშვილი

8 ივნისი, 1987 წ.
ქ. ბათუმი

საბრალდებო დასკვნა

№ 127 სისხლის სამართლის საქმეზე გურამი ალექსანდრეს ძე ლომინაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე მუხლებით.

1985 წლის 12 თებერვალს ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე № 127 გურამი ალექსანდრეს ძე ლომინაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით.

ა/წლის 16 მარტს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეგზავნა ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს, ხოლო ამავე სასამართლოს 2 აპრილის განჩინებით იგი დაბრუნებულ იქნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად იმის გამო, რომ გ. ა. ლომინაძის დანაშაულებრივ ქმედობაში არის არა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, არამედ მკვლელობის მცდელობა, ე. ი. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე მუხლებით.

1987 წლის 6 აპრილს აღნიშნული საქმე შემოვიდა ქ. ბათუმის პროკურატურაში და მივიღე იმავე დღეს წარმოებაში (იხ. ს. ფ. 97).

წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ გ. ა. ლომინაძე დროებით უმუშევარი, ნასამართლევი ბოროტი ხულიგნობისათვის (იხ. ს. ფ. 31), განაწყენებული იყო დაზარალებულ ნოდარ დავითის ძე დევიძეზე იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ლომინაძის პატიმრობაში ყოფნის დროს დაქორწინდა მის ყოფილ მეუღლე ვენერა ვარდენის ასულ კილაძეზე. სასჯელის მოხდისა და პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ლომინაძე სისტემატურად ემუქრებოდა მის ყოფილ მეუღლეს ვ. ვ. კილაძეს და ნ. დ. დევიძეს მოკვლით, თუ კილაძე არ დაშორდებოდა დევიძეს. ამ წინადადებას ვ. კილაძე არ ეთანხმებოდა. აღნიშნულით განაწყენებული ლომინაძე ა/წ 11 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში მივიდა ვ. კილაძისა და ნ. დევიძის ბინაში დანით ხელში, როდესაც ეს უკანასკნელი თავის დეიდაშვილთან—რეზო ზაქროს ძე კუპავასთან ერთად ოთახში დომინოს თამაშობდნენ. ლომინაძემ კარები გააღო, ოთახში დანით ხელში შეეიდა და შესძახა: „ნოდარ, მე მოვედი!“ დევიძემ დააპირა სკამიდან წამოდგომა, მაგრამ გ. ლომინაძე შეეცადა დაზარალებულ დევიძისათვის დანა ჩაერტყა გულმკერდის არეში. მის მიერ პირველად მოქნეული დანა გულმკერდის ნაცვლად წელის მარცხენა მხარეში მოხვდა ნ. დ. დევიძეს, ხოლო მეორედ მოქნეული—მარჯვენა ბეჭის არეში. ლომინაძე მესამედაც შეეცადა ნ. დევიძისათვის დანის დარტყმას, მაგრამ ამ უკანასკნელმა მასთან მყოფ რ. ზ. კუპავას დახმარებით ლომინაძეს დანა ხელიდან გააგდებინა. ამრიგად, გ. ა. ლომინაძემ წინასწარ განიზრახა დევაძის მოკვლა, მაგრამ შედეგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დაზარალებული დევიძე სასწრაფოდ წაყვანილ იქნა საავადმყოფოში და მას აღმოუჩინეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (ს. ფ. 9—10).

ბრალდებულმა გ. ა. ლომინაძემ შემთხვევის ადგილიდან გაქცევა დააპირა, მაგრამ იგი იქვე დააკავეს.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედობისათვის ლომინაძეს წაეყენა ბრალი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე მუხლებით.

წარდგენილ ბრალდებაში გ. ა. ლომინაძემ თავი არ სცნო დამნაშავედ და უარყო დაზარალებულ დევიძის მოკვლის წინასწარი განზრახვა. ასევე კატეგორიულად უარყო მის მიერ

ჩადენილი დანაშაული, კერძოდ, ის, რომ მან დანა დაარტყა დაზარალებულ დევიძეს და რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დასაკეცი დანა მას ეკუთვნის (ს. ფ. 151—153).

გამოძიების მიერ ბრალდებულ ლომინაძის განმარტება ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ბრალდება საქმის მასალებით მთლიანად დადასტურებულია.

დაზარალებულის სახით დაკითხულმა ნოდარ დავითის ძე დევიძემ აჩვენა, რომ ბრალდებული ლომინაძე სასჯელის მოხდის შემდეგ მოკვლით ემუქრებოდა თავის ყოფილ მეუღლეს კილაძეს და თვით დევიძეს, ხოლო ა/წლის 11 თებერვალს საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შევარდა მის ბინაში და ხელში დანამომარჯვებული შეეცადა დანის დარტყმას გულმკერდის არეში. მიუხედავად დევიძის მხრიდან მიღებული თავდაცვითი ღონისძიებისა, ლომინაძემ მაინც შეძლო დანა დაერტყა მისთვის ჯერ წელის მარცხენა მხარეში, მეორედ კი მარჯვენა ბეჭის არეში, ხოლო როდესაც შეეცადა მესამედაც დაერტყა, დევიძემ რ. ზ. კუპავას დახმარებით შეძლო ხელიდან გაეგდებინებინა დანა (ს. ფ. 140—143).

მოწმის სახით დაკითხულმა რეზო ზაქროს ძე კუპავამ აჩვენა, რომ ა/წლის 11 თებერვალს, დაახლოებით საღამოს 20 საათზე, იგი იმყოფებოდა დაზარალებულ ნ. დევიძესთან სტუმრად და დომინოს თამაშობდა. ამ დროს შენიშნა ვიღაც მამაკაცი, რომელიც მათ ფანჯრიდან უთვალთვალებდა. კუპავამ ამის შესახებ უთხრა დევიძეს, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელმა ფანჯრისაკენ გაიხედა, უცნობი მამაკაცი კარებს ამოეფარა. დაზარალებულმა დევიძემ ამას ყურადღება არ მიაქცია და თამაში განაგრძო. ამ დროს კარები გაიღო და ოთახში ლომინაძე შემოვიდა, რომელმაც დაზარალებულ დევიძეს მიმართა: „ნოდარ, მოვედი!“ დაზარალებული დევიძე სკამიდან წამოდგა; ამ დროს ლომინაძემ მას წელის მარცხენა მხარეში დაარტყა დანა, მეორე კი — მარჯვენა ბეჭის არეში. დევიძემ და კუპავამ ლომინაძეს დანა ხელიდან გააგდებინეს (იხ. ს. ფ. 84—86).

მოწმე ვენერა ვარდენის ასულმა კილაძემ განაცხადა, რომ მისი ყოფილი მეუღლე გ. ა. ლომინაძე როგორც კი განთავისუფლდა პატიმრობიდან, წინადადებას აძლევდა კილაძეს, რა-

თა მიეტოვებინა მეუღლე დევიძე და დაბრუნებულიყო მასთან. ვინაიდან ასეთი წინადადება მიუღებელი იყო კილაძისათვის, ლომინაძე მას მოკვლით ემუქრებოდა. 1987 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 20 საათზე. როდესაც კილაძე, დევიძე და კუპავა დომინოს თამაშობდნენ, ლომინაძემ შეაღო კარი და უთხრა დევიძეს „ნოდარ, მოვედი!" დევიძე სკამიდან წამოდგა, მაგრამ ამ მომენტში მას დანა დაარტყა ლომინაძემ ჯერ წელის მარცხენა მხარეში, მეორედ კი ბეჭის არეში. დევიძემ და კუპავამ შესძლეს ხელიდან დანა გაეგდებინებინათ ლომინაძისათვის (ს. ფ. 87—90).

გ. ა. ლომინაძის ჩადენილი ქმედობა დადასტურებულია აგრეთვე მოწმეების: ავთანდილ ჯემალის ძე კონცელიძის, მედეა ევგენის ასული პატარაიას, ვალენტინა ნიკოლოზის ასული შვანგირაძის ჩვენებებით (იხ. ს. ფ. 127, 129, 131). სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით დადგინდა, რომ დევიძეს მიყენებული აქვს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის (ს. ფ. 46—48).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გურამ ალექსანდრეს ძე ლომინაძეს, დაბადებულს 1952 წელს, ქართველს, სსრ კავშირის მოქალაქეს, საშუალო განათლების მქონეს, ეცოლიანულს, დროებით უმუშევარს, სამართალში ნამყოფს (ქ. ბათუმის საბალხო სასამართლოს მიერ 1983 წლის 15 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულს ბოროტი ხულიგნობისათვის შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით), ამჟამად პატიმარს

ბრალი ედება მასში, რომ განაწყენებულმა მოქალაქე ნ. დ. დევიძეზე იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მისი პატიმრობაში ყოფნის დროს დაქორწინდა გ. ლომინაძის ყოფილ მეუღლეზე — ვენერა ვარდენის ასულ კილაძეზე, სასჯელის მოხდისა და პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ სისტემატურად ემუქრებოდა თავის ყოფილ მეუღლეს — კილაძეს და მის მეუღლეს — დევიძეს მოკვლით, თუკი კილაძე არ დაშორდებოდა დევიძეს და არ დაუბრუნდებოდა მას. ასეთ წინადადებას კი კილაძე არ დაეთანხმა; გ. ა. ლომინაძე 1987 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 20 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, მივიდა თავისი ყოფილი ცოლის კილაძისა და მისი მეუღლის დევიძის სახლში, მდებარე ქ. ბათუმში, თბილისის ქ. №1, ჯიბის დასაკეცი დანით ხელში შევარდა მათ ბინაში და შურის-

ძიების ნიადაგზე. წინასწარი განზრახვით მოკვლის მიზნით მოქ. ნ. დევიძეს ორჯერ დაარტყა დანა. პირველად მოქნეული დანა მოხვდა დევიძეს წელის მარცხენა მხარეში, ხოლო მეორედ — მარჯვენა ბეჭის არეში. ლომინაძემ მესამედაც მოუქნია დანა, მაგრამ დევიძისა და მასთან სტუმრად მყოფი რ. ზ. კუპავას მიერ გაწეული წინააღმდეგობის შედეგად ვერ შესძლო დანის დარტყმა. ამიტომ წინასწარი განზრახვა ნ. დევიძის მოკვლისა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო გ. ლომინაძემ ვერ განახორციელა.

ამრიგად, ბრალდებულ გ. ა. ლომინაძის მიერ ჩადენილია დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე მუხლებით.

საქართველოს სსრ სსსკ 31-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად ექვემდებარება ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს. მოცემული საქმე და საბრალდებო დასკვნა, საქართველოს სსრ სსსკ 208-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაეგზავნოს ქ. ბათუმის პროკურორს.

საბრალდებო დასკვნა შედგენილია 1987 წლის 4 ივნისს.

ქ. ბათუმის პროკურატურის
უფროსი გამომძიებელი,
III კლასის იურისტი ნ. კობალაძე

ს ი ა

სახალხო სასამართლოში გამოსაწვევ პირთა

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი: ლომინაძე გურამი ალექსანდრეს ძე მოთავსებულია ქ. ბათუმის საგამოძიებო იზოლატორში (ს. ფ. 151);

დ ა ზ ა რ ა ლ ებ უ ლ ი: დევიძე ნოდარ დავითის ძე, მცხოვრები ქ. ბათუმში, თბილისის ქუჩა, № 1 (ს. ფ. 140);

მ ო წ მ ე ე ბ ი:

1. კილაძე ვენერა ვარდენის ასული, მცხოვრები ქ. ბათუმში, თბილისის ქ. № 1 (ს. ფ. 137);

2. კუპავა რევაზ ზაქროს ძე, მცხოვრები ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. № 2, ბინა 12 (ს. ფ. 135);

3. კონცელიძე ავთანდილ ჯემალის ძე, მცხოვრები ბათუმში, თბილისის ქ. № 1 (ს. ფ. 127);

4. პატარაია მედეა ეეგენის ასული, მცხოვრები ქ. ბათუმში, თბილისის ქ. № 3 (ს. ფ. 129);

5. შეანგირაძე ვალენტინა ნიკოლოზის ასული, მცხოვრები ქ. ბათუმში, თბილისის ქ. № 3 (ს. ფ. 131).

ᲪᲜᲝᲑᲐ

№ 127 სისხლის სამართლის საქმეზე

1. № 127 სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 1987 წლის 12 თებერვალს;

2. მიღებულ იქნა ჩემს წარმოებაში 1987 წლის 6 აპრილს;

3. გ. ა. ლომინაძეს აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა — შეეფარდა 1987 წლის 13 თებერვალს და იმყოფება ქ. ბათუმის საგამოძიებო იზოლატორში;

4. გ. ა. ლომინაძეს ბრალი წარედგინა 1987 წლის 16 თებერვალს და 28 აპრილს;

5. საქმეზე სამოქალაქო სარჩელი არ არის განცხადებული;

6. ნივთიერი მტკიცებულება — გ. ა. ლომინაძის დასაკეცი დანა — ერთეის საქმეს, შეფუთული ცისფერ მკვრივ ქაღალდში, და დალუქულია პროკურატურის № 4 ბეჭდით;

7. გ. ა. ლომინაძის პასპორტი IV.—ТИ № 176375, გაცემული ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების მერ 1983 წლის 20 ნოემბერს, ერთეის საქმეს (ს. ფ. 7).

8. სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დამთავრდა 1987 წლის 1 ივნისს.

ქ. ბათუმის პროკურატურის
უფროსი გამომძიებელი,
III კლასის იუროსტი ნ. კობალაძე

განყოფილება II

საპროკურორო ზედამხედველობის აქტები

თავი I

პროკურორის საერთო ზედამხედველობა

ქ. თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორს
ამხ. ვ. მაღალაშვილს

პროტესტი

საერთო ზედამხედველობის წესით

თქვენი 1987 წლის 9 თებერვლის № 18 (§ 5) ბრძანებაზე საწარმოო აუცილებლობის მოტივით ზ. დ. აბრამიანის, ე. ე. ხობეჟოვის და ე. ი. უსანეთაშვილის სამუშაოდ სხვა საამქროში გადაყვანის შესახებ

თქვენი 1987 წლის 9 თებერვლის № 18 (§5) ბრძანებით საკონტეინერო საამქროს მუშები — ზ. დ. აბრამიანი, ე. ე. ხობეჟოვი და ე. ი. უსანეთაშვილი გადაყვანილ იქნენ სამუშაოდ სხვა საამქროში საწარმოო აუცილებლობის მოტივით.

აღნიშნული ბრძანება არ შეიძლება ძალაში დარჩეს და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 27-ე მუხლით, საწარმოო აუცილებლობის გამო საწარმოს ადმინისტრაციას უფლება აქვს ერთ თვემდე ვადით გადაიყვანოს მუშები და მოსამსახურეები შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე, კანონით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას (სტიქიური უბედურება, საწარმოო ავარიის თავიდან აცილება, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან აცილება, სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშის შეცვლა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევა).

თქვენს ბრძანებაში მუშების — ზ. დ. აბრამიანის, ე. ე. ხობეჟოვისა და ე. ი. უსანეთაშვილის საწარმოო აუცილებლობის მოტივით სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ არ არის აღნიშნული გადაყვანის კანონით დადგენილი ვადა და ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა, რომლის დროსაც ადმინისტრაციას უფლება აქვს მოახდინოს მუშის (მოსამსახურის) გადაყვანა ერთ თვემდე ვადით.

აღნიშნულის გამო ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (მუხლი 25-ე).

გთხოვთ:

1. გააუქმოთ თქვენი 1987 წლის 9 თებერვლის № 18 § 5 ბრძანება ზ. დ. აბრამიანის, ე. ე. ხობეჟოვის, ე. ი. უსანეთაშვილის სამუშაოდ სხვა საამქროში გადაყვანის შესახებ საწარმოო აუცილებლობის მოტივით, როგორც კანონსაწინააღმდეგო და დააბრუნოთ დასახელებული მუშები თავიანთ სამუშაოზე;

2. პროტესტი განიხილეთ დადგენილი ათი დღის ვადაში და შედეგები მაცნობოთ.

ქ. თბილისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი: ბ. კონცელიძე

20 თებერვალი, 1987 წ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. ვ. დ. ქიქოძეს

წარდგინება

საერთო ზედამხედველობის წესით

„მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და სარჩივრების განხილვის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების (1980 წლის 4 მარტის რედაქცია) შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ პროკურატურამ საერთო ზედამხედველობის წესით ა/წ 15 ივლისიდან 20 ივლისამდე შეამოწმა, თუ როგორ სრულდება მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებე-

ბისა და საჩივრების განხილვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატში.

შემოწმება შეეხო 1987 წლის ექვს თვეს (იანვარ-ივნისი).

შემოწმებამ დამარწმუნა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა მუშაობა მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში, მათი დიდი ნაწილი განხილული და გადაწყვეტილია კანონით დადგენილ ვადებში.

შემოწმებამ გვიჩვენა აგრეთვე, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცალკეულ სამმართველოებსა და განყოფილებებში ჯერ კიდევ ირღვევა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესები. განსაკუთრებით უხეშადაა დარღვეული ბრძანებულების მე-9 მუხლით დადგენილი ერთთვიანი ვადა. სამინისტროში 1987 წლის ექვს თვეში ერთთვიანი ვადის დარღვევითაა გადაწყვეტილი მოქალაქეთა 60 განცხადება და საჩივარი; მაგალითად, სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლების შესახებ 1987 წლის 17 და 19 იანვარს სამინისტროში შემოვიდა მოქ. ს. ი. თედეევის საჩივარი, რომლის განხილვა-გადაწყვეტა გაჭიანურდა ორნახევარ თვეს, ხოლო მომჩივანს საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობა 22 აპრილს.

კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადების დარღვევითაა განხილული და გადაწყვეტილი აგრეთვე მოქალაქეების — ა. ი. პილიევას, ვ. ა. გალუსტიანის, ი. ნ. კახიანის, ა. ვ. ბაკურაძის, ზ. ნ. ბიტვარდის (განათლების სამინისტრო), ნ. კ. გაბუნიას, ს. ო. კელენჯერიძის (თბილისის განათლების საქალაქო განყოფილება) და სხვების განცხადებები და საჩივრები.

ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა კანონის მოთხოვნა, კუთვნილებისამებრ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების ხუთდღიან ვადაში გაგზავნის შესახებ. 1987 წლის 8 იანვარს სამინისტროში შემოსული მოქ. მ. ზ. მამედოვის მამხილებელი განცხადების გაგზავნას რუსთავის განათლების საქალაქო განყოფილებაში დასჭირდა 15 დღე, ხოლო ამის შესახებ განმცხადებელს ეცნობა სამი თვის დაგვიანებით.

დასახელებული მაგალითები მოწმობს, რომ სამინისტროს ცალკეული სამმართველოებისა და განყოფილებების, თბილი-

სის განათლების საქალაქო, აგრეთვე ზოგიერთი რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელები არ ასრულებენ კანონის მოთხოვნას, რაც მათ აკისრებს პირად პასუხისმგებლობას მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების მიღებისა და კანონით დადგენილ ვადებში მათი განხილვის თაობაზე.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაშიც. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მშრომელთა მიღების დაწესებული დღეებისა და საათების დარღვევის, ხოლო ზოგჯერ მიღების ჩაშლის ფაქტები; მაგალითად, მოქალაქეთა მიღება ჩაიშალა თბილისის განათლების საქალაქო განყოფილების გამგე ამხ. ო. ნ. ერაძესთან მიმდინარე წლის 12 მარტს, ხოლო 16 მარტს მიღება დაიწყო 17 საათსა და 35 წუთზე, ნაცვლად წინასწარ დადგენილი 15 საათისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაევალოს სამინისტროს დარგობრივი სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს, განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, გადამჭრელი ზომები მიიღონ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესრულებისათვის;

2. უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვა, შემოწმება და კანონით დადგენილ ვადებში გადაწყვეტა; ზუსტად იქნას დაცული დაქვემდებარებულ დაწესებულებებში განცხადებებისა და საჩივრების გაგზავნის კანონით დადგენილი ხუთდღიანი ვადა; დაწესდეს მკაცრი კონტროლი მათი განხილვა-გადაწყვეტის კანონიერებაზე;

3. მკაცრად იქნას დაცული მოქალაქეთა მიღების დადგენილი წესები, არ დაუშვან დადგენილი მიღების დღეებისა და საათების დარღვევის ფაქტები;

4. პერიოდულად შემოწმდეს და ღრმა ანალიზი გაუკეთდეს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის გაჭიანურების გამომწვევ მიზეზებს, ხოლო მათი აღმოსაფხვრელად განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები.

აღნიშნულის გამო, ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ (მუხლი 26-ე);

გ თ ხ ო ვ თ:

1. წარდგინება განიხილოთ სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე და მიიღოთ სათანადო გადაწყვეტილება მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

2. წარდგინება განიხილოთ დადგენილ ერთთვიან ვადაში და განხილვის შედეგები მაცნობეთ.

საქართველოს სსრ პროკურორი,
იუსტიციის II კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

25 იელისი 1987 წელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს ამხ. ვ. დ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე ს

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს სსრ პროკურატურამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეამოწმა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების შესრულების მდგომარეობა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სისტემაში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნო სისტემაში უხეშად ირღვევა კანონები სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ, რაზეც რესპუბლიკის პროკურორის მიერ შეტანილია სათანადო წარდგინება საზღვაო სანაოსნოს უფროსის სახელზე.

შემოწმებით დადგინდა, რომ საზღვაო სანაოსნოს ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში, რომელიც წარმოადგენს ძირითად საზღვაო-სატრანსპორტო კვანძს რესპუბლიკაში, წლების მანძილზე უხეშად ირღვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ტვირთების შენახვის, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების კანონით დადგენილი წესები და პირობები, რის შედეგადაც დიდია სახელმწიფოზე მიყენებული ზარალი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საექსპორტო და იმპორტული საქონლის ტვირთბრუნვა მნიშვნე-

ლოენად გაიზარდა, სათანადო ზომები არ არის გატარებული სასაწყობო მეურნეობათა ტვირთტევადობის გაზრდისა და სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისათვის.

მიმდინარე წლის 29 მარტს ნავსადგურის საწყობებში შესანახად მიღებული იყო 7170 ტონა საექსპორტო ბამბა, რაც ერთდროული შენახვის დადგენილ ნორმას 3170 ტონით აღემატება.

ნავსადგურში ბამბის შენახვის ანალოგიურ დარღვევას სისტემატური ხასიათი აქვს, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მისი ხარისხის გაუარესებისა და გაფუჭებისათვის. ამასთან, დადგენილი ნორმის ზევით ბამბის შენახვა, თანაც დაშლილი სახით, როგორც ამას ადგილი აქვს ნავსადგურში, სპეციალისტების აზრით, ქმნის ხანძრის გაჩენის მომეტებულ საშიშროებას და დიდ საფრთხეს უქმნის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საექსპორტო და იმპორტული ტვირთების დაცვას.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ 1987 წლის იანვარ-თებერვალში საექსპორტო ბამბის შენახვის წესების დარღვევის ფაქტებზე საქონლის ხარისხის ადგილობრივი სახელმწიფო ინსპექტორის მიერ შედგენილია რამდენიმე აქტი, მაგრამ ისინი ნავსადგურის ხელმძღვანელობისა და კომერციული განყოფილების მიერ სათანადო რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული. 1987 წლის 27 თებერვალს ნავსადგურის № 7 საწყობში, სადაც სახელმწიფო ინსპექციის დასკვნით, უხეშად იყო დარღვეული ბამბის შენახვის წესები, გაჩნდა ხანძარი. ხანძრის შედეგად განადგურდა 281 113 მანეთის საექსპორტო ბამბა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1987 წლის 16 მარტის № 4/99 გადაწყვეტილებით, ამ თანხის გადახდა საკავშირო გაერთიანება „ექსპორტვაჭრობის" სასარგებლოდ დაეკისრა ფოთის საზღვაო-საავაჭრო ნავსადგურს, რომელმაც ვერ უზრუნველყო საექსპორტო საქონლის სათანადო შენახვა.

საყურადღებოა, რომ ხანძრის გაჩენის მომენტში ნავსადგურის საწყობში შენახული იყო 5034 ტონა საექსპორტო ბამბა (მათ შორის 405 ტონა ინახებოდა დაშლილი სახით), ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 4000 ტონისა.

საგულისხმოა, რომ ნავსადგურის ხელმძღვანელობის მიერ

მრავალჯერ დაისვა საკითხი სასაწყობო მეურნეობათა გაუმჯობესების შესახებ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია.

ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში ტვირთების დროულად გადამუშავებას დიდად უშლის ხელს რკინიგზის ტრანსპორტის მოუქნელი მუშაობა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილება სისტემატურად შლის ნავსადგურისათვის ვაგონების მიწოდების გეგმებს, რის შედეგადაც არ არის უზრუნველყოფილი ტვირთის დროული გადატანა. 1986 წელს გეგმური ვაგონების მიუწოდებლობაზე მას ნავსადგურის სასარგებლოდ გადახდილი აქვს 29 745 მანეთი, ხოლო 1987 წლის ექვს თვეში — 11 810 მანეთი.

ვაგონების დროულად მიუწოდებლობა ხელს უწყობს ნავსადგურში ტვირთების დიდი რაოდენობით დაგროვებას, საწყობების გადატვირთვას, საქონლის ხარისხის დაქვეითებას.

ზემოაღნიშნულს გაცნობებთ ინფორმაციის წესით სათანადო რეაგირებისათვის.

საქართველოს სსრ პროკურორი,
იუსტიციის II კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. კოტრიკაძე

3 ივლისი, 1987 წ.

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ

(საერთო ზედამხედველობის წესით)

ქ. თბილისი 22 მარტი, 1987 წ.

ქ. თბილისის პირველი მაისი სახელობის რაიონის პროკურორმა, პირველი კლასის იურისტმა თ. ვ. ქედიძემ განვიხილე საერთო ზედამხედველობის წესით შეკრებილი მასალები რაიონში უშიშროების ტექნიკის შრომის დაცვის წესების დარღვევასთან დაკავშირებით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 21 მარტს ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სამმართველოს ტრესტის „საქსანტექმონტაჟის" სანტექნიკურ ნაკეთობათა ცენტრალურ სახელოსნოში უშიშროების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დანაშაულებრივი დარღვევის შედეგად სახარატო დაზგაზე სხეულის დაზიანება მიიღო ფირუზ ალექსანდრეს ძე გულისაშვილმა.

მივიღე მხედველობაში, რომ შეკრებილ მასალებში არის საკმაო მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებზე, რომ, საქართველოს სსრ სსსკ 126-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიება ამ დანაშაულთა საქმეებზე სავალდებულოა, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 108-ე, 112-ე მუხლების მოთხოვნით, აგრეთვე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (მუხლი 27-ე),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. უშიშროების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევის გამო, ფირუზ ალექსანდრეს ძე გულისაშვილის სხეულის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის მეორე ნაწილით;

2. საქმეზე გამოძიების ჩატარება დაევალოს ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის პროკურატურის გამომძიებელს, III კლასის იურისტს — ვ. გ. კემულარიას.

ქ. თბილისის პირველი მაისის
სახელობის რაიონის პროკურორი,
პირველი კლასის იურისტი თ. ქ ე დ ი ძ ე

დადგენილება

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ

ქ. თბილისი 17 აგვისტო, 1987 წ.

საქართველოს სსრ პროკურორმა, იუსტიციის II კლასის სახელმწიფო მრჩეველმა ვ. ნ. კოტრიკაძემ განვიხილე სამთოქიმიური მრეწველობის სრულიად საკავშირო გაერთიანების საწარმოო ტრესტის „საქსამთოქიმმრეწვის" სისტემაში საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმებული სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონების შესრულების მასალები,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

საქართველოს სსრ პროკურატურის 1987 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმის შესაბამისად, საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმებულ იქნა ტრესტ „საქსამთოქიმმრეწვის" სისტემაში სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონების შესრულების საკითხი.

შემოწმებით დადგინდა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მოვლა-პატრონობის კანონების უხეში დარღვევის ფაქტები, რის შესახებაც ა/წლის 10 აგვისტოს შეტანილ იქნა „საქსამთოქიმმრეწვის" მმართველის სახელზე წარდგინება საერთო ზედამხედველობის წესით იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის მიზნით, რამაც ხელი შეუწყო და განაპირობა სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონების შესრულების უხეში დარღვევა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნულ სისტემაში ადგილი აქვს გაფლანგვა-მტაცებლობის ფაქტებს, რის გამოც ა/წლის 7 აგვისტოს დადგენილებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

ამავე დროს დადგინდა, რომ აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი; კერძოდ, მაღაროთა სამმართველო აწარმოებს სალაროს ორ წიგნს, სალაროს დღიურები დგება რამდენიმე დღის შემოსავალ-გასავალზე, რაც არასწორია და წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 აგვისტოს № 552 დადგენილე-

ბით დამტკიცებული საკასო ოპერაციების შესახებ დებულების 23-ე და 24-ე მუხლების უხეშ დარღვევას. აღრიცხვიანობის ასეთი გამარტივებული და კანონსაწინააღმდეგო წესი შემოღებულ იქნა მაღაროთა სამმართველოს მთავარი ბუღალტრის — ვ. დ. ცაბაძის მიერ, რისთვისაც იგი უნდა დაისაჯოს დისციპლინური წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (მუხლი 27-ე),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. „საქსამთოქიმმრეწვის" მაღაროთა სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ვალერიან დავითის ძე ცაბაძე აღრიცხვაანგარიშგების საკითხში უხეშ დარღვევათა გამო მიცემულ იქნას დისციპლინურ პასუხისგებაში:

2. დადგენილება საკითხის განხილვისა და დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაეგზავნოს „საქსამთოქიმმრეწვის" ტრესტის მმართველს — ამხ. ნ. დ. ცანავას;

3. აღნიშნული დადგენილება განიხილეთ ათი დღის ვადაში და შედეგები მაცნობეთ.

საქართველოს სსრ პროკურორი,
იუსტიციის II კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. ქ ო ტ რ ი კ ა ძ ე

თავი II

პროკურორის ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებისადმი

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ

ქ. გორი 30 ივლისი, 1987 წ.

გორის რაიონის პროკურორმა, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ნ. დ. ზედგენიძემ განიხილე № 147 სისხლის სამართლის საქმე, აღძრული ოთარ ზაქარიას ძე ელისაბედაშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გამოვარკვიე:

1987 წლის 1 ივლისს გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე № 147, გორის რაიონის სოფ. ბროწალეთში მცხოვრებ კონსტანტინე პეტრეს ძე კიკალეიშვილის კუთვნილი ხბოს ქურდობის ფაქტზე. ამ საქმეზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება აწარმოვა გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა, მილიციის ლეიტენანტმა ვ. ე. ნანიკაშვილმა. ა/წლის 15 ივლისის დადგენილებით, ხბოს ქურდობისათვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ოთარ ზაქარიას ძე ელისაბედაშვილი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბრალდებულის სახით დაკითხულმა ო. ელისაბედაშვილმა

უარი განაცხადა დანაშაულის ჩადენაზე და განმარტა. რომ ხბოს მოპარვის სავარაუდო დროს იგი იმყოფებოდა გორში, თავის ძმასთან — ნოდარ ზაქარიას ძე ელისაბედაშვილთან (ორჯონიკიძის ქ. № 21, იხ. ს. ფ. 17).

გამოძიების დროს ჩატარებულ იქნა ამოცნობა. დაზარალებულმა, აგრეთვე მოწმემ — ვიქტორ ნოდარის ძე პაატაშვილმა ვერ ამოიცნეს ბრალდებული (იხ. ს. ფ. 23—24; 25—27). ბრალდებულის ძმის — ნ. ზ. ელისაბედაშვილის დაკითხვის დროს (იხ. ს. ფ. 29—31), ბრალდებულისა და მისი ძმის დაპირისპირების შედეგად დადასტურდა, რომ ხბოს დაკარგვის დროს ო. ზ. ელისაბედაშვილი იმყოფებოდა თავის ძმასთან (იხ. ს. ფ. 35—37).

გამოძიების პროცესში ვერ იქნა დადასტურებული ო. ზ. ელისაბედაშვილის მიერ ხბოს ქურდობის ფაქტი ან მისი მონაწილეობა ქურდობის ჩადენაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ მე-5 მუხლის მეორე პუნქტით, 116-ე მუხლის მოთხოვნით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (29-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1. გაუქმდეს გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებლის, მილიციის ლეიტენანტის ვ. ე. ნანიკაშვილის 1987 წლის 1 ივლისის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ ხბოს ქურდობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით;

2. საქართველოს სსრ სსსკ 116-ე მუხლის საფუძველზე ოთარ ზაქარიას ძე ელისაბედაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს მის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო;

3. დადგენილება გამოეცხადოს ო. ზ. ელისაბედაშვილს.

გორის რაიონის პროკურორი,
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ნ. ზ ე დ გ ე ნ ი ძ ე

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმებისა და მასალების დამატებითი შემოწმების შესახებ

ქ. თბილისი 17 ნოემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორმა, იუსტიციის მრჩეველმა ვ. ნ. კაკაურიძემ განვიხილე სისხლის სამართლის საქმის მასალები და დადგენილება ნ. თ. კვიცარიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ სპეკულაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გამოვარკვიე:

1987 წლის 12 ნოემბერს ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა კ. ფ. ფეიქრიშვილმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე სპეკულაციის ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბს წარმოადგენდა მოქალაქე ვალერიან სანდროს ძე ქიქოძის განცხადება (მცხოვრები ქ. თბილისში, ოქტომბრის ქ. № 93, ბინა 9) იმის შესახებ, რომ მისი მეზობელი ნატალია თედორეს ასული კვიცარიძე (მცხოვრები ქ. თბილისში, ოქტომბრის ქ. № 91, ბინა 12) არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას და სპეკულაციურ ფასებში ყიდის ქალის ფეხსაცმელებს.

დანაშაულის შესახებ მიღებული განცხადება არ შემოწმებულა სრულყოფილად. საქმეზე ახსნა-განმარტება არ ჩამოერთვა ნ. თ. კვიცარიძის მეზობლებს. თვით ნ. კვიცარიძის ახსნა-განმარტებიდან ჩანს, რომ იგი მსახურობს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში დამლაგებლად. გამომძიებელმა არ გამოითხოვა კვიცარიძის სამსახურის შესახებ ცნობა. ნ. კვიცარიძისაგან ახსნა-განმარტების მიღების დროს დადგენილ იქნა, რომ მან მართლაც გაყიდა ქალის ფეხსაცმელი 50 მანეთად, მაგრამ გარკვეული არ იქნა ნ. კვიცარიძემ ფეხსაცმელი შეის-

ყიდა და შემდგომ გადაყიდა გამორჩენის თუ სხვა მიზნით. აღ-
ნიშნული ფაქტების გარკვევა და დადგენა საშუალებას მის-
ცემს გამომძიებელს, გადაწყვიტოს საკითხი, მოიპოვება თუ
არა ნ. კვიცარიძის ქმედობაში დანაშაულის ნიშნები, გათვა-
ლისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-
დექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მივიღე მხედველობაში, რომ სისხლის სამართლის საქმე
სპეკულაციის ფაქტზე აღძრულია დაუსაბუთებლად და ნაად-
რევად, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 116-ე მუხ-
ლის მოთხოვნით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის
შესახებ" (29-ე მუხლის მე-2 პუნქტი),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გაუქმდეს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილე-
ბის ა/წლის 12 ნოემბრის დადგენილება ნ. თ. კვიცარიძის მი-
მართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ სპეკულა-
ციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს
სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი
ნაწილით;

2. მასალები ნატალია თედორეს ასული კვიცარიძის მი-
მართ დაუბრუნდეს გამომძიებელ კ. ვ. ფეიქრიშვილს დამა-
ტებითი შემოწმების მიზნით;

3. დადგენილება გამოეცხადოს ნ. თ. კვიცარიძეს.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის
რაიონის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ვ. კაკაბაძე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმებისა და საქმის აღძვრის შესახებ

ქ. თბილისი 8 დეკემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორმა,
იუსტიციის მრჩეველმა ს. ნ. მალაზონიამ განვიხილე მოქალა-
ქე კლავდია ანტონის ასული რიაშენცევას სხეულის დაზია-

ნებ-ს ფაქტზე არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალები და სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის 1987 წ. 3 დეკემბრის დადგენილება,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 30 ნოემბერს 13 საათსა და 30 წუთზე თემქის დასახლების IX კვარტლის მე-12 კორპუსის წინ, სადაც გზის საავალი ნაწილი 3,6 მეტრია, მოძრაობდა ავტომანქანა გაზ-2101, ს-№ 38—83 გა, რომელსაც მართავდა მანქანის მფლობელი, ავტომოყვარული თენგიზ შალვას ძე ხუბულური.

მასალებიდან ირკვევა, რომ გაზონიდან მოულოდნელად გადმოვიდა პ. ა. რიაშენცევა და ქუჩაზე გადასვლისას მას დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მართავდა თ. ხუბულური. დაჯახების შედეგად რიაშენცევამ მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

მასალების შემოწმების შედეგად ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვ. დ. დიდიძემ ა/წლის 3 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული დადგენილება უნდა გაუქმდეს, როგორც დაუსაბუთებელი და არსებული მასალების მიხედვით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე შემდეგ გარემოებათა გამო:

ავტოსაგზაო შემთხვევის მასალები არასრულყოფილადაა შესწავლილი. გარკვეული არაა, თუ რა ადგილზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. გამომძიებელმა დაზარალებულ რიაშენცევას თანდასწრებით არ დაათვალიერა შემთხვევის ადგილი. ისიც კი არ არის გარკვეული, თუ გაზონის რომელი მხრიდან გადმოდიოდა დაზარალებული. რიაშენცევას ახსნა-განმარტება მომხდარი საგზაო შემთხვევის შესახებ არასრულყოფილია; არ არის გარკვეული დაზარალებული გადასასვლელზე გადადიოდა, თუ იმ ადგილას, სადაც გადასვლა არ შეიძლებოდა; როგორი სისწრაფით გადიოდა დაზარალებული გზის საავალ ნაწილს, რა სისწრაფით მოძრაობდა ავტომანქანა. არასრულყოფილია აგრეთვე მძღოლის — თ. ხუბულურის ახსნა-განმარტება. ნაცვლად იმისა, რომ გამომძიებელს საფუძ-

ელიანად გაერკვია ყველა აღნიშნული საკითხი და შემთხვევის ადგილის ვითარება, მან დაუსაბუთებლად გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. საქმის მასალებში კი არსებობს საკმაო მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნებზე, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით. ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 116-ე მუხლის მოთხოვნით და კანონით, „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (29-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გაუქმდეს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებლის, მილიციის უფროსი ლეიტენანტის — ვ. დ. დიდიძის ა/წლის 3 დეკემბრის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოქ. კ. ა. რიაშენცევას სხეულის დაზიანების ფაქტზე;

2. მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილით;

3. მოცემული სისხლის სამართლის საქმე გამოძიების ჩასატარებლად გადაეგზავნოს ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსს;

4. აღნიშნული დადგენილება გაეცნოს მოქ. კლავდია ანტონის ასულ რიაშენცევას.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი ს. მ ა ღ ა ზ ო ნ ი ა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

გამომძიებლის აცილების შესახებ

ქ. ქუთაისი 13 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის პროკურორმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ნ. ვ. ბახტაძემ № 276 სისხლის სამართლის საქმეზე განვიხილე ბრალდებულ ვიქტორ პეტრეს ძე კვიცარიძის სა-

ჩივარი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

ბრალდებულმა ვ. პ. კვიცარიძემ ა/წლის 9 სექტემბერს 23 საათსა და 30 წუთზე, მის ბინაში (ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქ. № 157) ფიზიკური ძალადობის გამოყენებით გააუპატიურა დაზარალებული ნათელა ივანეს ასული ცაბაძე. აღნიშნული საქმის წინასწარი გამოძიება დაევალა ქ. ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელს, მესამე კლასის იურისტს — ვ. ნ. ცალანს.

ბრალდებული ვ. პ. კვიცარიძე თავის ა/წლის 12 სექტემბრის საჩივარში აღნიშნავს, რომ გამომძიებელი ვ. ნ. ცალანი არის დაზარალებულის ნათესავი (დედის ძმისშვილი), რის გამოც მას უფლება არა აქვს ჩაატაროს მოცემულ საქმეზე წინასწარი გამოძიება.

შემოწმებით და თვით გამომძიებლის ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ გამომძიებელი ვ. ნ. ცალანი მართლაც არის დაზარალებულის — ნ. ი. ცაბაძის ნათესავი (დედის ძმისშვილი), რის გამოც, საქართველოს სსრ სსსკ 57-ე მუხლის თანახმად, იგი უნდა იქნას აცილებული.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 57-ე, 220-ე მუხლის მოთხოვნით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (29-ე მუხლის მე-9 პუნქტი),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ქ. ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელი, მესამე კლასის იურისტი ვ. ნ. ცალანი აცილებულ იქნას № 276 სისხლის სამართლის საქმის გამოძიებიდან;

2. № 276 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება დაევალოს ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროს გამომძიებელს, მეორე კლასის იურისტს — პ. ვ. შვანგირაძეს;

3. დადგენილება გამოეცხადოს ბრალდებულ ვ. პ. კვიცარიძეს.

ქ. ქუთაისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი ნ. ბ ა ხ ტ ა ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 14 სექტემბერს ქ. ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორში.

ბრალდებული ვ. კვიცარიძე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

შინაგან საქმეთა საგამოძიებო ორგანოსათვის საქმის ჩამორთმევისა და პროკურატურის გამომძიებლისადმი დაქვემდებარების შესახებ

ქ. ზესტაფონი 22 ნოემბერი, 1987 წ.

ზესტაფონის რაიონის პროკურორმა, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ა. ო. არაბიძემ განვიხილე № 117 სისხლის სამართლის საქმის მასალები ოთარ ვლადიმერის ძე კვიცარიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 30 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების რიგითმა მილიციონერმა ო. ვ. კვიცარიძემ ქორწილში ყოფნის დროს ჩაიდინა ხულიგნობა. აღნიშნული დანაშაულის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ა/წლის 2 ნოემბერს და გამოძიება დაევალა ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელს, მილიციის ლეიტენანტს — ს. ნ. ვარდოსანიძეს.

დაზარალებული ვ. ა. კვარაცხელიას ა/წ 19 ნოემბრის საჩივრისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გამომძიებელი ს. ვარდოსანიძე გამოძიებას ატარებს ცალმხრივად და არაობიექტურად. საქმეზე აგროვებს მხოლოდ გამამართლებელ მტკიცებულებებს; მოწმეებსა და დაზარალებულებს აიძულებს, რათა მათ მისცენ ისეთი ჩვენებები, რომლებიც ბრალდებულს გაამართლებს; ამასთან, ამავე განყოფილების საგამოძიებო ჯგუფის უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი

ნ. ვ. ანთაძე ვერ უზრუნველყოფს საქმეზე სათანადო კონტროლს.

აღნიშნულის გამო მიმაჩნია, რომ საქმის ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების მიზნით იგი ჩამოერთვას ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა საგამოძიებო ორგანოს და დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონის პროკურატურას.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 211-ე მუხლის მე-9 პუნქტით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (29-ე მუხლის მე-9 პუნქტი),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. სისხლის სამართლის საქმე № 217, აღძრული ოთარ ვლადიმერის ძე კვიცარიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით, ჩამოერთვას ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ორგანოს და გამოძიების ყოველმხრივი, სრულყოფილი, ობიექტური ჩატარების მიზნით დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონის პროკურატურას;

2. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაევალოს ზესტაფონის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს, III კლასის იურისტს — ს. პ. დოლაკიძეს;

3. დადგენილება გამოეცხადოს ბრალდებულსა და დაზარალებულს.

ზესტაფონის რაიონის პროკურორი,
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ა რ ა ბ ი ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 22 ნოემბერს.

ბრალდებული ო. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე

დადგენილება გამომეცხადა 1987 წლის 23 ნოემბერს.

დაზარალებული ვ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ

ქ. რუსთავი 8 აპრილი, 1987 წ.

ქ. რუსთავის პროკურორმა, იუსტიციის მრჩეველმა ა. ვ. თევდორაძემ განვიხილე № 236 სისხლის სამართლის საქმე გივი მელიტონის ძე ჭანტურიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

სისხლის სამართლის საქმეზე გ. მ. ჭანტურიას მიმართ გამოძიება დაამთავრა ქ. რუსთავის პროკურორმა და იგი ა/წლის 1 აპრილს, ქვემდებარეობისამებრ, გადაუგზავნა ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს.

გ. მ. ჭანტურია ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა პასუხისგებაში 1987 წლის 7 იანვარს და წარედგინა ბრალდება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. აღკვეთის ღონისძიების სახით გ. მ. ჭანტურიას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა 1987 წლის 8 იანვარს.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ აღნიშნული საქმე დაუბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად ა/წლის 7 აპრილს.

მივიღე მხედველობაში ის გარემოება, რომ გ. მ. ჭანტურიას მიმართ სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ამოიწურა, სახალხო სასამართლოს მითითების შესასრულებლად კი საჭიროა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება (დამატებითი მოწმეების დაკითხვა, განმეორებითი სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნა), რაც თავისი მოცულობით და სირთულით მოითხოვს გარკვეულ დროს და, რომ გ. მ. ჭანტურიას თავისუფლებაში ყოფნა ხელს არ შეუშლის წინასწარი გამოძიების სრულყოფილად, ყოველმხრივ და ობი-

ექტურად ჩატარებას, — მიზანშეწონილად მიმაჩნია მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლა.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 94-ე მუხლით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ბრალდებულ გივი მელიტონის ძე ჭანტურიას, დაბადებულს 1933 წელს ქ. ფოთში, უპარტიოს, უმაღლესი განათლების მქონეს, დაპატიმრებამდე მცხოვრებს ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 15, ბინა 8, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით, აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა შეეცვალოს გაუსელელობის ხელწერილით;

2. დადგენილება გადაეგზავნოს ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის უფროსს გივი მელიტონის ძე ჭანტურიას დაუყოვნებლივ განთავისუფლების მიზნით;

3. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი გამოძიების ჩატარება დაევალოს ქ. რუსთავის პროკურატურის გამომძიებელს, III კლასის იურისტს — ვ. ნ. პერტენავას.

ქ. რუსთავის პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი თ ე ე დ ო რ ა ძ ე

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სისხლის სამართლის საქმის შეჩერების დადგენილების გაუქმებისა და საქმის წარმოებით განახლების შესახებ

ქ. ქუთაისი 30 ოქტომბერი, 1987 წ.

ქ. ქუთაისის პროკურორმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ნ. ვ. ბახტაძემ განიხილე № 376 სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეჩერების დადგენილება და საქმის მასალები გრიგოლ მიხეილის ძე ჭუმბურიძის ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე და 238-ე მუხლის პირველი ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

გ. მ. ჭუმბურიძე უკანონოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს. 1987 წლის 26 აგვისტოს 21 საათზე ქუთაისის სასადილოების ტრესტის რესტორან „სათაფლიას" ეზოში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე გ. ჭუმბურიძემ სამჯერ ესროლა მოქ. ოთარ თედორეს ძე პატარაიას, რის შედეგად მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. ჭუმბურიძე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და თავს არიდებს გამოძიებას.

ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებლის, II კლასის იურისტის ვ. ნ. ბურდულაძის მიერ ჭუმბურიძის ქმედობა დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე მუხლებით და 238-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ა/წლის 26 ოქტომბერს საქმე წარმოებით იქნა შეჩერებული იმ მოტივით, რომ ჭუმბურიძე იმალება და მისი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა. დადგენილება სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ უნდა გაუქმდეს და საქმეზე წარმოება განახლდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გამომძიებლის მიერ დაკითხული არ არიან შემთხვევის ადგილზე მყოფი მოწმეები, რომლებიც დაზარალებულ ო. თ. პატარაიასთან ქეიფობდნენ, სახელდობრ: კუკური პეტრეს ძე გიორგაძე, გივი ივანეს ძე ვირსალაძე, ხუტა თედორეს ძე ''ბვანგირაძე, ნოდარ დავითის ძე კოღუაშვილი, სულიკო ბონდოს ძე პაპაშვილი და დურმიშხან ვალერიანის ძე კოტრიკაძე. დაკითხული არ არის აგრეთვე პირი, ვინაც დაზარალებული საავადმყოფოში მანქანით მიიყვანა. დაზარალებულ ო. თ. პატარაიას ჩვენებით მას და ჭუმბურიძეს შორის მოხდა შელაპარაკება, ჭუმბურიძე მისკენ მიიწევდა. ხოლო მას კი აკავებდნენ (იხ. ს. ფ. 49—51). გამოძიების დროს არ არის დადგენილი, ვინ აკავებდა ჭუმბურიძესა და ო. პატარაიას, როგორ და რა ნიადაგზე დაიწყო მათ შორის შელაპარაკება და ჩხუბი.

მოწმე ჯ. ს. ყიფიანის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ადგილი ჰქონდა ორმხრივ გინებას (იხ. ს. ფ. 35—37). ხოლო დაზარალებული უჩვენებს, რომ მას ჭუმბურიძისთვის არ შეუგინებია (იხ. ს. ფ. 27—29).

დადგენილებაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შე-

სახებ აღნიშნულია, რომ ჭუმბურიძემ ორჯერ ესროლა დაზარალებულს (იხ. ს. ფ. 12—13), საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ სამჯერ მოხდა გასროლა (იხ. ს. ფ. 21—23).

ნაადრევია გამომძიებლის მიერ ჭუმბურიძის ქმედობის მკვლელობის მცდელობით დაკვალიფიცირება, ვინაიდან ამჟამად შეგროვილი საქმის მასალებიდან ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს. ჭუმბურიძემ დაზარალებულს ესროლა ახლო მანძილიდან და როდესაც დაზარალებული ფეხში დაიჭრა, ჭუმბურიძემ მწოლიარეს მეორე ფეხშიც ესროლა და მიაყენა დაზიანება (იხ. ს. ფ. 17—21). გამოძიებით უნდა დადგინდეს, ჭუმბურიძეს პატარაიას მოკვლა ჰქონდა განზრახული, თუ სხეულის დაზიანება, რის შემდეგ გადაწყდეს ჭუმბურიძის ქმედობის კვალიფიკაციის საკითხი, აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 199-ე მუხლით, 211-ე მუხლის მე-2 პუნქტით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (29-ე მუხლის მე-2 პუნქტი),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. გაუქმდეს ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროსი გამომძიებლის, II კლასის იურისტის — ვ. ნ. ბურდულაძის 1987 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება გ. მ. ჭუმბურიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ და საქმეზე წარმოება განახლდეს საჭირო საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების მიზნით.

2. აღნიშნული საქმის გამოძიება დაეკვალოს ქ. ქუთაისის პროკურატურის უფროს გამომძიებელს, პირველი კლასის იურისტს ს. ნ. კვინტრაძეს.

ქ. ქუთაისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი ნ. ბ ა ს ტ ა ძ ე

დადგენილება

სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი გამოძიების ჩატარებისა და გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ[1]

ქ. ბათუმი 9 ნოემბერი, 1987 წ.

აჭარის ასსრ პროკურორმა, იუსტიციის III კლასის სახელმწიფო მრჩეველმა ვ. ნ. ანცაბაძემ განიხილე № 127 სისხლის სამართლის საქმის მასალები და საბრალდებო დასკვნა ზაურ ბაგრატის ძე ქავთარაძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

1987 წლის 9 სექტემბერს ხელვაჩაურის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ვალერიან ვასილის ძე დევიძის სიკვდილის ფაქტზე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

1987 წლის 10 სექტემბერს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაეკალა აჭარის ასსრ პროკურატურის უფროს გამომძიებელს, I კლასის იურისტს — ნ. ს. დიასამიძეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ 1987 წლის 1 სექტემბერს ზ. ბ. ქავთარაძე, ვ. ვ. დევიძე, თ. ა. კვიცარიძე, ვ. ა. დეკანოზაშვილი ბათუმიდან სანადიროდ გაემგზავრნენ ხელვაჩაურის რაიონში. კვიცარიძემ და დეკანოზაშვილმა მიიყვანეს დევიძე და ქავთარაძე იმ ადგილას, სადაც მათ უნდა ენადირათ, თვითონ პროდუქტების საყიდლად წავიდნენ რაიონის ცენტრში — ხელვაჩაურში (იხ. ს. ფ. 23—25, 26—28).

---

[1] იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმე უბრუნდება გამომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად და საქმეზე უკვე მთავრდება წინასწარი გამოძიების ვადა, პროკურორს (იხ. საქ. სსრ სსსკ 134-ე და 89-ე მუხლები) გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი გამოძიების ჩატარებისა და საქმის გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ.

ქავთარაძისა და კვიცარიძის ჩვენებით, ნადირობის დროს მხოლოდ დევიძეს ჰქონდა სანადირო თოფი. იმავე დღეს დაახლოებით 16 საათზე სანადირო თოფიდან გასროლით ფეხში დაჭრილ იქნა დევიძე, რომელიც ა/წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა ხელვაჩაურის რაიონის საავადმყოფოში (იხ. ს. ფ. 33—34).

ქავთარაძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ აწ გარდაცვლილ დევიძეს შემთხვევის ადგილზე დაუცურდა ფეხი, ხელიდან დაუვარდა თოფი და თოფის თვითგასროლის საფუძველზე დაიჭრა ფეხში (იხ. ს. ფ. 20—22).

საქმეზე ობიექტურად არ არის დადგენილი და დადასტურებული, დევიძე წაიქცა და თოფის შემთხვევით გავარდნის საფუძველზე დაიჭრა ფეხში, თუ მას თოფი ესროლა ქავთარაძემ ან სხვა პირმა. სრულყოფილად არ არის გარკვეული დევიძესა და ქავთარაძეს შორის ურთიერთდამოკიდებულის საკითხი.

საქმეზე ჩატარებულ იქნა ბალისტიკური ექსპერტიზა, მაგრამ ექსპერტის დასკვნა არ იძლევა საფუძველს იმ საკითხის დასადგენად, თუ როგორ და ვის მიერ იქნა თოფი გასროლილი (იხ .ს. ფ. 41—44). თვით ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება საქმის მასალებს.

ამრიგად, უნდა გაირკვეს და დადგინდეს:

1. ჰქონდა თუ არა სანადირო თოფი ქავთარაძეს;

2. კონკრეტულად რა ვითარებაში მოხდა დევიძის დაჭრა;

3. როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ აწ გარდაცვლილი დევიძე და ქავთარაძე:

4. უნდა ჩატარდეს განმეორებითი ბალისტიკური ექსპერტიზა.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩასატარებლად საჭიროა გაგრძელდეს გამოძიების ვადა ერთი თვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 211-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 214-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 134-ე მუხლით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ (29-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. № 127 სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნდეს უფროს გამომძიებელს. პირველი კლასის იურისტს — ნ. ს. დიასამიძეს;

2. საქმეზე წინასწარ გამოძიების ვადა გაგრძელდეს ერთი თვით, 1987 წლის 9 დეკემბრამდე.

აჭარის ასსრ პროკურორი.
იუსტიციის III კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. ანცაბაძე

თავი III

პროკურორის ზედამხედველობა სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს კანონთა შესრულებისადმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას

საკასაციო პროტესტი

(სისხლის სამართლის საქმეზე)

გიორგი ვლადიმერის ძე ტატიშვილის ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 106-ე მუხლებით ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლის მიერ 1987 წლის 24 მაისს გამოტანილ განაჩენზე.

ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 22—24 მაისს, ქ. ჭიათურაში, ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე გიორგი ვლადიმერის ძე ტატიშვილის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 106-ე მუხლებით და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით და ექვსი თვით, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

სასამართლომ განაჩენით დადასტურებულად ცნო შემდეგი: 1987 წლის 23 თებერვალს, დაახლოებით 16 საათზე, ქეთო ოთარის ასული ტატიშვილი თავის დედასთან — დარეჯან პეტრეს ასულ გაფრინდაშვილთან ერთად ჩამოვიდა სოფლიდან და მივიდა თავის ბინაში, მდებარე ქ. ჭიათურაში, ლენინის ქ. № 78, სადაც დახვდა თავისი მეუღლე გ. ვ. ტატიშვილი და მისი ძმა — ვ. ვ. ტატიშვილი.

ამ დროისათვის ქეთო ტატიშვილი და გიორგი ტატიშვილი

ფაქტობრივად გაცილებული იყვნენ და აღარ იმყოფებოდნენ ცოლქმრულ ურთიერთობაში. ყოფილი მეუღლის დაბრუნებით განაწყენებულმა ქეთომ და დედამისმა — დარეჯან გაფრინდაშვილმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს გ. ტატიშვილს, ხოლო შემდეგ დარეჯან გაფრინდაშვილი დაწვდა კარებთან დაგდებულ ნაჯახს, ჩაამტვრია ფანჯრის მინები და ძოკვლით ემუქრებოდა ყოფილ სიძეს — გ. ტატიშვილს. შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და განსაკუთრებით დარეჯან გაფრინდაშვილის ძალადობით მეტისმეტად აღელვებულმა გ. ტატიშვილმა დ. გაფრინდაშვილს ხელიდან გამოსტაცა ნაჯახი და მოკვლის მიზნით იგი ყუით ჩაარტყა თავში ქეთო ტატიშვილს და დარეჯან გაფრინდაშვილს. რითაც დაზარალებულებს მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.

სასამართლოს განაჩენი მიმაჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

საბრალდებო დასკვნით, გ. ვ. ტატიშვილის ქმედობა კვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 და 105-ე მუხლებით, რაც სასამართლოს მიერ გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის მე-17, 106-ე მუხლებზე.

სასამართლოს მოსაზრება, რომ გ. ტატიშვილი ცოლისა და სიდედრის შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და სიდედრის უკანონო ძალადობის შედეგად ძლიერ აღელდა, არასწორია, რადგან იგი არ გამომდინარეობს წინასწარი და სასამართლო გამოძიებიდან. საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ გ. ტატიშვილის სიდედრი — დ. გაფრინდაშვილი ნაჯახით ხელში მოკვლით ემუქრებოდა გ. ვ. ტატიშვილს. დადგენილია მხოლოდ ის, რომ დ. გაფრინდაშვილი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდა ვ. ტატიშვილს (იხ. ტ. I, ს. ფ. 35, 39, 105, 112).

გამოძიების პროცესში და საქმის სასამართლოში განხილვის დროს დადგინდა, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვებით გ. ტატიშვილს მიმართავდა მხოლოდ სიდედრი, ხოლო მეუღლე გ. ტატიშვილის ლანძღვა-გინებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა (იხ. ტ. I, ს. ფ. 37, 40, 106, 124; ტ. II, ს. ფ. 96, 102).

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულმა გ. ტატიშვილმა თავის ხელით დაწერილ ჩვენებაში ორჯერ მიუთითა,

რომ ნაჯახი მან აიღო აივნის კარებთან (იხ. ტ. I, ს. ფ. 18—19, 114—116), ხოლო შემდგომ სასამართლოში უარყო ადრე მიცემული ჩვენებები და განმარტა, რომ ნაჯახი მან წაართვა სიდედრს, რომელიც მას მოკვლით ემუქრებოდა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ლანძღვა-გინებიდან ნახევარი საათის შემდეგ ყოფილი ცოლი და სიდედრი იმყოფებოდნენ ცალკე ოთახში, ხოლო გ. ტატიშვილი და მისი ძმა ვ. ტატიშვილი აივანზე (იხ. ტ. I, ს. ფ. 44—45).

გ. ტატიშვილი და ვ. ტატიშვილი ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ დ. გაფრინდაშვილი გ. ტატიშვილს მიმართავდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აჩვენებს, რომ ქეთო ტატიშვილი მიმართავდა მათ შეურაცხმყოფელი სიტყვებით ან რაიმე ძალადობით.

სასამართლომ თავის განაჩენში შეფასება არ მისცა აღნიშნულ ფაქტებს და გარემოებებს, რის გამოც უსაფუძვლოდ გადააკვალიფიცირა განსასჯელის ქმედობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17, 105-ე მუხლებიდან ამავე კოდექსის მე-17, 106-ე მუხლებზე. სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ განსასჯელმა საბოლოო სიტყვაში განმარტა :„სასჯელის მოხდის შემდეგ აუცილებლად მოჰკლავს თავის ცოლს და სიდედრს, რადგან ისინი ცოცხალნი დარჩნენ".

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 337-ე მუხლის მეორე ნაწილით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (33-ე მუხლით),

გ თ ხ ო ვ თ:

საქართველოს სსრ სსსკ 354-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის საფუძველზე გააუქმოთ ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 24 მაისის განაჩენი გიორგი ვლადიმერის ძე ტატიშვილის მიმართ, როგორც დაუსაბუთებელი და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოთ იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ქ. ჭიათურის პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

30 მაისი, 1987 წ.

საქართველოს სსრ პროკურორს, იუსტიციის
მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველს

ვ. დ. კოტრიკაძეს

წარდგინება

ზედამხედველობის წესით განჩინების გაპროტესტების შესახებ

სისხლის სამართლის საქმეზე ლეილა ვლადიმერის ასული გოგაშვილის ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილით

1987 წლის 18 იანვარს სილნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ ქ. სილნაღში, ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა № 985 სისხლის სამართლის საქმე ლეილა ვლადიმერის ასული გოგაშვილის ბრალდებისა გამო, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

მსჯავრდებულ ლ. ვ. გოგაშვილის საკასაციო საჩივრის საფუძველზე 1987 წლის 28 მარტს საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც გააუქმა განაჩენი და საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განჩინებაში მოიყვანა საქმის დაბრუნების შემდეგი მოტივები:

1. დამატებითი გამოძიების დროს უნდა გაირკვეს, თუ რატომ შეცვალა ლ. გოგაშვილმა ჩვენება სასამართლოში;

2. დამატებითი გამოძიების დროს უნდა დადგინდეს, თუ რატომ არ იყო შემოწმებული შემთხვევის ადგილი სახანძრო ინსპექციის მიერ და გაირკვეს, არის თუ არა ხანძარი გაჩენილი ცეცხლის წაკიდებით, გამორიცხულია თუ არა ხანძრის გაჩენა სხვა მიზეზით;

3. მსჯავრდებული გოგაშვილის ბინიდან ამოღებულია შა-

ლის ქსოვილისაგან დამზადებული ქალის ძველი კაბა. კაბას, გოგაშვილის ჩვენებით, მაკრატლით აქვს მოჭრილი სახელოები, რომლებიც ჯოხზე იქნა დახვეული, ნავთში დასველებული და ცეცხლწაკიდებული გადაგდებულია დაზარალებულ ა. სანებლიძის ოთახში.

გამოძიების დროს არ ყოფილა დადგენილი ნამდვილად არის თუ არა ხსენებული კაბიდან მოჭრილი სახელოები მაკრატლით და გამოყენებულია თუ არა ისინი ცეცხლის წასაკიდებლად;

4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, რომ დათვალიერების დროს აღმოჩნდა ადამიანის ფეხის კვალი, მაგრამ იგი არ იქნა ამოღებული, რათა ექსპერტიზას გაერკვია, იყო თუ არა იგი დატოვებული ლ. გოგაშვილის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება უსაფუძვლოა და არ შეიძლება გაზიარებულ იქნას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მსჯავრდებულმა ლ. ე. გოგაშვილმა წინასწარი გამოძიების დროს აღიარა სანებლიძის სახლის დაწვა (იხ. ს. ფ. 7, 12—14, 61—62). ლ. გოგაშვილის მტკიცება სასამართლოში საქმის განხილვის დროს, რომ იგი შეცდომაში შეიყვანეს წინასწარი გამოძიების პროცესში, მოკლებულია საფუძველს, რადგან ყველა დაკითხვის დროს თავისი ხელით დაწერილი ჩვენებებით აღიარებდა დანაშაულის ჩადენას. ამრიგად, გოგაშვილის მიერ ჩვენების შეცვლა სასამართლოში გამოწვეულია მოსალოდნელი სასჯელისაგან თავის დაღწევის მიზნით;

2. კოლეგიის მითითება, რომ შემთხვევის ადგილი არ იყო შემოწმებული სახანძრო ინსპექციის მიერ, არასწორია. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობდნენ სილნაღის რაიონის სახანძრო ინსპექციის უფროსი ვ. ხელაშვილი და სახანძრო ინსპექტორი ს. ჯიბლაშვილი, რომელთა მოსაზრებით, გამორიცხულია ცეცხლის გაჩენა ელექტროგაყვანილობის ან ელექტროხელსაწყოების მიზეზით (იხ. ს. ფ. 3—4).

3. კოლეგიის მითითება, რომ წინასწარი გამოძიების დროს არ არის დადგენილი, მოჭრილია თუ არა სახელოები შალის ქსოვილის კაბიდან მაკრატლით და გამოყენებულია თუ არა

ხანძრის გასაჩენად — უსაფუძვლოა, რადგან დადგენილია, რომ კაბიდან მოჭრილი სახელოები მსჯავრდებულმა გამოიყენა ხანძრის გასაჩენად (იხ. ს. ფ. 30—31). ამჟამად მოჭრილი სახელოებისა და კაბის ინდენტიფიკაცია შეუძლებელია, რადგან ხანძრის დროს სახელოები დაიწვა;

4. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა ფეხის ზედაპირული კვალი, რომლის ამოღება და პროცესუალური დამაგრება ვერ მოხერხდა კვალის გამოსახულების სიმკრთალის გამო (იხ. ს. ფ. 3—4). ამჟამად, როდესაც დანაშაულის ჩადენიდან (1986 წლის 30 ოქტომბერი) დღემდე გავიდა ნახევარი წელი, გამორიცხულია დადგინდეს, თუ ვის მიერ იყო დატოვებული შემთხვევის ადგილზე ფეხის კვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 382-ე მუხლით, აგრეთვე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (35-ე მუხლი),

გ თ ხ ო ვ თ:

ზედამხედველობის წესით გააპროტესტოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 2 მარტის განჩინება მსჯავრდადებულ ლ. ე. გოგაშვილის ბრალდების საქმის დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების შესახებ.

სიღნაღის რაიონის პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი ვ. ბ უ დ უ რ ა შ ვ ი ლ ი

30 აპრილი, 1987 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარეს ამხ. ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ს

პ რ ო ტ ე ს ტ ი

ზედამხედველობის წესით

(სისხლის სამართლის საქმეზე)

ლ. ე. გოგაშვილის ბრალდების საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 18 იანვრის განაჩენით ლეილა ვლადიმერის ასული გოგაშვილი,

დაბადებული 1955 წელს, ეროვნებით ქართველი, უპარტიო, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე, უქმარშვილო, წნორის რესტორან-პავილიონის — „მშვიდობის წყაროს" მიმტანი, ადრე სამართალში არყოფილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

მსჯავრდებულ ლ. ვ. გოგაშვილს მსჯავრი დაედო მასზედ, რომ 1986 წლის 30 ოქტომბერს, განაწყენებულმა იმით, რომ ა. ნ. სანებლიძემ მას ბინის გაქურდვა დააბრალა, ცეცხლი წაუკიდა ამ უკანასკნელის სახლს, მდებარეს ქ. წნორში, პუშკინის ქ. № 9. ცეცხლის წაკიდების შედეგად დაიწვა ერთი ოთახი და ნივთები. დაზარალებულმა ა. სანებლიძემ ხანძრის შედეგად განიცადა 1620 მანეთის ზარალი.

მსჯავრდებულ ლ. გოგაშვილის საკასაციო საჩივრის საფუძველზე 1987 წლის 28 მარტს საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც მოცემულ საქმეზე გააუქმა სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 18 იანვრის განაჩენი და საქმე დაუბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 28 მარტის განჩინებაში მოყვანილია შემდეგი მითითებები:

1. დამატებითი გამოძიების დროს უნდა გაირკვეს, თუ რატომ შეცვალა ლ. გოგაშვილმა ჩვენება სასამართლოში;

2. დამატებითი გამოძიების დროს უნდა დადგინდეს, თუ რატომ არ იყო შემოწმებული შემთხვევის ადგილი სახანძრო ინსპექციის მიერ და გაირკვეს, არის თუ არა ხანძარი გაჩენილი ცეცხლის წაკიდებით და გამორიცხულია თუ არა იგი სხვა მიზეზებით;

3. მსჯავრდებულ გოგაშვილის ბინიდან ამოღებულია შალის ქსოვილისაგან დამზადებული ქალის ძველი კაბა, რომელსაც, გოგაშვილის ჩვენებით, მაკრატლით მოჭრილი აქვს სახელოები. სახელოები დახვეულ იქნა ჯოხზე და ნავთში დასველებული და ცეცხლწაკიდებული გადაგდებული ა. სანებლი-

ძის ოთახში. გამოძიების დროს არ ყოფილა დადგენილი, ნამდვილად არის თუ არა ხსენებული კაბიდან მოჭრილი სახელოები მაკრატლით და გამოყენებულია თუ არა ისინი ცეცხლის წასაკიდებლად;

4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, რომ დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა ადამიანის ფეხის კვალი, მაგრამ წინასწარი გამოძიების დროს ეს კვალი არ იქნა ამოღებული და არ დაინიშნა ექსპერტიზა იმ მიზნით, რათა დადგენილიყო, ხომ არ არის ფეხის კვალი დატოვებული ლ. გოგაშვილის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მითითებები წინასწარი გამოძიების არასრულად წარმოების შესახებ უსაფუძვლოა და არ შეიძლება გაზიარებულ იქნას, ხოლო განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მსჯავრდებული ლ. ვ. გოგაშვილი წინასწარი გამოძიების დროს აღიარებდა თავის მიერ ა. სანებლიძის სახლის დაწვას (იხ. ს. ფ. 7, 12—14, 61—62).

მსჯავრდებული ლ. გოგაშვილი, როგორც ექვმიტანილი, გაყვანილ იქნა შემთხვევის ადგილზე. მან დამსწრეთა თანდასწრებით, თავის საცხოვრებელ ბინაში, მიუთითა კაბაზე, რომელსაც მოაჭრა სახელოები, დაახვია ჯოხზე. მსჯავრდებულმა ასევე უჩვენა კასრი, საიდანაც ამოიღო ნავთი და დაასხა ქსოვილს. მანვე უჩვენა ა. სანებლიძის სახლის ეზოს ღობე, საიდანაც გადავიდა და ოთახის ის ფანჯარა, საიდანაც ანთებული ქსოვილი გადააგდო ოთახში (ს. ფ. 15—19).

მსჯავრდებულ ლ. გოგაშვილის მტკიცება სასამართლოში იმის შესახებ, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს წინასწარი გამოძიების დროს, მოკლებულია საფუძველს, რადგანაც 1986 წლის 9 ნოემბერს იგი ბრალდებულის სახით იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული; იმავე დღეს დაკითხულ იქნა ბრალდებულის სახით და აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული (იხ. ს. ფ. 21—22, 23—24, 55). ამდენად, ლ. გოგაშვილის მიერ ჩვენების შეცვლა სასამართლოში გამოწვეულია მოსალოდნელი სასჯელისაგან თავის დაღწევის მიზნით;

2. რაც შეეხება კოლეგიის მითითებას, რომ შემთხვევის

ადგილი არ იყო შემოწმებული სახანძრო ინსპექციის მიერ, არასწორია. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, როგორც სპეციალისტები, მონაწილეობდნენ სიღნაღის რაიონის სახანძრო ინსპექციის უფროსი ვ. ხელაშვილი და სახანძრო ინსპექტორი ს. ჯიბლაშვილი, რომელთა მოსაზრებით გამორიცხულია ცეცხლის გაჩენა ელგაყვანილობის ან ელექტროხელსაწყოების მიზეზით (იხ. ს. ფ. 3—4).

3. წინასწარი გამოძიების დროს მსჯავრდებულმა ე. გოგაშვილმა თავის საცხოვრებელ ბინაში მიუთითა იმ კაბაზე, რომელსაც მოაჭრა მაკრატლით სახელოები, დაახვია ჯოხზე და ნავთში დასველების შემდეგ გამოიყენა ხანძრის გასაჩენად. კოლეგიის მითითება, რომ წინასწარი გამოძიების მიერ არ არის დადგენილი, მართლაც მოჭრილია თუ არა სახელოები კაბაზე მაკრატლით და გამოყენებულია თუ არა იგი ცეცხლის წასაკიდებლად, საფუძველს მოკლებულია. კაბის ის ნაწილი, რომელიც მსჯავრდებულმა ლ. გოგაშვილმა გამოიყენა ხანძრის გასაჩენად, დაიწვა და ამიტომ სახელოების და კაბის იდენტურობის დადგენა ამჟამად შეუძლებელია (იხ. ს. ფ. 3—4);

4. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა ადამიანის ფეხის კვალი, რომლის ამოღება და პროცესუალური დამაგრება ვერ მოხერხდა გამოსახულების სიმკრთალის გამო (იხ. ს. ფ. 3—4). ამჟამად, როდესაც დანაშაულის ჩადენის დღიდან გავიდა ნახევარი წელი, გამორიცხულია გამოძიებამ დაადგინოს, ვისი ფეხის კვალი იყო დატოვებული შემთხვევის ადგილზე. ამდენად, კოლეგიის ეს მითითებაც უსაფუძვლოა.

მსჯავრდებულ ლ. გოგაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება, გარდა ზემოაღნიშნული მტკიცებებისა, დადგენილია შემდეგი მასალებითაც: ლ. გოგაშვილის ბინიდან ამოღებულ იქნა სითხე, რომელიც ლაბორატორიული შემოწმებით წარმოადგენს ადვილად აალებად ნავთს (იხ. ს. ფ. 28); შემთხვევის დღეს მსჯავრდებული ლ. გოგაშვილი რომ დაემუქრა დაზარალებულ სანებლიძეს საცხოვრებელი ბინის დაწვით, დადასტურებულია საქმეზე მოწმეების სახით დაკითხულების — ლ. ტალიაშვილისა და შ. ღვედაშვილის ჩვენებებით (იხ. ს. ფ. 9—10, 48—49); წინასწარი გამოძიების დროს მსჯავრდებულმა ლ. გოგაშვილმა თავის დას — მირაქოვას გაუგზავნა

წერილი, სადაც აღნიშნავს, რომ დამწვარი ნივთების ღირებულების ფული მიეცა დაზარალებულ სანებლიძისათვის (იხ. ს. ფ. 39—40).

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 28 მარტის განჩინება მსჯავრდებულ ლ. ვ. გოგაშვილის ბრალდების საქმეზე განაჩენის გაუქმებისა და საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ უსაფუძვლოა და უნდა გაუქმდეს.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 382-ე, 385-ე მუხლებით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (35-ე მუხლით),

გ თ ხ ო ვ თ:

გააუქმოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 28 მარტის განჩინება ლეილა ვლადიმერის ასული გოგაშვილის ბრალდების საქმეზე.

საქართველოს სსრ პროკურორი,
იუსტიციის II კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. დ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე
10 მაისი, 1987 წ.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს

პროკურორის სასარჩელო განცხადება

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით

მოპასუხე ვიტალი პეტრეს ძე ბეცხრიკიძის მიერ (მცხოვრები ქ. თბილისში ავჭალის გზატკეცილი № 99, ბინა 17) ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის საფინანსო განყოფილების სასარგებლოდ 88 მანეთის სარჩელის გადახდევინების თაობაზე

1987 წლის 14 ნოემბერს ქ. თბილისის სანზონის 25-ე კორპუსის წინ, ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე მოპასუხე

ვ. პ. ბუცხრიკიძემ აგურის ნატეხის თავში ჩარტყმის შედეგად სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა ნოდარ იოსების ძე ქუჩიშვილს, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით. ნ. ი. ქუჩიშვილი 1987 წლის 14 ნოემბერს მოთავსებულ იქნა ქ. თბილისის მე-8 კლინიკურ საავადმყოფოში, მკურნალობა გაგრძელდა 11 დღეს. ქუჩიშვილი საავადმყოფოდან გაეწერა 1987 წლის 25 ნოემბერს.

აღნიშნული დანაშაულისათვის ვ. პ. ბუცხრიკიძეს ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 17 დეკემბრის განაჩენით მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. სასამართლოში დაზარალებულის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების საკითხი განხილული არ ყოფილა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 25 ივნისის ბრძანებულების „დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების შესახებ" — შესაბამისად მსჯავრდებულ ვ. პ. ბუცხრიკიძეს უნდა გადახდეს 11 დღის მკურნალობის ხარჯები 88 მანეთის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4, 41-ე და 134-ე მუხლების მოთხოვნით,

გ თ ხ ო ვ თ:

1. განიხილოთ სასარჩელო განცხადება და დაზარალებულ ნ. ი. ქუჩიშვილის 11 დღის მკურნალობის ხარჯები 88 მანეთის ოდენობით დააკისროთ მოპასუხე ვიტალი პეტრეს ძე ბუცხრიკიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

2. სასამართლო სხდომაზე გამოიძახოთ: მოსარჩელე — ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის საფინანსო განყოფილების წარმომადგენელი; მოპასუხე — ვიტალი პეტრეს ძე ბუცხრიკიძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ავჭალის გზატკეცილი № 99, ბინა 17;

3. სასამართლოში საქმის განხილვის დღე შემატყობინეთ პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.

სარჩელის დასადასტურებლად გიდგენთ შემდეგ საბუთებს: ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 17 დეკემბრის განაჩენის პირს (ოთხ გვერდზე), ქ. თბილისის მე-8 კლინიკური საავადმყოფოს მიერ გაცემულ ცნობას (ერთ გვერდზე), ვ. პ. ბუცხრიკიძის და ნ. ი. ქუჩიშვილის ახსნა-განმარტებებს (სულ 8 გვერდზე), სასარჩელო განცხადების ასლს (2 გვერდზე) მოპასუხისათვის.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის
რაიონის პროკურორი, იუსტიციის
მრჩეველი ვ. კაკაურიძე

30 დეკემბერი, 1987 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო
კოლეგიას

ქ. ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებაზე ეახტანგ სოკრატის ძე მინდიაშვილის სამუშაოზე აღდგენის შესახებ

საკასაციო პროტესტი

(სამოქალაქო სამართლის საქმეზე)

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 3 თებერვალს ტყიბულში განიხილა „საქნახშირის" კომბინატის ტყიბულის „ორსის" უნივერმაღის სექციონერის — ვ. ს. მინდიაშვილის სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ და დააკმაყოფილა იგი.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან და იგი გაუქმებული უნდა იქნეს შემდეგი მოსაზრებისა გამო: საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვ. ს. მინდიაშვილმა დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობა. მან 1986 წლის 24 ნოემბერს სარეალიზაციოდ მიიღო მამაკაცის იმპორტული ფეხსაცმელები, საიდანაც სხვადასხვა ზომის 28 წყვილი ფეხსაცმელი გადამალა. 1986 წლის

30 ნოემბერს აღნიშნული გადამალული საქონელი ვ. ს. მინდიაშვილს საწყობში აღმოუჩინა სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ინსპექტორმა, რომლის მითითების საფუძველზე აღნიშნული საქონელი სექციაში იქნა გატანილი და მაშინვე გაყიდული (იხ. ს. ფ. 3—5, 9—12).

„საქნახშირის" კომბინატის ტყიბულის „ორსის" უფროსის 1986 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით, ვ. ს. მინდიაშვილი ჩადენილი ქმედობისათვის დათხოვილია სამუშაოდან (იხ. ს. ფ. 15). ადმინისტრაციის ინიციატივით, ვ. ს. მინდიაშვილ-ს სამუშაოდან დათხოვნის თანხმობის საკითხი წინასწარ იქნა განხილული პროფესიული კავშირის ადგილობრივი კომიტეტის სხდომაზე (იხ. ს. ფ. 14).

სახალხო სასამართლომ ა/წ 3 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ს. მინდიაშვილი სამუშაოზე აღადგინა იმ მოტივით, თითქოს „მინდიაშვილს ფეხსაცმელები გადამალული არ ჰქონია". ამ მოსაზრებათა დასადასტურებლად სასამართლო ეყრდნობა თვით მინდიაშვილის ჩვენებას, თითქოს იგი უნივერმაღის შემოწმების პერიოდში სადაო საქონელს აწერდა საკოლმეურნეო ბაზარში არსებულ მაღაზიას, რომელიც უნივერმაღის სექციის ფილიალია, მაგრამ სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ინსპექტორმა არ მისცა ამის საშუალება და აიძულა იგი, საქონელი გაეყიდა უნივერმაღის სექციაში (იხ. ს. ფ. 19—21).

ვ. ს. მინდიაშვილის ჩვენება სასამართლომ კრიტიკულად არ შეაფასა, არ შეამოწმა, შეესაბამება თუ არა იგი სინამდვილეს, ჰქონდა თუ არა ვ. ს. მინდიაშვილს უფლება საქონელი გადაეცა სარეალიზაციოდ საკოლმეურნეო ბაზარში არსებული მაღაზიისთვის.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში სრულიად დაუსაბუთებლად იმოწმებს სასამართლოში პროკურორის მიერ გადაგზავნილ ა. ი. მდინარაძის განცხადებას (იხ. ს. ფ. 25), რომელიც სასამართლო სხდომაზე განხილული არ ყოფილა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამარ-

თლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლო სხდომაზე.

სასამართლოს შეეძლო ადვილად გაერკვია, რომ ვ. ს. მინდიაშვილს უფლება არ ჰქონდა და არც გადაუცია ოდესმე სასწრაფო სარეალიზაციოდ იმპორტული საქონელი ფილიალისათვის, მაგრამ თუ მინდიაშვილს მართლა სურდა სადაო იმპორტული საქონლის სექციის ფილიალისათვის სარეალიზაციოდ გადაცემა, ეს მას უნდა გაეკეთებინა საქონლის მიღებისთანავე, 1986 წლის 24 ნოემბერს და არა 30 ნოემბერს, როცა მას ფაქტზე წაასწრეს და გადამალული საქონელი უნახეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე, 296-ე მუხლებით და 318-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტებით,

გ თ ხ ო ვ თ:

გააუქმოთ ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება ვ. ს. მინდიაშვილის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოთ იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ტყიბულის რაიონის პროკურორი,
პირველი კლასის იურისტი ნ. ცირეკიძე

10 თებერვალი, 1987 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
სამოქალაქო სამართლის საქმეთა
საკასაციო კოლეგიას

გ ა ნ ო თ ხ ვ ა

ქვემდგომი პროკურორის საკასაციო პროტესტისა

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით ალა პეტრეს ასულ ვოლგინას არ დაუდგინა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ იგი ნესტორ

ნოდარის ძე მღებროვთან იმყოფებოდა ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, რის გამოც რუსთავის პროკურორმა შემოიტანა პროტესტი.

კანონის „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (36-ე მუხლი) და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლის საფუძველზე ქვემდგომი პროკურორის პროტესტს ვხსნი.

გთხოვთ საქმე დაუბრუნოთ ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს.

საქართველოს სს რესპუბლიკის
პროკურორის მოადგილე,
იუსტიციის III კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ე. ბარამიძე

29 აგვისტო, 1987 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარეს ამხ. ვ. ნიკოლაიშვილს

პროტესტი

ზედამხედველობის წესით

(სამოქალაქო სამართლის საქმეზე)

სამოქალაქო სამართლის საქმეზე გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელზე მოპასუხე გაბრიელ გიორგის ძე რამიშვილისათვის საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევის შესახებ

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1987 წლის 9 იანვარს განიხილა № 376 სამოქალაქო სამართლის საქმე და თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელი: მოპასუხე გაბრიელ გიორგის ძე რამიშვილს უსასყიდლოდ ჩამოართვა სოფ. წაეკისში მდებარე 27 კვ. მეტრი საცხოვრებელი სახლი აივნით და დამხმარე სათავსოებით. სახლი გადაეცა გარდაბნის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო ფონდს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი და თავის 1987 წლის 12 მარტის განჩინებით ძალაში დატოვა გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის აღნიშნული განჩინება და გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. გ. რამიშვილმა 1985 წლის 27 აგვისტოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მოქალაქე ო. დ. ბურდულისაგან შეიძინა გარდაბნის რაიონის სოფ. წავკისში მდებარე 27 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამოწმებულია სასოფლო საბჭოს მიერ (იხ. ს. ფ. 7).

გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სარჩელის დაკმაყოფილებას როგორც სახალხო სასამართლოში, ისე საკასაციო კოლეგიაში საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოება: 1. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არ იყო რეგისტრირებული გარდაბნის რაიონის საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში; 2. გ. გ. რამიშვილი შეძენილ ბინაში არ ცხოვრობდა და იყენებდა მას, როგორც აგარაკს; 3. მოპასუხემ თვითნებურად გადააკეთა შესყიდული სახლი, რითაც გაიზარდა საცხოვრებელი და დამხმარე ფართობი.

აღნიშნული მოტივები არ მიმაჩნია სწორად და დასაბუთებულად შემდეგ გარემოებათა გამო:

1. თუ დადგინდა, რომ საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება კანონის დარღვევით იქნა დადებული, სასამართლოს, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ბათილად უნდა ეცნო. ასეთ შემთხვევაში გ. გ. რამიშვილს უნდა დაბრუნებოდა სახლის შეძენის დროს გადახდილი ღირებულება;

2. ის ფაქტი, რომ გ. გ. რამიშვილი შეძენილ ბინაში არ

ცხოვრობდა და იყენებდა მას, როგორც აგარაკს, არ შეიძლება საფუძველი გახდეს ბინის ჩამორთმევისა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეს შეიძლება პირადი საკუთრების უფლებით ჰქონდეს მეორე სახლი როგორც სააგარაკო ადგილას, ისე სოფელში, რომელსაც იგი და მისი ოჯახის წევრები გამოიყენებენ დასასვენებლად ან სააგარაკოდ;

3. ის ფაქტი, რომ გ. რამიშვილმა შესყიდული სახლი თვითნებურად გადააკეთა და გაზარდა საცხოვრებელი ფართობი, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. მოპასუხის განმარტება, რომ მან სადაო სახლი შეაკეთა და მოიყვანა საცხოვრებელ მდგომარეობაში ისე, რომ არ გაუზრდია საცხოვრებელი და დამხმარე ფართობი (იხ. ს. ფ. 20—23), სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა. სასოფლო საბჭოს მიერ გაცემულ 1987 წლის 3 იანვრის ცნობაში აღნიშნულია, რომ სადაო სახლის საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 27 კვ. მეტრს, ე. ი. იმდენს, რამდენიც მითითებულია სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში (იხ. ს. ფ. 50).

თუ სასამართლო არ მიიღებდა აღნიშნულ ცნობას, როგორც მტკიცებულებას, მას უნდა დაენიშნა ტექნიკურ-საინჟინრო ექსპერტიზა და გაერკვია საკითხი, გადაკეთების შედეგად გადიდდა თუ არა სადაო სახლის საცხოვრებელი და დამხმარე ფართობი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე და 343-ე მუხლების მოთხოვნით, აგრეთვე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (33-ე მუხლი),

გ თ ხ ო ვ თ:

გააუქმოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 12 მარტის განჩინება და გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება მოპასუხე გაბრიელ გიორგის ძე რამიშვილისათვის საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ და საქმე

ხელახლა განსახილველად გადასცეთ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქართველოს სსრ პროკურორი,
იუსტიციის II კლასის სახელმწიფო
მრჩეველი კ. კოტრიკაძე

4 ივნისი, 1987 წ.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის
იურიდიული კონსულტაციის ადვოკატ
ზ. ნ. კურტანიძეს

შეტყობინება

ზედამხედველობის წესით სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტებაზე უარის თქმის შესახებ

გაცნობებთ, რომ თქვენი ა/წლის 5 ნოემბრის საჩივრის საფუძველზე ზედამხედველობის წესით შემოწმდა ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1987 წლის 25 აგვისტოს განჩინების კანონიერება ვ. დ. თათარიშვილის სარჩელის გამო მოპასუხე ქ. თბილისის „ფოსტამტის" მიმართ, სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

საქმის მასალების შესწავლით დადგინდა, რომ მოსარჩელე ვერა დავითის ასული თათარიშვილი მუშაობდა ქ. თბილისის „ფოსტამტის" № 13 საფოსტო განყოფილებაში ტელეფონისტად.

ადმინისტრაციის 1987 წლის 25 მაისის № 35 ბრძანებით, იგი განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან, რაც წინასწარ იყო შეთანხმებული პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან (იხ. ს. ფ. 10).

სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანებას საფუძვლად დაედო ვ. დ. თათარიშვილის მიერ საკასო დისციპლინის სისტემატური დარღვევა და თანხის მითვისების მცდელობის შემდეგი ფაქტები:

1987 წლის 22 მარტს ვ. დ. თათარიშვილმა შემკვეთ ა. დ.

კიბურაძიდან მიიღო 1 მან. და 90 კაპ., ხოლო უწყისში უჩვენა 90 კაპ.; იმავე დღეს შემკვეთ ნ. ს. ბეთანელიდან მიიღო 1 მან. და 20 კაპ., უწყისში კი შეკვეთა აღნიშნა გაუქმებულად (იხ. ს. ფ. 12—18).

ანალოგიური ხასიათის დარღვევები ვ. დ. თათარიშვილმა ჩაიდინა ა/წლის 28 და 30 აპრილს (იხ. ს. ფ. 14—15).

ეს ფაქტები გამოვლინდა რევიზიის ჩატარების შედეგად (იხ. ს. ფ. 17—20). ვ. დ. თათარიშვილმა მითვისებული თანხები სალაროში შეიტანა მხოლოდ რევიზიის ჩატარების შემდეგ, 1987 წლის 20 მაისს (იხ. ს. ფ. 21).

ამრიგად, ადმინისტრაციას საკმაო საფუძველი ჰქონდა უნდობლობის მოტივით ვ. დ. თათარიშვილი გაეთავისუფლებინა სამუშაოდან.

თქვენს საჩივარში ნათქვამია, რომ ვ. დ. თათარიშვილმა აღუთქვა ადმინისტრაციას, აღარ ჩაიდენს ანალოგიურ საქციელს. მოსარჩელეს ჰყავს 10 წლის შვილი. ორივე ეს ფაქტი სახალხო სასამართლოში და საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროს იყო მსჯელობის საგნად და სამართლიანად არ გახდა საფუძველი ვ. დ. თათარაშვილის სარჩელის დაკმაყოფილებისა.

ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლით, გაცნობებთ, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საკასაციო კოლეგიის განჩინება მოცემულ საქმეზე მიჩნეულია კანონიერად და არ არსებობს საფუძველი მათი ზედამხედველობის წესით გაპროტესტებისათვის.

ქ. თბილისის პროკურორი,
იუსტიციის უფროსი მრჩეველი ე. ბ ა რ ა მ ი ძ ე

29 ნოემბერი, 1987 წ.

თავი IV

პროკურორის ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონთა შესრულებისადმი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს
შრომა-გასწორებითი დაწესებულებების
საქართველოს. უი 123/3 შრომა-გასწორებითი კოლონიის უფროსს
შინაგანი სამსახურის მაიორს ა. ბ. სარიშვილს

ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. № 64

პროტესტი

(შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის ბრძანებაზე)

თქვენი 1987 წლის 15 ნოემბრის № 75 ბრძანებაზე, საკნის ტიპის სადგომში მსჯავრდებულ ვ. ნ. ბუცხრიკიძის გადაყვანის შესახებ

თქვენი ა/წლის 15 ნოემბრის № 75 ბრძანების საფუძველზე მსჯავრდებული ვალერი ნოდარის ძე ბუცხრიკიძე გადაყვანილ იქნა საკნის ტიპის სადგომში ორი თვით იმის გამო, რომ მან ა/წლის 5 ნოემბერს არასაპატიო მიზეზით უარი განაცხადა სამუშაოდ გასვლაზე და სხვა მსჯავრდებულებს იყოლიებდა, რათა ისინიც არ გასულიყვნენ სამუშაოდ.

თქვენი ბრძანება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 69-ე მუხლის მოთხოვნას და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებული ვ. ნ. ბუცხრიკიძე წინათ არ ყოფილა შემჩნეული შრომის დისციპლინის დარღვევაში, მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დასჯის ღონისძიებანი. პირიქით, თქვენი 1987 წლის 3 მარტის № 10 ბრძანების საფუძველზე მას მადლობა აქვს გამოცხადებული საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. შემოწმებით დადგინდა, რომ

მსჯავრდებულმა ბუცხრიკიძემ უარი განაცხადა სამუშაოდ გასვლაზე იმის გამო, რომ მას მისცეს უხარისხო საუზმე და მოითხოვდა მის შეცვლას, რაც არ იქნა შესრულებული.

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, საკნის ტიპის სადგომში მსჯავრდებულის გადაყვანა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშედეგო აღმოჩნდა ზემოქმედების ყველა სხვა გამოყენებული ღონისძიებანი. კანონის ეს მოთხოვნა არ არის დაცული ვ. ბუცხრიკიძის მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (43-ე მუხლის მე-5 პუნქტი),

გ თ ხ ო ვ თ:

გააუქმოთ თქვენი 1987 წლის 15 ნოემბრის № 75 ბრძანება საკნის ტიპის სადგომში მსჯავრდებულ ვალერი ნოდარის ძე ბუცხრიკიძის ორი თვით გადაყვანის შესახებ.

ქ. თბილისის თავისუფლების აღკვეთის
ადგილებზე ზედამხედველობის პროკურორი,
იუსტიციის მრჩეველი ნ. თ ე ო დ ო რ ა ძ ე

22 ნოემბერი, 1987 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო
კოლეგიის თავმჯდომარეს

პ რ ო ტ ე ს ტ ი

ზედამხედველობის წესით

(სახალხო სასამართლოს განჩინებაზე)

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს
1987 წლის 18 ნოემბრის განჩინებაზე
მსჯავრდებულ ნ. ნ. პეტროვის კოლონია-დასახლებიდან საერთო რეჟიმის კოლონიაში გადაყვანის შესახებ.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 18 აგვისტოს განჩინების საფუძველზე მსჯავრდებული ნიკოლოზ

ნიკოლოზის ძე პეტროვი კოლონია-დასახლებიდან გადაყვანილ იქნა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის დარჩენილი ვადის მოსახდელად.

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1985 წლის 7 აგვისტოს განაჩენით, ნ. ნ. პეტროვი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მეორე ნაწილით და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით.

სასჯელის ნახევარი ვადის მოხდის შემდეგ ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ნ. ნ. პეტროვი გადაყვანილ იქნა კოლონია-დასახლებაში სასჯელის დარჩენილი ვადის მოსახდელად.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 18 ნოემბრის განჩინებაში მითითებულია, რომ ნ. ნ. პეტროვი 1987 წლის 9 ნოემბერს კოლონია-დასახლებაში არ გამოცხადდა საღამოს შემოწმებაზე 23 საათზე, ამავე დროს ნ. ნ. პეტროვი ა/წლის 1 ნოემბერს ერთი დღით უნებართვოდ წავიდა თავისი მამის დასაფლავებაზე.

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ მსჯავრდებული ნ. ნ. პეტროვი 1987 წლის 9 ნოემბერს არ გამოცხადდა საღამოს შემოწმებაზე 23 საათზე იმის გამო, რომ მან მიიღო ფეხის ტრავმა და ამ დროს იმყოფებოდა ექიმთან. დადგენილია აგრეთვე, რომ პეტროვმა თავის დროზე მიმართა განცხადებით კოლონია-დასახლების უფროსს, რათა მისთვის ნება დაერთო ერთი დღით წასულიყო ქ. თბილისში თავის მამის დასაფლავებაზე. ამის თაობაზე მან მიიღო ზეპირსიტყვიერი თანხმობა, მაგრამ შემდგომში ამ საკითხის ბრძანებით გაფორმება ვერ მოხერხდა პეტროვისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ამრიგად, არც ერთ შემთხვევაში პეტროვს ბოროტი განზრახვით არ დაურღვევია რეჟიმის მოთხოვნები კოლონია-დასახლებაში. საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 68-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულნი, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმის მოთხოვნებს, შეიძლება სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ იქნან კოლონია-დასახლებიდან იმ სახის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, რომელიც წინათ მათ განუსაზღვრა სასამართლომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე საქართველოს სსრ სსსკ 382-ე მუხლით და კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ (37-ე მუხლი),

გ თ ხ ო ვ თ:

გააუქმოთ გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 18 ნოემბრის განჩინება მსჯავრდებულ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პეტროვის გადაყვანის შესახებ კოლონია-დასახლებიდან საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის
მოადგილე, იუსტიციის III კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. კ ო დ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

1 დეკემბერი, 1987 წ.

ა ქ ტ ი

საგამოძიებო იზოლატორში პატიმართა და მსჯავრდებულთა მოთავსების პირობების შემოწმებისა

დრანდა 23 ნოემბერი, 1987 წ.

აფხაზეთის ასსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ, იუსტიციის მრჩეველმა ვ. დ. კოტრიკაძემ, გულრიფშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის წევრი — ს. ნ. აფშილავას მონაწილეობით შეეამოწმე კანონების დაცვის მდგომარეობა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორებითი დაწესებულებების სამმართველოს უტ 123/9 საგამოძიებო იზოლიატორში პატიმართა და მსჯავრდებულთა მოთავსების პირობების საკითხთან დაკავშირებით. შემოწმება მიმდინარეობდა 1987 წლის 13 ნოემბრიდან 22 ნოემბრამდე. შემოწმებას ესწრებოდა № 9 საგამოძიებო იზოლატორის უფროსის მოადგილე, შინაგანი სამსახურის კაპიტანი — ა. ვ. შანიძე.

შემოწმება ტარდებოდა საცხოვრებელი სადგომების, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების დათვალიერებით, პატიმართა და მსჯავრდებულთა გამოკითხვისა და სათანადო დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე. შემოწმების შედეგად დადგენილ იქნა კანონების შემდეგი დარღვევა:

საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად დატოვებულ იქნა მსჯავრდებული ვ. ა. პოლოსოვი, რომელიც გასამართლებულია მძიმე დანაშაულისათვის, კერძოდ, სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილი). ასევე სამეურნეო მომსახურებისათვის დატოვებულ იქნა მსჯავრდებული ს. ნ. არშბა, რომელსაც სხვადასხვა დანაშაულისათვის უკვე მესამეჯერ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციის ასეთი გადაწყვეტილება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნას.

შემოწმებით დადგინდა, რომ მსჯავრდებულები: ა. ნ. საბანაძე, ი. ა. ქებურია, ვ. ი. ბირკაია, ნ. ა. კოკაია, რომლებიც ასრულებენ სამეურნეო მომსახურების სამუშაოებს, მოთავსებული არიან საკანში იმ პირთან ერთად, ვისაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს წინასწარი პატიმრობა. საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციის ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 34-ე მუხლის მოთხოვნას;

ნ. პ. პეტრიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს წინასწარი პატიმრობა და გამოძიებას აწარმოებს გულრიფშის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი ვ. ნ. ვარდავა. შემოწმებით დადგინდა, რომ ა/წ 14 ნოემბერს ვ. პ. პეტრიაშვილს ადმინისტრაციამ მისცა მისი ძმის — ნ. პ. პეტრიაშვილის ნახვის უფლება, მაშინ როდესაც გამომძიებელ ვ. ნ. ვარდავას ნახვის ნებართვა არ გაუცია. ადმინისტრაციის ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „დებულებას წინასწარი პატიმრობის შესახებ" (მუხლი მე-12);

საპატიმრო საკნების შემოვლის შედეგად დადგინდა, რომ საკნების უმრავლესობაში პატიმრები ტანსაცმელს რეცხავენ და იქვე აშრობენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც საკნებში

პატიმრები ინახავენ და ხმარობენ ხელოვნურად დამზადებულ ელექტროენერგიას;

პატიმარ ს. ნ. კილასონიას გამოკითხვისა და სათანადო დოკუმენტების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მას ვიუთავდა ექვსთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ა/წ 12 ნოემბერს, ხოლო პატიმრობის ვადა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ ჯერ კიდევ გაგრძელებული არ არის, რის გამოც ს. ნ. კილასონია 10 დღის განმავლობაში უკანონოდ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ სსსკ 89-ე მუხლის მოთხოვნას.

№ 9 საგამოძიებო იზოლატორის უფროსს წინადადება მიეცა, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები დარღვეულ კანონთა გამოსწორების მიზნით.

აფხაზეთის ასსრ პროკურორის
უფროსი თანაშემწე, იუსტიციის მრჩეველი ვ. კ ო ტ რ ი კ ა ძ ე

გულრიფშის რაიონის სახალხო დეპუტატთა
საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული
სამეთვალყურეო კომისიის წევრი ს. ა ფ შ ი ლ ა ვ ა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს
შრომა-გასწორებითი დაწესებულებების სამმართველოს
უფროსს, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკს
ს. ნ. გ ვ ი ლ ი ა ს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

კანონთა დარღვევის თაობაზე 123/9 საგამოძიებო
იზოლატორში პატიმართა და მსჯავრდებულთა მოთავსების პირობების შემოწმებასთან დაკავშირებით

აფხაზეთის ასსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ, იუსტიციის მრჩეველმა ვ. დ. კოტრიკაძემ და გულრიფშის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის წევრმა ს. ნ. აფშილავამ 1987 წლის 13 ნოემბრიდან 22 ნოემბრამდე შეამოწმეს № 9 საგამოძიებო იზოლატორში პატიმართა და

მსჯავრდებულთა მოთავსების პირობების კანონიერების საკითხი (იხ. ა/წ 23 ნოემბრის შემოწმების აქტი).

შემოწმებით დადგინდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში არ არის დაცული პატიმართა და მსჯავრდებულთა იზოლატორში მოთავსების პირობები და ადგილი აქვს კანონის დარღვევის შემთხვევებს, კერძოდ, საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად დატოვებულ იქნა მსჯავრდებული ვ. ა. პოღოსოვი, რომელიც გასამართლებულია მძიმე დანაშაულისათვის სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილი).

საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად დატოვებულ იქნა მსჯავრდებული ს. ნ. არშბა, რომელსაც სხვადასხვა დანაშაულისათვის უკვე მესამეჯერ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

ორივე აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნას.

მსჯავრდებულები ა. ნ. საბანაძე, ი. ა. ქებურია, ვ. ი. ბირკაია, ნ. ა. კოკაია დატოვებულნი არიან საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად, მაგრამ ისინი მოთავსებულნი არიან არა ამ კატეგორიის მსჯავრდებულებთან ერთად ცალკე სადგომში, არამედ იმ პატიმართა შორის, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ წინასწარი პატიმრობა. საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაციის ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 34-ე მუხლის მოთხოვნას.

არის შემთხვევები, როდესაც პატიმარს აძლევენ ნახვის უფლებას იმ პირის ნებართვის გარეშე, ვისზეც ირიცხება პატიმარი; მაგალითად, 1987 წლის 14 ნოემბერს პატიმარ ნ. პ. პეტრიაშვილის ნახვის უფლება მიეცა მის ძმას — ვ. პ. პეტრიაშვილს, მაშინ როდესაც გულრიფშის რაიონის პროკურატურის გამომძიებელს გ. ნ. ვარდავას, ვისზეც პატიმარი ირიცხება, ნახვის უფლება არ მიუცია. ადმინისტრაციის ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „დებულებას წინასწარი პატიმრობის შესახებ" (მუხლი მე-12).

საპატიმრო საკნებში არ არის დაცული ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო წესები, რაც იმაში გამოიხატება, რომ მსჯავრდებულები ხმარობენ და ინახავენ კუსტარულად დამზადებულ ელექტროქურებს. თითქმის ყველა საკანში პატიმრები რეცხავენ და იქვე აშრობენ სარეცხს.

შემოწმებით დადგინდა, რომ საგამოძიებო იზოლატორში ადგილი აქვს პატიმართა მოთავსების უკანონო შემთხვევებს, მაგალითად, პატიმარ ს. ნ. კილასონიას გაუთავდა ექვსთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა ა/წლის 12 ნოემბერს, ხოლო პატიმრობის ვადა ჯერ კიდევ არ არის გაგრძელებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ, რის გამოც ს. ნ. კილასონია 10 დღეა უკანონოდ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (26-ე და 43-ე მუხლები).

გ თ ხ ო ვ თ:

1. სასწრაფოდ მიიღოთ ზომები დარღვეულ კანონთა გამოსწორების მიზნით;

2. მიიღოთ ზომები, რათა აღმოიფხვრას № 9 საგამოძიებო იზოლატორში დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტები, კერძოდ:

ა. სამეურნეო მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად არ იქნას დატოვებული მსჯავრდებულები, რომლებიც გასამართლებულნი არიან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და წინათ უკვე მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით;

ბ. სამეურნეო მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად დატოვებული მსჯავრდებულები არ მოათავსოთ იმ პატიმრებთან ერთად, ვისაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს წინასწარი პატიმრობა;

გ. პატიმრებს არ მისცეთ ნახვის უფლება იმ გამომძიებლის (სასამართლოს) ნებართვის გარეშე, ვისზეც ისინი ირიცხებიან;

დ. უზრუნველყავით საპატიმრო საკნებში ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა;

ე. არ დაუშვათ პატიმართა უკანონო მოთავსება საგამოძიებო იზოლატორში. წინასწარი პატიმრობის ვადის დამთავრების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ ზედამხედველ პროკურორს.

3. წარდგინება განიხილეთ დადგენილი ერთი თვის ვადაში და განხილვის შედეგები მაცნობეთ.

აფხაზეთის ასსრ პროკურორი,
იუსტიციის III კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ს. ანჩაბაძე

27 ნოემბერი, 1987 წ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს,
შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტს —
ბ. ვ. ქრისტესაშვილს

წარდგინება

მსჯავრდებულთა შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანასთან დაკავშირებით კანონთა დარღვევის თაობაზე

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების პროკურორმა, იუსტიციის მრჩეველმა ნ. ს. სვანიძემ 1987 წლის 5 ივლისიდან 7 ივლისამდე შეამოწმა კანონების დაცვის მდგომარეობა მსჯავრდებულთა შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანასთან დაკავშირებით.

შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგ შემთხვევაში დაცული არ არის კანონის მოთხოვნა.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული ს. ა. ვართანიანი სასჯელს იხდიდა ავჭალის შრომა-აღმზრდელობითი საერთო რეჟიმის კოლონიაში, სისტემატურად არღვევდა დადგენილ წესებს, რის გამოც მის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური დასჯის ღონისძიებანი. იმის გამო, რომ დისციპლინური დასჯის ღონისძიება საკმარისი არ აღმოჩნდა, კოლონიის უფროსის 1987 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით იგი წარდგენილ იქნა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონი-

აში გადასაყვანად, მაშინ როდესაც ამ დროისათვის მსჯავრდებული ს. ა. ვართანიანი იყო 17 წლისა და 8 თვის. კოლონიის უფროსის ასეთი გადაწყვეტილება შეთანხმებულ იქნა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან. ამავე მოტივით საერთო რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში გადასაყვანად ა/წ 7 აპრილს წარდგენილ იქნა არასრულწლოვანი მსჯავრდებული ვ. ნ. ხითარიშვილი 17 წლის და 10 თვის და არასრულწლოვანი მსჯავრდებული ა. ი. გიგინეიშვილი 17 წლის და 9 თვის.

ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 39-ე მუხლს, რომლის ძალითაც მსჯავრდებულის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორებით კოლონიაში გადაყვანის შესახებ საკითხის დასმა შეიძლება მხოლოდ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულის მიმართ.

მეორე მხრივ, შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგ შემთხვევაში ასაკმიღწეული მსჯავრდებულები უსაფუძვლოდ არიან დატოვებული შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში; მაგალითად, მსჯავრდებულები: ნ. ვ. კარაპეტიანი (19 წლის), ს. ო. შიშკინი (18 წლის და 10 თვის), ა. ბ. ქარსელაძე (19 წლის და 7 თვის) იმყოფებიან შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, რომელთაც უკვე დამთავრებული აქვთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები. ამ პირებზე არსებობს შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის უფროსის შინაგანი სამსახურის მაიორის — ს. ი. კვიცარიძის დადგენილება, რომელიც არ არის მოტივირებული და შეთანხმებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-40 მუხლის მოთხოვნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (26-ე და 43-ე მუხლები),

გ თ ხ ო ვ თ:

1. მიიღოთ ზომები, რათა აღმოფხვრილ იქნას საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში კანონის დარღვევის ფაქტები, კერძოდ:

ა. მსჯავრდებულთა შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის შესახებ საკითხი არ დაისვას, სანამ მსჯავრდებულს არ შეუსრულდება ოცამეტი წელი;

ბ. მსჯავრდებულთა შრომა-აღმზრდელობითს კოლონიაში დატოვების საკითხი უნდა გადაწყდეს თვრამეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთა მიმართ ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიულ-ტექნიკური სწავლების დამთავრების მიზნით. ეს საკითხი უნდა გაფორმდეს კოლონიის უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რაც შეთანხმებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან.

2. წარდგინება განიხილეთ დადგენილი ერთი თვის ვადაში და განხილვის შედეგები მაცნობეთ.

საქართველოს სსრ პროკურორი,
იუსტიციის II კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. კოტრიკაძე

12 ივლისი, 1987 წ.

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრს,
შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკს
ს. ვ. დიასამიძეს

წარდგინება

შრომა გასწორების სამუშაოთა ინსპექციის საქმიანობაში კანონთა დარღვევის თაობაზე

აჭარის ასსრ პროკურორის უფროსმა თანაშემწემ, იუსტიციის მრჩეველმა ს. ნ. ცხვედაძემ 1987 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმის შესაბამისად, ა/წლის 30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე შეამოწმა კანონთა დაცვის მდგომარეობა ქ. ბათუმის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის საქმიანობაში.

შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. ბათუმის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის საქმიანობაში ჯერ კიდევ ხშირია კანონთა იგნორირების ან მისი პირდაპირი დარღვევის ფაქტები.

მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში ქ. ბათუმის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციას აღსასრულებლად გადაეგზავნა სასამართლო ორგანოების 27 განაჩენი გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის მოხდის თაობაზე თავისუფლების აღუკვეთლად.

კანონით დადგენილ ათდღიან ვადაში წარმოება-დაწესებულებებს აღსასრულებლად გადაეგზავნა მხოლოდ შვიდი განაჩენი.

სასამართლო ორგანოების ათი განაჩენი ქ. ბათუმის მექანიკურ ქარხანას აღსასრულებლად გადაეგზავნა ოთხი თვის დაგვიანებით; მაგალითად, მსჯავრდებულების: ს. ნ. სანიკიძის, ს. ნ. ვერულაშვილის მიმართ შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციამ სასამართლო ორგანოების განაჩენები მიიღო 1987 წლის 5 და 7 იანვარს, მაგრამ ამ ორგანოს თანამშრომლების დაუდევრობით ქ. ბათუმის მექანიკურ ქარხანას განაჩენი აღსასრულებლად გადაეგზავნა ა/წლის 6 მაისს.

რაც შეეხება სასამართლო ორგანოების დანარჩენ ათ განაჩენს, ისინი უკვე ხუთ თვეზე მეტია მიიღო შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციამ, მაგრამ ვერ უზრუნველყო მსჯავრდებულთა გამოცხადება და განაჩენების მიქცევა აღსასრულებლად.

აღნიშნული გარემოება მოწმობს იმას, რომ შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის მუშაობაში უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 97-ე, 98-ე მუხლების მოთხოვნები.

ქ. ბათუმის მექანიკურ ქარხანაში გაგზავნილი სამი მსჯავრდებული უკვე აღარ მუშაობს, რადგან განთავისუფლდნენ თავიანთი განცხადების საფუძველზე. დღემდე დაუდგენელია ამ მსჯავრდებულთა (ს. ნ. ხვიტია, ვ. ვ. შირშოვი, ს. ნ. მანუკიანი) ადგილსამყოფელი.

მსჯავრდებულ ზ. ნათობიძეს მისჯილი ჰქონდა გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად ერთი წლის ვადით. მან იმუშავა ქ. ბათუმის მექანიკურ ქარხანაში რვა თვე. რის შემდეგ მიეცა კუთვნილი შვებულება.

მოყვანილი ფაქტები მიუთითებს კანონის დარღვევებზე, კერძოდ, საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის მე-100 მუხლის მოთხოვნათა იგნორირებაზე.

შემოწმებით დადგინდა, რომ მსჯავრდებულთა ხელფასიდან ბშირად არ ქვითავენ თანხებს დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად: მაგალითად, მსჯავრდებულებს: ვ. ნ. ეკიზაშვილს, ს. ნ. აბოვიანს, ა. პ. კოზლოვს გაურკვეველი მიზეზების გამო ხელფასიდან არ ექვითებათ თანხები დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, რაც წარმოადგენს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 101-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქ. ბათუმის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებას. არ ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას, რომელთა შესახებ აღნიშნულია საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 103-ე მუხლში.

ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (26-ე და 43-ე მუხლები),

გ თ ხ ო ვ თ:

1. მიიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა აღმოფხვრილ იქნას ქ. ბათუმის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციაში კანონის დარღვევის ფაქტები, კერძოდ:

ა. სასამართლოს განაჩენები გამასწორებელი სამუშაოების სახით თავისუფლების აღუკვეთლად დადგენილ ათდღიან ვადაში გადააგზავნოთ შესაბამის წარმოება-დაწესებულებებში;

ბ. არ დაუშვათ მსჯავრდებულთა სამუშაოდან დათხოვნა თავიანთ განცხადებათა საფუძველზე შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის უფროსის ნებართვის გარეშე;

გ. გააძლიეროთ კონტროლი, რათა შვებულება არ მიეცეს იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან გამასწორებელი სამუშაოების სახით თავისუფლების აღუკვეთლად;

დ. გააძლიეროთ კონტროლი, რათა მსჯავრდებულთა ხელფასიდან, განაჩენის შესაბამისად, ყოველთვიურად დაქვითულ იქნას თანხები იმ ზიანის დასაფარავად, რაც დანაშაულის ჩადენით მიადგა სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს;

ე. ბათუმის შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის

უფროსმა და მისდამი დაქვემდებარებულმა თანამშრომლებმა უზრუნველყონ იმ მოვალეობათა განუხრელი დაცვა, რაც მათ ეკისრებათ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 103-ე მუხლით.

2. წარდგინება განიხილეთ დადგენილი ერთი თვის ვადაში და განხილვის შედეგები მაცნობეთ.

აჭარის ასსრ პროკურორი,
იუსტიციის III კლასის სახელმწიფო
მრჩეველი ვ. კონცელიძე

20 სექტემბერი, 1987 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

დაპატიმრებულის საგამოძიებო იზოლატორიდან განთავისუფლების შესახებ

ქ. თბილისი 30 სექტემბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის პროკურორის თანაშემწემ, პირველი კლასის იურისტმა ნ. ვ. გაბუნიამ განიხილა პატიმარ ზელიმხან ნიკოლოზის ძე კენეიშვილის პირადი საქმე. ნ. კენეიშვილი დაბადებულია 1956 წელს ქ. რუსთავში, ტოლსტოის ქ. № 18, ბინა 9, ეროვნებით ქართველი, რვა კლასის განათლებით, ცოლშვილიანი, ადრე სამართალში არყოფილი, მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მეორე ნაწილით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1987 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის საფუძველზე (მოსამართლე ვ. ს. დარბაიძე) განსასჯელ ზ. ნ. კენეიშვილს აღკვეთის ღონისძიება — გაუსვლელობის ხელწერილი შეეცვალა წინასწარი პატიმრობით. აღნიშნული ოქმის საფუძველზე ა/წლის 10 სექტემბერს ზ. კენეიშვილი დაპატიმრებულ იქნა და მოთავსებულია ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში.

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის დროს სასამართლომ დაარღვია კანონის მოთხოვნა. საქართველოს სსრ სსსკ 94-ე მუხლის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის დროს სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება, რომელიც ამავე კოდექსის 253-ე მუხლის საფუძველზე უნდა შედგეს სათათბირო ოთახში. ამ საკითხზე სასამართლო სხდომის ოქმში კი აღნიშნულია: „სასამართლომ მოითათბირა ადგილზე და დაადგინა — ზ. ნ. კენეიშვილს აღკვეთის ღონისძიება შეეცვალოს და აყვანილ იქნას პატიმრობაში". სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, რის შედეგადაც ზ. ნ. კენეიშვილი 20 დღეა იმყოფება უკანონო პატიმრობაში.

ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (43-ე მუხლის მე-3 პუნქტი),

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. პატიმარი ზელიმხან ნიკოლოზის ძე კენეიშვილი დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორიდან და აღკვეთის ღონისძიების სახით დარჩეს გაუსვლელობის ხელწერილი, შერჩეული წინასწარი გამოძიების დროს;

2. დადგენილება ხელწერილით გამოეცხადოს პატიმარ ზ. ნ. კენეიშვილს;

3. აღნიშნული დადგენილება სისრულეში მოსაყვანად გადაეგზავნოს ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორის უფროსს, შინაგანი სამსახურის მაიორს — ვ. ვ. სანებლიძეს;

4. დადგენილების პირი გადაეგზავნოს გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს — ვ. ს. დარბაიძეს.

ქ. თბილისის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე
ზედამხედველობის პროკურორის თანაშემწე,
პირველი კლასის იურისტი ნ. გ ა ბ ე ნ ი ა

დადგენილება პატიმრობიდან განთავისუფლების
შესახებ გამომეცხადა 1987 წლის 30 სექტემბერს,
რის საფუძველზეც განთავისუფლებული ვარ.
ზ. კ ე ნ ე ი შ ვ ი ლ ი.

დადგენილება

შრომა გასწორების კოლონიის უფროსის ბრძანების შესრულების შეჩერების შესახებ

ქ. თბილისი 13 ოქტომბერი, 1987 წ.

ქ. თბილისის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის პროკურორის თანაშემწემ, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ო. ზ. კობახიძემ განიხილა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების № 3 კოლონიის შემოწმების მასალები.

გამოეარკვია:

გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების № 3 კოლონიის უფროსის, შინაგანი სამსახურის მაიორის — ბ. ვ. ბეჟიტაშვილის 1987 წლის 2 ოქტომბრის № 278 ბრძანებით მექანიკური საამქროს მშენებლობა უნდა დამთავრდეს ა/წლის 7 ნოემბრისათვის. ამ ობიექტზე მომუშავე მსჯავრდებულისათვის აღნიშნული ბრძანებით დაწესებულია ათსაათიანი სამუშაო დღე, ხოლო დასვენების დღეებში ოთხსაათიანი სამუშაო დღე.

აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულებისათვის დაწესებულია რვასაათიანი სამუშაო დღე, ხოლო დასვენების დღეები ითვლება არასამუშაო დღეებად. ამიტომ აღნიშნული ბრძანების მოქმედება უნდა შეჩერდეს მის გაუქმებამდე.

ვიხელმძღვანელე კანონით „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" (43-ე მუხლი),

დავადგინე:

1. შეჩერდეს გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების № 3 კოლონიის უფროსის 1987 წლის 2 ოქტომბრის № 278 ბრძანების შესრულება, რომლის მიხედვითაც დაწესებულია მექანიკური საამქროს მშენებლობაზე მომუშავე მსჯავრდებულებისათვის ათსაათიანი სამუშაო დღე;

2. აღნიშნული დადგენილება შესასრულებლად ჩაბარდეს № 3 გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის უფროსს, შინაგანი სამსახურის მაიორს — ბ. ვ. ბეჟიტაშვილს.

ქ. თბილისის თავისუფლების აღკვეთის
ადგილებზე ზედამხედველობის პროკურორის თანაშემწე,
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ო. კობახიძე.

შინაარსი

მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტების შნიშვნელობა და სახეები 3

განყოფილება I

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესუალური აქტები 12

თავი I

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

ოქმი დანაშაულის ჩადენის შესახებ ზეპირი განცხადებისა 12
წერილობითი განცხადება დანაშაულის ჩადენის შესახებ 14
მიმართვა განცხადების ქვემდებარეობისამებრ გადაგზავნის შესახებ 15
ოქმი ბრალის აღიარებით პირის გამოცხადების შესახებ 16
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და წარმოებაში მიღების შესახებ 17
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ 18
დადგენილება საგამოძიებო ჯგუფში ცელილებათა შეტანის შესახებ 20
დავალება ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების ჩატარების შესახებ 21
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 21
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის მასალების გადაცემის შესახებ 23
შეტყობინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 24

თავი II

გამოძიების წარმოების საერთო პირობები

დადგენილება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ 25
დადგენილება საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ საქმის წარმოებაში მიღების შესახებ 26

დადგენილება საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ 27
დადგენილება საქმის ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ 28
განცხადება გამომძიებლის თვითაცილების შესახებ 29
დადგენილება გამომძიებლის აცილების შესახებ 30
დაკალება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ 31
შეპასუხება საგამოძიებო ქმედებანყოფილების უფროსის მითითებაზე 32
ცალკეული დაკალება . 33
დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ . 35
დადგენილება დაზარალებულის წარმომადგენლად ცნობის შესახებ 36
დადგენილება დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ 37
დადგენილება სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ 39
დადგენილება საგამოძიებო და საპატიმრო ვადის გაგრძელების შუამდგომლობის შესახებ 40
დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ . 42
დადგენილება თარჯიმნისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ 44
ხელწერილი გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობის შესახებ . . 45
მოთხოვნა დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ 45
ოქმი მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ 46
წარდგინება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა აღკვეთის შესახებ . 47
შეხსენება წარდგინების განხილვის საკითხზე 48

თავი III

ეკვმიტანილის დაკავება და დაკითხვა

ოქმი ეკვმიტანილის დაკავებისა 50
ოქმი ეკვმიტანილის პირადი ჩხრეკისა 51
მითითება წინასწარი პატიმრობის საკანში ეკვმიტანილთა ცალ-ცალკე მოთავსების შესახებ 53
შეტყობინება პროკურორისათვის ეკვმიტანილის დაკავების შესახებ 54
ოქმი ეკვმიტანილის დაკითხვისა 54
ლადგენილება ეკვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ 58
შეტყობინება ეკვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების შესახებ 60
ნებართვა ეკვმიტანილთან პაემანის დანიშვნის შესახებ 60
მითითება ეკვმიტანილის გათავისუფლების შესახებ . 61
დადგენილება ეკვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების — წინასწარი პატიმრობის გაუქმების შესახებ 62

თავი IV

ბრალდების წაყენება და ბრალდებულის დაკითხვა

დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ 64
დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ (დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით) 66
დადგენილება ბრალდებულის იძულებითი წესით მოყვანის შესახებ 68
ოქმი ბრალდებულისათვის საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობის გამოცხადებისა . . . 69
დადგენილება თანამდებობიდან ბრალდებულის გადაყენების შესახებ 70
ოქმი ბრალდებულის დაკითხვისა 71
ოქმი ბრალდებულის დამატებითი დაკითხვისა 74
ოქმი არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვისა 76
ოქმი ბრალდებულის დაკითხვისა (თარჯიმნის მონაწილეობით) 81
ოქმი ბრალდებულის დაკითხვისა (მაგნიტოფონის გამოყენებით) 84
დადგენილება ახალი ბრალდების წაყენების შესახებ 88
დადგენილება წაყენებული ბრალდების შეცვლის შესახებ 89
დადგენილება წაყენებული ბრალდების ნაწილში საქმის შეწყვეტის შესახებ 91
მოთხოვნა განაჩენის პირისა 92
მოთხოვნა დახასიათების გაცემის შესახებ 93
მოთხოვნა ავადმყოფობის ისტორიისა 94

თავი V

აღკვეთის ღონისძიებანი

ვალდებულება ბრალდებულის გამოცხადების შესახებ 95
დადგენილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევის შესახებ 95
გაუსვლელობის ხელწერილი . . 97
დადგენილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის გამოყენების შესახებ 97
ხელწერილი პირადი თავდებობის შესახებ 98
დადგენილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავდებობის გამოყენების შესახებ 99
ხელწერილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ვალდებულების შესახებ 100
დადგენილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ 101
შეტყობინება დაპატიმრების შესახებ . 103
დადგენილება ბრალდებულის დაძებნისა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ 104

დადგენილება არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მშობლებისათვის სამეთვალყურეოდ გადაცემის შესახებ 105
ვალდებულება არასრულწლოვანის მეთვალყურეობის შესახებ 106
დადგენილება არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით სკოლა-ინტერნატის დირექტორის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემის შესახებ 107
ვალდებულება არასრულწლოვანზე ზედამხედველობის დაწესების შესახებ 108
დადგენილება პატიმრის ბავშვებზე მზრუნველობის დაწესების შესახებ 109
დადგენილება პატიმრის ბინისა და ქონების დაცვის ღონისძიებათა შესახებ 110
დადგენილება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ 111
დადგენილება აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ 113

თავი VI

მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა

ოქმი მოწმის დაკითხვისა 115
ოქმი არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვისა 118
ოქმი მოწმის დამატებითი დაკითხვისა 121
დადგენილება მოწმის იძულებითი წესით მოყვანის შესახებ 122
ოქმი მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ 123
ოქმი დაზარალებულის დაკითხვისა (სპეციალისტის მონაწილეობით) 124

თავი VII

დაპირისპირება და ამოსაცნობად წარდგენა

დაპირისპირების ოქმი (დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის) 128
დაპირისპირების ოქმი (მოწმესა და ექვმიტანილს შორის) 132
ოქმი პიროვნების ამოსაცნობად წარდგენისა 134
ოქმი ფოტოსურათის ამოსაცნობად წარდგენისა 136
ოქმი გვამის ამოსაცნობად წარდგენისა 138

თავი VIII

ამოღება. ჩხრეკა. ქონებაზე უფლების დადება

დადგენილება ამოღების შესახებ 140
ამოღების ოქმი. სოფელი მეორე სვირი 141
დადგენილება ჩხრეკის შესახებ 143
ოქმი ჩხრეკისა 144
შეტყობინება ჩხრეკის ჩატარების შესახებ 146
დადგენილება პირადი ჩხრეკის შესახებ 147

ოქმი პირადი ჩხრეკისა 148
დადგენილება საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე ყადაღის დადებისა და მისი ამოღების შესახებ 150
მიმართვა საფოსტო განყოფილების უფროსს 151
ოქმი საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციის დათვალიერების და ამოღებისა 152
დადგენილება საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე ყადაღის დადების გაუქმების შესახებ 154
მიმართვა სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მმართველს 155
დადგენილება ანაბარზე ყადაღის დადების შესახებ 156
დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 157
ოქმი ქონებაზე ყადაღის დადებისა 158
ხელწერილი ყადაღადადებული ქონების შენახვისა 160

თავი IX

შემოხვევის ადგილის დათვალიერება. შემოწმება. საგამოძიებო ექსპერიმენტი

ოქმი გვამის დათვალიერებისა (ცინოგადაღების გამოყენებით) 161
დადგენილება დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღების შესახებ 166
ოქმი დაკრძალული გვამის ამოღებისა 167
დადგენილება ნივთიერი მტკიცებულების საქმეზე დართვის შესახებ 170
დადგენილება შემოწმების შესახებ 171
შემოწმების ოქმი 172
ოქმი საგამოძიებო ექსპერიმენტისა 173

თავი X

ექსპერტიზის დანიშვნა და ნიმუშების მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის

დადგენილება ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 176
დადგენილება დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 178
ოქმი ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით ბრალდებულის მიერ შუამდგომლობის აღძერისა 180
დადგენილება ბრალდებულის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ 181
დადგენილება განმეორებითი ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 182
დადგენილება გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 184
დადგენილება სისხლის ბიოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 185
დადგენილება სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 187
დადგენილება აუტოტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 189

დადგენილება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ . . . 192
დადგენილება ექსპერტისათვის გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ 194
ოქმი ექსპერტის დაკითხვისა 195
ოქმი ბრალდებულისათვის ექსპერტის დასკვნის წარდგენისა 197
დადგენილება ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების შეღარებითი გამოკვლევისათვის მიღების შესახებ 198
ოქმი ხელმოწერის ექსპერიმენტული ნიმუშების მიღებისა 199

თავი XI

გამოძიების შეჩერება და განახლება

დადგენილება წინასწარი გამოძიების შეჩერების შესახებ 200
(ბრალდებულის მიმალვისა და მისი ადგილსამყოფლის დაუდგენლობის გამო) . 200
დადგენილება ძებნის გამოცხადების, ბრალდებულის დაპატიმრებისა და მისი ეტაპირების შესახებ . . 201
დადგენილება წინასწარი გამოძიების წარმოებით განახლების შესახებ 203
დადგენილება გამოძიებით შეჩერებული საქმის შეწყვეტის შესახებ 204

თავი XII

წინასწარი გამოძიების დამთავრება

დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო 206
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და მასალების სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მიზნით 207
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მასალების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განსახილველად გადაცემასთან დაკავშირებით 209
დადგენილება შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის განახლების შესახებ 211
შეტყობინება დაზარალებულის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებით დამთავრების შესახებ . 212
ოქმი დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა 213
ოქმი სამოქალაქო მოსარჩელესთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა 214
ოქმი ბრალდებულისათვის გამოძიების დამთავრების გამოცხადების შესახებ . 215
მიმართვა იურიდიული კონსულტაციის გამგეს საქმეზე დამცველის გამოყოფის შესახებ 216

ოქმი ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა 216
დადგენილება დამცველის შეამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 218
დადგენილება ბრალდებულისა და დამცველისათვის საქმის მასალების გასაცნობად ვადის განსაზღვრის შესახებ . 219
დადგენილება სასამართლოში საქმის წარმართვის შესახებ სამედიცინო სასათის ძალებითი ღონისძიების გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად . 221
ოქმი მარტივი ხელიგნობის საქმეზე მასალებია სასამართლოში წარმართვის შესახებ (მასალების სასამართლომდე მომზადების საოქმო ფორმა) 225
საბრალდებო დასკვნა 228

ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა II

საპროკურორო ზედამხედველობის აქტები 234

თ ა ვ ი I

პროკურორის საერთო ზედამხედველობა

პროტესტი საერთო ზედამხედველობის წესით 234
წარდგინება საერთო ზედამხედველობის წესით 235
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა . . 238
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ (საერთო ზედამხედველობის წესით) . 240
დადგენილება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ 242

თ ა ვ ი II

პროკურორის ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებისადმი

დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ 244
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმებისა და მასალების დამატებითი შემოწმების შესახებ 246
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმებისა და საქმის აღძვრის შესახებ . . . 247
დადგენილება გამომძიებლის აცილების შესახებ 249
დადგენილება შინაგან საქმეთა საგამოძიებო ორგანოსათვის საქმის ჩამორთმევისა და პროკურატურის გამომძიებლისადმი დაქვემდებარების შესახებ 251

დადგენილება ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ . 253
დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეჩერების დადგენილების გაუქმებისა და საქმის წარმოებით განახლების შესახებ 254
დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი გამოძიების ჩატარებისა და გამოძიების ვადის გაგრძელების შესახებ 257

თავი III

პროკურორის ზედამხედველობა სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს კანონთა შესრულებისადმი

საკასაციო პროტესტი (სისხლის სამართლის საქმეზე) 260
წარდგინება ზედამხედველობის წესით განჩინების გაპროტესტების შესახებ . 263
პროტესტი ზედამხედველობის წესით (სისხლის სამართლის საქმეზე) 265
პროკურორის სასარჩელო განცხადება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით 269
საკასაციო პროტესტი (სამოქალაქო სამართლის საქმეზე) 271
გამოთხოვა ქვემდგომი პროკურორის საკასაციო პროტესტისა 273
პროტესტი ზედამხედველობის წესით (სამოქალაქო სამართლის საქმეზე) 274
შეტყობინება ზედამხედველობის წესით სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტებაზე უარის თქმის შესახებ 277

თავი IV

პროკურორის ზედამხედველობა სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს კანონთა შესრულებისადმი

პროტესტი (შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის ბრძანებაზე) 279
პროტესტი ზედამხედველობის წესით (სახალხო სასამართლოს განჩინებაზე) 280
აქტი საგამოძიებო იზოლატორში პატიმართა და მსჯავრდებულთა მოთავსების პირობების შემოწმებისა 282
წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა 284
წარდგინება მსჯავრდებულთა შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანასთან დაკავშირებით კანონთა დარღვევის თაობაზე 287
წარდგინება შრომა-გასწორების სამუშაოთა ინსპექციის საქმიანობაში კანონთა დარღვევის თაობაზე 289
დადგენილება დაპატიმრებულის საგამოძიებო იზოლატორიდან განთავისუფლების შესახებ 292
დადგენილება შრომა-გასწორების კოლონიის უფროსის ბრძანების შესრულების შეჩერების შესახებ 294

რედაქტორი ვ. მალანია-ნიკაბაძე
მხატვარი ვ. გეორგობიანი
მხატვრული რედაქტორი რ. მაჭარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ნ. ბაზუაშვილი
გამომშვები მ. წივწივაძე

ს.ბ. № 6385

გადაეცა წარმოებას 28.01.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.10.88. უე 02103. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,96. პირ. საღ.-გატ. 15.96. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 12,9. ტირაჟი 5. 000. შეკვ № 206.

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი. მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, შეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы, 7.